გეოპოლიტიკა

ავტორი: არჩილ გეგეშიძე

თბილისი
1999 წელი

© ა. გეგეშიძე 1997 წ.

წინასიტყვაობა

XXI საუკუნე მსოფლიოს ახლებური მოწყობის, ერთა შორის ცივილიზებული ურთიერთობების საუკუნე იქნება. ამ ურთიერთობათა კონკრეტული მშენებლობა უკვე დაწყებულია და ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას საქართველოც იღებს.

დღეს, როდესაც საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორი გზის არჩევას, მტრისა და მოყვრის გარჩევას და ერთა თანამეგობრობაში საკუთარი ღირსეული ადგილის დამკვიდრებას. პოლიტიკური კურსი, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ უნდა გაატაროს, მოზომილი და ფრთხილი, ზნეობრივი და სამართლიანი უნდა იყოს, ამავე დროს ჭეშმარიტ ეროვნულ ინტერესებს უნდა ეფუძნებოდეს და საერთაშორისო სტანდარტებსაც პასუხობდეს.

სწორი პოლიტიკური კურსის არჩევა რთული საქმეა და უამრავი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს. გლობალური პროცესების დინამიურობა და ქვეყნის შიგნით მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ეთიკური ძვრები უაღრესად ართულებს ოპტიმალური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას. აღნიშნულ პროცესებში გარკვევა და სწორი პოზიციის დაკავება თანაბრად სჭირდებათ როგორც სახელმწიფო მოღვაწეებს, ისე რიგით მოქალაქეებს, რომელთა პოლიტიკურ არჩევანზე, საბოლოო ჯამში, დამოკიდებულია ქვეყნის ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა.

წინამდებარე სახელმძღვანელო გეოპოლიტიკაში ერთგვარი ცდაა გლობალური პროცესებისა და მათი სახელმწიფო პოლიტიკაზე გავლენის შესახებ ელემენტარული ინფორმაციის სისტემატიზაციისა და მიზნად ისახავს დაეხმაროს სტუდენტს დამოუკიდებელი პოლიტიკური ანალიზის უნარის გამომუშავებაში.

სახელმძღვანელო კონსპექტური ხასიათისაა. მასში შემჭიდროვებული სახითაა განხილული პოლიტიკური რუკის ფორმირების, გეოპოლიტიკის თეორიის, ეროვნული უსაფრთხოების და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საკითხები, აგრეთვე, დახასიათებულია განიარაღების, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სასურსათო, ადამიანთა უფლებების დაცვის გლობალური პრობლემები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ მსოფლიო და სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაზე. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის ანალიზს, ეროვნული უსაფრთხოების ასპექტების მიმოხილვას, საგარეო პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებს. გარდა ამისა, სახელმძღვანელოში დანართის სახით მოყვანილია საცნობარო ხასიათის ინფორმაცია ცხრილებისა და მცირე განმარტებითი ლექსიკონის სახით.

სახელმძღვანელოს ტექსტი, უმთავრესად, ორიგინალური ხასიათისაა. მასში გამოყენებულია როგორც ევროპულ (ძირითადად ინგლისურ) ენებზე არსებული ლიტერატურა, ისე რუსული და ქართული პერიოდული გამოცემები და პრესის მასალები. ზოგიერთი მასალა სათანადო მითითებით უცვლელად ან მცირედი ადაპტირებით არის გამოყენებული.

წინამდებარე სახელმძღვანელო, რა თქმა უნდა, ხარვეზებისაგან არ არის დაზღვეული. მკითხველისაგან მადლიერებით მივიღებთ ყველა შენიშვნასა და წინადადებას, რაც, ვფიქრობთ, გაგვიადვილებს ნაშრომის შემდგომ სრულყოფას.

1. პოლიტიკური ლანდშაფტი

კაცობრიობის არსებობის ისტორია რამდენიმე ათეულ საუკუნეს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ცივილიზაციების აღორძინებასა და დაცემას, სახელმწიფოთა შორის ომებსა და მშვიდობიან თანაცხოვრებას. მაგრამ, მიუხედავად ისტორიული ზიგზაგებისა, კულტურული პროგრესი განუყოფელი ატრიბუტი იყო და არის გლობალური ცივილიზაციის განვითარებისა. მიუხედავად ამისა სახეზეა კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პარადოქსი: მაშინ, როდესაც XX საუკუნე არის უზარმაზარი ცოდნისა და კულტურის საუკუნე, იგი ამავე დროს არის ისტორიაში არნახული სისასტიკის ომებისა და მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის და გამოყენების საუკუნეც. ამის ახსნა რთულია და სცილდება მოცემული კურსის მიზნებს, მაგრამ იმისათვის, რომ გავერკვეთ დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში, გავიგოთ სახელმწიფოთა შორის ინტერესების ურთიერთმორგების მექანიზმი, საჭიროა განვიხილოთ ის ისტორიული წინაპირობები და დღევანდელი პოლიტიკური რუკა - ერთგვარი პროლიტიკური ლანდშაფტი, რაც აღნიშნული ურთიერთობების ერთ–ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს.

1.1. იმპერიალიზმი და იმპერიები

ისტორიულად ყოველთვის არსებობდნენ ექსპანსიური და აგრესიული სახელმწიფოები, რომლებიც ესწრაფოდნენ სხვა ხალხებისა და მიწების დაპყრობას. მიწების შემოერთებით და ხალხების დამორჩილებით ისინი ქმნიდნენ ერთგვარ პოლიტიკურ სტრუქტურას, რომელსაც *იმპერია* ეწოდება. იმპერიალისტური ზრახვები, როგორც წესი, პოლიტიკური, სტრატეგიული და ეკონომიკური უპირატესობის მოპოვების სურვილით იყო

მოტივირებული. „სასიცოცხლო სივრცის" უზრუნველყოფა და ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე მისი გაფართოება იმპერიული ზრახვების პრაქტიკული რეალიზაციის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა.

იმპერიული კონტროლი შეიძლება არაპირდაპირი გზებითაც განხორციელდეს: სამხედრო მუქარა, პოლიტიკური „დაწოლა", თუნდაც მფარველობისა და სუბსიდიების შეთავაზება, ხშირად იძულებულს ხდის დამოკიდებულ და ვასალურ სახელმწიფოს აღიაროს იმპერიალისტური სახელმწიფოს „უზენაესი" უფლებები. იმპერიული კონტროლი შეიძლება გულისხმობდეს „კოლონიურ" ტერიტორიებზე როგორც საკუთარი წარმომადგენლების მიერ ადმინისტრირებას, ისე ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების შენარჩუნებას და მცირე ელიტის მიერ არაპირდაპირი ფორმით მართვას.

„კოლონიზაცია" ნიშნავს როგორც ოფიციალური პირებისა და სამხედროების მიერ იმპერიულ ადმინისტრირებას ან საუკეთესო მიწების მიტაცებასა და მათზე დასახლებული პუნქტების შექმნას, ისე ადგილობრივი მოსახლეობის დეპორტირებას, ასიმილაციას ან ფიზიკურ განადგურებას.

+იმპერია შეიძლება შედგებოდეს კომპაქტური და მიმდებარე ტერიტორიებისაგან (მაგ. რუსეთის და ჩინეთის იმპერიები), აგრეთვე, „გაფანტული მიწებისაგან" მსგავსად საზღვაო ძლიერებაზე დაფუძნებული ევროპული სახელმწიფოების იმპერიებისა. პირველი ტიპის იმპერიებს *კომპაქტური ტერიტორიული იმპერიები* ეწოდებათ, მეორე ტიპის იმპერიებს - *თალასოკრატიული იმპერიები.*

ИМПЕРИАЛИСТУРИ САХЕЛМЦИФОЕБИ. ახალ ისტორიულ პერიოდში სულ ცამეტი იმპერიალისტური სახელმწიფო იყო, რომელთაგან ექვსი განეკუთვნება მსხვილ კოლონიზატორთა კატეგორიას. XVII საუკუნემდე კოლონიები მხოლოდ ესპანეთსა და პორტუგალიას

ჰქონდათ. შემდგომ პერიოდში პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდნენ ნიდერლანდები, საფრანგეთი, ინგლისი და ბალტიის სახელმწიფოები–დანია, შვეცია, ბრანდენბურგ–პრუსია. მოგვიანებით, ე.წ. „იმპერიალიზმის ხანაში" (ძირითადად XIXს.), „გააქტიურდნენ" ბელგია, გერმანია, იტალია, იაპონია და აშშ. მთელი აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა რუსეთის იმპერიის ფორმირებაც, რომელმაც 1922-1991 წლებში საბჭოთა კავშირის სახით გააგრძელა არსებობა. ესპანეთი, პორტუგალია, ნიდერლანდები, საფრანგეთი, ინგლისი და რუსეთი ე.წ. მსხვილი კოლონიზატორები იყვნენ.

იმპერიული სახელმწიფოების კოლონიური აქტივობის ოთხ პერიოდს გამოჰყოფენ:

1. პირველი არაკონკურენციული ერა (ძირითადად XVIს.), როცა იმპერიულ სახელმწიფოებს მხოლოდ ესპანეთი და პორტუგალია წარმოადგენენ.

2. პირველი კონკურენციული ერა (XVII და XVIII სს), როდესაც იმპერიალისტურ ექსპანსიას რვა სახელმწიფო ეწეოდა.

3. მეორე არაკონკურენციული ერა (XIX საუკუნის შუა წლები), როდესაც გამოიკვეთა ბრიტანეთის ჰეგემონია. ამ პერიოდში მხოლოდ ბრიტანეთი და საფრანგეთი აწარმოებდნენ იმპერიალისტურ ექსპანსიას.

4. მეორე კონკურენციული ერა, ე.წ. „იმპერიალიზმის ხანის" ბოლო (XIXს. და XXს. მიჯნა), როდესაც იწყება ბრიტანეთის იმპერიის დაცემა. ამ პერიოდისათვის იმპერიულ ექსპანსიას შვიდი ქვეყანა აწარმოებდა.

იმპერიალიზმის პოლიტიკური არენა. გამოყოფენ თხუთმეტ რეგიონს („არენას"), სადაც კოლონიურ დაპყრობებს ჰქონდა ადგილი. პირველი რეგიონია ე.წ. *იბერიული ამერიკა*, სადაც

პირველ არაკონკურენციულ ერაში სამფლობელოები ჰქონდათ ესპანეთსა და პორტუგალიას. დღეს ეს რეგიონი ლათინური ამერიკის (კარიბის ზღვის კუნძულების ჩაუთვლელად) სახელით იწოდება. პირველ კონკურენციულ ერაში კოლონიზაციის მასშტაბებით გამოირჩეოდა *კარიბის ზღვის აუზი*. თავდაპირველად ესპანელ კოლონიზატორთა გააქტიურება ამ რეგიონში განპირობებული იყო წმინდა ტერიტორიული ექსპანსიის (ახალი სივრცის დაპყრობის) პოლიტიკით. მოგვიანებით კი შაქრის ლერწმის და თამბაქოს პლანტაციების გაშენება დაიწყეს, რითაც აღნიშნულმა რეგიონმა (მერილენდიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ ბრაზილიამდე) დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. ამავე პერიოდში მნიშვნელობით მეორე პოლიტიკურ არენას *ჩრდილო ამერიკა* წარმოადგენდა. იგი არ გამხდარა ე.წ. „ბეღლის" ფუნქციის მატარებული, რითაც წარმატებით აიცილა მეტროპოლიის კოლონიური ინტერესების საფუძვლიანი დამკვიდრება. ამან მნიშვნელოვნად განაპირობა ის ფაქტი, რომ დეკოლონიზაციის მსოფლიო პროცესი სწორედ აქ, ჩრდილო ამერიკაში, დაიწყო (1750წ.). აღნიშნული პერიოდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არენა *აფრიკის პორტები* იყო. აღნიშნული რეგიონით იკვრებოდა ცნობილი ატლანტური სავაჭრო სამკუთხედი. ინტენსიური ვაჭრობა და მის შედეგად დიდი მოგების მიღების შესაძლებლობა საფუძვლად დაედო მოცემულ ერაში იმპერიულ სახელმწიფოთა მძაფრ კონკურენციას. დანარჩენი ორი რეგიონი (*ინდოეთის პორტები* და *ოსტ–ინდოეთი*) მკვეთრად ჩამორჩებოდა თავისი მნიშვნელობით ზემოთგანხილულ რეგიონებს და მხოლოდ სავაჭრო ფუნქცია ჰქონდათ.

მეორე არაკონკურენციულ ერაში კოლონიური აქტიურობა მკვეთრად შემცირდა, თუმცა ოთხი არენა მაინც გამოიყოფა: *ინდოეთის ოკეანის კუნძულები*, *ავსტრალაზია* (ავსტრალია, ახალი ზელანდია, დიდი და მცირე ზონდის კუნძულები), *ინდოეთის*

შიდა ტერიტორიები და *ინდო-ჩინეთი*. აღნიშნულ რეგიონში ევროპულ მეტროპოლიებს შორის არავითარ კონკურენციას ადგილი არ ჰქონია. საფრანგეთმა და ბრიტანეთმა „უმტკივნეულოდ" გაიყვეს გავლენის სფეროები: ინდოეთის ოკეანის კუნძულები (მადაგასკარის ჩათვლით) და ინდო-ჩინეთი დაეთმო საფრანგეთს, ხოლო ინდოეთი და ავსტრალაზია – ინგლისს.

მომდევნო კონკურენციულ პერიოდში მშვიდობიანი გარიგება დაირღვა. ადგილი ჰქონდა რამოდენიმე მნიშვნელოვან კონფლიქტს, განსაკუთრებით *აფრიკისათვის* ბრძოლაში. ინტერესების შეჯახება მოხდა, აგრეთვე, *ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, წყნარ ოკეანეში* და *ჩინეთის სანაპირო ზოლში* დამკვიდრებისათვის. ოსმალეთის იმპერიის კრახმა I მსოფლიო ომში განაპირობა *არაბეთის* საბოლოო განაწილება ძირითადად ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოთხივე პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა რუსეთის კომპაქტური ტერიტორიული იმპერიის ფორმირებას, რაც ძირითადად აღმოსავლეთის მიმართულებით ექსპანსიაში გამოიხატებოდა.

თუკი იმპერიალიზმის სამოქმედო ასპარეზს რუკაზე დავიტანთ, აღმოჩნდება, რომ ევროპულ მეტროპოლიებს სხვადასხვა დროს პრაქტიკულად მთელი მსოფლიო ეპყრათ (იხ. ნახ.1).



— — — ევროპის საზღვარი

ტერიტორიები, რომლებიც 1500-დან 1950 წლამდე პერიოდში სხვადასხვა ხანგრძლივობით იყვნენ ევროპული ქვეყნების დაქვემდებარებაში

ნახ.1 ევროპული მეტროპოლიების „პერიფერიაზე" გაბატონების გეოგრაფიული მასშტაბები.

დეკოლონიზაცია. დეკოლონიზაციის პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს, შედარებით მარტივი ხასიათისაა. ამ მოვლენას ერთგვარი „ტალღოვანი" ხასიათი აქვს: *პირველმა ტალღამ*, რომელსაც XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში ჰქონდა ადგილი, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის კონტინენტი მოიცვა. 1750 წელს ჩრდილო ამერიკაში დაიწყო ე.წ. დამოუკიდებლობისათვის ომი, რომელიც ფაქტიურად ბურჟუაზიული რევოლუციის ხასიათს ატარებდა და 1776 წ. ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით დამთავრდა. ეს პროცესი თანდათანობით სამხრეთისკენ გავრცელდა და პორტუგალიის სამფლობელოებს მოედო. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში სამხრეთ ამერიკის ესპანურმა და პორტუგალიურმა

კოლონიებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს; *მეორე ტალღა* XX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო და 70-იან წლებში დამთავრდა. ამ პერიოდში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, დამოუკიდებლობა მოიპოვეს აზიისა და აფრიკის კოლონიებმა. არსებობა შეწყვიტა ისეთმა დიდმა იმპერიებმა, როგორიც იყო ბრიტანეთის და პორტუგალიის იმპერიები; *მესამე ტალღა* 80-იან წლებში დაიწყო და დღესაც გრძელდება. მან აღმოსავლეთ ევროპა და ყოფილი საბჭოთა კავშირი მოიცვა, კერძოდ: თავდაპირველად საბჭოთა კავშირის (ფაქტობრივად რუსეთის მოდერნიზირებული იმპერიის) ჰეგემონიის „კლანჭებს" აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნები დაუძვრნენ. შემდგომ თვით საბჭოთა კავშირი დაიშალა თხუთმეტ სახელმწიფოდ, რომელთაგან რუსეთის გარდა ყველა დანარჩენი ფაქტობრივად ამ უკანასკნელის კოლონიები იყვნენ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დეკოლონიზაციის გლობალურ პროცესს რიგი დამახასიათებელი ნიშნებისა აქვს, კერძოდ:

– პირველი და მეორე ტალღა თალასოკრატიულ იმპერიებს შეეხო და შედეგად ამ იმპერიების დაშლა მოჰყვა.

– მესამე ტალღამ, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა, რუსეთის (საბჭოთა კავშირის) კომპაქტური ტერიტორიული იმპერია მოიცვა.

პირველი ტალღა, რომელმაც ამერიკის კონტინენტი მოიცვა, სასოფლო-სამეურნეო (აგროკულტურული) კაპიტალიზმის პერიოდის დასასრულს დაემთხვა და საფუძვლად ლიბერალიზმის იდეოლოგია ედო.

– მეორე ტალღა სამრეწველო (ინდუსტრიული) კაპიტალიზმის პერიოდის დასასრულს დაემთხვა და სოციალისტური იდეოლოგიით წარიმართა.

– მესამე ტალღა, რომელმაც რუსეთის (საბჭოთა კავშირის) იმპერია მოიცვა, მსგავსად პირველი ტალღისა ლიბერალური პრინციპების აღიარების ნიშნით მიმდინარეობს.

– სამივე ტალღა ე.წ. დომინოს პრინციპით განხორციელდა: ამერიკის კონტინენტზე დეკოლონიზაციის პროცესს ბიძგი აშშ-ს დამოუკიდებლობის მოპოვებამ მისცა, აზიაში – ინდოეთის განთავისუფლებამ, აფრიკაში – განის მიერ კოლონიური უღლის გადაგდებამ, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლა ბალტიის რესპუბლიკების კავშირიდან გასვლით დაიწყო.

1.2. არაფორმალური იმპერიალიზმი

კოლონიური ქვეყნების მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებამ ვერ უზრუნველყო ვერც განთავისუფლებული ქვეყნების მეტროპოლიებზე ეკონომიკური დამოკიდებულების ლიკვიდაცია, ვერც მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის სხვაობის შემცირება. კოლონიური სისტემების რღვევის შემდგომ ყოფილ მეტროპოლიებში ეკონომიკის ეტაპობრივი სტრუქტურული გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობს, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ უპირატესობას განვითარებად ქვეყნებთან შედარებით.

წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების დომინირება შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მნიშვნელოვნად განაპირობა სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ. ენერგოტევადი წარმოების შემცირებამ და რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვამ მკვეთრად შეამცირა მსოფლიო ბაზარზე განვითარებადი ქვეყნების სანედლეულო პროდუქციაზე მოთხოვნილება. შემცირდა, აგრეთვე, განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში შრომა-, ენერგო- და მასალატევადი

წარმოებების გადატანა. სახეზეა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის „შენელებული მოქმედების ეფექტის“ შედეგი მიმდინარეობს განვითარებადი ქვეყნების თანამიმდევრული გამოდევნის პროცესი შრომის საერთაშორისო დანაწილებიდან და მათი ექსპლოატაციის ახალი ფორმის, ფინანსური დაკაბალების, დანერგვა. „მესამე სამყაროს“ ქვეყნების საგარეო ვალმა ასეულობით მილიარდ დოლარს მიაღწია.

აღნიშნულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტატუს-კვოს სხვადასხვაგვარად ხსნიან: ერთნი თვლიან, რომ ეკონომიკური ურთიერთობები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ნეოიმპერიულ იდეოლოგიაზეა აგებული და არაექვივალენტური გაცვლის პრინციპს ეფუძნება. მეორენი ფიქრობენ, რომ არსებული განსხვავების ლიკვიდირება არ ხდება არა ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის სპეციფიკის გამო, არამედ ჩამორჩენილი ქვეყნების მიერ საკუთარი რესურსების და პოტენციალის არარაციონალური გამოყენების შედეგად. მოკლედ განვიხილოთ ეს მოსაზრებები.

1. თანამედროვე ეკონომიური აზრის განვითარებას საფუძველი ჩაუყარა შოტლანდიელმა ეკონომისტმა და ფილოსოფოსმა ადამ სმიტმა (Adam Smith), რომელმაც თავის ცნობილ „ხალხთა სიმდიდრეში“ (1776წ.) სერიოზულად გააკრიტიკა იმ დროს ფართოდ ფეხმოკიდებული მერკანტილიზმის პოლიტიკა და ეკონომიკური ურთიერთობების ახალი ფორმა -- თავისუფალი მეწარმეობა შემოგვთავაზა. იგი ეკონომიკურ ლიტერატურაში laissez-faire-ის სახელით არის ცნობილი. მას შემდეგ თავისუფალი ვაჭრობა ყველა ეკონომიკური მოძღვრების ძირითად პრინციპად იქცა. XIX საუკუნის დასაწყისში აღნიშნულ თეორიას დავიდ რიკარდომ (David Ricardo) შედარებითი უპირატესობის იდეა დაამატა, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა: ყველა ქვეყანამ უნდა აწარმოოს ის, რისი წარმოებაც სხვა ქვეყნებთან

შედარებით უფრო რენტაბელურია. ასეთ შემთხვევაში თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი უზრუნველყოფს ისეთი სავაჭრო ბალანსის მიღწევას, რითაც ყველა ქვეყანა ნახავდა სარგებელს.

მოცემულმა იდეამ, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, არ გაამართლა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვაობა განვითარებულ და განვითარებად სამყაროს შორის არა თუ არ მცირდება, არამედ სულ უფრო მკვეთრ ხასიათს იღებს. რა არის ამის მიზეზი? მთავარი მიზეზი, როგორც თვლიან, თვით მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების სისტემაში დევს. გლობალური ეკონომიკური ურთიერთობები იმგვარად არის აგებული, რომ განვითარებულ ქვეყნებს (ყოფილ მეტროპოლიებს და ჰეგემონისტურ ქვეყნებს) a priori მომგებიანი პოზიცია უჭირავთ. ეს პოზიცია არაექვივალენტური გაცვლის პრინციპით არის განპირობებული: ყოველი სავაჭრო ოპერაცია მსოფლიო ბაზრის ფასებში ხდება. ვინაიდან შრომის ანაზღაურება არაერთგვაროვანია განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში, ამიტომ მათ მიერ წარმოებული საქონელი სხვადასხვა ფასისაა. გერმანიაში წარმოებული ესა თუ ის საქონელი ყოველთვის აღემატება თავისი ფასით იმავე საქონელს, ვთქვათ, კამერუნში წარმოებულს. ამის მიზეზი არის არა მარტო განსხვავებული ტექნოლოგიური დონეები, არამედ ის სოციალური ურთიერთობებიც, რომელთა ძალითაც გერმანელ მწარმოებელს უფრო მყარი მატერიალური საფუძველი აქვს შრომითი საქმიანობისას. ცნობილია, რომ 1996 წელს განვითარებადი ქვეყნების მიერ მსოფლიო ბაზარზე 45 მლრდ დოლარის ღირებულების საქონელი იქნა გატანილი. სპეციალისტთა შეფასებით, იგივე საქონელი განვითარებულ ქვეყნებში რომ ყოფილიყო წარმოებული, 75 მლრდ დოლარი ეღირებოდა. 30 მლრდ დოლარის ოდენობის განსხვავება (გარკვეული გაგებით ზარალი, რომელიც განვითარებადმა

ქვეყნებმა განიცადეს) სწორედ არაექვივალენტური გაცვლის შედეგია. არც ღირს იმის აღნიშვნა, რომ ეს თანხა ბევრჯერ აღემატება განვითარებული ქვეყნების მიერ "მესამე სამყაროსადმი" გაწეული დახმარების ხარჯებს.

თანამედროვე არაფორმალური იმპერიალიზმის მთავარ მოქმედ პირებს ე.წ. *ტრანსეროვნული კორპორაციები* წარმოადგენენ. გაერო-ს მონაცემებით მათი საერთო რაოდენობა 1000-ზე მეტია. მათ შორის 600 სამრეწველო პროფილის და 400 მსხვილი ბანკი. ტრანსეროვნული კორპორაციების უმრავლესობის შტაბ-ბინები თავმოყრილია ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, როგორებიცაა აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, გფრ და საფრანგეთი. ცალკეული ტრანსეროვნული კორპორაციების საკუთარ რესურსები ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის ცენტრალური ბანკის რესურსებს აღემატება. „ჯენერალ მოტორს"-ის, „ექსონ"-ის, „ფორდ მოტორ"-ის, „აი-ბი-ემ"-ის, „როიალ-დატჩშელ"-ის, „ტოიოტა მოტორ"-ის, „დაიმლერ-ბენც"-ის და სხვათა ყოველწლიურ გაყიდთავა მოცულობა განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობის საერთო ეროვნულ პროდუქტს აჭარბებს. ტრანსეროვნული კორპორაციების „მთღვაწეობის" ასპარეზი თითქმის მთლიანად მოიცავს „მესამე სამყაროს". აკონტროლებენ რა ეკონომიკის წამყვან დარგებს, ისინი აქტიურ ექსპლოატაციას უწევენ ადგილობრივ ბუნებრივ და შრომით რესურსებს. ტრანსეროვნული კორპორაციების ამგვარი გაბატონებული მდგომარეობა პირველ რიგში კაპიტალის გატანას ეფუძნება, რაც პირდაპირი ინვენსტიციების ფორმით და მათ ბაზაზე ფილიალების ქსელის შექმნით ხდება. გაერო-ს მონაცემებით განვითარებად ქვეყნებში 30 ათასამდე ამგვარი ფილიალია, ხოლო პირდაპირი ინვენსტიციების მოცულობა 200 მლრდ დოლარს აღწევს.

2. შედარებითი უპირატესობის თეორია დღეს უკვე ველარ ხსნის ყველა იმ ნიშან-თვისებას, რაც თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს ახასიათებს. იგი კარგად იყო „მორგებული" XVIII და XIX საუკუნეების ვითარებას, როდესაც მეურნეობის დარგები დანაწევრებული იყო, წარმოების პროცესი ნაკლებკვალიფიციურ და, ამავე დროს, ჭარბ მუშა-ხელს მოითხოვდა. აღნიშნული თეორიის თანამედროვეობასთან შეუსაბამობა განაპირობა იმ შეზღუდვებმა, რასაც იგი უშვებს: არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა ქვეყანათა სამეურნეო კომპლექსების მასშტაბებს შორის სხვაობა; იგულისხმება, რომ წარმოების ტექნოლოგიური დონე ყველგან ერთნაირია, პროდუქცია ერთგვაროვანია და არ არის დიფერენცირებული; ეკონომიკაზე მოქმედი ფაქტორები არ იცვლება; ქვეყნებს შორის კვალიფიციური მუშა-ხელისა და კაპიტალის გადაადგილება არ ხდება. ყოველივე ეს შეუძლებელს ხდის გათვალისწინებულ იქნეს თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობათა კონკურენციული ხასიათი. აღნიშნულმა გარემოებამ დღის წესრიგში დააყენა ახალი ეკონომიკური თეორიის შემუშავება. ჩვენი საუკუნის 80-იან წლებში შემუშავებულ იქნა *კონკურენტუნარიანი უპირატესობის თეორია*, რომელსაც საფუძვლად დაედო იდეა სავაჭრო პარტნიორებთან კონკურენციული ბრძოლის როგორც ქვეყნის განვითარებისა და აყვავების აუცილებელი წინაპირობის შესახებ. მოცემული თეორიის თანახმად ეკონომიკური აყვავება კონკურენციას, სიახლეებს, დინამიზმს მოაქვს და არა სტაბილურ გარემო ფაქტორებს, ანდა „დახმარებას" გარედან. თეორია გამოკვეთილად ოპტიმისტური ხასიათისაა იმ აზრით, რომ ყველა ქვეყანას აქვს შესაძლებლობა განავითაროს ეკონომიკა და აამაღლოს მოსახლეობის ცხოვრების დონე. ამგვარი აღმავლობა სულაც არ არის აუცილებელი რომ სხვის ხარჯზე მოხდეს. ეროვნული აყვავება და წინსვლა არ წარმოადგენს

ნულოვანჯამიან თამაშს, როდესაც ერთი იგებს და მეორე აგებს. კონკურენტუნარიანი უპირატესობის თეორია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ერებს შორის განსხვავებულობას და ეროვნულ ხასიათთა მრავალფეროვნებას. სწორედ ამგვარი მოზაიკურობა უდევს საფუძვლად კონკურენტუნარიან უპირატესობას და საერთო წარმატებას. მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ის დარგები დაწინაურდნენ, რომლებიც ისტორიის და კულტურის უნიკალურ ელემენტებს, ხალხის ეთნოფსიქოლოგიურ და მსოფლმხედველობრივ თავისებურებებს დაეფუძნენ. ამის მკაფიო მაგალითებია ბუნებრივი რესურსებით ისეთი ღარიბი ქვეყნების დაწინაურება, როგორებიცაა იაპონია და შვეიცარია. სპეციალისტების გაანგარიშებით მსოფლიოს ყველაზე მაღალგანვითარებულ, ე.ი. კონკურენტუნარიან ქვეყნებს შორის იაპონია მყარად ინარჩუნებს პირველ ადგილს, ხოლო შვეიცარია, ჩამორჩება რა მეორე ადგილზე მყოფ აშშ-ს, მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს გერმანიასთან. მათ გარდა კონკურენტუნარიანთა ათეულში არიან ასევე რესურსებით ღარიბი ავსტრია, ნიდერლანდები, დანია, ფინეთი, ბელგია*. ამით თეორიის ავტორებს იმის თქმა უნდათ, რომ განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენილობა არ წარმოადგენს რაიმე ფატალურ აუცილებლობას. ნებისმიერ მათგანს შეუძლია განავითაროს მისი თავისებურებებიდან გამომდინარე ისეთი რამ, რაც საშუალებას მისცემს კონკურენციის გლობალურ პროცესში ჩაერთოს და მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებებს მიაღწიოს**.

---

* The World Competitiveness Report 1991, IMD World Economic Forum, Switzerland, 1991.

** დაწვრილებით იხ. Porter M.Competitive Advantage of Nations, MacMillan, Inc. 1990.

1.3. თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური რუკა

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური რუკა ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა. იგი განუწყვეტლივ იცვლებოდა და ასახავდა სახელმწიფოების წარმოშობასა და დაშლას, მათი საზღვრების შეცვლას, ახალი მიწების აღმოჩენასა და დასახლებას. XVI საუკუნის დასაწყისისათვის ევროპა მართალია კულტურულად ერთგვაროვან სივრცეს წარმოადგენდა, მაგრამ პოლიტიკურად უაღრესად დანაწევრებული იყო და 1500-მდე დამოუკიდებელი ერთეულისაგან შედგებოდა. კაპიტალიზმის პერიოდში წარმოიშვა დიდი სახელმწიფოები, გაჩნდა კაპიტალისტური მეურნეობა, რაც ბაზრის გაფართოებას მოითხოვდა. XX საუკუნის დასაწყისისათვის ევროპაში სულ ოცდიოდე სახელმწიფო იყო. პოლიტიკურ რუკაზე ცვლილებები, როგორც წესი, ომებისა და კონფლიქტების შედეგად ხდებოდა. ასე მაგალითად, პირველი სერიოზული ცვლილებები 1648 წელს ვესტფალიის ზავს მოჰყვა, რომლის ძალითაც ოცდაათწლიანი ომის შემდეგ შვეციამ და საფრანგეთმა გერმანიის ტერიტორიის ნაწილი მიიღეს, ხოლო ეს უკანასკნელი პოლიტიკურად დეზინტეგრირებულ იქნა. მეორეჯერ მნიშვნელოვანი ცვლილებები 1815 წელს ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით მოხდა. ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლ ევროპულ სახელმწიფოთა კოალიციის გამარჯვებას მოჰყვა ამ სახელმწიფოთა ტერიტორიული პრეტენზიების იურიდიული გაფორმება, რაც გერმანიისა და იტალიის პოლიტიკური დაქუცმაცებულობის განმტკიცებაში, საფრანგეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიათა დაკარგვაში, ხოლო ვარშავის საჰერცოგოს რუსეთს, პრუსიასა და ავსტრიას შორის განაწილებაში გამოიხატა.

პოლიტიკური რუკის ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს XX საუკუნეში ჰქონდა ადგილი. მთავარ ფაქტორად, რა თქმა

უნდა, I და II მსოფლიო ომები გვევლინებიან. I მსოფლიო ომი (1914-1918 წ.წ.), რომელიც იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის გავლენის სფეროების ხელახალი გადანაწილების გამო მოხდა, ანტანტის ქვეყნების გამარჯვებით დამთავრდა. დამარცხებულთა მხარეს აღმოჩნდნენ გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, ოსმალეთის იმპერია და ზოგიერთი სხვა მოკავშირე. I მსოფლიო ომის შედეგებმა, რომლებიც საბოლოოდ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე (1919-1920 წ.წ.) გაფორმდა, მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ რუკაზე. შეიქმნა ისეთი სახელმწიფოები, როგორებიც არიან ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ავსტრია, სერბია, ხორვატია და სლოვენთა სამეფო; გალიცია (ყოფილი ავსტრო-უნგრეთის ტერიტორია) და პოზნანის მხარე (ყოფილი გერმანია) შეუერთდნენ პოლონეთს, ელზასლოტარინგია (ყოფილი გერმანიის ტერიტორია) შეუერთდა საფრანგეთს, ტრანსილვანია (ყოფილი ავსტრო-უნგრეთის ტერიტორია) რუმინეთს და ა.შ. ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიები ერთა ლიგის გადაწყვეტილებით ე.წ. სამანდატო ტერიტორიებად გადაეცათ ანტანტის ქვეყნებს: სირია – საფრანგეთს, პალესტინა, ტრანსიორდანია და ერაყი – ინგლისს, ხოლო არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპირო ზოლში წარმოიშენენ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები ჰიჯაზი, ასირი და იემენი.

მსოფლიო პოლიტიკური რუკის პრინციპულად ახალ, ძირეულ ცვლილებებს საფუძველი ჩაუყარა ოქტომბრის გადატრიალებამ რუსეთში, როცა მსოფლიო ორ სისტემად გაიყო და შეიქმნა პირველი სოციალისტური სახელმწიფო, რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული ახლებური ტიპის იმპერია – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

მსოფლიო პოლიტიკურმა რუკამ ცვლილებები განიცადა II მსოფლიო ომის წინ და მას შემდეგ: 1931-1932 წლებში იაპონიამ

ჩინეთს წაართვა მანჯურია, 1937 წელს – აღმოსავლეთ ჩინეთის რაიონები ქ.შანხაითურთ; იტალიამ დაიპყრო ეთიოპია (1935) და ალბანეთი (1939); 1938 წელს ფაშისტურმა გერმანიამ მიიტაცა ავსტრია, ხოლო 1939 წელს – ჩეხოსლოვაკია; 1939-1940 წლებში საბჭოთა კავშირმა შეიერთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და მოლდავეთი, 1944 წელს – ტუვა.

II მსოფლიო ომმა ხმელეთის და ოკეანეების თითქმის ყველა ნაწილი მოიცვა და 50 მლნ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდნენ ახალი სოციალისტური ქვეყნები და შეიქმნა ე.წ. სოციალისტური ბანაკი. მოგვიანებით (1959) მათ კუბაც შეუერთდა.

მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე უდიდესი ცვლილებები გამოიწვია ომის შემდგომ პერიოდში მიმდინარე იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის კრახმა. 1960-იან წლებში დიდი ცვლილებები მოხდა საზღვარგარეთის აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის და ოკეანეთის პოლიტიკურ რუკაზე: ამ პერიოდში მარტო აფრიკის კონტინენტზე 17 ახალი სახელმწიფო წარმოიშვა.

1980-იან წლებში უკიდურესად მწვავე კრიზისმა მოიცვა სოციალისტური ბანაკის ქვეყნები. მძლავრმა სახალხო მოძრაობამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დაამხო ანტიხალხური ტოტალიტარული რეჟიმი, რის შედეგადაც ეს ქვეყნები თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის გზას დაადგნენ. ფაქტიურად დაიშალა სოციალისტური ბანაკი, ფუნქციონირება შეწყვიტეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭომ და ვარშავის ხელშეკრულების სამხედრო-პოლიტიკურმა კავშირმა.

მძიმე ეკონომიკურმა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა კრიზისმა თვით საბჭოთა კავშირიც მოიცვა. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ფართო ფრონტით გაშლამ

ზოგიერთ რესპუბლიკაში და დემოკრატიული პროცესების გაღრმავებამ თვით რუსეთში განაპირობეს ხელოვნურად შეკოწიწებული სახელმწიფოს დაშლა. დღეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაცვლად პოლიტიკურ რუკაზე თხუთმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. გამორიცხული არ არის, რომ დეზინტეგრაციის პროცესების შემდგომ გაღრმავებას პოლიტიკური რუკის მორიგი ცვლილებები მოჰყვეს.

1.4. ქვეყნების დაჯგუფება

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე 200-ზე მეტი სახელმწიფოა. მათი დაჯგუფება სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით ხდება.

სიდიდის მიხედვით. ტერიტორიისა და მოსახლეობის სიდიდე მნიშვნელოვანი, თუმცა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების არაგანმსაზღვრელი ფაქტორია. მისგან გამომდინარე, გამოყოფენ *დიდ, საშუალო, მცირე* ქვეყნებს და ამ უკანასკნელთა შორის ე.წ. *ჯუჯა* სახელმწიფოებს. ტერიტორიისა და მოსახლეობის სიდიდის მიხედვით ქვეყნებს შორის სხვაობათა დიაპაზონი უაღრესად დიდია: მაგ. რუსეთის ფართობი უდრის 17.1 მლნ კვ.კმ, ხოლო ვატიკანის - 0.44 კვ.კმ. შვიდ ყველაზე დიდ ქვეყანას, რომელთა ფართობი 3 მლნ კვ.კმ მეტია (რუსეთი, კანადა, ჩინეთი, აშშ, ბრაზილია, ავსტრალია, ინდოეთი) ერთად ხმელეთის ნახევარზე მეტი უჭირავთ.

მმართველობის ფორმათა მიხედვით. თანამედროვე მსოფლიოში მმართველობის ორი მთავარი ფორმა არსებობს – *რესპუბლიკური* და *მონარქიული*. რესპუბლიკები დიდი უმრავლესობაა. მმართველობის მონარქიული ფორმის რესპუბლიკურით შეცვლის სწრაფვა II მსოფლიო ომის შემდეგ ყველა ქვეყნის ნაწილში შეინიშნებოდა (იტალია, საბერძნეთი – ევროპაში; ლიბია, ეთიოპია,

ეგვიპტე, ტუნისი, უგანდა – აფრიკაში; ავლანეთი, ირანი –აზიაში და ა.შ.).

რესპუბლიკები, უმრავლეს შემთხვევაში, პარლამენტური ტიპისანი არიან. არსებობს ე.წ. საპრეზიდენტო რესპუბლიკებიც.

თანამედროვე მსოფლიოში ოცდაათამდე მონარქიაა. არსებობს *კონსტიტუციური* (დიდი ბრიტანეთი, ბელგია, ნიდერლანდები, შვეცია, ნორვეგია, იაპონია) და *აბსოლუტური* (საუდის არაბეთი, კუვეიტი, კატარი, გაერთიანებული არაბული საემიროები) მონარქიები. *თეოკრატიული* მონარქია, როგორც აბსოლუტური მონარქიის ერთ-ერთი ფორმა, წარმოდგენილია სახელმწიფო ვატიკანით. კონსტიტუციურ მონარქიებში მონარქი ჩვეულებრივ „მეფობს, მაგრამ არ მართავს".

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმათა მიხედვით. ამ ნიშნის მიხედვით მსოფლიოს ყველა ქვეყანა ორ ჯგუფად იყოფა. უფრო დიდ ჯგუფებს ქმნიან *უნიტარული* (ერთიანი) სახელმწიფოები, მცირეს – *ფედერაციული* სახელმწიფოები. ამ უკანასკნელთა შემადგენლობაში შედიან რესპუბლიკები, შტატები, პროვინციები, მიწები, კანტონები, პრეფექტურები და სხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, რომლებსაც რეალური საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხელისუფლების საკუთარი ორგანოები გააჩნიათ. ფედერაციული სახელმწიფოების მაგალითებად შეიძლება გამოდგეს აშშ, გფრ, შვეიცარია, ინდოეთი, ბრაზილია, მექსიკა, ნიგერია.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით. მხედველობაში მიიღება მოსახლეობის ჯანმრთელობის, კვების, განათლების, შრომის პირობების, ფულადი სახსრების, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის, საცხოვრებლით უზრუნველყოფის, სოციალური უზრუნველყოფის, პიროვნული თავისუფლების და სხვა მაჩვენებლები. ამ მაჩვენებელთა კომბინირებული

გამოხატულების მიხედვით ქვეყნები იყოფა *განვითარებად, ზომიერად განვითარებულ* და *მაღალგანვითარებულ* ქვეყნებად. განვითარებად ქვეყნებს ზოგჯერ „მესამე სამყაროსაც" უწოდებენ. ქვეყანათა ყოველი ჯგუფი მეტად არაერთგვაროვანია. მაგალითად: განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში, სადაც 120-მდე სახელმწიფოა, ერთიანდებიან განვითარების მკვეთრად განსხვავებულ დონეებზე მდგარი ეთიოპია და არგენტინა, სომალი და მექსიკა და ა.შ. მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც არის გარკვეული დიფერენციაცია. ეკონომიკური პოტენციალით გამორჩეულ ქვეყნებს ე.წ. „დიდ შვიდეულში" აერთიანებენ. ეს ქვეყნებია: აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია და კანადა.*

საერთაშორისო სტატუსის მიხედვით. საერთაშორისო სამართალში ქვეყნის (ან ტერიტორიის) რამოდენიმე სტატუსი გამოიყოფა.

სუვერენული სახელმწიფო – სახელმწიფო, რომელიც დამოუკიდებელია საერთაშორისო ურთიერთობებში და ახორციელებს უმაღლეს ხელისუფლებას მთელს საკუთარ ტერიტორიაზე.

თავისუფალი ქალაქი – დამოუკიდებელი ტერიტორიულ-პოლიტიკური ნეიტრალური და დემილიტარიზებული წარმონაქმნი, რომლის სამართებლივი რეჟიმი განისაზღვრება საერთაშორისო ხელშეკრულებებით და გარანტირებულია სახელმწიფოების ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. სხვადასხვა დროს თავისუფალი ქალაქები იყვნენ კრაკოვი (ვენის ტრაქტატი, 1815), დანციგი (ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულება, 1919), ტრიესტი (საზავო ხელშეკრულება იტალიასთან, 1947), ტანჟერის კონვენცია, 1923), იერუსალიმი (გაერო-ს

* 1997 წლიდან „დიდ შვიდეულს" რუსეთი შემატა და დღეს ამ ფორუმში რვა სახელმწიფოა წარმოდგენილი.

გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, 1947), დასავლეთ ბერლინი (ოთხმხრივი ხელშეკრულება, 1971).

კოლონია – უცხო სახელმწიფოს (მეტროპოლიის) განმგებლობის ქვეშ მყოფი ქვეყანა ან ტერიტორია, რომელსაც არ გააჩნია პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა და იმართება სპეციალური რეჟიმის საფუძველზე.

პროტექტორატი – კოლონიური დამოკიდებულების ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროსაც ქვეყანა ნაწილობრივ დამოუკიდებელია შინაურ საქმეებში, ხოლო თავდაცვისა და საერთოდ, საგარეო პოლიტიკას მთლიანად მეტროპოლია აკონტროლებს.

დომინიონი – ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნები, რომლებიც მიუხედავად მათი სრული დამოუკიდებლობისა სახელმწიფო მეთაურად ინგლისის დედოფალს თვლიან.

კონდომინიუმი – ერთი და იმავე ტერიტორიის ორი ან მეტი სახელმწიფოს მიერ ერთდროული მართვა. მაგალითად, 1899 წლის შეთანხმებით სუდანი წარმოადგენდა დიდი ბრიტანეთისა და ეგვიპტის კონდომინიუმს.

სამანდატო ტერიტორია – გერმანიის ყოფილი კოლონია ან თურქეთის ზოგიერთი სამფლობელო, რომელიც I მსოფლიო ომის შემდეგ ერთა ლიგის გადაწყვეტილებით (მანდატით) გადაეცათ გამარჯვებულ ქვეყნებს (მაგ. სირია, ლიბანი-საფრანგეთს; პალესტინა, ტრანსიორდანია, ერაყი - ინგლისს). ამჟამად სამანდატო ტერიტრიები აღარ არსებობენ.

სამეურვეო ტერიტორია – გაერო-ს მიერ განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც ან სამანდატო ტერიტორია იყო, ან II მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოერთვა დამარცხებულ ქვეყნებს, ან ნებაყოფლობით იქნა დათმობილი სამეურვეოდ რომელიმე სახელმწიფოს მიერ. ამჟამად აშშ-ს სამეურვეო ტერიტორიას

წარმოადგენს მიკრონეზია (კაროლინის, მარიანის, მარშალის, გილბერტის, ნაურუს, გუამის და სხვა კუნძულები).

საგარეო პოლიტიკური კურსის მიხედვით. ყოველი სახელმწიფო თავისი საგარეო პოლიტიკური ინტერესების დაცვას შესაბამისი პოლიტიკური კურსით უზრუნველყოფს. ზოგჯერ ამგვარი პოლიტიკური კურსი დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას გულისხმობს, ზოგ შემთხვევაში კი ამა თუ იმ სამხედრო-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ გაერთიანებაში (ბლოკში) მონაწილეობის მიღებას ეფუძნება.

ნეიტრალური სახელმწიფოები – განსაკუთრებული საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის მქონე ქვეყნები, რომლებიც ახორციელებენ ე.წ. ნეიტრალიტეტის პოლიტიკას. საერთაშორისო სამართალში ორგვარ ნეიტრალიტეტს არჩევენ – ევენტუალურს და მუდმივს. ევენტუალური ნეიტრალიტეტი ნიშნავს ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ ომში ნეიტრალური პოზიციის დაკავებას. მუდმივი ნეიტრალიტეტი ნიშნავს საომარ კონფლიქტებში და სამხედრო ბლოკებში მონაწილეობაზე უარის თქმას, აგრეთვე საკუთარ ტერიტორიაზე უცხო ქვეყნების ჯარისა და სამხედრო ბაზების არ დაშვებას. მუდმივი ნეიტრალიტეტი შეიძლება არ იყოს გარანტირებული და/ან იყოს გარანტირებული სხვა სახელმწიფოების მიერ. ამჟამად მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი აქვს შვეიცარიას, მალტას. მუდმივი ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ატარებს შვეციაც, თუმცა აღნიშნული სტატუსი არ ფიგურირებს არც მის კონსტიტუციაში, არც სათანადო საერთაშორისო დოკუმენტებში.

მიუმხრობელი ქვეყნები – საერთაშორისო მოძრაობაში გაერთიანებული სახელმწიფოები, რომელთა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში და დაჯგუფებებში არ მონაწილეობა და მიუმხრობლობა წარმოადგენს. განსხვავებით ნეიტრალური ქვეყნებისაგან,

მიუმხრობელ სახელმწიფოებს, რომელთა საერთო რაოდენობა 100-ზე მეტია, არ გააჩნიათ შესაბამისი საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსი.

პოლიკური ქვეყნები – პირობითი სახელწოდება ამა თუ იმ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში ან დაჯგუფებეში გაერთიანებული სახელმწიფოებისა. ყველაზე დიდ ორგანიზაციას ნატო (NATO) წარმოადგენს, რომელშიც ჯერ-ჯერობით 16 ევროპული და ჩრდილო ამერიკული ქვეყანა ერთიანდება (იხ.დანართი ცხ.3). დიდი გაერთიანებაა, აგრეთვე, ანზიუსი (ANZUS) ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და აშშ-ს მონაწილეობით. სხვადასხვა დროს არსებობდნენ სენტო (CENTO), სეატო (SEATO), ვარშავის პაქტი და სხვა.

გარდა აღნიშნული მოძრაობებისა და დაჯგუფებებისა, არსებობს ბევრი სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები და კონფერენციები, რომლებიც სახელმწიფოთა მნიშვნელოვან რაოდენობას აერთიანებენ. ეს ორგანიზაციები თავიანთი მიზნებისა და პრინციპების მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასე მაგალითად, უნივერსალური ტიპის ორგანიზაციაა გაერო; პოლიტიკური ორგანიზაციებია აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია, არაბული ქვეყნების ლიგა, ჯგუფი 77, ორგანიზაცია ისლამური კონფერენცია; ეკონომიკური ორგანიზაციაა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება -- „საერთო ბაზარი"; შერეული გაერთიანებაა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. ზოგიერთ მათგანს შემდგომ პარაგრაფებში უფრო დეტალურად განვიხილავთ.

ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმების მიხედვით. ქვეყნებს, რომელთა ეკონომიკა საბაზრო ურთიერთობებზეა აგებული, *„დასავლეთს"* აკუთვნებენ, ხოლო ადმინისტრაციულმბრძანებლურ სისტემაზე აგებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს – *„აღმოსავლეთს"*. „დასავლეთს" წარმოადგენს დასავლეთ ევროპა,

ჩრდილო ამერიკა, იაპონია, ავსტრალია, ახალზელანდიური ქვეყნები, ხოლო *„აღმოსავლეთი"* ეწოდებოდა აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებს, საბჭოთა კავშირს, ჩინეთს, ჩრდილოეთ კორეას, ინდო-ჩინეთის სოციალისტურ ქვეყნებს, კუბას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური ძვრების შედეგად სახეზეა „აღმოსავლეთის" თანდათანობით გაქრობა.

ფასეულობათა სისტემის მიხედვით. მსოფლიო ქვეყნებს აჯგუფებენ საზოგადოებაში დამკვიდრებული სოციალური, მსოფლმხედველობრივი და ზნეობრივი ფასეულობების მიხედვით. ეს ფასეულობები, რომლებიც არა მარტო ქვეყნის შიდა სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს განსაზღვრავენ, არამედ საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობებსაც, თავის მხრივ იმ რელიგიურ დოგმატიკას ეფუძნება, რამაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოსახლეობის სულიერი განვითარება განაპირობა. ადამიანთა უფლებების დაცვისა და ერთა თანაცხოვრების ის წესები და ნორმები, რომლებიც საფუძვლად უდევს ე.წ. „ცივილიზებული სამყაროს" ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ძირითადად ქრისტიანული და, ნაწილობრივ, ბუდისტური რელიგიის წიაღში აღმოცენებულ ფასეულობათა სისტემით არის დეტერმინირებული. ამავე დროს, არსებობს მეორე ფასეულობათა სისტემა, რომელიც ძირითადად ისლამის დოგმატიკით არის ნასაზრდოები. დღევანდელ მსოფლიოში არსებული დაძაბულობა, გარკვეულწილად, ამ ორ ფასეულობათა სისტემას შორის დამკვიდრებისთვის ბრძოლითაც არის განპირობებული. აღნიშნულ დაპირისპირებას *„ჩრდილოეთსა"* და *„სამხრეთს"* შორის დაპირისპირებასაც უწოდებენ.

თანამედროვე პოლიტოლოგიურ და ეკონომიკურ ლიტერატურაში მსოფლიოს ხშირად *„ბირთვად"* და *„პერიფერიად"* ჰყოფენ. ბირთვს აკუთვნებენ ჩრდილოეთ ამერიკას,

დასავლეთ ევროპას და იაპონიას, ხოლო პერიფერიას „მესამე სამყაროს“ ღარიბ ქვეყნებს. არჩევენ მათ შორის გარდამავალ *„ნახევრადპერიფერიული”* კატეგორიის ქვეყნებსაც. „ბირთვის“ ქვეყნების ეკონომიკას ახასიათებს მომუშავეთა მაღალი ანაზღაურება, თანამედროვე ტექნოლოგია და მრავალფეროვანი დარგობრივი სტრუქტურა. „პერიფერიულ“ ქვეყნებში პირიქითაა – დაბალი ანაზღაურება, მოძველებული ტექნოლოგია და მარტივი დარგობრივი სტრუქტურა. იგულისხმება, რომ ადგილი აქვს „ბირთვის“ ქვეყნების მიერ „პერიფერიული“ ქვეყნების ექსპლოატაციას წინა პარაგრაფებში აღნიშნული არაექვივალენტური გაცვლის კონტექსტში. რაც შეეხება „ნახევრადპერიფერიას”, ეს ყველაზე უფრო დინამიური ზონაა, სადაც „ბირთვისა“ და „პერიფერიისათვის“ დამახასიათებელი ურთიერთობები თანაბრად არის წარმოდგენილი.

2. თეორიული გეოპოლიტიკა

2.1. გეოპოლიტიკის ცნების განმარტება

პოლიტიკური ცნობიერების მიმდინარე ძირეულმა გარდაქმნამ საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის რიგი ცნებების გადასინჯვა განაპირობა. მათ შორის აღსანიშნავია ისეთი ფუძემდებლური ცნება, როგორიცაა გეოპოლიტიკა.

საბჭოთა პოლიტიკურ მეცნიერებაში გეოპოლიტიკა ან მთლიანად იგნორირებული იყო, ან მხოლოდ უარყოფითი შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა და ფაშისტური გერმანიის პოლიტიკასა და აშშ-ს ჰეგემონიზმთან მიმართებაში იხმარებოდა. აი აღნიშნული ცნების განმარტების ზოგიერთი ნიმუში საბჭოთა საცნობარო ლიტერატურაში:

БСЭ (დიდი საბჭოთა ენციკლოპედია) – ბურჟუაზიული, რეაქციული კონცეფცია, რომელიც იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკის დასასაბუთებლად და პროპაგანდისათვის იყენებს ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის დამახინჯებულად ინტერპრეტირებულ მონაცემებს.

ДИПЛОМАТИЧЕСКИЙ СЛОВАРЬ (1985) – რეაქციული ბურჟუა-ზიული თეორია, რომლის მომხრეები საზოგადოების ცხოვრებაში გეოგრაფიული ფაქტორის როლის აბსოლუტიზირებით ცდილობენ დასაბუთონ იმპერიალისტური ქვეყნების აგრესიული საგარეო პოლიტიკა.

что есть что в мировой политике (1987) – დასავლური პოლიტიკური აზრის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გავლენის უკიდურესად გაზვიადებას ეფუძნება.

ეკონომიკური, პოლიტიკური და ფიზიკური გეოგრაფიის მონაცემთა დამახინჯებული ინტერპრეტაციის საფუძველზე აგრესიული საგარეო პოლიტიკა განიხილება როგორც ობიექტური ფაქტორების მიერ წინასწარ განსაზღვრული რამ. გეოპოლიტიკა იმპერიალისტური წრეების ჰეგემონისტური მისწრაფებების, მათი სხვა სახელმწიფოებზე და ერებზე დომინირების იდეოლოგიურ დასაბუთებას ემსახურება. გეოპოლიტიკის დანიშნულებაა დაამტკიცოს იმპერიალიზმის საგარეო-პოლიტიკური ექსპანსიის „აუცილებლობა" და „ბუნებრიობა".

რაც შეეხება დასავლურ პოლიტიკურ მეცნიერებას, გეოპოლიტიკის საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ამერიკელი მეცნიერები, რომლებიც გეოპოლიტიკაში ომის შემდგომ პერიოდში თითქმის მარტოდმარტო მუშაობდნენ, მიზნად არ ისახავდნენ სამეცნიერო დისციპლინის მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავებას. ისინი მიღებულ ცოდნასა და არსებულ მეთოდებს მსოფლიოში პოლიტიკურ ძალთა განლაგების განსაზღვრისათვის იყენებდნენ. საქმე იმაშია, რომ გეოპოლიტიკა, როგორც გამოყენებითი დისციპლინა, ეკონომიკით დაწყებული სამართლით და სოციოლოგიით დამთავრებული ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს საკითხებს მოიცავს. ამიტომაც, განსხვავებული განმარტებები სწორედ განსხვავებული ასპექტების, მიზნებისა და ცნებების შედეგია.

პოლიტიკური პროცესების შესწავლა უშუალო კავშირშია იმ ტერიტორიასთან, სადაც ეს პროცესები მიმდინარეობენ. მსოფლიო არენაზე ძალთა თანაფარდობის ანალიზისას, როგორც წესი, მხედველობაში მიიღება ძალთა პოლიტიკურ ერთეულებს, ან საერთაშორისო ურთიერთობათა ობიექტებს შორის თანაფარდობა. რადგანაც ეს პოლიტიკური ერთეულები განისაზღვრებიან ტერიტორიით, მათ შორის ურთიერთობები

სხვასთან ერთად სივრცითი ურთიერთობებიც არის და, ამდენად, გეოგრაფიას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

რეგიონის შესწავლა, ჩვეულებრივ, უამრავი გეოგრაფიული, გეოსტრატეგიული, სოციალურ-პოლიტიკური, სამხედრო, დემოგრაფიული, ეკონომიკური და სხვა სახის მონაცემების მოკვლევას გულისხმობს. სახელმწიფო ძლიერების განსაზღვრა აღნიშნული პარამეტრების შეჯერებით ხდება. სწორედ ამაში მდგომარეობს გეოპოლიტიკური მიდგომის სინთეზური ხასიათი.

პოლიტიკურ ძალთა კვლევა სივრცითი ურთიერთობების თვალსაზრისით, აგრეთვე ქვეყნებისა და მსოფლიოს ცალკეული რეგიონების სტრატეგიული მდებარეობის კუთხით, პირველად გეოგრაფებმა დაიწყეს. თანდათანობით ხდებოდა სხვა სამეცნიერო დისციპლინების „მოშველიებაც". დღეს უკვე ცხადია, რომ სახელმწიფო ძლიერების განსაზღვრისას აუცილებელია ეკონომიკის, სამხედრო პოლიტიკის, სოციოლოგიის და სხვა საკითხების ანალიზი თანამედროვე მეთოდებისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით.

ერთი შეხედვით გეოპოლიტიკა „გეოგრაფიისა" და „პოლიტიკისგან" წარმოებული ტერმინია და ბევრს შეცდომით პოლიტიკური გეოგრაფიის სინონიმი ჰგონია. სინამდვილეში მათ შორის არსებითი განსხვავებაა. პოლიტიკური გეოგრაფია, ჩვეულებრივ, სწავლობს პოლიტიკურ ძალთა განლაგებას ამა თუ იმ გეოგრაფიული სივრცის შიგნით. ეს სივრცე შეიძლება იყოს ქვეყანა, მხარე, რაიონი, შტატი, საარჩევნო უბანი და სხვა. გეოპოლიტიკა გულისხმობს ურთიერთობებს ისეთ სივრცულ-გეოგრაფიულ ერთეულებს შორის, როგორებიცაა ქვეყნები, რეგიონები, კონტინენტები.

გეოპოლიტიკის ცნება პირველად შვედმა მეცნიერმა რუდოლფ ჩელენმა* ჯერ კიდევ I მსოფლიო ომამდე იხმარა. პანგერმანული ორიენტაციის მქონე ავტორმა აღნიშნული ტერმინით აღნიშნა იმ დროსთვის უკვე ჩამოყალიბებული თეორია, რომელიც ძირითადად გეოგრაფიული ფაქტორებით ამართლებდა ევროპის ქვეყნების გერმანიის იმპერიაში გაერთიანებას. მას შემდეგ აგრესიული მისწრაფების ნებისმიერი გამოხატულება, გეოგრაფიული სივრცის გაფართოების ყოველი ცდა სიტყვა „გეოპოლიტიკით" იწოდებოდა და უარყოფით შინაარსობრივ დატვირთვას ატარებდა.

სინამდვილეში გეოპოლიტიკა არც ადრე და არც, მით უფრო, ეხლა არ შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შინაარსით. იგი სახელმწიფოთაშორისი საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების მთელს სპექტრს მოიცავს, რადგანაც ყოველ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას სივრცული გამოხატულება გააჩნია. ვინაიდან გეოპოლიტიკა მრავალი მეცნიერული დისციპლინის მიჯნაზე იმყოფება, თვით ეს ტერმინი ვერ ასახავს შესასწავლ მოვლენათა მრავალფეროვნებასა და სირთულეს. ამიტომ არის, რომ ზოგიერთი სპეციალისტი უფრო ტევადი ცნების შემოღებას გვთავაზობს, მაგალითად „პოლიტიკური ანალიზი", „საერთაშორისო პროცესების სისტემური ანალიზი", „საერთაშორისო პოლიტიკა" და სხვა. ასეა თუ ისე, **გეოპოლიტიკა თანამედროვე ხედვით წარმოადგენს სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ახლებურად გაგებული თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობას, რომელიც გეოგრაფიული ფაქტორის, ეროვნული ინტერესების, პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების, პოლიტიკური პროცესებისა და საერთაშორისო კრიზისების რეგულირების კომბინირებულ ანალიზს ეფუძნება.**

---

* რუსულენოვან ლიტერატურაში იგი ჩელენის სახელით მოიხსენიება, ხოლო ევროპულ ენებზე არსებულ წყაროებში მისი გვარი შემდეგნაირი სპელინგით გეხვდება - Kjellen.

სპეციალურ ლიტერატურაში გეოპოლიტიკის ცნება სამი მნიშვნელობით იხმარება:

1. ევროპულ ენებზე არსებულ ლიტერატურაში გერმანული სიტყვით Geopolitik აღინიშნება გეოპოლიტიკის გერმანული სკოლის თეორიული ნამუშევრები. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნაცისტურ ექსპანსიონისტურ დოქტრინას, რომელიც გერმანიის მილიტარისტული პოლიტიკური კურსის გამართლებისას გეოგრაფიულ, ისტორიულ, რასობრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს იყენებს.

2. მეცნიერული დისციპლინა, რომელიც სწავლობს სახელმწიფო პოლიტიკაზე გეოგრაფიული, ეკონომიკური და სხვა ფაქტორების გავლენას.

3. სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის შემუშავება და განხორციელება დამოკიდებულია გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, სტრატეგიულ ფაქტორებზე.

მომდევნო პარაგრაფებში გეოპოლიტიკის ცნების მნიშვნელობის აღნიშნულ სამ ასპექტს დეტალურად განვიხილავთ.

2.2. ისტორიული და თეორიული წანამძღვრები

„დედამიწა" მალე გამოუსადეგარი გახდება მისი მაცხოვრებლებისათვის, თუკი ადამიანი კვლავ. გააგრძელებს თავის დანაშაულებრივ და წინდაუხედავ საქმიანობას. დედამიწის ზედაპირი შეიძლება ისე გაპარტახდეს, ნაყოფიერება იმდენად დაეცეს და კლიმატი იმდაგვარად შეიცვალოს, რომ ამას შედეგად შესაძლებელია ადამიანთა დამახინჯება, გაველურება და გადაშენებაც კი მოჰყვეს". ეს სიტყვები ჯერ კიდევ 130 წლის წინ ითქვა ამერიკელი იურისტისა და კონგრესმენის, გეოგრაფისა და პოლიტიკოსის ჯორჯ მარშის (George Marsh) მიერ. მან ერთ-ერთმა

პირველმა აღნიშნა ადამიანისა და ბუნების ურთიერთობათა ჰორმონიულობის აუცილებლობა.

კაცობრიობის ცნობიერების ეკოლოგიზაცია ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა – პირველყოფილი საზოგადოების ინსტინქტებიდან მოყოლებული ვიდრე მეცნიერულ კონცეფციებამდე. რაც შეეხება ჯ.მარშის იდეების ასწლიან ევოლუციას, მასში გარკვეული ციკლურობა შეიმჩნევა: მისი მიმდევრების ნამუშევრებში ქანქარის მოძრაობის მსგავსად ორ უკიდურეს მოსაზრებას შორის პერიოდული არჩევანის გაკეთების ცდა შეიძლება დავინახოთ. ერთი მოსაზრების მიხედვით ადამიანი სრულიად დამოუკიდებელია ბუნებისაგან, ხოლო მეორე მოსაზრების თანახმად ადამიანის ცხოვრება მთლიანად ბუნებრივი გარემოს ფაქტორებით არის განსაზღვრული.

გეოგრაფია უძველესი მეცნიერებაა გარემოს შესახებ. მისი ისტორია კარგად ასახავს „ეკოლოგიური ქანქარის" აღნიშნულ მოძრაობას. გეოგრაფიის წიაღში მუდამ იყო ბრძოლა გეოგრაფიული დეტერმინიზმისა და გეოგრაფიული ინდეტერმინიზმის იდეებს შორის. გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეა, გეოგრაფიული გარემოს ან მისი რომელიმე ფაქტორის (კლიმატი, ლანდშაფტი, გეოგრაფიული მდებარეობა და სხვა) საზოგადოების განვითარებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას გულისხმობს. აღნიშნული იდეის მომხრეები თვლიდნენ, რომ გეოგრაფიული ფაქტორები განსაზღვრავს საწარმოო ძალთა და მოსახლეობის განლაგებას, ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ წყობას, ხალხებს შორის განსხვავებას, მათი იდეების და თეორიების მრავალფეროვნებას, კულტურულ ნაირგვარობას, საზოგადოებრივი სიმდიდრის განაწილების ამა თუ იმ ფორმას, კრიზისებს, ომიანობას და სხვა. ერთი სიტყვით, თითქმის ყველა საზოგადოებრივი მოვლენა ობიექტურად განპირობებული უნდა იყოს გარემო (გეოგრაფიული) ფაქტორებით.

გარემო პირობების გავლენა ადამიანის ყოფაზე სიტყვა „გეოდეტერმინიზმით“ პირველად ფრანგმა ფილოსოფოსმა შარლ მონტესკიემ (Charles Montesquieu) აღნიშნა ცნობილ ნაწარმოებში „კანონთა გონი“ (1748). ამ პერიოდისათვის საფრანგეთის მოსახლეობა XVI საუკუნესთან შედარებით გაორმაგდა, ხოლო ფეოდალური სტრუქტურები და ტექნოლოგია იგივე დარჩა. საზოგადოება მძიმე კრიზისში აღმოჩნდა. ცივილიზაციათა განვითარების მამოძრავებელ ძალებზე და კანონზომიერებაზე ფიქრისას მონტესკიე მივიდა დასკვნამდე, რომ ზოგიერთი ქვეყნის წარმატება და სხვათა დაცემა მნიშვნელოვანწილად ბუნებრივი პირობებით განისაზღვრება. მისი აზრით, ბუნებრივი პირობებით ხდება ხალხთა ეროვნული ხასიათის, ტემპერამენტის და ფიზიოლოგიის განსაზღვრა (დეტერმინირება). მაგალითად მას მიაჩნდა, რომ ცხელი კლიმატური სარტყლის მაცხოვრებლებს შეგრძნების უჯრედები კანის ზედაპირთან ახლოს აქვთ, ამიტომ ისინი ტემპერამენტულები, ადვილად აღგზნებადები არიან. რაც შეეხება ჩრდილოეთის მაცხოვრებლებს, ისინი ნაკლებ მგრძნობიარენი, მშვიდი, მედგარი არიან და დიდი დატვირთვების გადატანა შეუძლიათ.

გეოდეტერმინიზმის იდეების მეცნიერული დასაბუთება სცადეს ა.ჰუმბოლდტმა (A.Humboldt), კ.რიტერმა (K.Ritter) და ე.წ. გეოგრაფიის ახალი სკოლის სხვა წარმომადგენლებმა. როგორც მოგზაური ჰუმბოლდტი, ისე „კაბინეტური მეცნიერი“ რიტერი იზიარებდნენ ლანდშაფტის გოეთესეულ რომანტიულ გაგებას: მათ მიაჩნდათ, რომ ლანდშაფტი არის ის იდეალური ტერიტორიული ერთეული, სადაც ჰარმონიულად არის ერთმანეთთან შერწყმული ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება და ადამიანი. სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობის დროს, სადაც მკაფიოდ ჩანს ლანდშაფტების მონაცვლეობა სიმაღლეში გადაადგილებასთან ერთად, ჰუმბოლტმა ჩამოაყალიბა

ვერტიკალური სარტყლიანობის კანონი. გეოდეტერმინიზმის იდეამ არგუმენტებით გამდიდრება იწყო.

რიტერს, განათლებით ისტორიკოსს, აღნიშნულ პრობლემაზე ფატალისტური შეხედულება ჰქონდა. იგი თვლიდა, რომ ლანდშაფტთა მოზაიკა თავისებურ მატრიცას წარმოადგენდა, სადაც კაცობრიობის ისტორია წინასწარ განსაზღვრული იყო.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გეოდეტერმინიზმის იდეების აღმავლობა განაპირობა ევროპისა და ჩრდილო ამერიკის საზოგადოების კრიზისულმა მდგომარეობამ, რაც, ერთი მხრივ, შედეგი იყო დინამიურად განვითარებადი კაპიტალიზმის მოთხოვნილებებისა, და მეორეს მხრივ, სასოფლო სავარგულებისა და მცირე ფაბრიკების დაბალი მწარმოებლურობის, აგრეთვე რესურსების უკმარისობის, შეუთავსებლობის შედეგი იყო. პირველად იქნა გაცნობიერებული ბუნებრივი სიმდიდრეების – ტყეების, ნიადაგის ნაყოფიერების, საბადოების ამოწურვის საფრთხე. 1864 წელს გამოვიდა ჯ.მარშის წიგნი, სადაც გეოდეტერმინიზმმა წინ მორიგი ნაბიჯი გადადგა: შემოთავაზებულ იქნა ადამიანისა და გარემოს ჰარმონიის, მეურნეობის ეკოლოგიურად სწორად წარმართვის იდეა. რაციონალური ბუნებათსარგებლობის ბაზაზე გაფართოებული კვლავწარმოების აღნიშნული იდეა წარმოადგენდა ერთ-ერთ იმ სამ გზას შორის, რითაც XIX საუკუნის შუაში ცივილიზაციას კრიზისიდან თავის დაღწევა შეეძლო.

არსებობდა კიდევ ორი გზა. პირველი გულისხმობდა ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას, რაც შრომის დანახარჯების შემცირებას და ახალი რესურსების გამოყენებას ნიშნავდა. სამრეწველო რევოლუციამ, ნახშირზე მომუშავე ახალმა ტექნიკამ დააჩქარა ურბანიზაცია: ქალაქებმა „ზედმეტი“ ხალხის მიღება დაიწყეს, გაჩნდა მსხვილი ურბანიზირებული ცენტრები.

კიდევ ერთი გზა, რომელიც მარქსისტულ მოძღვრებაში ჩაისახა, გულისხმობდა არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში საზოგადოებრივი სიმდიდრის ხელახალ გადანაწილებას. მიუხედავად იმისა, რომ კ.მარქსი (K. Marx) თავის „კაპიტალში" ცნობდა ბუნებრივი ფაქტორების შეზღუდულ ისტორიულ მნიშვნელობას – კერძოდ, იმას, რომ კაპიტალიზმი კანონზომიერად ჩაისახა ზომიერი კლიმატის პირობებში, რაც ადამიანისაგან გადარჩენისათვის მეტ ძალისხმევას მოითხოვდა, ვიდრე ტროპიკებში, – იგი მათ საზოგადოებრივი განვითარების შემდგომ პროცესში დამოუკიდებელ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

კრიზისი დაძლეულ იქნა სრულიად „არაორდინარული" გზით – სამოქალაქო ომებითა და რეფორმებით ევროპასა და ამერიკაში. ამ დროისათვის გამოვიდა ჩ.დარვინის (Ch.Darwin) წიგნი „სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი გადარჩევის გზით" (1859), სადაც ავტორი ევოლუციის მთავარ და თითქმის ერთადერთ ფაქტორად სახეობათა შორის კონკურენციას მიიჩნევდა. როგორც მარქსიზმი, ისე დარვინიზმი გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ცოცხალ არსებათა შორის ბრძოლას და ძალზე მცირე ყურადღებას უთმობდნენ გარემო ფაქტორების გავლენას.

მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში ადგილი ჰქონდა სამრეწველო ზრდას და იმპერიების გაფართოებას აფრიკისა და აზიის ახალი მიწების ხარჯზე. ამ პერიოდის გეოგრაფიული შრომები ფაქტობრივად ახალი ტერიტორიების ბუნებისა და მეურნეობის აღწერას წარმოადგენდა. ახალი კრიზისი დაიწყო 1885 წელს, როდესაც ავღანეთში ბრიტანეთისა და რუსეთის იმპერიების ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ტერიტორიული ექსპანსიის ეპოქა დასრულდა.

დრომ მოიტანა დაგროვებული მასალების თეორიული [illegible]ზოგადოების საჭიროება. 1889 წელს ცნობილმა მოგზაურმა მოს[illegible]ალისტმა ლ.მეჩნიკოვმა გამოსცა ნაშრომი „ცივილიზაცია 1943 წელ[illegible]ორიული მდინარეები". იგი აღნიშნავდა, რომ დიდი

სუბტროპიკული მდინარეების დაბლობებში უძველესი ცივილიზაციების ჩასახვა და განვითარება კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა.

1891 წელს ცნობილმა გერმანელმა გეოგრაფმა და ეთნოგრაფმა ფრიდრიხ რატცელმა (Friedrich Ratzel) გამოაქვეყნა ნაშრომი „ანთროპოგეოგრაფია", ხოლო 1897 წელს – „პოლიტიკური გეოგრაფია". იგი არ იზიარებდა ევოლუციონიზმის იდეას და სცადა დაედგინა სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში ბუნებრივი პირობების ხალხთა ფიზიოლოგიაზე, მათ კულტურაზე გავლენის კანონზომიერებები. „პოლიტიკურ გეოგრაფიაში" და მომდევნო შრომებში რატცელი შეეცადა დაესაბუთებინა ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გავლენა სახელმწიფო პოლიტიკაზე. კერძოდ, იგი აღნიშნავდა, რომ ქვეყნის მოსახლეობის ზრდისათვის აუცილებელია ტერიტორიების გაფართოება, „საციცოცხლო სივრცის" უზრუნველყოფა, რითაც, ფაქტობრივად, ამართლებდა გერმანიის კოლონიურ პოლიტიკას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რატცელი, აფასებდა რა თითოეული ხალხის წვლილს მსოფლიო კულტურის განვითარებაში, არასდროს ყოფილა შოვინისტი ან რასისტი.

1910-1911 წლებში ადამიანმა „დაიპყრო" დედამიწის პოლუსები. ადამიანის წინაშე თითქმის აღარ არსებობდა დაუძლეველი წინაღობა: ახალი ტექნიკა ციმბირის, ამერიკის, ავსტრალიის ათვისების საშუალებას იძლეოდა. ყველაფერზე ნებადართულობის განსაკუთრებული ილუზია შექმნა I მსოფლიო ომმა. ლ.დომინიანმა (L.Dominian) გამოსცა „ევროპის ენობრივი და ეროვნული საზღვრები", სადაც „დაასაბუთა" საზღვრების შეცვლის აუცილებლობა, თუმცა გეოგრაფიის როლი უკვე მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების „მეცნიერულ" არგუმენტაციამდე იქნა დაყვანილი.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის შესახებ წარმოდგენები გეოდეტერმინიზმის და გეოინდეტერმინიზმის იდეებს შორის „ბრძოლის" ნიშნით ვითარდებოდა. გეოდეტერმინიზმის ერთ-ერთი მორიგი კრიზისის დროს განვითარდა ე.წ. „რაიონული მიმართულება", რომელსაც დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მიმართულებას საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა მეცნიერებმა ნ.ბარანსკიმ და ნ.კოლოსოვსკიმ და ამერიკელმა ი.ბოუმანმა (I.Bowman). თავიანთ ნაშრომებში ისინი ბუნებრივი გარემოს გარდაქმნის საქმეში ადამიანის აქტიური საქმიანობის როლს აღნიშნავდნენ. მათი შეხედულებები მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული პირადი გამოცდილებით. მაგალითად, ბოუმანი პრეზიდენტ ვილსონის (Wilson) მთავარი მრჩეველი იყო ომის შემდგომ კონფერენციებზე, როცა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაში ცვლილებების შეტანა ხდებოდა; კოლოსოვსკიმ მონაწილეობა მიიღო ცნობილი გოელროს გეგმის შედგენაში.

მაგრამ გეოგრაფიული ფაქტორის როლი არ მისცემია დავიწყებას. მის სახელმწიფოს ინტერესებში გამოყენებას გეოპოლიტიკა უწოდეს. XX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ძლიერი და აგრესიული სახელმწიფოები ძალის გამოყენების არენას ეძებდნენ, გეოპოლიტიკამ პოლიტიკური და სამხედრო გადაწყვეტილებების დასაბუთების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

2.3. გეოპოლიტიკის კლასიკური თეორიები

საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელ მეცნიერებაში ორ ძირითად მიმართულებას გამოჰყოფენ – *რეალიზმს* და *იდეალიზმს*. პირველი მიმართულების ფარგლებში მთელი რიგი მოს[illegible]ომებისა შეიქმნა, რომლებიც სახელმწიფოს მართვისა და 1943 წელ[illegible]ს შორის დაპირისპირებულობის შესახებ კლასიკურ

შრომებად ითვლებიან. მაგალითისათვის აღვნიშნავთ ნიკოლო მაკიაველის (Nicolo Machiavelli) „ხელმწიფეს" (1513) და კარლ ფონ კლაუზევიცის (Karl von Clausevitz) „ომის შესახებ" (1825). ყოველ ამგვარ ნაშრომში ხაზგასმულია სახელმწიფოსთვის გარეგანი საფრთხის ზრდის საშიშროება და, შესაბამისად, ძალისმიერი პოლიტიკის აუცილებლობა. სხვა სიტყვებით, ეს ძლიერი სახელმწიფოს მიერ სუსტზე საკუთარი ნების მოხვევას ნიშნავს. ომი, ან სულ ცოტა, ძალის გამოყენების მუქარა, რეალისტ ავტორთა მიხედვით სერთაშორისო ურთიერთობების „მოგვარების" ძირითად საშუალებას წარმოადგენს. ითვლება, რომ I მსოფლიო ომი რეალისტური აზროვნების გარდუვალ კულმინაციას წარმოადგენდა. რეალიზმი საერთაშორისო პროცესების რეგულირების „ძველი მსოფლიოს" მიერ ხედვას წარმოადგენდა. ომში ამერიკის შეერთებული შტატების ჩართვა „ახალი მსოფლიოს" მიერ საერთაშორისო საკითხების მოგვარებისა და ამით საერთაშორისო ურთიერთობებში იდეალიზმის პრინციპების დამკვიდრების ერთგვარი სიგნალი იყო.

აშშ-ის I მსოფლიო ომში მონაწილეობას საფუძვლად პრეზიდენტ ვილსონის მიერ შემუშავებული საერთაშორისო საკითხების მოგვარების აბსტრაქტული პრინციპების მთელი პაკეტი ედო. თუკი რეალიზმი ძლიერი სახელმწიფოების მიერ მსოფლიო პროცესების ძალისმიერი მეთოდებით მართვას ქადაგებს, იდეალიზმი ამ ძალის ყველა სახელმწიფოს მიერ კოლექტიური ფორმით კონტროლს გულისხმობს. ახლებური აზროვნების მთავარ შედეგს I მსოფლიო ომის შემდეგ ერთა ლიგის შექმნა წარმოადგენდა. რეალიზმი ერთგვარი კონსერვატიული დოქტრინაა ძლიერის სასარგებლოდ, ხოლო იდეალიზმი – ლიბერალური დოქტრინა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების მყარ „კონსტიტუციურ" ბაზაზე დაფუძნებას გულისხმობს.

გეოპოლიტიკა რეალისტური აზროვნების „ნაყოფია" მსგავსად იმპერიალიზმისა, გეოპოლიტიკის კლასიკური თეორია ქვეყნებს შორის ურთიერთობაში ძალის გამოყენების ფაქტორს გულისხმობს, განსხვავებით იმპერიალიზმისაგან, რომელიც „ბირთვის" ქვეყნების „პერიფერიულ" ქვეყნებზე დომინირებას გულისხმობს. გეოპოლიტიკა „ბირთვის" ქვეყნებსა და „ნახევრად-პერიფერიულ" ქვეყნებს შორის მეტოქეობას შეეხება. სივრცული თვალსაზრისით იმპერიალიზმი „ჩრდილოეთ-სამხრეთის" ურთიერთობებს ასახავს, ხოლო გეოპოლიტიკა „აღმოსავლეთ-დასავლეთისას". პოლიტიკური და სივრცული თვალსაზრისით გეოპოლიტიკისა და იმპერიალიზმის კონცეფციებს შორის დამოკიდებულება შემდეგი თეზისით შეიძლება გამოიხატოს: გეოპოლიტიკა შეეხება ბირთვში (აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის) მეტოქეობას იმპერიალიზმის პერიფერიაზე (ჩრდილოეთის სამხრეთზე) გაბატონების მიზნით.

მაკინდერის თეორია. გეოპოლიტიკაზე საუბარს ყოველთვის ინგლისელი გეოგრაფის ჰელფორდ მაკინდერის (Halford Mackinder) ე.წ. *ჰართლენდის* („შუაგული მიწა"-ინგ. (Heartland)) თეორიით იწყებენ.

მიუხედავად გეოგრაფიულ მეცნიერებაში აღნიშნული თეორიის გარკვეული უგულვებელყოფისა, იგი კვლავაც განიხილება ყველაზე ცნობილ გეოგრაფიულ მოდელთა შორის.

მაკინდერმა თავისი თეორიული მოსაზრება სამ ეტაპად ჩამოაყალიბა, რამაც თითქმის ორმოცი წელი მოიცვა. საწყისი თეზისი 1904 წელს იქნა წარმოდგენილი ნაშრომში „ისტორიის გეოგრაფიული საყრდენი წერტილი." შემდგომ, I მსოფლიო ომის დასასრულს (1919) ნაშრომში „დემოკრატიული იდეალები და სინამდვილე" ავტორმა სრულჰყო პირველად წარმოდგენილი მოსაზრებები, ხოლო „საყრდენ წერტილს" ჰართლენდი უწოდა. 1943 წელს, ოთხმოცდაორი წლის ასაკში, მაკინდერმა თეორიის

საბოლოო ვარიანტი წარმოადგინა. მიუხედავად ხანგრძლივი პერიოდისა, რომელმაც ორივე მსოფლიო ომი მოიცვა, აზიური „ციხე-სიმაგრის" კონცეფციას უცვლელად ეჭირა ცენტრალური ადგილი მის მოდელებში და მნიშვნელოვანწილად განაპირობა თეორიის შემდგომი პოპულარობა. მაკინდერის მსოფლიოს

იმპერია 1897 წ.

იმპერია 1933 წ.

ნახ.2 ბრიტანეთის იმპერია 1897წ. და მისი გაფართოება 1933წ.

სტრატეგიული ხედვა მაშინ ყალიბდებოდა, როცა ბრიტანეთმა პოლიტიკური და ეკონომიკური ლიდერის პოზიციების დათმობა დაიწყო (იხ.ნახ.2). აშკარად გამოიკვეთა ორი სერიოზული მეტოქე — აშშ და გერმანია. იქმნებოდა საფრთხე არათუ მსოფლიო ჰეგემონის, არამედ ევროპის მასშტაბითაც კი პირველობის დათმობისა. აღნიშნულმა გარემოებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მაკინდერის შეხედულებების ფორმირებაზე.

თავდაპირველად ავტორმა თავისი მოსაზრების წარმოდგენისას ვრცელი ისტორიული მიმოხილვა გააკეთა. ცენტრალური აზია განხილულ იქნა როგორც ისტორიის საყრდენი წერტილი, საიდანაც მობილურმა ცხენოსანმა ლაშქარმა ადგილად განახორციელა ევროპისა და აზიის სივრცეთა კონტროლი. 1492 წლიდან, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ხანის დასაწყისიდან, იწყება ე.წ. კოლუმბის ერა, როდესაც ძალთა ბალანსი მკვეთრად გადაიხარა საზღვაო სახელმწიფოების, კერძოდ ბრიტანეთის მხარეს. მაკინდერის აზრით XIX საუკუნის ბოლოსთვის აღნიშნული ერა დასრულდა. დაიწყო, მისი თქმით, ე.წ. პოსტ–კოლუმბის ერა, როდესაც ახალმა სატრანსპორტო საშუალებებმა, კერძოდ რკინიგზამ, ძალთა ბალანსი ისევ სახმელეთო სახელმწიფოების სასარგებლოდ გადახარა და ზემოთაღნიშნულმა საყრდენმა წერტილმა დაიბრუნა წინანდელი სტრატეგიული მნიშვნელობა. იგი ძნელად მისადგომი იყო საზღვაო ძლიერების მქონე სახელმწიფოებისათვის და გარს ორი კონცენტრირებული „ნახევარმთვარე" ერტყა: შიდა ნახევარმთვარე მოიცავდა გერმანიას, ავსტრიას, თურქეთს, ინდოეთს, ჩინეთს; გარე ნახევარმთვარე — ბრიტანეთს, აფრიკას, ავსტრალიას, ამერიკას, იაპონიას (იხ. ნახ. 3-ა).

რა გამოყენება შეიძლება ჰქონოდა აღნიშნულ მოდელს იმდროინდელი (1904) მსოფლიო პოლიტიკური სიტუაციის ანალიზისას? მარტივად რომ ვთქვათ, მაკინდერის მოდელი ბრიტანეთის ტრადიციული პოლიტიკის ისტორიულ-გეოგრაფიულ დასაბუთებას წარმოადგენდა. ეს ტრადიციული პოლიტიკა გულისხმობდა ბრიტანეთის სწრაფვას ევროპაში ძალთა იმდაგვარი ბალანსისადმი, როცა ვერც ერთი კონტინენტალური ქვეყანა ვერ გაბედავდა დამუქრებოდა მას. ამ შემთხვევაში აღნიშნული პოლიტიკა მიმართული უნდა ყოფილიყო იქითკენ, რომ წინ აღდგომოდა გერმანიისა და რუსეთის ალიანსს. ამგვარი ალიანსი ჰქმნიდა აზიის ცენტრალური ნაწილის („საყრდენი წერტილის")

ჰქმნიდა აზიის ცენტრალური ნაწილის („საყრდენი წერტილის") რესურსების ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ გამოყენების საშიშროებას. მაკინდერის აზრით, იმდროინდელი ბრიტანეთის პოზიცია არასდროს არ ყოფილა ასე სუსტი და საშიში სავარუდო კონტინენტალური ძალის აგრესიის წინაშე.



ნახ. 3-ა ალტერნატიული გეოპოლიტიკური მოდელები
მაკინდერის მოდელი

1919 წელს წარმოდგენილ ნაშრომში მაკინდერმა, ხელმეორედ შეაფასა რა საზღვაო სახელმწიფოების კონტინენტის სიღრმეში შეღწევადობის უნარი, გააფართოვა საყრდენი წერტილის სიერცე და მას „ჰართლენდი" უწოდა. მთავარ საფრთხედ კვლავ რჩებოდა ჰართლენდზე გერმანიის მიერ კონტროლის დაწესება. მაკინდერის შემდეგი გამონათქვამი თითქმის აფორიზმად მიიჩნევა გეოპოლიტიკურ ლიტერატურაში:

ის, ვინც აკონტროლებს აღმოსავლეთ ევროპას, ბატონობს ჰართლენდში;

ის, ვინც მართავს ჰართლენდს, ბატონობს მსოფლიო კუნძულზე*;

ის, ვინც ბატონობს მსოფლიო კუნძულზე, ბატონობს მთელს მსოფლიოზე.

აღნიშნული ფრაზა გამოთქმული იყო ვერსალის კონფერენციაზე მომუშავე იმ პოლიტიკოსების მისამართით, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ევროპის პოლიტიკური რუკის ცვლილებებში. აღმოსავლეთ ევროპას, როგორც ჰართლენდისაკენ მიმავალ სტრატეგიულ გზას, ერთგვარი ბუფერის როლი უნდა ეთამაშა გერმანიასა და რუსეთს შორის. მართლაც, ასეთი ბუფერული სახელმწიფოები შეიქმნა ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და რუმინეთის სახით. თუმცა, როგორც 1939 წლის მოვლენებმა აჩვენა, ამგვარი „ბასტიონი" არაეფექტური აღმოჩნდა.

მაკინდერის აზრით, არც რუსეთი იყო მაინცადამაინც სანდო. პერსპექტივაში, მისი ფიქრით (ასეც მოხდა II მსოფლიო ომის შემდეგ), რუსეთი დაიწყებდა შიდა ნახევარმთვარეზე, კერძოდ დასავლეთ ევროპაზე, „დაწოლას". ამას უნდა დაპირისპირებოდა შიდა ნახევარმთვარის „შემაკავებელი კონტრდაწოლა" წარმატებისათვის აუცილებელი იქნებოდა გარე ნახევარმთვარის სახელმწიფოებთან საიმედო კავშირების დამყარება. ავტორის აზრით, მსგავსი კავშირის ყველაზე მისაღები ფორმა ე.წ. „ამეროევროპის" შექმნა იქნებოდა. მაკინდერის აღნიშნული იდეა დღევანდელი ჩრდილო-ატლანტური კავშირის ერთგვარ პირველსახეს წარმოადგენს.

---

*მსოფლიო კუნძული მოიცავდა ევრაზიასა და აფრიკას და მთელი ხმელეთის ერ მესამედს შეადგენდა.

თეორიული საფუძვლების შექმნაში და, აგრეთვე როგორც ვნახეთ, კონკრეტული მსოფლიო პოლიტიკური პროცესების რეგულირებასა და პროგნოზირებაში. იგი იყო უდიდესი გეოგრაფი და სტრატეგი, პოლიტიკოსი და ეკონომისტი, მოვლენების სისტემური ხედვისა და გლობალური აზროვნების შესაშური უნარით.

გერმანული გეოპოლიტიკა. გეოპოლიტიკის გერმანულ სკოლაზე საუბრისას ძირითადად I და II მსოფლიო ომებს შორის პერიოდში შესრულებულ ნამუშევრებს გულისხმობენ. გერმანული გეოპოლიტიკა, როგორც წესი, მკვეთრი კრიტიკის ობიექტია, ვინაიდან მას ბრალად ედება „მესამე რეიხის" აგრესიული საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური უზრუნველყოფა.

ისტორიული წანამძღვრები. თავდაპირველად გერმანია განვითარების დონით საგრძნობლად ჩამორჩა ინგლისს და საფრანგეთს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპებმა მკვეთრად იმატა, აღნიშნული ჩამორჩენა პრაქტიკულად დაძლეულ იქნა: 1880 წელს გერმანიის მრეწველობამ გაუსწრო საფრანგეთისას, ხოლო 1910 წელს უკან ჩამოიტოვა ინგლისის ისეთი ტრადიციულად ძლიერი დარგები, როგორებიც იყო ფოლადისა და თუჯის წარმოება, ქიმიური და ელექტროტექნიკური მრეწველობა. გერმანიის იმპერია ევროპის უძლიერესი იმპერიალისტური სახელმწიფო გახდა. თუმცა 1912 წლისათვის გერმანიის იმპერია საერთო ფართობით 6-ჯერ აღემატებოდა მეტროპოლიას, ეს მაინც არ შეესაბამებოდა მსოფლიოში მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო წონას (იხ. ცხრილი 1). ამ დროისათვის მსოფლიოს ტერიტორიული დანაწილება მთავრდებოდა, გერმანიას აღარ ჰქონდა ისეთი დიდი კოლონიების დაპყრობის საშუალება, როგორებიც „მოასწრეს" ინგლისმა და საფრანგეთმა. გარმანიამ დაიწყო მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისთვის ბრძოლა.

საჭირო იყო ამ ბრძოლის იდეოლოგიური უზრუნველყოფა. გაჩნდა მრავალი „არგუმენტი" და თეორია, რომელიც ტერიტორიული ექსპანსიისა და მსოფლიო ბატონობის იდეის დასასაბუთებლად გამოიყენებოდა. შიდაპოლიტიკური კუთხით ამგვარი ჰეგემონია ორი არგუმენტით მართლდებოდა:

ცხრილი 1

დიდ სახელმწიფოთა კოლონიური სამფლობელოები
(მლნ კვ. კმ. და მლნ კაცი)

	კოლონიები		მეტროპოლიები		სულ	
	1914		1914		1914	
	ფართ.	მოსახლ.	ფართ.	მოსახლ.	ფართ.	მოსახლ.
ინგლისი	33,5	393,5	0,3	46,5	33,8	440,0
რუსეთი	17,4	33,2	5,4	136,2	22,8	169,4
საფრანგეთი	10,6	55,5	0,5	39,6	11,1	95,1
გერმანია	2,9	12,3	0,5	64,9	3,4	77,2
აშშ	0,3	9,7	9,4	97,0	9,7	106,7
იაპონია	0,3	19,2	0,4	53,0	0,7	72,2
სულ	65,0	523,4	16,5	437,2	81,5	960,6

1. თითქოსდა გერმანული რასის უპირატესობით და მისი მსოფლიო ბატონობის როლისთვის შესატყვისობით.
2. გერმანელი ხალხისთვის "სასიცოცხლო სივრცის" ნაკლებობით.

საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით მსოფლიო ბატონობის საუბროებას ასაბუთებდნენ:

1. თითქოსდა ყველა არაგერმანული სახელმწიფოს მტრული დამოკიდებულებით, რომლებიც არ აძლევდნენ გერმანიას მშვიდობიანი განვითარების საშუალებას.

2. საერთაშორისო მდგომარეობის ცვლილებით, რომლის შედეგადაც მცირე და სუსტმა სახელმწიფოებმა დაკარგეს "არსებობის უფლება".

აღნიშნული იდეოლოგიური შინაარსით განხორციელებულმა პოლიტიკამ გერმანია ევროპის ქვეყნებთან მკვეთრ სამხედრო დაპირისპირებამდე მიიყვანა, რაც შემდგომ I მსოფლიო ომში გადაიზარდა. ამ ომის შედეგებზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

პოლიტიკური წანამძღვრები. გერმანული გეოპოლიტიკა, როგორც აღვნიშნეთ, I მსოფლიო ომის შემდეგ იწყებს განვითარების ახალ, მძლავრ ეტაპს. აღნიშნული ეტაპი, ძირითადად, კარლ ჰაუსჰოფერის (Karl Haushofer) სახელთან არის დაკავშირებული. იგი მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი იყო, სადაც 1921-1939 წლებში მოღვაწეობდა. მან დააარსა გეოპოლიტიკური ლიტერატურის ფლაგმანი Zeitschrift für Geopolitik („გეოპოლიტიკის ჟურნალი"), რომელიც მისივე რედაქტორობით 1944 წლამდე გამოდიოდა. ამ ჟურნალში იბეჭდებოდა გერმანელი გეოგრაფებისა და პოლიტიკოსების სტატიები, სადაც რევანშისტული სულისკვეთებით ნასაზრდოებ მოსაზრებებში თანდათანობით ცოცხლდებოდა მსოფლიო ბატონობის პანგერმანული იდეა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სტატია მაღალმეცნიერულ დონეზე იყო შესრულებული და პროფესიული თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს დღესაც იმსახურებს. ჰაუსჰოფერის სახელთან ბევრი ისეთი უარყოფითი ფაქტია დაკავშირებული, რაც სინამდვილეს ყოველთვის არ შეეფერება. მაგალითად, მიუნხენში არასდროს

ყოფილა გეოპოლიტიკის ინსტიტუტი, სადაც ჰაუსჰოფერის ხელმძღვანელობით „მეცნიერთა ათასეული“ გერმანიის გამარჯვებას „ჭედავდა”. მართალია I და II მსოფლიო ომებს შორის პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელ მეცნიერებაში იდეალისტური იდეები დომინირებდნენ, ევროპის ერთ ნაწილში – დამარცხებულ გერმანიაში – მსოფლიო პოლიტიკურ სიტუაციას რეალისტური კუთხით უყურებდნენ. იდეალიზმის დისკრედიტაცია გერმანიაში მნიშვნელოვანწილად განაპირობა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე (1919-1920) დადებული ე.წ. ვერსალის ხელშეკრულებით გათვალისწინებულმა შედეგებმა, რომელიც უსამართლოდ იქნა მიჩნეული. სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ გერმანული გეოპოლიტიკის აღორძინება, რომლის უახლოეს მიზანს აღნიშნული ხელშეკრულების გადასინჯვა წარმოადგენდა. აღნიშნული მიზნის კონცეფტუალურ ბაზას რატცელის „სასიცოცხლო სივრცის”* თეორია წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები უსამართლო და შემზღუდველი საზღვრებით იყო გამოწვეული. გამოსავალი ერთი იყო – ექსპანსია. ადვილი მისახვედრია ამგვარი გეოპოლიტიკა რატომ უნდა მოსწონებოდათ ნაციონალ-სოციალისტებს „მესამე რეიხის“ შექმნამდე და მის შემდეგ.

ჰაუსჰოფერის ნაცისტურ პოლიტიკაზე გავლენის საკითხი საკამათოა. დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს, რომ მას ბევრად უფრო ნაკლები გავლენა ჰქონდა, ვიდრე ამას II მსოფლიო ომის დროინდელი ზოგიერთი ოფიციალური დოკუმენტი გვამცნობს. ჰაუსჰოფერი კარგად იყო ცნობილი მემარჯვენე პოლიტიკურ წრეებში თავისი რეალისტური მსოფლმხედველობის გამო. 1919 წლიდან იგი ჰიტლერის პირად მდივანსა და ნაციონალ-

* ევროპულ ენებზე არსებულ ლიტერატურაში "სასიცოცხლო სივრცე" თარგმანის გარეშე გერმანული სიტყვით Lebensraum გვხვდება.

სოციალისტთა პარტიის თავმჯდომარის მოადგილესთან რუდოლფ ჰესთან მეგობრობდა, რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში სისტემატურად ხვდებოდა თვეში ერთხელ მაინც. მას კონტაქტები ჰქონდა „მესამე რეიხის" სხვა ლიდერებთანაც (ფონ რიბენტროპი, გებელსი და ჰიმლერი). რაც შეეხება თვით ჰიტლერს, ჰაუსჰოფერი მას იშვიათად ხვდებოდა. 1930-იან წლებში პარტიულ ელიტასთან კონტაქტები ძირითადად მისი ვაჟის ალბრეხტის მეშვეობით ხორციელდებოდა. 1941 წელს ჰესის ბრიტანეთში წარუმატებელი სამშვიდობო მისიის შემდეგ ჰაუსჰოფერმა ყოველგვარი გავლენა დაკარგა ნაცისტურ რეჟიმზე. 1944 წელს მისი ვაჟი ალბრეხტი დასჯილ იქნა ჰიტლერზე განხორციელებულ თავდასხმაში მონაწილეობის გამო. ნაცისტურ რეჟიმში ჰაუსჰოფერის სტატუსის გაზვიადების მომხრეთა საწინააღმდეგოდ ინტერ-პერსონალურ ურთიერთობათა აღნიშნული ანალიზის გარდა კონცეფტუალური შეუთავსებლობაც მეტყველებს. კერძოდ, ნაციონალ-სოციალიზმისა და გეოპოლიტიკის შედარებისას მათ შორის არსებითი განსხვავებანი იჩენს თავს: გეოპოლიტიკა რატცელის მეცნიერული მატერიალიზმიდან წარმოიშვა, ნაციონალ-სოციალიზმი კი ადამიანის თანდაყოლილ თვისებებზე დაყრდნობით რასობრივ უპირატესობას ქადაგებს. მიუხედავად ამისა, რომ ჰაუსჰოფერი ყოველთვის ცდილობდა აღნიშნული ბრალდება „არ შეემჩნია", მაინც საეჭვოა, რომ გეოპოლიტიკა ბოლოსმე გამხდარიყო ნაცისტური გერმანიის წამყვანი მეცნიერება. გეოპოლიტიკა შეიცავდა გარკვეულ იდეებს, რომლებიც მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა გამოყენებულიყო. რაც შეეხება ჰაუსჰოფერს, იგი, თავის მხრივ, გამოყენებულ იქნა რეჟიმსა და ინტელექტუალურ წრეებს შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. ყოველივე ამის გამო სხვა მეცნიერებებთან შედარებით გეოგრაფია უფრო ხშირად გამოიყენებოდა ნაცისტური რეჟიმის ლეგიტიმაციის მიზნით, რაზეც ჰაუსჰოფერს გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება.

სივრცული ძიძელი: გლობალური პან-რეგიონები. XIX საუკუნის შუა წლების თავისუფალი ვაჭრობის სისტემა, რომელიც, ძირითადად, ბრიტანეთის მიერ იყო შექმნილი, თანდათან ეკონომიკური ბლოკების სისტემით შეიცვალა. თვით ბრიტანეთის იმპერია ე.წ. „იმპერიული პრეფერენციების" პოლიტიკით ერთიან უზარმაზარ ეკონომიკურ ბლოკად იქცა. ეს იყო ავტარქიული, ანუ ეკონომიკურად თვითუზრუნველყოფის ზონა. მას შემდეგ, რაც I მსოფლიო ომის შედეგად გერმანიამ დაკარგა თავისი კოლონიები, ჰაუსჰოფერისა და მისი თანამოაზრეებისათვის ავტარქიული ევროპიდან სასიცოცხლო სივრცესა და აღმოსავლეთ ევროპაში ექსპანსიას უკავშირდებოდა. მოგვიანებით, კოლონიების დაბრუნების იდეამ დღის წესრიგში ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა და მსოფლიოში გერმანიის ადგილის გლობალური შეფასება დააყენა. გლობალური ეკონომიკური რეგიონები განხილულ იქნენ როგორც პან-რეგიონები. თვით ეკონომიკური ბლოკების იდეა, რა თქმა უნდა, არ იყო ორიგინალური, მაგრამ პან-რეგიონები კი ეკონომიკური სტრუქტურების გადანაწილების, ახლებური მოწყობის იდეას შეიცავდნენ. ასე, მაგალითად, ეკონომიკური ბლოკების სისტემა გულისხმობდა კოლონიური სისტემის გავლენის სფეროს ფარგლებში ჩატევას. პან-რეგიონების სისტემა კი „პან-იდეებს" ეფუძნება, რაც რეგიონის შექმნისას (გამოყოფისას) იდეოლოგიური საფუძველის არსებობას გულისხმობს. გერმანულ გეოპოლიტიკაში სამი პან-რეგიონი იქნა გამოყოფილი (იხ. ნახ.3-ბ), რომლებიც გერმანიას, იაპონიას და აშშ-ს გავლენის სფეროებად ჩამოყალიბდა. მათ საკმაოდ საინტერესო გეოგრაფიული ორგანიზაცია გააჩნიათ: თითოეული შედგება ბირთვისა და განედურად ვადაჭიმული რესურსშემცველი პერიფერიისაგან. პან-რეგიონი მოიცავს არქტიკულ (ანტარქტიკულ), ზომიერ და ტროპიკულ ბუნებრივ ზონებს; პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით თითოეულ



ნახ. 3-ბ ალტერნატიული გეოპოლიტიკური მოდელები
პან-რეგიონების მოდელი

მათგანს საკმაო ავტარქიული პოტენციალი გააჩნია. აღნიშნული მოდელი სინამდვილეში რომ განხორციელებულიყო, მივიღებდით სამ დამოუკიდებელ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემას. თითოეულ მათგანს ექნებოდა ბირთვი – ევროპა, იაპონია და ანგლო-ამერიკა, და პერიფერია – აფრიკა, ინდოეთი, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, და ლათინური ამერიკა. II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში აშშ-ს გაძლიერებამ გარკვეულად შეანელა ეკონომიკური ბლოკებისაკენ (და, შესაბამისად, პან-რეგიონებისაკენ) სწრაფვის ტენდენცია. შესაძლოა ეს მოვლენა დროებითი იყოს, ვინაიდან ზოგიერთის აზრით, ბოლო ხანებში აშშ-ს მიერ მსოფლიო ჰეგემონის პოზიციების დათმობამ შესაძლოა ეკონომიკური ბლოკებისა და პან-რეგიონების იდეა ისევ დააყენოს დღის წესრიგში.

შეჯერება და დაშინება: მსოფლიო მოწყობის ამერიკული მოდელი. II მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ აშშ მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. მისი ინტერესები ბევრად აღემატებოდნენ იმ ტერიტორიას, რომელსაც გერმანული პან-

რეგიონების მოდელი ითვალისწინებდა. აშშ-ს ესაჭიროებოდა ახალი გლობალური სტრატეგია და, შესაბამისად, მსოფლიო წესრიგის ახალი მოდელი, რომელსაც იგი დაეფუძნებოდა. ეს მაკინდერისეულ აზროვნებისკენ დაბრუნებას მოითხოვდა. მაკინდერის ბოლო ნაშრომში (1943), როგორც ცნობილია, ჰართლენდისა და საზღვაო სახელმწიფოების სტრატეგიული დაპირისპირებულობის ანალიზისას ამ უკანასკნელთა პოზიცია ნაკლებ პესიმისტურია. სწორედ ეს იდეა იქნა გამოყენებული ნ.სპიკმენის (N.Spykman) მიერ, როდესაც მან ომის შემდგომი პერიოდის აშშ-ის ინტერესები ჰართლენდის ნეიტრალიზებაში დაინახა. მაკინდერის თეზისისგან განსხვავებით მას სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ზონად მიაჩნდა არა ჰართლენდი, არამედ შიდა ნახევარმთვარე, რომელსაც *რიმლენდი* უწოდა. რიმლენდი ინგლისური სიტყვებისაგან (rim – რკალი და land – მიწა) არის ნაწარმოები და იმ ტერიტორიებს გულისხმობს, რომლებსაც შიდა ნახევარმთვარე მოიცავს და ჰართლენდს რკალურად არტყავს გარს. სწორედ რიმლენდის კონტროლი უზრუნველყოფს ჰართლენდის ნეიტრალიზებას (შეადარეთ მაკინდერის მოსაზრებას). ამდენად, ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული საზღვაო სახელმწიფოთათვის. II მსოფლიო ომის ბოლოს უკვე ნათელი გახდა, რომ ჰართლენდი პოლიტიკურად, ფაქტიურად, საბჭოთა კავშირს წარმოადგენდა. გერმანიის წარუმატებელმა ცდამ დაემარცხებინა რუსეთი მნიშვნელოვნად გაზარდა მაკინდერის რეპუტაცია. ამ დროიდან მოყოლებული არსებობას იწყებს *ჰართლენდ-რიმლენდის* სახელით წოდებული მსოფლიოს ახალი მოდელი, რომელიც გულისხმობს სახმელეთო სახელმწიფოს (საბჭოთა კავშირის) და საზღვაო სახელმწიფოს (აშშ-ს) დაპირისპირებას და მათ შორის საკონტაქტო ზონის (რიმლენდის) არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ მაკინდერისეულ მოდელსა და ჰართლენდ-რიმლენდის მოდელს შორის გარკეული განსხვავებაა, რაც ზოგიერთი ცნების განმარტებასა და აქცენტების

განაწილებაში მდგომარეობს, მათ შორის უდიდესი მსგავსებაც არის – ეს არის მსოფლიოს სამ-კომპონენტური მოწყობის იდეა. როგორც ცნობილია, აღნიშნული იდეა მაკინდერმა ჯერ კიდევ 1904 წელს წამოაყენა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ იდეის ძირითადი არსი თითქმის უცვლელი დარჩა. რაც მთავარია, მაკინდერისეული მოდელი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა თვით საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების ერაშიც კი, როდესაც რკინიგზის ფაქტორი აშკარა ანაქრონიზმად გვევლინება. ასეა თუ ისე, აღნიშნულ იდეას ბევრი მომხრე ჰყავს – ზოგს მისი მართლა სჯერა, ზოგსაც სჭირდება მისი არსებობა. ფაქტია, რომ ჰართლენდ-რომლენდის თეზისმა გარკვეული იდეოლოგიური იარაღის როლი შეასრულა აშშ-ის II მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის პოლიტიკის შემუშავებაში.

მაკინდერის იდეათა სიცოცხლისუნარიანობა განაპირობა არა თვით ამ იდეათა წინასწარმეტყველურმა გენიამ, არამედ იმ კონკრეტულმა სამხედრო-პოლიტიკურმა სიტუაციამ, რომლის საკუთარი ინტერესებით გამოყენების თვალსაზრისით აშშ-ს სავსებით აკმაყოფილებდა მოდელში გათვალისწინებული მსოფლიოს მარტივი სივრცული სტრუქტურა: მსოფლიო წარმოდგენილი იყო ერთმანეთთან „ცივი ომის" მდგომარეობაში მყოფი ორი ზესახელმწიფოთი, ხოლო ამ სიტუაციას კარგად „ერგებოდა" ჰართლენდ-რიმლენდის ზემოთგანხილული მოდელი. მაკინდერის თეორიაში ჩადებული პირვანდელი თეზისი ჰართლენდის მიმართულებით გერმანიის სავარაუდო ექსპანსიის შეჩერებისა და ამ მიზნით ბუფერული ზონის შექმნის აუცილებლობის შესახებ დავიწყებას იქნა მიცემული. სამაგიეროდ, წარმოდგგენილ იქნა მოდელი, მაკინდერის მოდელის მოდიფიცირებული ვარიანტი, სადაც მტრად განიხილებოდა საბჭოთა კავშირი, რომელიც „ციხე-სიმაგრეს" – ჰართლენდს აკონტროლებდა. ქვეყნის საგარეო პოლიტიკაც შესაბამისად იქნა ფორმულირებული.

პარიზულის „შეჩერების" პოლიტიკა. ომის კანონების მიხედვით ციხე-სიმაგრეში გამაგრებულ მტერს, პირველ რიგში, გარს შემოერტყმიან ხოლმე, რათა გამორიცხულ იქნას მისი მხრიდან აგრესია. პოლიტიკურ ჟარგონზე აღნიშნულ ქმედებას ამერიკელები შეჩერების პოლიტიკას (ინგლისურად containment) უწოდებენ. პრაქტიკაში აღნიშნული პოლიტიკა გამოიხატა საბჭოთა კავშირის გარშემო, რიმლენდის ტერიტორიაზე, ანტი-საბჭოური სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნაში – ნატო (NATO) ევროპაში, სენტო (CENTO) სამხრეთ-დასავლეთ აზიაში და სეატო (SEATO) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. აღნიშნულ გარემოცვაში იქ, სადაც ამა თუ იმ სიდიდის „ბზარი" ჩნდებოდა, ადგილი ჰქონდა დიდ და მცირე კონფლიქტებს. დიდი კონფლიქტებიდან აღსანიშნავია ბერლინის, კორეის, ახლო აღმოსავლეთისა და ვიეტნამის კონფლიქტები. აღნიშნულ კონფლიქტთა გამომწვევი უმთავრესი მიზეზი იყო აშშ-ს (პირობითად შეიძლება ჩაითვალოს მთელი დასავლეთის) სწრაფვა არ დაეშვა საბჭოთა კავშირის დომინირება მსოფლიო კუნძულზე. შეჩერების გლობალური პოლიტიკის კონცეფციის ფარგლებში ბევრი სხვა შედარებით მცირე ტერიტორიების მომცველი და ასევე მარტივი სტრუქტურის მქონე მოდელი იქნა შემუშავებული. ეს მოდელები რიმლენდის ამა თუ იმ სექტორს მოიცავდნენ და ერთ კონცეფტუალურ ბაზაზე იყვნენ შექმნილი. კლასიკურ მაგალითად გამოდგება *დომინოს თეორიაზე* აგებული მოდელი, სადაც ერო ქვეყანაში „ჩავარდნა" აუცილებლად იწვევს მეზობელ ქვეყნებში ანალოგიურ შედეგს -- აშშ-ის ინტერების შელახვას. ასე მაგალითად, კამპუჩიის „დაკარგვამ" მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა აშშ-ის ინტერესებს ტაილანდსა და მალაიზიაში. აშშ-ს მნიშნელოვანი ძალისხმევა დასჭირდა პროცესის შესაჩერებლად. დასავლეთ ევროპაში დომინოს ეფექტი „ფინლანდიზაციის" სახელით არის ცნობილი. იგულისხმება, რომ საბჭოთა კავშირის მხრიდან ძალის გამოყენებას ადგილი არ ექნება, მაგრამ

განსორციელდება შეშიღბული და მუსანათური პოლიტიკა და ამის შედეგად პროცესში „ჩათრეულ“ ქვეყნებში არსებული შიდა პოლიტიკური სიტუაცია დაექვემდებარება ჰართლენდის კონტროლს. ითვლება, რომ აღნიშნული პროცესის კლასიკურ მოდელს ფინეთი წარმოადგენს. სინამდვილეში მსოფლიო პოლიტიკა ბევრად უფრო რთულია და მრავალფეროვანი, ვიდრე ამას აღნიშნული მოდელები ითვალისწინებენ. მიუხედავად ამისა, მსგავსმა იდეებმა ასახვა ჰპოვეს აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში, რაც დადასტურებულ იქნა თუნდაც ლათინური ამერიკის რეგიონში მომხდარი ფაქტებით: გრენადას კამპანია, ნიკარაგუას წინააღმდეგ მოქმედი შიდა და გარე ძალების ალიანსის მხარდაჭერა და სხვა.

ბირთვული „დაშინების“ პოლიტიკა. შეჩერების პოლიტიკისგან განსხვავებით, რომელიც აქცენტს რიმლენდზე აკეთებს, ბირთვული დაშინების პოლიტიკა მიმართულია საბჭოთა ჰართლენდზე. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ვინაიდან საბჭოთა კავშირს გადამწყვეტი უპირატესობის უზრუნველმყოფი სტრატეგიული მდებარეობა გააჩნია, ერთადერთ გამოსავალს ბირთვული იარაღით დაშინება წარმოადგენს. ჰართლენდის თეორიის მიუხედავად ბირთვული არსენალი იძლევა ძალთა ახალი ბალანსის მიღწევის საშუალებას, რაც საბოლოო ჯამში მსოფლიო კუნძულის გადარჩენას ნიშნავს. ამდენად, ყველა დროის უმნიშვნელოვანესი საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილება ეყრდნობოდა იმ გეოგრაფიულ თეორიას, რომელიც გეოგრაფთა და პოლიტოლოგთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ უარყოფილ იქნა. ცივი ომის განახლებამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა რეალისტურ პოლიტიკას და მაკინდერი კვლავ „ამოტივტივდა“ როგორც წინასწარმეტყველი და მტრის (ამჯერად რუსეთის) შეჩერების აუცილებლობის მქადაგებელი. როგორც ჩანს, ზოგიერთ იდეას, სანამ მას იდეოლოგიური მიზნებით გამოყენების დანიშნულება აქვს, მოძველება არ ემუქრება.

გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური რაიონირება. მოცემულ დარგში მომუშავე გეოგრაფთა შორის სოლ კოენი (Saul Cohen) ერთადერთია, ვინც ჰართლენდ-რიმლენდის თეორიის სრული რევიზია სცადა. მთელი მისი შემოქმედება, ფაქტობრივად, შეჩერების პოლიტიკის კრიტიკაა, განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც მთელი ევრაზია პოტენციურ საომარ ველად არის წარმოდგენილი. იგი აღნიშნავს, რომ როდესაც საბჭოთა კავშირს ყველა ოკეანეში ასეთი მძლავრი ფლოტი ჰყავს, შეჩერების პოლიტიკა („ციხე-სიმაგრის" გარშემორტყმა) სხვა არაფერია, თუ არა იმ საჯინიბოს კარების დაკეტვა, საიდანაც ცხენი უკვე გაქცეულია. კოენის განსხვავებული სტრატეგიული აზროვნების ნაყოფი სამხედრო თვალსაზრისით უფრო მოქნილი და გეოგრაფიულად დახვეწილი მოდელი გახდა. მის მოღვაწეობაში გამოჰყოფენ ორ სტადიას, რომლის შედეგადაც აღნიშნული მოდელი ჩაისახა, განვითარდა და საბოლოო სახე მიიღო. განვიხილოთ ეს სტადიები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. 1973 წელს კოენმა გამოსცა წიგნი „გეოგრაფია და პოლიტიკა დაყოფილ მსოფლიოში". აღნიშნულ ნაშრომში, გაკრიტიკებულია რა მითი ერთიანი მსოფლიოს შესახებ, რამაც, მისი აზრით, ბევრი გეოპოლიტიკოსი „სწორ გზას ააცდინა", წარმოდგენილია რეგიონებად დაყოფილი და იერარქიულად ორგანიზებული მსოფლიოს მოდელი. ავტორის აზრით, ერთიანი სტრატეგიული სივრცე არ არსებობს. არსებობს სტრატეგიული არეალები, რომლებიც ორ განსხვავებულ იერარქიულ დონეს მიეკუთვნებიან: ერთნი გლობალურს, მეორენი – რეგიონალურს. *გეოსტრატეგიული არეალები* ფუნქციონალური ერთიანობის ნიშნით არიან გამოყოფილი და დედამიწის ზედაპირის ვრცელ ნაწილებს მოიცავენ. რაც შეეხება ქვედა დონეს, გეოსტრატეგიული არეალების ფარგლებში გამოყოფილია *გეოპოლიტიკური რეგიონები*, რომლებსაც კულტურის, ეკონომიკისა და პოლიტიკის

თვალსაზრისით გარკვეული ჰომოგენურობა ახასიათებთ. ნახ.4 ასახავს კოენის მსოფლიო მოწყობის მოდელს. ავტორი გამოჰყოფს ორ გეოსტრატეგიულ არეალს. თითოეულში ერთ-ერთი ზესახელმწიფო დომინირებს: აშშ-ის გავლენის არეალს „საბაზრო ურთიერთობების საზღვაო სამყარო" (The Trade-Dependent Maritime World) უწოდა, ხოლო საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ მყოფ არეალს - „ევრაზიული კონტინენტალური სამყარო" (The Eurasian Continental World). პირველ გეოსტრატეგიულ არეალში კოენი ხუთ გეოპოლიტიკურ რეგიონს გამოჰყოფს, ხოლო მეორეში – ორს. გარდა ამისა, სამხრეთ აზია მიჩნეულია პოტენციურ გეოსტრატეგიულ არეალად. არსებულ გეოსტრატეგიულ არეალებს შორის, ავტორის აზრით, არსებობს კიდევ ორი განსაკუთრებული მნიშვნელობის გეოპოლიტიკური რეგიონი – ახლო აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია (ინდო-ჩინეთი). კოენი მათ *„ფეთქებადსაშიშ ზონებსაც"* (shatterbelts) უწოდებს. ამ ზონებს სხვებისაგან განსხვავებით არ ახასიათებთ პოლიტიკური ერთიანობა, რაც მათ უაღრესად არასტაბილურს ხდის. ორივე რეგიონში ზესახელმწიფოებს საკუთარი პლაცდარმი გააჩნიათ და, ამიტომაც, კოენს მიაჩნია, რომ შეჩერების პოლიტიკა სწორედ აქ უნდა იქნას განხორციელებული. ავტორის აზრით, რიმლენდის ყველა სექტორი არ არის ერთნაირად მნიშვნელოვანი და პოლიტიკაც შესაბამისად დიფერენცირებული უნდა იყოს. სხვა სიტყვებით, შეჩერების პოლიტიკა შერჩევითი უნდა იყოს და არა საყოველთაო.

1982 წელს კოენმა თავისი მოდელის მოდიფიცირებული ვარიანტი წარმოადგინა. ერთ-ერთი სიახლე ის იყო, რომ აფრიკის კონტინენტის საჰარის სამხრეთით მდებარე ნაწილი კიდევ ერთ ფეთქებადსაშიშ ზონად იქნა მიჩნეული. მაგრამ მთავარი მაინც ე.წ. *მეორე რიგის*, ანუ *რეგიონალური ცენტრების* ცნების,



გეოსტრატეგიული საზღვრები

გეოპოლიტიკური საზღვრები

1973 და 1982 წწ. გამოყოფილი „ფეოქებადსაშიში ზონები"

მხოლოდ 1982 წლის მოდელში გამყოფილი "ფეოქებადსაშიში ზონა"

1.1 ანგლო-ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი
1.2 სამხრეთ ამერიკა
1.3 დასავლეთ ევროპა და მაღრიბი
1.4 საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკა
1.5 ზღვის გაღმა ა'ზია და ოკეანეთი
2.1 ჩრდილოეთი და აღმოსავლეთ ევროპა
2.2 აღმოსავლეთი ა'ზია
3 სამხრეთ ა'ზია
4.1 ახლო აღმოსავლეთი
4.2 სამხრეთ-აღმოსავლეთ ა'ზია

ნახ. 4 კოენის გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური რეგიონების მოდელი

როგორც ახალი სტრუქტურული ელემენტის შემოტანა იყო: თავდაპირველ ვარიანტში გეოპოლიტიკური რეგიონები ერთგვარ ძალთა კვანძებს წარმოადგენდნენ. ახალ მოდელში ამ იდეამ განვითარება ჰპოვა და წინა პლანზე წამოიწია. სამი გეოპოლიტიკური რეგიონი – იაპონია, ჩინეთი და ევროპა – მსოფლიო მნიშვნელობის ძალად იქცნენ და აშშ-სა და საბჭოთა კავშირს გაუტოლდნენ. დანარჩენ გეოპოლიტიკურ რეგიონებში ე.წ. მეორე რიგის ცენტრები განვითარდნენ. ასეთებია ინდოეთი, ბრაზილია და ნიგერია. კოენი კიდევ ოცდაშვიდ მეორე რიგის ქვეყანას გამოჰყოფს. რაც შეეხება დანარჩენს, ისინი მესამე, მეოთხე და მეხუთე რიგის ქვეყნებად არის მიჩნეული. აღნიშნული სტატუსის განსაზღვრისას ავტორი მხედველობაში იღებს ქვეყნის „წონას" საერთაშორისო პოლიტიკაში. საბოლოო ჯამში შემუშავებულ იქნა მსოფლიოს ტერიტორიული ორგანიზაციის მოდელი, სადაც წარმოდგენილი იყო უამრავი ურთიერთ-გადამფარავი გავლენის სფეროების მქონე პოლიტიკური ერთეული. ამგვარი მოდელი წინამორბედ ბიპოლარულ მოდელთან შედარებით ბევრად უფრო დინამიური ხასიათისა იყო. ძირითადი განსხვავება მათ შორის მდგომარეობდა იმ მრავალმხრივ ურთიერთკავშირში, რომელიც დინამიური მოდელის რეგიონებსა და ქვეყნებს ჰქონდათ. ამას გარდა, შემცირდა ორი ზესახელმწიფოს გავლენა და გაიზარდა ახალი რეგიონალური ცენტრების როლი. ჰართლენდ-რიმლენდის მარტივ მოდელთან შედარებით კოენის მოდელი უფრო მოქნილი და რთული იყო, რაც რეგიონალური გეოგრაფიის ტრადიციულად კომპლექსურ მოდელირებისკენ შემობრუნების ტენდენციის მანიშნებელ ფაქტს წარმოადგენდა. ერთადერთი, რაც აღნიშნულ მოდელებს შორის მსგავსებაზე მიგვანიშნებს, არის მიზანი, რისთვისაც ავტორებმა ისინი შეიმუშავეს. ისევე, როგორც მაკინდერსა და სპიკმენს, კოენსაც ჰქონდა სურვილი დაემსახურებინა პოლიტიკური წრეების ყურადღება. კერძოდ, კონსერვატიული შეხედულებების მქონე

პირდაპირ დანიშნულებას კლასიკური შეჩერების პოლიტიკის გატარებისაკენ მოწოდებების ნეიტრალიზება წარმოადგენდა.

2.4. მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი

გეოპოლიტიკურ ლიტერატურაში არსებობს ე.წ. *გეოპოლიტიკური კოდის* ცნება. გეოპოლიტიკური კოდი, რომელიც წარმოადგენს მთავრობის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ვარაუდთა სისტემას, საფუძვლად ედება ქვეყნის საგარეო პოლიტიკას. ამგვარი კოდი, როგორც წესი, მოიცავს:

ა) ქვეყნის ინტერესების განსაზღვრას;

ბ) საგარეო საფრთხის დადგენა-გაცნობიერებას, რომელიც აღნიშნულ ინტერესებს ემუქრება;

გ) ადექვატური საპასუხო ქმედების დაგეგმვას;

დ) აღნიშნული ქმედების დასაბუთებას.

ყოველ ქვეყანას საკუთარი (გარკვეულწილად უნიკალური) გეოპოლიტიკური კოდი გააჩნია. ქვეყანათა გეოპოლიტიკური კოდების შექმნა არ ხდება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ქვეყნებს შორის ურთიერთობებში ყოველთვის არსებობს გავლენათა გარკვეული იერარქია, სადაც უფრო ძლიერი ცდილობს მოახვიოს საკუთარი იდეები და მსოფლმხედველობრივი ღირებულებები უფრო სუსტს. ე.წ. „დიდ სახელმწიფოებს" უზარმაზარი გავლენა აქვთ მცირე სახელმწიფოებზე. ასეა თუ ისე, ყოველ ისტორიულ პერიოდში გეოპოლიტიკური კოდები ძირითადად ეთავსებიან ერთმანეთს და ქმნიან ერთ დამკვიდრებულ სტურქტურას. ამგვარ სტრუქტურას *მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი* ეწოდება.

სპეციალისტების აზრით, მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგის პირველ მაგალითს ჯერ კიდევ 1648 წლის ვესტფალიის ზავის შემდგომი პოლიტიკური სიტუაცია წარმოადგენდა. აღნიშნული მოსაზრება ემყარება მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგის ცნობილ კონცეფციას, რომლის ავტორია რობერტ კოქსი (Robert Cox). მისი შეხედულებით, გეოპოლიტიკური წესრიგი განპირობებულია ქმედებათა სტრუქტურით, რომელიც სამ ურთიერთმოქმედ ძალთა ერთობლიობით ხდება. ეს ძალებია (ფაქტორებია) – მატერიალური შესაძლებლობები, იდეები და ინსტიტუტები. მოცემული მოდელის პრაქტიკული რეალიზაციის კარგი მაგალითია „ცივი ომი", როდესაც აშშ-ს გააჩნდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მსოფლიო არენაზე დომინირების *მატერიალური შესაძლებლობები*, განავითარა და დანერგა ლიბერალური, პოლიტიკური და ეკონომიკური *იდეები* და ხელი შეუწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის *ინსტიტუტის* შექმნას, რათა ახალ მსოფლიოში გარანტირებული ყოფილიყო სტაბილურობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი ცვლადი ხასიათისაა და ერთი გაბატონებული სახელმწიფოს მეორით შეცვლას უკავშირდება. როგორც ცნობილია, ისტორიაში ხშირად ხდებოდა ერთი რომელიმე დიდი სახელმწიფოს გაძლიერება, აყვავება და შემდეგ დაცემა, დაკნინება, რის შემდეგაც მის ადგილს სხვა სახელმწიფო იკავებდა, და ა.შ. სპეციალისტთა აზრით, აღნიშნულ პროცესს მიმდინარეობის გარკვეული კანონზომიერება ახასიათებს.

2.4.1. საერთაშორისო პოლიტიკის განვითარების ციკლური ხასიათი

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ისტორიაში ადგილი ჰქონდა რამოდენიმე დიდი სახელმწიფოს აღზევებას და დაცემას. ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, XVI საუკუნიდან მოყოლებული სხვადასხვა დროს ცამეტი დიდი სახელმწიფო არსებობდა, ერთდროულად კი არა უმეტეს შვიდისა. ამ სახელმწიფოთა

ისტორია კარგად არის აღწერილი პ.კენედის (P. Kennedy) ცნობილ წიგნში „დიდ სახელმწიფოთა აღზევება და დაცემა". უკანასკნელ წლებში შესრულებულმა კვლევებმა ნათლად აჩვენეს, რომ ვერც ერთი დიდი სახელმწიფო ვერ შეძლებს ჰეგემონური პოზიციების შენარჩუნებას და ადრე თუ გვიან მოუწევს მათი დათმობა. ბრიტანეთის მიერ მსოფლიო ჰეგემონის პოზიციების დათმობამ თითქოს გზა გაუხსნა ძლიერ ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიო ბატონობისაკენ. ერთი პერიოდი ეს ასეც მოხდა, მაგრამ 1970-იანი წლებიდან გამოჩნდა პირველი ნიშნები აშშ-ის პოზიციების შესუსტებისა და ბევრს მიაჩნია, რომ ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება. ამ პროცესებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს პ.კენედის ზემოთაღნიშნული ნაშრომის პოპულარობა. აღნიშნული სახის ნაშრომთა უმრავლესობაში ავტორები სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების დახასიათებისას ცვლილებათა ე.წ. ციკლურობაზე მიუთითებენ. უამრავი ციკლური თეორია იქნა შემუშავებული და თითოეულ მათგანს თავისი ღირსებები აქვს, მაგრამ ყველაზე აღსანიშნავია მოდელსკის (Modelski) და ვალერსტაინის (Wallerstein) მიერ წარმოდგენილი მოდელები.

გლობალური პოლიტიკის ხანგრძლივი ციკლების თეორია. მოდელსკიმ ხანგრძლივი ციკლების იდეა პირველად 1978 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში გამოთქვა, რომელიც შემდგომში დახვეწილი სახით 1987 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ხანგრძლივი ციკლები მსოფლიო პოლიტიკაში" წარმოადგინა. აღნიშნული შრომა, ფაქტობრივად, წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრებული ორი სხვადასხვა ტრადიციული შეხედულების საპირისპირო მოსაზრების დემონსტრაციის ცდას. პირველი ამგვარი შეხედულება რეალისტური აზროვნების წიაღში ჩამოყალიბდა და გულისხმობს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა არსებითად ანარქიული სისტემაა. მეორე შეხედულებაში იგულისხმება გლობალური პოლიტიკური

ეკონომიის თეორია, რომელიც, მოდელსკის აზრით, აუფასურებს პოლიტიკურ პროცესებს და დაჰყავს ეკონომიკურ ფაქტორთა ღირებულებამდე. მოდელსკის მოდელში გლობალური სისტემა განვითარებას იწყებს 1500 წელს და შემდგომ მის ფუნქციონირებას ციკლური ხასიათი ეძლევა. ციკლის ხანგრძლივობა დაახლოებით ასი წელია – ასე, რომ ამჟამად ჩვენ მეხუთე ციკლში ვიმყოფებით. ყოველ ციკლთან დაკავშირებულია ერთი რომელიმე მსოფლიო ჰეგემონი. მთელი ამ ხნის განმავლობაში ოთხი ასეთი ჰეგემონი არსებობდა – პორტუგალია, ნიდერლანდები, ბრიტანეთი და აშშ. პორტუგალია XVI საუკუნეში დომინირებდა, ნიდერლანდები – XVII საუკუნეში, ბრიტანეთი – XVIII და XIX საუკუნეებში, აშშ – XX საუკუნეში. ბრიტანეთი ერთადერთია, რომელმაც ზედიზედ ორი საუკუნის (ციკლის) განმავლობაში შეძლო მოწინავე პოზიციის შენარჩუნება. ცხრილი 2 დეტალურად ასახავს აღნიშულ გლობალურ ციკლებს. თითოეულ შემთხვევაში სახელმწიფოთა აღმავლობა და დაკნინება გარკვეული ნაბიჯების სახით არის ნაჩვენები. ციკლი იწყება მწვავე პოლიტიკური კონკურენციის სუსტი გლობალური ორგანიზაციული სტრუქტურით, რომელიც შემდგომ მსოფლიო (გლობალურ) ომში გადაიზრდება. ამგვარი ომი დიდ გეოგრაფიულ სივრცეს მოიცავს და გლობალური მასშტაბის შედეგებით მთავრდება – გამარჯვებულს შესაძლებლობა ეძლევა განსაზღვროს პოლიტიკური სისტემა. აღნიშნული ფაზა მთავრდება საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომლის მიხედვითაც ყალიბდება ახალი მსოფლიო ჰეგემონის ირგვლივ შექმნილი მსოფლიოს ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი. ვინაიდან არც ერთ ძლიერ სახელმწიფოს არ ძალუძს მუდმივად შეინარჩუნოს ჰეგემონის პოზიცია, თავს იჩენს დაკნინების სიმპტომები. თავიდან მსოფლიო წესრიგი ბიპოლარული ხდება, ხოლო შემდგომ – მულტიპოლარული. გლობალური სისტემა კვლავ სუსტად ორგანიზებულ ხასიათს ღებულობს და, იქმნება რა ნიადაგი ახალი სახელმწიფოს აღმავლობისა, დასაბამი ეძლევა ახალ ციკლს.

ცხრილი 2

გლობალური პოლიტიკის ციკლები

	I	II	III	IV	V
ჰეგემონები	პორტუგალია	ნიდერლანდები	ბრიტანეთი	ბრიტანეთი	აშშ
ომები	იტალიის ომები (1494-15170)	ესპანეთის ომები (1579-1609)	საფრანგეთის ომები (1688-1713)	საფრანგეთის ომები (1792-1815)	გერმანიის ომები (1914-1945)
ხელშეკრულებები	ტორდესილას ხელშეკრულება	12-წლიანი ზავი ესპანეთთან (1609)	უტრეხტის ხელშეკრულება (1713)	პარიზი, ვენა (1814,1815)	ვერსალი და პოტსდამი (1919,1945)
ინსტიტუტები	ბაზების მსოფლიო ქსელი	Mare libruin (თავისუფალი ნავიგაცია)	ზღვაზე ბრძანებლობა	თავისუფალი ვაჭრობა	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
დაპირისპირებები	ესპანეთის ანექსია (1580)	ინგლისის რევოლუცია XVII ს.	აშშ-ის დამოუკიდებლობა	იმპერიალიზმი	ვიეტნამის ომი

ჰეგემონიის ციკლური ხასიათი. ვალერსტაინის თეორიაში სახელმწიფოთა შორის მსოფლიო სისტემაში ჰეგემონია იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ჰეგემონიას მხოლოდ სამჯერ ჰქონდა ადგილი: XVII საუკუნეში ჰეგემონს ჰოლანდია წარმოადგენდა, XIX საუკუნის შუა წლებში – ბრიტანეთი, ხოლო XX საუკუნის შუაწლებში – აშშ. ვალერსტაინი ჰეგემონის ქვეშ ეკონომიკის, პოლიტიკისა და იდეოლოგიის სფეროებში დომინირებას გულისხმობს, აქედან ეკონომიკას წამყვან მნიშვნელობას ანიჭებს. ეკონომიკის დარგში გაბატონების პროცესში ავტორი სამ სტადიას გამოჰყოფს. თავდაპირველად მომავალი ჰეგემონი მოწინა-

აღმდეგეებთან შედარებით უპირატესობას წარმოების ეფექტიანობაში აღწევს. აღნიშნული უპირატესობა ვაჭრებს კომერციული უპირატესობის მოპოვების საშუალებას აძლევს. და ბოლოს, მოცემული ქვეყნის ბანკირები მსოფლიო ეკონომიკის ფინანსური სისტემის კონტროლის საშუალებას იღებენ. ქვეყანა მაშინ ჩაითვლება ჰეგემონად, თუკი მისი წარმოების პროცესი, კომერცია და ფინანსური საქმიანობა სხვებთან შედარებით უფრო ეფექტიანია. ასეთი ქვეყნები ახერხებენ საკუთარი ძალების იმგვარ მობილიზებას, რომ შესაძლო მოწინააღმდეგე ქვეყნებს უძნელ-დებათ სერიოზული მნიშვნელობის კოალიციის შექმნა, რათა შეეცილონ ჰეგემონს პოლიტიკურ ლიდერობაში.

ჰეგემონური სახელმწიფოს წარმოშობასა და დამკვიდრებას აუცილებლად მოყვება თანდათანობითი დაკნინების ეტაპი. ჰეგემონური სახელმწიფოს „გახსნილობა" საშუალებას აძლევს კონკურენტ ქვეყნებს გადაიღონ მოწინავე ტექნოლოგიები და, ამით, უზრუნველყონ საკუთარი წარმოების ეფექტიანობა. ცოტა ხანში ჰეგემონი კარგავს უპირატესობას ჯერ წარმოების პროცესში, ხოლო შემდეგ - კომერციასა და ფინანსებში. ჰეგემონური სახელმწიფოს აღზევებას და დაკნინებას *ჰეგემონური ციკლი* ეწოდება. აღნიშნული ციკლის განმავლობაში ჰეგემონური სახელმწიფო ეყრდნობა სპეციალურ ინფრასტრუქტურას, რომელიც მოიცავს სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ფინანსურ, დიპლომატიურ და სამხედრო სისტემებს.

ჰეგემონიის ციკლები და მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი. მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი ძალთა იერარქიულ ორგანიზაციას გულისხმობს. კლასიკურ მაგალითად გამოდგება ჰეგემონიის მოკლე ფაზები: ვესტფალიის ზავმა, ვენის კონგრესმა და II მსოფლიო ომის შემდგომმა ხელშეკრულებებმა საფუძველი დაუდეს ახალ მსოფლიო წესრიგს, სადაც პოლიტიკურად ნეიტრალიზებული იყო ყველა ის საფრთხე, რომელიც ახალ

ჰეგემონებს შეიძლებოდა რომ დამუქრებოდა. მაგრამ, დროთა განმავლობაში ჰეგემონის პოზიციების შესუსტებასთან ერთად აღნიშნული წესრიგი დეზინტეგრირებულ იქნა და ურთიერთ-დაპირისპირების ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში სიტუაცია საკმაოდ ბუნდოვანი რჩებოდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ჰეგემონის მიერ ერთპიროვნული მმართველობის უნარის დაკარგვის შემდეგ შექმნილი სიტუაციაც გარკეული გაგებით მსოფლიო წესრიგს წარმოადგენს. ჰეგემონურ ფაზებს შორის ურთიერთდაპირისპირებას არ ახასიათებს ანარქია, პირიქით, დიდი სახელმწიფოები ცდილობენ ერთმანეთს შეუხამონ საკუთარი ინტერესები, თუმცა ამგვარი ინტერესთა ბალანსი შედარებით არასტაბილურია. ამდენად, მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ჰეგემონიის ციკლი, უფრო სწორად, ჰეგემონიის ციკლი მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგის შემადგენელი ნაწილია.

განვიხილოთ ბრიტანეთისა და აშშ-ს ჰეგემონურ ფაზებს შორის პერიოდი. ვენის კონგრესზე, საფრანგეთის დამარცხების შემდეგ, იურიდიულად გაფორმდა ევროპაში ახალი კონსერვატიული საერთაშორისო რეჟიმი. აღნიშნული ვითარება ბრიტანეთს ორი მიზეზის გამო აძლევდა ხელს. ჯერ ერთი, საფრანგეთის დასუსტების შემდეგ ევროპაში აღარ დარჩა სახელმწიფო, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა ბრიტანეთის გლობალურ ინტერესებს. მეორეც, ბრიტანეთს შესაძლებლობა მიეცა ევროპაში იმგვარი ძალთა ბალანსი დაემკვიდრებინა, რომელიც მოწინააღმდეგე ქვეყნებს მის წინააღმდეგ კოალიციის შექმნის საშუალებას არ მისცემდა. ამგვარად, ბრიტანეთის ჰეგემონია შენარჩუნებულ იქნა 1870 წლამდე. ამ წელს პრუსიელმა ბისმარკმა დაამთავრა გერმანიის გაერთიანება და იმპერიის შექმნა გამოაცხადა. ამ დროიდან იწყება ის, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში *გეოპოლიტიკურ ტრანზიციას* უწოდებენ, ანუ ერთი მსოფლიო წესრიგის მეორეთი შეცვლას.

პრუსიელთა სამხედრო წარმატებებმა ავსტრიელთა (1866) და ფრანგთა (1870) წინააღმდეგ რადიკალურად შეცვალა ევროპაში სიტუაცია, ინგლისმა თანდათანობით დათმო მსოფლიო ჰეგემონის პოზიცია. გლობალური საკითხები უკვე ორ „მსოფლიო დედაქალაქში" წყდებოდა – ლონდონსა და ბერლინში. ამ ურთიერთდაპირისპირების პერიოდში არ ყოფილა რაიმე ალიანსის ან კოალიციის შექმნის ცდა, გეოპოლიტიკურმა წესრიგმა სუსტად ორგანიზებული ბიპოლარული ხასიათი მიიღო. პირობითად აღნიშნულ წესრიგს ბრიტანულ-გერმანული გეოპოლიტიკური წესრიგი შეიძლება ეწოდოს.

მომდევნო მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ტრანზიციას ადგილი ჰქონდა XX საუკუნის დასაწყისში. გეოპოლიტიკურმა წესრიგმა მეტი სტაბილურობა შეიძინა. 1904 წელს ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის, ხოლო სამი წლის შემდეგ მას რუსეთიც შეუერთდა. ამგვარად, ბრიტანეთის პოზიცია, რომელიც ვენის კონგრესის შემდეგ ჩამოყალიბდა და გულისხმობდა ნებისმიერი კოალიციის ან ალიანსის შექმნის არ დაშვებას კონტინენტურ ევროპაში, რადიკალურად შეიცვალა. იგი თავად აღმოჩნდა ალიანსში ტრადიციულ მტრებთან – საფრანგეთთან და რუსეთთან, რათა ახალ ძლიერ მოწინააღმდეგეს – გერმანიას – დაპირისპირებოდა. შემთხვევით არ იყო, რომ სწორედ ამ დროს შეიქმნა მაკინდერის თეორია. ევროპა ორ ბლოკად გაიყო. ეს ბლოკები შემდგომ ორივე მსოფლიო ომში დაპირისპირებულ მხარეთა საყრდენს წარმოდგენდა. მოცემულ მსოფლიო გეოპოლიტიკურ წესრიგს ბრიტანეთის მემკვიდრეობა შეიძლება ეწოდოს. აღნიშნული მემკვიდრეობა 1945 წელს აშშ-ს ერგო, რაც შემდგომ ახალ მსოფლიო გეოპოლიტიკურ წესრიგში გადაიზარდა – აშშ მსოფლიო ჰეგემონი გახდა.

2.4.2. ცივი ომი რიგორც მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი.

ეჭვგარეშეა, რომ 1945 წელს აშშ ყველა ნიშნით მსოფლიო ჰეგემონს წარმოადგენდა. გერმანია, იაპონია და იტალია დამარცხებული იქნენ, საფრანგეთი ოკუპირებული იყო, სსრკ – გაპარტახებული, ხოლო ბრიტანეთი – გაკოტრებული. აღნიშნულის საპირისპიროდ, აშშ-ს ეკონომიკა ომის დროს კიდევ უფრო მომძლავრდა. 1945 წელს აშშ მსოფლიო სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ნახევარზე მეტს აწარმოებდა. ერთი შეხედვით, აშშ-ს ჰეგემონია უფრო შთამბეჭდავი იყო, ვიდრე წინამორბედი ორი ჰეგემონია. და მაინც, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, აშშ-ს ჰეგემონია არ იყო ისეთივე წარმატებული, როგორც ერთი საუკუნის წინანდელი ბრიტანეთის ჰეგემონია. აშშ-ს ჰეგემონია „გააფუჭა" ისეთი ძლიერი იდეოლოგიური და სამხედრო მეტოქის არსებობამ, როგორიც სსრკ იყო. მაშინ, როცა ბრიტანეთის ძალთა ბალანსის პოლიტიკა გულისხმობდა მოვლენების გარეთ ყოფნას და მეტოქე ქვეყნების დიპლომატიურ მანიპულირებას, აშშ თვით არის ძალთა ბალანსის ინტეგრალური ნაწილი და, ამის გამო, მუდმივად ხდება მისი „ჩათრევა" სახიფათო და მასიური შეიარაღების პროცესში. ცივი ომი არ წარმოადგენს ჰეგემონური ტიპის გეოპოლიტიკური წესრიგის შედეგს. მაშ საიდან წარმოიშვა იგი?

გეოპოლიტიკური ტრანზიცია ცივი ომისკენ. II მსოფლიო ომის შემდგომი მოკლე პერიოდი გეოპოლიტიკური ტრანზიციის კლასიკურ მაგალითად ითვლება. თუკი მსოფლიო სიტუაციას აღნიშნული გეოპოლიტიკური ტრანზიციის ორივე მხარეს (მანამდე და მის შემდეგ) განვიხილავთ, ადვილად დავრწმუნდებით იმ დიდ ცვლილებებში, რაც აღნიშნულ პერიოდში მოხდა. ეს ცვლილებები გარკვეულწილად სიმბოლიზირებულია ათწლეულით დაშორებული ორი გლობალური მნიშვნელობის მოვლენით. 1938 წელს მიუნხენში ბრიტანეთსა და გერმანიას

შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება მსოფლიო ომის თავიდან აცილების შესახებ. 1948 წელს ბერლინში აშშ-სა და სსრკ-ს შორის მიმდინარე მოლაპარაკება იმდენად გამწვავდა, რომ ბევრს ახალი მსოფლიო ომი გარდუვალი ეგონა. ათწლეულის განმავლობაში ყველაფერი შეიცვალა – ახალი ლიდერები, ახალი მეტოქეები, ახალი მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი.

ყველას აოცებდა, თუ რა სწრაფად მოხდა გამარჯვებულთა კოალიციის გარდაქმნა დაპირისპირებულ მხარეებად. 1947 წელს ცივი ომი უკვე ყველასათვის თვალსაჩინო გახდა. სინამდვილეში, აღნიშნული სწრაფი ცვლილებები გეოპოლიტიკური ტრანზიციისათვის დამახასიათებელი ტიპიური მოვლენაა. მაგრამ, იმათთვის, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ამ ტრანზიციაში და სწრაფად გაუჩნდნენ ახალი მტრები, ყოველივე ეს მნიშვნელოვან „თავსატეხს" წარმოადგენდა. გაჩნდა ცივი ომისადმი მიძღვნილი უზარმაზარი ლიტერატურა. გამოიკვეთა მოვლენების ინტერპრეტაციის ორი ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრებების მქონე სკოლა. ე.წ. „ორთოდოქსული" სკოლა გმობდა სსრკ-ს ექსპანსიონიზმს და აშშ-ს შეჩერების პოლიტიკას განიხილავდა, როგორც ერთადერთ საპასუხო რეაქციას. ვიეტნამის ომის შემდეგ გაჩნდა ე.წ. რევიზიონისტული სკოლა, რომელიც აშშ-ს ადანაშაულებდა. სსრკ-ს აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ წინ ვერ აღუდგა აშშ-ს ჰეგემონისტურ გლობალურ სტრატეგიას. ამჟამად, აღნიშნული პოზიციები ძალზე პრიმიტიულად გამოიყურებიან. არსებობს უამრავი პოსტ-რევიზიონისტული თეორიები, რომლებიც მეტი სისრულით ხსნიან ადრეულ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის სირთულეებს საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს ის შეხედულებები, რომლებშიც აქცენტირებულია ბრიტანეთის როლი ცივი ომის წარმოშობაში.

1945 წელს გეოპოლიტიკური სიტუაცია ძალზე ცვალებადი, არამყარი იყო. „დიდი სამეულის" წევრებს ძალზე განსხვავებული პრიორიტეტები ჰქონდათ. აშშ-ს მკაფიოდ გამოხატული ეკონომიკური პრიორიტეტები ჰქონდა: მისი მიზანი იყო ბიზნესისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შეექმნა მთელს მსოფლიოში; ბრიტანეთის პრიორიტეტები პოლიტიკური ხასიათისა იყო: მას სურდა დარჩენილიყო წამყვან ქვეყნად. მიუხედავად იმისა, რომ გადარჩენის მიზნით ბრიტანეთს დიდი სესხების აღება მოუხდა, იგი მაინც რჩებოდა მსოფლიო ისტორიაში უდიდეს იმპერიად; სსრკ–ს პრიორიტეტი მდგომარეობდა დასავლეთის ფლანგის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ეს გულისხმობდა აღმოსავლეთ ევროპაში ბუფერის შექმნას. ამ მხრიდან უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ორჯერ მოხდა მტრის ინტერვენცია. თავდაპირველად ეს განსხვავებული ინტერესები ომში გამარჯვების შედეგად წარმოქმნილი კეთილი ნების ფონზე სავსებით ურთიერთთავსებადი ჩანდა. პრეზიდენტმა რუზველტმა (Roosevelt) „ახალი მსოფლიოს" იდეაც კი წამოაყენა, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნას. ამ იდეალისტურ კონცეფციაში წარსულის დაპირისპირებულ ძალთა მსოფლიო დაგმობილ იქნა და, სანაცვლოდ, მეგობრობისა და თანამშრომლობის მსოფლიოს მოდელი იქნა წარმოდგენილი.

მიუხედავად აღნიშნულისა, სიტუაცია დაიძაბა. პრობლემა დიდი ბრიტანეთის პოზიცია იყო. ტრიუმვირატის ორი დანარჩენი წევრი აშკარად ზესახელმწიფოს წარმოადგენდა. ბრიტანეთი ჰატარა კუნძული იყო ოკეანის გაღმა მდებარე გაბნეული კოლონიებით, რომელთა „ერთგულება" სულ უფრო საეჭვო ხდებოდა. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ ბრიტანეთის პოლიტიკოსთა მიზანი იყო სათანადოდ განაწილებული პოლიტიკური როლების მეშვეობით შენარჩუნებულიყო ქვეყნის რანგი აშშ-სა და სსრკ–ს გვერდით. მალე აღმოჩნდა, რომ ყოველივე

ეს გარედან ფინანსურ დახმარებას საჭიროებდა. ბრიტანეთის ეკონომიკა ისეთ მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში იყო, რომ საბოლოო კრახის თავიდან აცილება მხოლოდ სასწრაფო ფინანსურ დახმარებას შეეძლო. ასეთი დახმარების წყაროს მხოლოდ აშშ წარმოადგენდა. მოლაპარაკება, რომელიც აღნიშნულ დახმარებას შეეხებოდა, 1945 წელს შედგა და კომერციული სესხის გამოყოფას შეეხებოდა. ეს ნიშნავდა ბრიტანეთის იმპერიის მიერ ამერიკული ბიზნესისათვის „კარის გახსნას". მიუხედავად დიდი რეკლამისა, აღნიშნულმა სესხის იდეამ ვერ ჰპოვა სათანადო გამოხმაურება ამერიკის საზოგადოებაში. რატომ უნდა დაეფინანსებინათ ბრიტანეთის იმპერიის სიცოცხლის გახანგრძლივება? კონგრესში ხელშეკრულების რატიფიცირება მხოლოდ ომის შემდგომი პირველი ანტიკომუნისტური ისტერიის ფონზე მოხერხდა. ამდენად, ბრიტანეთს სესხი გამოეყო არა იმისთვის, რომ ამერიკის ბიზნესს ხელსაყრელი პირობები შეჰქმნოდა, არამედ იმისთვის, რომ კომუნისტური ექსპანსიის წინაშე ბარიერის როლი ეთამაშა. სპეციალისტთა აზრით, აშშ-ს საგარეო პოლიტიკა მოცემული მომენტიდან ჯვაროსნულ ლაშქრობაზე გადავიდა. სრულიად ბუნებრივად ბრიტანეთმა მხარი დაუჭირა ამგვარ პოლიტიკას. სსრკ იზოლირებულ იქნა, ხოლო ბრიტანეთი ახალი ჰეგემონის მთავარ მოკავშირედ იქცა. II მსოფლიო ომის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ ბრიტანეთმა დაიწყო „დიდი სამეულის" იდეიდან გამომდინარე საერთაშორისო ურთიერთობების „გაფუჭება". ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ერნესტ ბევინი (Ernest Bevin) მეთოდურად მუშაობდა სსრკ-ს წინააღმდეგ საგარეო საქმეთა მინისტრების რეგულარულ შეხვედრებზე. უინსტონ ჩერჩილმა (Winston Churchill) 1946 წ. ფულტონის ცნობილ გამოსვლაში ცნობილი ფრაზა „რკინის ფარდა" ახსენა, რითაც ევროპის ორად გაყოფა აღნიშნა. 1947 წელს ბრიტანეთმა შეატყობინა აშშ-ს, რომ იგი ვეღარ შეძლებდა ჯარების ყოლას

საბერძნეთსა და თურქეთში. ამან ასახვა ჰპოვა პრეზიდენტ ტრუმენის (Truman) სიტყვაში, სადაც მან დახმარება აღუთქვა თავისუფალ ხალხებს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. ტრუმენის დოქტრინა პირდაპირ სსრკ-ზე იყო მიმართული და *ცივი ომის* ფორმალურ დასაწყისს მოასწავებდა.

ბრიტანეთისთვის აღნიშნული გარემოება დიდ დიპლომატიურ წარმატებას წარმოადგენდა. აშშ-მ, როგორც იქნა, გაიცნობიერა და აღიარა ჰეგემონის პასუხისმგებლობა. 1948 წელს ბრიტანეთმა მარშალის გეგმის განხორციელების კოორდინაცია ითავა, ხოლო მომდევნო წელს ჩრდილო ატლანტიკური კავშირის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ერთი სიტყვით, შეიქმნა ახალი მსოფლიო აშშ-ს თაოსნობით, რომელთანაც ბრიტანეთს „განსაკურთებული ურთიერთობები" ჰქონდა როგორც სსრკ-ს ოზოლაციაში ნდობით აღჭურვილ პარტნიორს. ამით ბრიტანეთმა გადაწყვიტა მთავარი ამბიციური საკითხი: იგი დარჩა პირველი კატეგორიის ქვეყნად. არ არის გასაკვირი, რომ ზოგიერთ სპეციალისტს ცივი ომი ბრიტანეთს მთავარი მიზნის მიღწევის გზაზე „თანამდევ ეფექტად" მიაჩნდა.

ცივი ომის ამგვარი ინტერპრეტაცია შედარებით კარგად ხსნის იმ სწრაფ ტემპებს, რითაც 1947 წელს „ერთიანი მსოფლიოს" ბიპოლარულ სისტემად გარდაქმნა მოხდა. მართალია, ყოველივე ეს მხოლოდ ნაწილობრივ ხსნის მოვლენებს, სამაგიეროდ კარგად წარმოაჩენს პოლიტიკური პროცესების იმ ფრაგმენტს, რომელიც გეოპოლიტიკური ტრანზიციის ერთ-ერთ მკაფიო მაგალითს მოიცავს.

ცივი ომის ფაზები. მიუხედავად ბრიტანეთის დიდი როლისა ცივი ომის წარმოშობაში, მოვლენების შემდგომი განვითარება მაინც ორი ზესახელმწიფოს გარშემო მოხდა: ცივი ომის გაღვივების პასუხისმგებლობა აშშ-ს და სსრკ-ს ეკისრებათ.

ფრაზა „ცივი ომი“ ორ განსხვავებულ ოპონენტთან მიმართებაში ცოტა უცნაურად ჟღერს. როდესაც ვალტერ ლიპმანმა (Walter Lippman) 1947 წელს პირველად შემოიღო ცივი ომის ცნება, მას ამით აშშ-სსრკ ურთიერთობების სპეციფიკის აღნიშვნა სურდა განსხვავებით გერმანიასთან „ცხელი ომისა“. ამ აზრით „ცივი“ უბრალოდ ანტონიმია „ცხელის“. ცივი ომი უფრო მეტად დაშორიშორებულ სიტუაციას გულისხმობს, ვიდრე უშუალო კონფლიქტს. ასხვავებენ, აგრეთვე, ზესახელმწიფოებს შორის დაძაბულობის შენელების, დაახლოების ვითარებასაც. ასეთ დროს იტყვიან, რომ ცივი ომი „გალღვა“ ან „გათბა“. მსგავსი ტემპერატურული ანალოგიები ერთგვარად დამაბნეველია, ვინაიდან „ცხელი“ და „თბილი“ საპირისპირო პოლიტიკურ ვითარებას გულისხმობენ. პირველი ნიშნავს ომს, მეორე – დეტანტს. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა ცნებებმა მყარად დაიმკვიდრეს ადგილი პოლიტიკურ ლექსიკონში. აღნიშნულ ცნებებზე დაყრდნობით ჰოლიდეი (Holliday) ცივ ომში ოთხ ფაზას გამოჰყოფს. პირველი ფაზა მოიცავს 1947-1953 წწ. პერიოდს, როდესაც ზესახელმწიფოებს შორის კონფრონტაცია რიმლენდში ხდება. ამ ფაზას მან „პირველი ცივი ომი“ უწოდა. აღნიშნულ პერიოდში ადგილი ჰქონდა „ცხელ“ და „ცივ“ ურთიერთობებს – 1947 წელს კრიზისი საბერძნეთსა და თურქეთში, 1948 წელს ბერლინის ბლოკადა და შემდეგ კორეის ომი.

მეორე პერიოდი, რომელსაც ავტორმა „ცვალებადი ანტაგონიზმის“ პერიოდი უწოდა, მოიცავდა 1953-1969 წლებს. ეს პერიოდი კრიზისებითა და უმაღლესი დონის შეხვედრებით ხასიათდებოდა, შეიძლება ითქვას, რომ მოიცავდა „ცხელ“ და „ცივ“ ელემენტებს. კონფლიქტებმა რიმლენდიდან ახლო აღმოსავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გადაინაცვლეს. ამავე დროს, ერთ-ერთი უმთავრესი კონფრონტაცია ხდება მსოფლიო კუნძულის გარეთ – კუბაში.

მესამე პერიოდი მოიცავს 1969-1979 წლებს. ამ დროს პოლიტიკური კლიმატი აშკარად გათბა. დეტანტის დროს დამკვიდრდა პრობლემების მოლაპარაკების გზით მოგვარების ფორმა. კონფლიქტური სიტუაციები გრძელდება ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ ამას ემატება ახალი უთანხმოებანი აფრიკის სამხრეთსა და ცენტრალურ ამერიკაში.

1979 წლის შემდეგ იწყება ახალი ფაზა, რომელსაც ავტორი „მეორე ცივ ომს" უწოდებს. ამ დროს პოლიტიკური კლიმატი „გაცივებას" იწყებს. მართალია ახლო აღმოსავლეთი რჩება კონფრონტაციის მნიშვნელოვან კერად, მაგრამ სამხრეთ აფრიკა და ცენტრალური ამერიკა ორ ზესახელმწიფოს შორის დაპირისპირებაში სულ უფრო აქტიურ როლს თამაშობს. ამ მომენტისთვის ცივმა ომმა დაკარგა მაკინდერისეული სტრუქტურა და ნიკარაგუიდან ავღანეთამდე გლობალური მასშტაბები შეიძინა.

1985 წლიდან ახალი „დათბობა" დაიწყო. 1992 წელს, როდესაც უკვე აღარ არსებობდა ერთ-ერთი დაპირისპირებული მხარე – სსრკ, ხოლო რუსეთის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად უარჰყო მილიტარისტური საგარეო პოლიტიკა, ითვლება, რომ ცივი ომი დასრულდა.

2.4.3. ახალი გეოპოლიტიკური ტრანზიცია.

მათთვის, ვინც II მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიბადნენ, ცივი ომი ერთგვარ მუდმივ მოვლენად აღიქმება. მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ისინი მხოლოდ აშშ-სა და საბჭოთა კავშირის დაპირისპირებას ხედავდნენ. დეტანტის დროსაც კი ცივი ომი არ ჩამცხრალა. იგი, უბრალოდ, ნაკლებ სახიფათო ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს და რუსეთმა და აშშ-მ მიაღწიეს ბირთვული იარაღის 50 პროცენტით შემცირების შეთანხმებას, ცივი ომის საფუძველი არ აღმოფხვრილა. მართალია ოფიციალურად აღინიშნა, რომ

ცივი ომი დასრულდა, მაგრამ ბირთვული იარაღის დანარჩენი 50 პროცენტი, აგრეთვე მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებები (ქიმიური, ბიოლოგიური იარაღი) ჯერ კიდევ არსებობს და, რაც მთავარია, განაგრძობს არსებობას რუსეთის კონსერვატორული ძალები, რომლებიც ყოველთვის ეცდებიან ძველი დროის დაბრუნებას. და მაინც, დგება ახალი გეოპოლიტიკური ტრანზიციის პერიოდი, როლმელმაც ცივი ომის გეოპოლიტიკური წესრიგი ახალი გაოპოლიტიკური წესრიგით უნდა შეცვალოს. მსოფლიო ახლებურად უნდა მოეწყოს და სამხედრო-პოლიტიკურ დარგში მეტოქეობა ეკონომიკურმა თანამშრომლობამ უნდა შეცვალოს.

პოლიტოლოგები მომავლის პროგნოზირებისას ე.წ. *სცენარების მეთოდს* იყენებენ. ასე მაგალითად ბრანი (Brunn) XXI საუკუნის მსოფლიოს განვითარების ათ სცენარს გვთავაზობს. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე პესიმისტურია, ცივი ომის ყველაზე „ცივ" დაბოლოებას გულისხმობს. მის მიხედვით ბირთვული კონფლიქტის თავიდან აცილება ვერ მოხერხდება, რის გამოც საქმე გვექნება არა გეოპოლიტიკურ ტრანზიციასთან, არამედ *ბიოლოგიურ ტრანზიციასთან*. ბირთული ომის შედეგად homo sapiens შეწყვეტს თავის არსებობას. სამწუხაროდ, მოცემული სცენარის საფუძველი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ არსებობს.

პ.კენედი (P.Kennedy) მარტივ ალტერნატიულ სცენარს გვთავაზობს. ვინაიდან აშშ-მ, როგორც ჰეგემონმა, ამოწურა ძირითადი რესურსები, დგება მისი მემკვიდრის საკითხი, ყველა ეკონომიკური პარამეტრით ასეთი მემკვიდრე იაპონია უნდა იყოს. ავტორს მიაჩნია, რომ დიდმა სახელმწიფოებმა გამალებული შეირაღების შედეგად ამოწურეს საკუთარი ძლიერების რესურსები და დაიწყო მათი ეკონომიკური დაკნინება. ასე დაემართა თავის დროზე ყველა ძლიერ სახელმწიფოს – ჰაბსბურგებიდან

დაწყებული ბრიტანეთის იმპერიით დამთავრებული. შეძლებს აშშ თავიდან აიცილოს ეს პროცესი? ავტორის აზრით, ვერა. იაპონიის პოტენციური ჰეგემონის პოზიციას სწორედ ზედმეტი „სამხედრო ტვირთისგან" თავისუფლება განსაზღვრავს. პ.კენედის აზრით, ჩვენ მოწმენი ვართ ახალი ჰეგემონის ჩამოყალიბებისა. და ბოლოს, კიდევ ერთი თავისებურების შესახებ, რაც იაპონიასთან არის დაკავშირებული. ყოველთვის ისე იყო, რომ ახალი ჰეგემონი თავის წინამორბედთან შედარებით უფრო დიდ სახელმწიფოს წარმოადგენდა. საშუალო ზომის იაპონია ამ მხრივ გამონაკლისი იქნება.

ზესახელმწიფოები, პან-რეგიონები და საფარის კლასები. ამერიკის ჰეგემონიის პერიოდის შეცვლა მრავალპოლარული მეტოქეობის ერით ჯერ კიდევ 1971 წელს აღნიშნა პრეზიდენტმა ნიქსონმა (Nixon). ჩვეულებრივ ხუთ პოლუსს გამოჰყოფენ: აშშ, სსრკ (ამჟამად რუსეთი), დასავლეთ ევროპა, იაპონია და ჩინეთი. მოცემული პოლუსები გაჩნდნენ ჯერ აღმოსავლეთის ბლოკის დაშლის შედეგად, როცა ჩინეთი და სსრკ პოლიტიკურად დასცილდნენ ერთმანეთს, ხოლო შემდეგ დასავლეთის ბლოკის დეზინტეგრაციის გამო – იაპონია და დასავლეთ ევროპა ეკონომიკურად დაუპირისპირდნენ აშშ-ს. აღნიშნული პოლუსები მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ ნახევარს მოიცავენ. რაც შეეხება მეორე ნახევარს, მისი დახასიათებისას განვიხილავთ გალტუნგის (Galtung) მსოფლიოს ტერიტორიული ორგანიზაციის ცნობილ მოდელს.

ნახ.5-ა წარმოდგენილია გალტუნგის მოდელის გამარტივებული ვერსია, რომელზეც მსოფლიო ათ ზესახელმწიფოდ არის დაყოფილი. მოდელში დაცულია დაახლოებითი გეოგრაფიული თანამიმდევრობა და, რაც მთავარია, ასახულია აღმოსავლეთ-დასავლეთის და ჩრდილოეთ-სამხრეთის პოლიტიკური კონფლიქტები. საწყის ხუთ პოლუსს დამატებული

აქვს სამხრეთის ხუთი რეგიონი. ზესახელმწიფოების სრული სია შემდეგნაირად გამოიყურება: აშშ და კანადა, ევროპის თანამეგობრობა და დანარჩენი დასავლეთი ევროპა, საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ ევროპა, იაპონია, აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, ჩინეთი, ინდოეთი და დანარჩენი სამხრეთი აზია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია და ოკეანეთი, ლათინური ამერიკა. მოცემული პოტენციური ზესახელმწიფოები პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის სხვადასხვა დონის გაერთიანებებს წარმოადგენენ.* უკანასკნელ წლებში აღნიშნულ რეგიონებში შეინიშნებოდა ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის ტენდენციის ზრდა: აშშ და კანადა ერთიანდებიან საავჭრო კავშირში; ევროპის თანამეგობრობამ თითქმის მთელი დასავლეთ ევროპა მოიცვა; იაპონია ეროვნულ სახელმწიფოს წარმოადგენს; აფრიკაში მოქმედებს აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია; ახლო აღმოსავლეთს გააჩნია არაბთა ლიგა და, ამავე დროს, OPEC-ის ბირთვს წარმოადგენს; სამხრეთ აზიაში მოქმედებს სამხრეთ აზიის რეგიონალური თანამშრომლობის ასოციაცია (SAARC), ჩინეთი ეროვნული სახელმწიფოა; სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ფუნქციონირებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (ASEAN), და ბოლოს, არსებობს ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (LAFTA). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ორგანიზაციები განსხვავებული წარმატებით ასერხებენ ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების მოპოვებას, თითოეულის არსებობა ასახავს მსოფლიო არენაზე დიდი პოლიტიკური სუბიექტების გამოსვლის ტენდენციას. გალტუნგი რამდენიმე ალტერნატიულ გეოპოლიტიკურ სცენარს გვთავაზობს. ერთი მათგანის მიხედვით ზემოთმოყვანილ ათ ზესახელმწიფოს შორის მეტოქეობა მომავალშიც გაგრძელდება. ადგილი ექნება

* აქაც და შემდეგაც გასაგები მიზეზების გამო არ არის გათვალისწინებული აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში წარმართული პოლიტიკური პროცესები

ურთიერთშორის მუდმივ „საავჭრო ომებს", რადგანაც ჭოველი მათგანი გარკვეული ეკონომიკური უპირატესობის მიღწევას ეცდება. ამ მეტოქეობაში იდეოლოგიურ განსხვავებებს მნიშვნელობა არა აქვს და ცივი ომისთვის დამახასიათებელი დაპირისპირებული ბლოკები შეწყვეტენ არსებობას.

მეორე სცენარის მიხედვით ზესახელმწიფოები *ავტარქიის* გზით განვითარებას შეეცდებიან. შედეგად პან-რეგიონების ჩამოყალიბებას მივიღებთ. აღნიშნულ პან-რეგიონებში ჩრდილოეთის ზესახელმწიფოები და სამხრეთის მეზობლები გაერთიანდებიან (ნახ.5-ბ). ვინაიდან მხოლოდ ოთხი ჩრდილოელი ზესახელმწიფო არსებობს, პან-რეგიონთა რიცხვიც ოთხია, რომელთა შემადგენლობაში ინდოეთი და ჩინეთი შეიძლება შევიდნენ, შეიძლება არა.

მესამე სცენარში გალტუნგი ჩრდილოეთსა და სამხრეთს უპირისპირებს ერთმანეთს (ნახ. 5-გ). იგი მათ „სამყაროს კლასებს" უწოდებს. აღნიშნული მოდელი „მესამე სამყაროს" პოზიციებიდან დანახული მსოფლიოა, რომელიც წარსულში ჩინეთის საკმაოდ პრეტენზიული პოლიტიკით იყო წარმოდგენილი. ჩინეთი „მესამე სამყაროს" ლიდერობას იჩემებდა და მოუწოდებდა განვითარებად ქვეყნებს წინ აღდგომოდნენ აშშ-ს და საბჭოთა კავშირის ძლიერებას.

იდეოლოგიური გარდატეხა. ვალერსტაინი სრლიად განსხვავებულ სცენარს გვთავაზობს. ვინაიდან აშშ-ს ეკონომიკის შედარებითი დაკნინება XX საუკუნის ძირითად სიახლეს (ცვლილებას) წარმოადგენს, საჭიროა ამ ცვლილების შესაბამისი გეოპოლიტიკური ტრანზიციის განჭვრეტა. ბოლო დრომდე ეკონომიკური ფაქტორი მხოლოდ განიარაღების შესახებ მოლაპარაკებათა ინტენსიფიკაციაზე ახდენდა გავლენას. ვალერსტაინის აზრით, მოსალოდნელია ბევრად უფრო ფუნდამენტალური ცვლილებები, რამაც ახალი გეოპოლიტიკური

წესრიგი უნდა განაპირობოს. დავუბრუნდეთ 1962 წლის ჩინეთ-საბჭოთა კავშირის უთანხმოებას. აღნიშნულმა იდეოლოგიურმა უთანხმოებამ კომუნისტური ბლოკის გახლეჩა გამოიწვია. ისმის კითხვა: იგივე ხომ არ მოელის კაპიტალისტურ ბლოკს? თუკი ასე მოხდა, მაშინ შეიქმნება სიტუაცია, როცა „დიდი ევროპა დაუპირისპირდება „წყნარი ოკეანის რკალის" ქვეყნებს (ნახ.5-დ).

პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით იყო 1970-იანი წლების დეტანტის დროს აშშ-ჩინეთის დაახლოება. თუმცა ამგვარი ქმედება ცივი ომის ლოგიკით იყო განპირობებული, ეს მაინც „ორ საფყაროს" შორის პოლიტიკურ შეთანხმებას წარმოადგენდა. შემდგომი ნაბიჯი იაპონიასთან დაახლოება უნდა იყოს. თუ მოხერხდა სავაჭრო ომების თავიდან აცილება, ეს საშუალებას მისცემს იაპონიასა და აშშ-ს უკონკურენციოდ იბატონონ მსოფლიო ეკონომიკის წამყვან დარგებში. ვალერსტაინი აღნიშნული გლობალური თანამშრომლობის ნიშნად „ტოიოტასა" და „ჯენერალ მოტორს" შორის უკვე არსებულ კოოპერაციას მიიჩნევს. ყოველივე აღნიშნულის შედეგად შეიძლება ჩამოყალიბდეს მძლავრი ბლოკი, რომელიც ჩინეთის, იაპონიისა და აშშ-ს პოტენციალზე იქნებოდა დაფუძნებული.

როგორი იქნება ევროპის რეაქცია? თუმცა ზესახელმწიფოები არსებითად არაევროპული ქვეყნები არიან, ევროპა ცივი ომის გეოპოლიტიკური წესრიგის ცენტრში მდებარეობს. „წყნარი ოკეანის სარტყლის" ბლოკი ევროპას ცენტრიდან პერიფერიაზე ადგილის მიჩენით ემუქრება. დასავლეთ ევროპას სამაგიეროს გადახდა საბჭოთა ბლოკთან დაახლოებით შეუძლია. დასავლეთი და აღმოსავლეთი ევროპის შეერთებით წარმოიქმნება დიდი ევროპის ბლოკი, რომელიც თავის ორბიტაში ჩართავს აფრიკას, ახლო აღმოსავლეთსა და ინდოეთს. მივიღებთ ახალ ბიპოლარულ მსოფლიოს, რომლის ძირითადი თავისებურება იქნება ის, რომ მისი იდეოლოგიური სტრუქტურა ცივი ომის



USA – აშშ
EC – ევროპა
SU – საბჭოთა კავშირი
LA – ლათინური ამერიკა
AF – აფრიკა
JAP – იაპონია
SEA – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია
CH – ჩინეთი
IND – ინდოეთი
ME – ხმელთაშუაზღვისპირეთი

ნახ.5. ალტერნატიული გეოპოლიტიკური სცენარები

იდეოლოგიურ სტრუქტურას რადიკალურად არ შეესაბამება. ორივე მხარე წარმოდგენილი იქნება კომუნისტური და კაპიტალისტური ქვეყნებით. ამდენად, დღევანდელი გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ვალერსტაინის სცენარი იდეოლოგიური აბსურდია. მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნებისმიერი გეოპოლიტიკური ტრანზიცია თავდაპირველად აბსურდულობის ელემენტს შეიცავს. შემდეგ კი აბსურდი თანადთანობით რეალობა ხდება.

2.5. გეოპოლიტიკური კოდები

წინა პარაგრაფში უკვე განვსაზღვრეთ გეოპოლიტიკური კოდის ცნება, როგორც ქვეყნის საგარეო პოლიტიკისთვის საჭირო სტრატეგიულ ვარაუდთა სისტემა. ზოგჯერ გეოპოლიტიკურ კოდებს *„იმიჯ-გეგმებსაც“* (image-plans) უწოდებენ. ამგვარი კოდები გულისხმობენ ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებულ ტერიტორიათა შეფასებას სტრატეგიული მნიშვნელობის ან პოტენციური საშიშროების თვალსაზრისით. გეოპოლიტიკური კოდები ყოველი ცალკეული ქვეყნის მიერ მსოფლიოს ხედვას გულისხმობს. ამდენად, გეოპოლიტიკური კოდი მსოფლიოს ცალმხრივ და ტენდენციურ სურათს იძლევა. მიუხედავად ამისა, გეოპოლიტიკური კოდები მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგის მნიშვნელოვანი ელემენტია და, ამდენად, საინტერესოა მათი გაცნობა.

არსებობს სამი დონის გეოპოლიტიკური კოდი – *ლოკალური, რეგიონალური* და *გლობალური*. ლოკალური კოდი მოსაზღვრე ქვეყნების შეფასებას გულისხმობს. ნებისმიერ ქვეყანას, რაც არ უნდა პატარა იყოს იგი, უნდა ჰქონდეს ასეთი კოდი. რეგიონალური კოდები ისეთ ქვეყნებს გააჩნიათ, რომელთა გავლენის (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვ.) ველი სცილდება მეზობელ ქვეყნებს. არსებულ და პოტენციური რეგიონალური მნიშვნელობის ქვეყნებს სჭირდებათ ამგვარი კოდების შემუშავება.

და ბოლოს, სულ რამოდენიმე ქვეყანა აწარმოებს გლობალურ პოლიტიკას და, ამიტომ, მხოლოდ მათ მთავრობებს უნდა ჰქონდეთ გლობალური გეოპოლიტიკური კოდები. აქედან გამომდინარე, ყველა ქვეყანას გააჩნია ლოკალური კოდები, ბევრს რეგიონალური და რამოდენიმეს - გლობალური გეოპოლიტიკური კოდები.

მოვიყვანოთ რამოდენიმე მარტივი მაგალითი. ბარტლეტის (Bartlet) თქმით, I მსოფლიო ომის დროს გერმანიისთვის ომი წარმოადგენდა საფრანგეთისაგან თავდაცვის, რუსეთისაგან საფრთხის თავიდან აცილების და ბრიტანეთთან მსოფლიო ბატონობისთვის ბრძოლის საშუალებას; ზოგჯერ რეგიონალური და ლოკალური კოდები წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან. ამის მაგალითია საბერძნეთსა და თურქეთს შორის ტრადიციული კონფლიქტი საკამათო ტერიტორიების ირგვლივ, არადა, ორივე ქვეყანა ნატო-ს (NATO) წევრია და საერთო რეგიონული ინტერესები გააჩნიათ. ფაქტიურად, ხელშეკრულებები მაჩვენებელია იმისა, რომ ქვეყნებს რეგიონალური კოდები გააჩნიათ. მას შემდეგ, რაც ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ მოინდომეს ბრიტანეთის გლობალური ინტერესებიდან გამოსვლა და საკუთარი რეგიონალური კოდის შექმნა, მათ აშშ-სთან ერთად შექმნეს რეგიონალური სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია ანზიუსი (ANZUS). მართალია ორივე მსოფლიო ომის დროს ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის არმიები იბრძოდნენ ევროპაში, დღეს ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგანაც ევროპა მათი გეოპოლიტიკური კოდის მიღმა მდებარეობს.

ქვემოთ განვიხილავთ გლობალურ გეოპოლიტიკურ კოდებს. თუმცა, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ სხვა დონის კოდები ნაკლებ მნიშვნელოვანია. პირიქით, სპეციალისტთა აზრით, ომების უმრავლესობა ორ მეზობელ ქვეყანას შორის ლოკალურ კოდთა შეუთავსებლობით არის გამოწვეული. ამდენად, ლოკალურ

გეოპოლიტიკურ კოდთა მიმოხილვა უდავოდ საინტერესო იქნებოდა, მაგრამ კონსპექტის შეზღუდული მოცულობის გამო მხოლოდ გლობალური კოდების კლასიკური მაგალითების განხილვით შემოვიფარგლებით. რაც შეეხება გეოპოლიტიკური კოდების ლოკალურ და რეგიონალურ დონეებს, მათ საქართველოს გეოპოლიტიკური ორიენტაციის საკითხების განხილვისას შეეხებით.

2.5.1. შეჩერების პოლიტიკა: აშშ-ს ჰეგემონიის გეოპოლიტიკური კოდები.

II მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის აშშ-ს საგარეო პოლიტიკა ხშირად შეჩერების პოლიტიკის სახელით არის ცნობილი, რაც კომუნისტური ექსპანსიონიზმისაგან თავდაცვას გულისხმობდა. წინა პარაგრაფში აშშ-ს გეოპოლიტიკაზე საუბრისას ჩვენ ზოგადად შევეხეთ შეჩერების პოლიტიკას. ეხლა, როცა ოპერატიულ გეოპოლიტიკურ კოდებს ვიხილავთ, საჭიროა კვლავ დავუბრუნდეთ მას. აქვე უნდა ითქვას, რომ შეჩერების პოლიტიკა მთელი ამ ხნის განმავლობაში გარკვეულ შინაარსობრივ ცვლილებებს განიცდიდა. შეჩერების პოლიტიკის კოდი განცალკევებული სახით არ არსებობს. უფრო მართებულია, თუ ვიტყვით, რომ არსებობს გეოპოლიტიკურ კოდთა სისტემა, რომელსაც საერთო სახელი –„შეჩერების პოლიტიკა" შეიძლება ეწოდოს. აღნიშნული სისტემა ერთმანეთისგან განსხვავებული კოდებისაგან შედგება. თავდაპირველად განვიხილოთ ჯ.კენანის (G.Kennan) ორიგინალური ფორმულირება აღნიშნული პოლიტიკის, როგორც გეოპოლიტიკური კოდისა და შემდეგ თვალი გავადევნოთ მის სახეცვლილებას 1950 წლიდან მოყოლებული დღემდე.

ჯ.კენანის გეოპოლიტიკური კოდი პირველ რიგში განხილული უნდა იქნას როგორც II მსოფლიო ომის პერიოდის აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში იდეალისტური საწყისის წინააღმდეგ რეაქცია.

კენანი კატეგორიული წინააღმდეგი იყო მსგავსი აზროვნების წესის, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან მიმართებაში, რომლის ექსპერტიც თვითონ იყო. 1945 წელს აშშ „ერთიანი მსოფლიოს" პოლიტიკას ატარებდა, რომლის მიზანი იყო საბჭოთა კავშირის პარტნიორად ჩართვა ახალ მსოფლიო წესრიგში. „შეჩერება ინტეგრაციის გზით" თავიდანვე განწირული იყო, ვინაიდან საბჭოთა კავშირი სრულიად საწინააღმდეგო პოლიტიკურ კურსს ატარებდა. ამის შესახებ კენანმა მოსკოვიდან (იგი მაშინ აშშ-ს ელჩის მოვალეობას ასრულებდა) ცნობილი „გრძელი ტელეგრამით" შეატყობინა ამერიკის მთავრობას და სცადა აეხსნა, თუ რატომ არ იყო მსგავსი ინტეგრაცია შესაძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტელეგრამა „კარგად იქნა მიღებული", ამას არ მოჰყოლია სასწრაფო სათანადო ცვლილებები აშშ-ს პოლიტიკაში. მხოლოდ ორი წლის შემდეგ პრეზიდენტ ტრუმენის 1947 წლის მარტის ცნობილ დეკლარაციაში გამოიკვეთა საბჭოთა კავშირისადმი „მკაცრი" პოლიტიკის კონტურები. ამ პერიოდიდან იწყება შეჩერების პოლიტიკური კურსის გატარება. აქვე უნდა ითქვას, რომ გარკვეული კატალიზატორის როლი ბრიტანეთის მიერ საბერძნეთიდან და თურქეთიდან ჯარების გამოყვანის შესახებ გადაწყვეტილებამ ითამაშა.

1947 წელს სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ მარშალმა (George Marshall) კენანი სახელმწიფო მრჩეველად მიიწვია. ამ დროისთვის კენანმა ჟურნალ Foreign Affairs-ში გამოაქვეყნა ცნობილი სტატია „Mr.X" ფსევდონიმით. სტატიაში გაანალიზებული იყო საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ კენანი როგორც სახელმწიფო მუშაკი ცდილობდა ანონიმური დარჩენილიყო, მალე გაირკვა „Mr.X" ნამდვილი ვინაობა. აღნიშნული სტატია იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მასში პირველად იქნა წარმოდგენილი შეჩერების პოლიტიკის ძირითადი არსი, რომელიც შემდგომ ცივი

ომის ახალ პირობებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო პოლიტიკას დაედო საფუძვლად.

კენანის ძირითადი თეზისი მდგომარეობდა იმაში, რომ მსოფლიოს ყველა ნაწილი ერთნაირად სასიცოცხლო მნიშვნელობისა არ იყო აშშ-ს უსაფრთხოებისათვის. მისი ამოცანა იყო გამოეყო ამერიკის უსაფრთხოებისთვის მსოფლიოს მნიშვნელოვანი რაიონები და მათი რანჟირება მოეხდინა. თავდაპირველად მან სამი ვრცელი ზონა გამოყო: ა) ტრანსატლანტიკური ზონა კანადიდან დასავლეთ ევროპის ჩათვლით, ბ) ხმელთაშუაზღვის აუზი და ახლო აღმოსავლეთი ირანის ჩათვლით და გ) წყნარი ოკეანის დასავლეთი სანაპირო ზოლი იაპონიისა და ფილიპინების ჩათვლით. შემდგომში მან სრულჰყო თავისი თეორია და გამოჰყო ოთხი სასიცოცხლო მნიშვნელობის სტრატეგიული ცენტრი. აღნიშნული ცენტრების გამოყოფის ძირითად კრიტერიუმად მან ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ თანამედროვე ომის წარმოებისთვის საჭირო სათანადო სამრეწველო პოტენციალის არსებობა მიიჩნია. აღნიშნული ნიშნით მან ასეთ ცენტრებად ბრიტანეთი, გერმანია, იაპონია და საბჭოთა კავშირი გამოჰყო. აღნიშნული ცენტრები ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად შეადგენს ხუთი სტრატეგიული ცენტრისგან შემდგარ თანამედროვე მსოფლიოს კენანისეულ მოდელს. 1947 წელს აღნიშნული ცენტრებიდან მხოლოდ ერთი, საბჭოთა კავშირი, იყო ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო დაპირისპირებაში. ამერიკის შეერთებული შტატების ამოცანას წარმოადგენდა აღნიშნული სამხედრო დაპირისპირების შეზღუდვა და იმის უზრუნველყოფა, რომ აღნიშნული დაპირისპირება არ გადაზრდილიყო მსოფლიო ომში. მოცემული მიზნის მიღწევის საშუალებად კენანს ტრადიციული ძალთა ბალანსის სტრატეგია მიაჩნდა. ეს ნიშნავდა, რომ სტრატეგიული ვაკუუმი, რომელიც შეიქმნა გერმანიაში და იაპონიაში, უნდა შევსებულიყო. სხვა

სიტყვებით, საჭირო იყო აღნიშნული ქვეყნების დამეგობრება და ბრიტანეთივით მოკავშირედ ქცევა.

მას შემდეგ, რაც ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის სტრატეგიული ვაკუუმები შევსებული იქნებოდა, კენანს აღარ მიაჩნდა აუცილებლად ამ და სხვა ნებისმიერი ქვეყნის შინაგან საქმეებში შემდგომი ჩარევა. ყოველივე ეს წარმოადგენდა *ძალთა ბალანსის პოლიტიკის* კლასიკურ ჰეგემონურ მოდელს, რომლის მიხედვითაც ამერიკის შეერთებული შტატების როლი მდგომარეობდა მისი უშიშროებისადმი საფრთხის მქონე სამხედრო ალიანსების წარმოქმნის ხელის შეშლაში და ყოველივე ამის დიპლომატიური ხერხებით მიღწევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა მიმართული უნდა ყოფილიყო მეგობრული სახელმწიფოების ეკონომიკურ და არა სამხედრო დახმარებისკენ. კენანი ენერგიულად უჭერდა მხარს დასავლეთ ევროპისთვის დახმარების გაწევას ცნობილი *მარშალის გეგმის* (Marshall Plan) მიხედვით.

საბჭოთა კავშირის მხრიდან საფრთხე უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა ვიდრე სამხედროს. მარშალის გეგმის მთავარი მიზანი ევროპის ეკონომიკური კატარსტროფისაგან აცილება იყო, რითაც საბოლოო ჯამში მხოლოდ საბჭოთა კავშირი მოიგებდა პოლიტიკური თვალსაზრისით. კენანი საბჭოთა კავშირისაგან საფრთხეს „ფსიქოლოგიურს" უწოდებდა, რადგანაც მისი (საფრთხის) საბოლოო მიზანი იყო „დემოკრატიათა დემორალიზება". აქ უნდა აღინიშნოს მოცემული კოდის განხორციელების ერთი მნიშვნელოვანი სიძნელე. დემორალიზაციას ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ხუთი სტრატეგიული ცენტრის ფარგლებს მიღმა იმ შემთხვევაში, თუკი კომუნისტური ძალები შეეცდებიან მეზობელი ქვეყნების კონტროლის ქვეშ მოქცევას. აღნიშნულიდან გამომდინარე,

კენანმა გამოჰყო ხუთი სტრატეგიული ცენტრის გარშემო მნიშვნელოვანი, მაგრამ არასასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე არაინდუსტრიული ტერიტორიები. აღნიშნული ზონები დაცული უნდა ყოფილიყვნენ, ვინაიდან მათ დაპყრობას კომუნისტური ძალების მიერ შეიძლება გავლენა მოეხდინა მეზობელ სტრატეგიულ ცენტრებზე. აღვნიშნოთ, რომ აქ იღებს სათავეს ცნობილი დომინოს თეორია. აღნიშნული მიზეზის გამო კენანმა მხარი დაუჭირა პრეზიდენტ ტრუმენის პოზიციას დახმარება აღმოეჩინა საბერძნეთისა და თურქეთისათვის. მაგრამ აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა კენანის მოსაზრებას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ანტიკომუნისტური ომების მხარდაჭერის შესახებ. მაგალითად, იგი წინააღმდეგი იყო ჩინეთში ინტერვენციისა.

ზემოთმოყვანილი გეოპოლიტიკური კოდი თავისი არსით წმინდა ჰეგემონურია და შეიძლება შედარდეს საუკუნისწინანდელ ბრიტანეთის პოლიტიკას. მათ შორის სამი ძირითადი მსგავსებაა: ძლიერი დაპირისპირებული სამხედრო ალიანსის წარმოქმნის პროფილაქტიკისკენ მიმართული ძალთა ბალანსის სტრატეგიის განხორციელება დიპლომატიური ხერხებით; ფართომასშტაბიან სამხედრო კონფლიქტებში და სახმელეთო ომებში არ მონაწილეობა და ჩაურევლობა; ძალთა ბალანსის შენარჩუნების მიზნით საკვანძო მნიშვნელობის ზონებში შეზღუდული ინტერვენციისთვის მზადყოფნა. განსხვავებით ბრიტანეთის ჰეგემონური კოდისაგან, რომელმაც ნახევარი საუკუნე გასტანა, ამერიკის შეერთებული შტატების შეზღუდული შეჩერების კოდმა მხოლოდ ორი წელიწადი იარსება. იგი გარკვეული გაგებით ცივი ომის მსხვერპლი აღმოჩნდა და ადგილი დაუთმო შემდგომი წლების უფრო დახვეწილ და მოქნილ პოლიტიკურ კურსს.

კენანის შეჩერების პოლიტიკის კოდი პირველი იყო მსგავსი კოდების სისტემაში. სპეციალისტები 1949 წლიდან 1979 წლამდე

ოთხ განსხვავებულ გეოპოლიტიკურ კოდს გამოპყოფენ შეჩერების პოლიტიკის კოდების სისტემაში. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამ კოდის მსგავსება მდგომარეობდა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის დაპირისპირებულობის კონსტატაციაში, მათ შორის არსებობდა განსხვავება კონფლიქტების წარმოშობის მექანიზმის ახსნასა და შესაბამისი პოლიტიკური რეცეპტების მიღებაში. კენანის ძალთა ბალანსის მოდელისაგან ისინი გეოპოლიტიკურად ორ ასპექტში განსხვავდებოდნენ: ნაცვლად მტრის იზოლაციისა ისინი მიიჩნევდნენ, რომ საჭირო იყო მისი ან გარშემორტყმა ან განდევნა.

1949 წლის შემდეგ მსოფლიო მოვლენების ეპიცენტრმა ევროპიდან აზიაში გადაინაცვლა. კენანის შეჩერების პოლიტიკის კოდმა, როგორც აღმოჩნდა, ვერ გაითვალისწინა ჩინეთის „დაცემა" და კორეის ომი. ყოველივე ამან საჭირო გახადა უსაფრთხოების პოლიტიკის თავიდან გააზრება, რის საფუძველზეც შეიქმნა ცნობილი დოკუმენტი NSC-68 ამ დოკუმენტის ძირითადი არსი განსხვავებით კენანის დოქტრინისაგან მდგომარეობდა იმაში, რომ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესთა განსხვავებული შელახვის შემთხვევაში მიღებული ყოფილიყო სტანდარტული (ერთგვაროვანი) ზომები. უფრო მეტიც, რადგანაც საბჭოთა კავშირისგან მომდინარე საფრთხე პრაქტიკულად გლობალური მასშტაბისა იყო, მოცემული დოკუმენტის მიხედვით ასეთივე გლობალური უნდა ყოფილიყო ამერიკის შეერთებული შტატების რეაქცია. NSC-68 საფუძველზე შემუშავებული იქნა მტრის გარშემორტყმის ყოვლისმომცველი სტრატეგიული მოდელი. გეოპოლიტიკური მიზანი ნათელი იყო: აღნიშნული დოკუმენტი გვთავაზობდა მტრისგან მომდინარე საფრთხის შეჩერებას მთელს პერიმეტრზე, რომლის ყოველი მონაკვეთი თანაბარი მნიშვნელობისა იყო. ნაცვლად შერჩევითი სტრატეგიული

წერტილების დაცვისა, NSC-68 მიხედვით საჭირო იყო ყველა წერტილის ერთნაირად დაცვა, რადგანაც „ნებისმიერი წერტილის „დაცემა" გამოიწვევს მთელი თავდაცვითი სისტემის „დაცემას".

პერიმეტრალური თავდაცვის სისტემა მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ ერთ მესამედს იცავდა კომუნიზმისაგან. 1950-იანი წლების ანტიკომუნისტური ისტერიის ფონზე აღნიშნული სისტემა მემარჯვენე პოლიტიკოსებისათვის სრულიად მიუღებელი იყო. ისინი მოითხოვდნენ უფრო გაბედულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისაგან დამატებითი ინიციატივების გამოჩენას გულისხმობდა. პოლიტიკურ ლექსიკონში *„თავის ადგილზე დაყენების"* („roll-back") ცნება დამკვიდრდა. ახალმა რესპუბლიკურმა ადმინისტრაციამ, რომელიც 1953 წელს მოვიდა ხელისუფლების სათავეში, მკაცრად გააკრიტიკა წინამორბედი დემოკრატიული მთავრობა მილიონობით ხალხის კომუნისტური საფრთხის წინაშე დატოვებისათვის. ახალი სახელმწიფო მდივნის ჯონ ფოსტერ დალესის (John Foster Dulles) მიერ შემუშავებულ იქნა ახალი საგარეო პოლიტიკური დოქტრინა *„ახალი ხედვის"* სახელწოდებით. ეს დოქტრინა სრულიად განსხვავებულ გეოპოლიტიკურ კოდს შეიცავდა. საბჭოთა კავშირის საფრთხე ინტერპრეტირებული იყო როგორც გლობალური მნიშვნელობის კომუნისტური საშიშროება. თუკი კენანი კომუნისტურ იდეოლოგიას საბჭოთა სახელმწიფოს მიერ პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტად განიხილავდა, დალესი თვით საბჭოთა სახელმწიფოს განიხილავდა კომუნისტური მოძრაობის ინსტრუმენტად. ეს რადიკალურად ცვლიდა ორ დაპირისპირებულ ზესახელმწიფოს შორის ურთიერთობათა ბუნებას. ბირთვული შურისძიების მუქარა კომუნიზმის შეჩერების ძირითად საშუალებად იქნა აღიარებული. მოცემული იდეოლოგიის გეოპოლიტიკური განხორციელების ძირითადი არსი მდგომარეობდა სახელმწიფო მდივნის ძმის ალენ

დალესის (Allen Dulles) მიერ მართული ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საშუალებით შენიღბული დაზვერვითი ოპერაციების გლობალური მასშტაბით გაფართოებაში. ყოველივე ეს სხვასთან ერთად გულისხმობდა სხვა სახელმწიფოების შინაგან საქმეებში ჩარევასაც. აღნიშნული საქმიანობის დღეს უკვე ცნობილი შედეგების მაგალითად გამოდგება 1953 წელს ირანში და 1954 წელს გვატემალაში სახელმწიფო გადატრიალებები, არამეგობრულად განწყობილ პოლიტიკურ ლიდერებზე თავდასხმის ორგანიზაცია (ჯოუ ენ-ლაი, ფიდელ კასტრო), ნახევრად სამხედრო ოპერაციები ჩინეთისა და ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე და აღმოსავლეთ ევროპაში პროვოკატორების შეგზავნა დესტაბილიზაციის მოწყობის მიზნით.

1960 წელს ჯონ კენედის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ძალთა ბალანსის კონცეფციისკენ დაბრუნების პირველი ნიშნები გამოჩნდა. ახალ დოქტრინას „მოქნილი რეაგირება" უწოდეს. მაგრამ ცნობილი სოციოლოგისა და ეკონომისტის უოლტერ როსტოუს (Walter Rostow) მეცადინეობით კვლავ დადგა დღის წესრიგში კომუნიზმსა და კაპიტალიზმს შორის მეტოქეობის საკითხი ამჟამად როგორც მესამე სამყაროს ქვეყნებისთვის განვითარების ალტერნატიული მიზნების სახით. მოცემულ კონტექსტში ჩაისახა და განვითარდა შეჩერების პოლიტიკის ახალი ვერსია, რომელიც უფრო ფართო იყო კონცეფტუალური და მსოფმხედველობრივი თვალსაზრისით, ვიდრე კენედისეული „მოქნილი რეაგირება". ვიეტნამის ომი ამ ახალი შეჩერების პოლიტიკის რეალური განხორციელების სიმბოლოს წარმოადგენდა. მაგრამ ამ ომში ამერიკის შეერთებული შტატების მორალური მარცხის შემდეგ სახელმწიფოს პოლიტიკური მრჩევლები იძულებული იყვნენ უარი ეთქვათ თავიანთ შეხედულებებზე და დაბრუნებოდნენ კენანის გეოპოლიტიკურ კოდს. 1969 წლიდან ნიქსონის ადმინისტრაციის მთავარ

პოლიტიკურ მრჩეველს ჰენრი კისინჯერი (Henry Kissinger) წარმოადგენდა. იგი განათლებით ისტორიკოსი იყო და ევროპის ძალისმიერი პოლიტიკის საკითხებს იკვლევდა ჰარვარდის უნივერსიტეტში. მას კარგად ესმოდა კენანის ძალთა ბალანსის თეორიის უპირატესობები. მისი აზრით კენედისა და ჯონსონის დროინდელი პოლიტიკის მკეთებელი სახელმწიფო მოღვაწეები ზედაპირული აზროვნებით ხასიათდებოდნენ და უფრო მეტად პოლიტიკურ პროცესებზე აკეთებდნენ აქცენტს, ვიდრე თვით ამ პროცესების შედეგებზე. კისინჯერმა ამერიკის საგარეო პოლიტიკას გეოპოლიტიკის ელემენტი შემატა. კომუნიზმის წინააღმდეგ გამართული იდეოლოგიური ბრძოლა უფრო პრაგმატული ძალისმიერი პოლიტიკური ქმედებებით შეიცვალა. ამგვარი მიდგომის ძირითადი შინაარსი მდგომარეობდა იმაში, რომ „საერთო გეოპოლიტიკური ინტერესები" უფრო ფართოა-და ნებისმიერ იდეოლოგიას მოიცავს. აქედან გამომდინარე კომუნიზმი აღარ აღიქმება როგორც მონოლითური საფრთხე. შესაძლებელი ხდება მისი დაქუცმაცება. 1948 წელს იუგოსლავიის საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ მყოფი ბლოკიდან გამოსვლა ამის მკაფიო მაგალითია. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის დაახლოება, რომელიც ისევ და ისევ საბჭოთა კავშირის ხარჯზე მოხდა. ამით შეჩერების პოლიტიკამ კენანიდან კისინჯერამდე თითქოს სრული წრე გააკეთა და დაუბრუნდა ძველ მიდგომებსა და მეთოდებს. ფაქტობრივად ნიქსონის მრავალპოლარული მსოფლიო, რომელიც აშშ-ის, საბჭოთა კავშირის, დასავლეთ ევროპის, ჩინეთისა და იაპონიისაგან შედგება, კენანის ხუთ სტრატეგიულ ცენტრიან მოდელს იმეორებს. ყოველივე ამის შედეგი ცივი ომის *დეტანტის* ფაზა გახდა.

კისინჯერის პრაგმატული ძალისმიერი პოლიტიკა კლასიკურ რეალისტურ ტრადიციებს ემყარება და ამდენად გარკვეულწილად არაზნეობრივიც არის. ეს მკაფიოდ გამოვლინდა მესამე სამყა-

როსთან ახალ ურთიერთობებში. კისინჯერის აზრით მიამიტობაა იმის ფიქრი, რომ მესამე სამყაროში ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ავტომატურად გააუმჯობესებს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას საბჭოთა კავშირთან მეტოქეობაში. მისი აზრით შემოსავლების ზრდა აუცილებლად გამოიწვევდა განვითარებული ქვეყნების მიმართ მოთხოვნების ზრდას, აგრეთვე გარკვეულწილად დასაბამი შეიძლებოდა მისცემოდა დესტაბილიზაციასა და მეტ რადიკალიზმს. ვინაიდან ძალისმიერი პოლიტიკა გარკვეული გაგებით ეგოისტურია და ეროვნული ინტერესების პრიმატს გულისხმობს, ამას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა მესამე სამყაროს ქვეყნების სრული იგნორირება ერთი გამონაკლისის გარდა. გამონაკლისს ადგილი ექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამ ქვეყნებში ამერიკის ინტერესებს საფრთხე დაემუქრებოდა. კლასიკურ მაგალითად გამოდგება ჩილეში 1971 წელს დემოკრატიული არჩევნების შედეგად პრეზიდენტად სოციალისტ სალვადორ ალიენდეს (Salvador Allende) მოსვლა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მაშინვე მიიღეს ზომები და დაიწყეს ფარული ღონისძიების გატარება, რათა გამოეწვიათ ქვეყანაში დესტაბილიზაცია და საბოლოო ჯამში დაემხოთ არასასურველი რეჟიმი. ამ საქმეში მათ წარმატებას მიაღწიეს – სალვადორ ალიენდეს განადგურებით თავიდან მოიცილეს მისი მთავრობა. როგორც ამბობენ კისინჯერს უთქვამს: „რა საჭიროა ქვეყანა განვითარდეს მარქსიზმის მოძღვრების საფუძველზე მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მოსახლეობა უპასუხისმგებლოა“.

1980-იან წლებში თითქმის განმეორდა 1949-79 წლებში შეჩერების პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტის თანმიმდევრობა. გაჩნდა ახალი იდეოლოგიური ტერმინი „ბოროტების იმპერია“ და ეგრეთწოდებული ადგილზე დაყენების (roll-back) საკითხი ისევ დადგა დღის წესრიგში. ახალი დოქტრინის ავტორი ამჯერად პრეზიდენტი რეიგანი იყო. აღნიშნული დოქტრინა გულისხმობდა

უკომპრომისო ბრძოლას კომუნისტური რეჟიმების წინააღმდეგ სამ კონტინენტზე, განსაკუთრებით ანგოლაში, აღმოსავლეთსა და ცენტრალურ ამერიკაში. ეს უკანასკნელი სტრატეგიულად უფრო დიდი მნიშვნელობის რეგიონს წარმოადგენდა.

1980-იანი წლების ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატების შეჩერების პოლიტიკის გეოპოლიტიკურმა კოდებმა კვლავ გააკეთეს ერთი სრული წრე, რასაც შედეგად საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების გაუმჯობესება მოჰყვა. ეს მეორე დეტანტი რა თქმა უნდა ცივი ომის მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგის ფარგლებში მოხდა. ძალისმიერი პოლიტიკა კიდევ უფრო მეტად იქნა კონცენტრირებული ზესახელმწიფოებს შორის ურთიერთობაზე, რაც მათ შორის განიარაღების შესახებ ინტენსიურ მოლაპარაკებებში გამოიხატა. ყოველივე ეს ნაკლებად შეეხო საშუალო და მცირე ქვეყნებს, რის მაგალითადაც გამოდგება ნიკარაგუაში სამოქალაქო ომი, და რომლის მიზანი იყო თავიდან აეცილებინა ჩილეს პრეზიდენტი.

2.5.2. ალტერნატიული გეოპოლიტიკური კოდები

რადგანაც ცივი ომის გეოპოლიტიკურ მსოფლიო წესრიგში ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰეგემონის პოზიცია ეკავათ, მათი გავლენა მსოფლიო პოლიტიკაზე უდიდესი იყო. სხვა ქვეყნების გეოპოლიტიკური კოდები უბრალოდ ერგებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების კოდებს. საბჭოთა კავშირიც კი, რომელიც აშშ-ს მთავარ მეტოქედ ითვლებოდა, ხშირად იძულებული იყო ანგარიში გაეწია ჰეგემონის გლობალური ინტერესებისათვის.

მოცემულ პარაგრაფში განხილული იქნება ორი ალტერნატიული გეოპოლიტიკური კოდი. ორივე მათგანი დაკავშირებულია კონკრეტულ პიროვნებებთან. ესენია დე გოლი (de Gaulle) და ნერუ (Nehru), რომელთაც უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდათ უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში. დე გოლის ხელმძღვა-

ნელობით საფრანგეთი განსხვავებულ „ევროპულ" პოლიტიკას აწარმოებდა, ხოლო ნერუ აქცენტს მესამე სამყაროზე აკეთებდა. აღნიშნული გეოპოლიტიკური კოდები თავისი შინაარსითა და საბოლოო მიზნებით ანტიამერიკული ხასიათისა იყო. დე გოლისა და ნერუს, როგორც მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწეების რეპუტაცია განსაკუთრებით ამაღლდა მას შემდეგ, რაც მათ მიერ დასახულმა მიზნებმა მოგვიანებით იწყეს განხორციელება და ამით მათ შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსების იმიჯი შეექმნათ.

საფრანგეთის გოლისტური გეოპოლიტიკური კოდი. ჩარლზ დე გოლი საფრანგეთის პრეზიდენტი იყო 1958-1969 წლებში. მის მიერ წარმოებულმა საგარეო პოლიტიკამ იმდროისთვის დამკვიდრებულ მსოფლიო გეოპოლიტიკურ წესრიგში პირველი იდეოლოგიური ბზარი გააჩინა. როგორც ცნობილია დასავლეთ ევროპაში აღნიშნული მსოფლიო წესრიგის მთავარ დასაყრდენს ნატო-ს ორგანიზაცია წარმოადგენდა. ცივი ომის იდეოლოგიის თვალსაზრისით ერთადერთი საფრთხე, რაც ნატო-ს შეიძლება დამუქრებოდა, მემარცხენე პოლიტიკოსები იყვნენ. მაგრამ პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეს მთლად მართებული არ იყო. დე გოლის ინიციატივით საფრანგეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ნატო-ს სამხედრო ძალები დატოვა. რანაირი შეფასებაც არ უნდა მივცეთ დე გოლს როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, იგი ვერანაირად ვერ ჩაითვლება მემარცხენე პოლიტიკოსად. იგი ცენტრისტიც კი არ არის. მისი პოლიტიკური მრწამსი მემარჯვენე პოზიციებს უფრო შეესაბამება.

გოლისტური გეოპოლიტიკური კოდი საფრანგეთის ტრადიციულ კოდებს ეფუძნება, რომელთა არსი მდგომარეობს გერმანიის მხრიდან საფრთხის უგულვებელყოფაში ლოკალურ დონეზე, რუსეთთან მიმართებით მანევრირებაში რეგიონალურ დონეზე და ბრიტანეთთან შეტოქეობაში გლობალურ დონეზე. დე

გოლის აზრით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბრიტანეთის ადგილი დაიკავეს გლობალურ პოლიტიკაში. ამდენად გლობალურ დონეზე მეტოქეობა ბრიტანეთის ნაცვლად ამერიკის შეერთებულ შტატებთან უნდა წარმართულიყო. საფრანგეთისთვის მეოცე საუკუნის უმთავრეს პრობლემას გერმანიის მხრიდან შესაძლო საფრთხის უგულვებელყოფა წარმოადგენდა, მაგრამ 1960-იანი წლებისთვის ევროპის თანამეგობრობის კონტურების გამოკვეთასთან და საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულების დადებასთან ერთად აღნიშნული საფრთხე დღის წესრიგიდან მოხსნილი იქნა. დე გოლის მთელი ყურადღება გადატანილ იქნა საბჭოთა კავშირთან რეგიონალურ დონეზე და ამერიკის შეერთებულ შტატებთან გლობალურ დონეზე ურთიერთობების მოგვარებაზე.

დე გოლი უპირველესი ფრანგი ნაციონალისტი იყო. მისი წარმოდგენით საფრანგეთი ევროპის გულს წარმოადგენდა, რომლის გარშემოც ჰექსაგონის კუთხეების მსგავსად თავმოყრილი იყვნენ ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, ხმელთაშუაზღვისპირეთი, ესპანეთი და ატლანტიკა. მისი პოლიტიკური მრწამსის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობდა გეოგრაფია. იგი ხშირად იხსენებდა ნაპოლეონის ცნობილ ფრაზას – *„სახელმწიფოს პოლიტიკა მის გეოგრაფიაში ძევს"*. 1960 წელს საფრანგეთმა პირველად გამოსცადა საკუთარი ატომური ბომბი, რითაც ხაზი გაუსვა თავის როგორც მსოფლიო მასშტაბის მქონე ქვეყნის სტატუსს. მაგრამ დე გოლს კარგად ესმოდა, რომ საკუთარი ბირთვული იარაღის ქონა არ იყო საკმარისი ზესახელმწიფოდ ქცევისათვის. საფრანგეთის შედარებითი დაკნინება, როგორც მსოფლიო მასშტაბის მქონე ქვეყნისა, მსოფლიოში ევროპის როლის საერთო შემცირების კონტექსტში უნდა განვიხილოთ. პირველად მოხდა ისტორიაში, რომ მთავარი სტრატეგიული

ცენტრი ევროპის ფარგლებს მიღმა აღმოჩნდა. ნატო-ს ორგანიზაციის შექმნის იდეა, რომელიც დასავლეთ ევროპისა და ევროპის მიღმა არსებულ ზესახელმწიფოს შორის კავშირს გულისხმობდა, დე გოლის გაგებით ევროპის ღალატის ტოლფასი იყო. ამიტომაც დე გოლი მხოლოდ ევროპის შიგნით თანამშრომლობას უჭერდა მხარს. ამგვარი პოზიცია საფრანგეთს უტოვებდა შანსს სათავეში ჩადგომოდა დასავლეთ ევროპულ გაერთიანებას და უფრო ზურგმომაგრებულს აქტიური მეტოქეობა გაეწია ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირისათვის. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით ნატო-ს წევრობა გამორიცხული იყო, უფრო მეტიც, საფრანგეთმა პირველად ვეტოც კი დაადო ბრიტანეთის ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანებას იმ მოტივით, რომ ბრიტანეთი უფრო მეტად ოკეანური სახელმწიფოა, ვიდრე ევროპული. დე გოლის აზრით ევროპულ თანამეგობრობაში არ იყო გამორიცხული ბრიტანეთის მხრიდან აშშ-ს სასარგებლოდ ტროას ცხენის როლის შესრულება.

აღნიშნული გეოპოლიტიკური კოდის დადებითი მომენტი უდავოდ იყო იდეა ევროპული დეტანტის შესახებ. გოლისტური თვალსაზრისით სრულიად გაუგებარი იყო ევროპის ფარგლებს მიღმა მდებარე ზესახელმწიფოებს შორის მოლაპარაკების წარმართვა ევროპის მომავალი ბედის თაობაზე. მისი აზრით, აუცილებელი იყო ასეთ მოლაპარაკებებში ევროპელთა მონაწილეობაც. ამ მიზნით დე გოლმა ეგრეთწოდებული რკინის ფარდის ახდაც კი განიზრახა და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების მოგვარებას შეეცადა, მაგრამ ამ უკანასკნელის მიერ 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში ჯარების შეყვანის გამო ამ განზრახვის განხორციელებაში ხელი მოეცარა. 1969 წელს დე გოლის გადადგომის შემდეგ ევროპული დეტანტის პოლიტიკის გატარება დასავლეთ გერმანიამ ითავა, მაგრამ ჩნიშნული პროცესი

ზესახელმწიფოებს შორის ურთიერთობების მოგვარების ფონზე წარიმართა და ამით არსებული ცივი ომის მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგის ფარგლებში „ჩაჯდა".

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი ფორმალურად ნატო-ს მიღმა რჩება, დე გოლისეული დამოუკიდებელი ევროპის პოლიტიკა დავიწყებას არ მისცემია. დე გოლის გადადგომის შემდეგ საფრანგეთმა მხარი დაუჭირა ბრიტანეთის მესამე ცდას შეერთებოდა ევროპის თანამეგობრობას. მიუხედავად ამისა არ არის გამორიცხული, რომ ევროპის გოლისტური ხედვა თავის დროზე კვლავ წამოიწევა წინა პლანზე. თუკი ისე მოხდა, როგორც ამას ვალერსტაინი წინასწარმეტყველებდა, ამაში გოლისტური გეოპოლიტიკური კოდის დიდი დამსახურება იქნება.

ნერუ და ინდოეთის მიუმხროგლობის კოდი. ჯავახარლალ ნერუ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი იყო 1947 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 1964 წლამდე. 1950-იან წლებში საერთაშორისო პოლიტიკის ეპიცენტრმა აზიაში გადაინაცვლა და ნერუ ამ კონტინენტის პირველი პოლიტიკური მოღვაწე გახდა. მან სრულიად ორიგინალური საგარეო პოლიტიკური კურსი შეიმუშავა და ამით ინდოეთის როლი მსოფლიო პოლიტიკაში ძალზე მნიშვნელოვანი გახადა.

ქვეყნის ახალი გეოპოლიტიკური კოდი მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს: ლოკალურ დონეზე ინდოეთის ინტერესს ჰიმალაის მცირე სამეფოებზე (ნეპალი, ბუტანი) პროტექტორატის დამყარება და შრი-ლანკაზე „უფროსი ძმის" უფლებების მოპოვება წარმოადგენდა. რეგიონალურ დონეზე ინდოეთს გარკვეული წინააღმდეგობები ჰქონდა პაკისტანთან და ჩინეთთან. რაც შეეხება გლობალურ დონეს, ინდოეთს მსოფლიო მასშტაბის სახელმწიფოს პრეტენზია ჰქონდა. ყოველივე ეს ნერუს როგორც მსოფლიო მასშტაბის მოღვაწის სახელთან იყო დაკავშირებული.

თავდაპირველად ნერუს საგარეო პოლიტიკა იდეალისტურ კონცეფციებს, განდისტურ სოციალ-დემოკრატიულ იდეალიზმს და ბრიტანულ ლეიბორიზმს დაეფუძნა. 1954 წელს ინდოეთმა შეიმუშავა მსოფლიო პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ცნობილი მიდგომა, რომელიც *პანჩა შილას* დოკუმენტით არის ცნობილი. აღნიშნული დოკუმენტი მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპის გულისხმობს: 1. ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა; 2. თავდაუსხმელობა; 3. ერთმანეთის შინაურ საქმეებში ჩაურევლობა; 4. თანაბარი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა; 5. მშვიდობიანი თანაარსებობა. თავიდან ეს დოკუმენტი ინდოეთსა და ჩინეთს შორის ტიბეტის თაობაზე უთანხმოების მოგვარების მიზნით შეიქმნა. მაგრამ მისი ზოგადი ხასიათის გამო იგი შეიძლებოდა წარმატებით გამოყენებულიყო მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში კონფლიქტური სიტუაციების აღმოსაფხვრელად. ნერუს გეოპოლიტიკური კოდი გულისხმობდა სამხედრო ალიანსების საშუალებით კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფციის შეცვლას კოლექტიური მშვიდობის სამხედრო კავშირების გარეშე დამყარების იდეოლოგიით. სამი წლის განმავლობაში ინდოეთმა პანჩა შილას დოკუმენტზე დაყრდნობით 18 ორმხრივი ხელშეკრულება დადო და იმასაც კი მიაღწია, რომ აღნიშნული დოკუმენტი, მართალია ნაწილობრივ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1957 წლის დეკემბრის რეზოლუციაში იქნა შეტანილი.

პარალელურად ინდოეთმა დაიწყო ეგრეთწოდებული განვითარებადი ქვეყნების პრობლემების მოგვარებისთვის ზრუნვა. 1949 წელს აზიის თხუთმეტი სახელმწიფო შეიკრიბა ნიუ-დელიში რათა ინდონეზიაში ნიდერლანდების მიერ წარმოებული კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტი გამოეხატათ. შემდეგ წელს ინდოეთის ინიციატით გაერთიანებული ერების

ორგანიზაციაში მოწვეულ იქნა პირველი სხდომა, რომელიც მხოლოდ აფრო-აზიულ პრობლემებს მიეძღვნა. ნამდვილ პოლიტიკურ გარღვევას ადგილი ჰქონდა 1955 წლის ბანდუნგის კონფერენციაზე, სადაც აფრიკისა და აზიის 29 ქვეყნის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მთავარი დამახასიათებელი ნიშანი აღნიშნული კონფერენციისა ის იყო, რომ პირველად ისტორიაში საერთო პრობლემების მოსაგვარებლად სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის ქვეყნები შეიკრიბნენ. აქ წარმოდგენილნი იყვნენ ისეთი ქვეყნები, როგორიც არის ჩინეთი, ჩრდილო ვიეტნამი, იაპონია, ფილიპინები და სხვა. ბანდუნგის კონფერენციის მთავარი შედეგი უფრო სიმბოლური სასიათისა იყო, ვიდრე ის პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელთა შესრულება ნაკლებ სავარაუდო ჩანდა. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო მიუმხრობლობის მოძრაობაში მონაწილე ქვეყნების პირველი შეხვედრა ბელგრადში, რომელიც 1961 წელს გაიმართა. მიუმხრობლობის მოძრაობა სამი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის პირმშოა. ეს მოღვაწეებია ნერუ, ტიტო (იუგოსლავია) და ნასერი (ეგვიპტე). 1956 წელს ეგვიპტეში ბრიტანეთისა და საფრანგეთის შეჭრა ნერუმ კატეგორიულად დაგმო და მტკიცედ დაუჭირა მხარი ეგვიპტეს. ამავე პერიოდში ტიტო აქტიურად ცდილობდა საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ მყოფი აღმოსავლეთ ევროპული ბლოკიდან გამოსვლას. აქედან გამომდინარე, როგორც ეგვიპტისთვის, ისე იუგოსლავიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მიუმხრობლობის მოძრაობას. რაც შეეხება ინდოეთს, მას ასეთი უშუალო საფრთხე არ ემუქრებოდა და, აქედან გამომდინარე, იგი თავის მონაწილეობას მიუმხრობლობის მოძრაობაში განიხილავდა როგორც მსოფლიო მასშტაბის სახელმწიფოდ ქცევისკენ მიმავალ გზას.

ბელგრადის კონფერენციაზე, რომელზე დასწრების უფლებაც არ მისცეს ამა თუ იმ ალიანსში მყოფ ქვეყნებს, სულ ოცდაექვსი

ქვეყანა იქნა წარმოდგენილი. მოცემული წესის თანახმად ინდოეთს მიუმხრობლობის მოძრაობაში ჩამოსცილდა ისეთი სერიოზული რეგიონალური მეტოქეები, როგორებიც იყვნენ კომუნისტური ჩინეთი და პროდასავლური ორიენტაციის პაკისტანი. ტიტოს აქტიური ზეგავლენით ინდოეთის იდეალისტურმა საგარეო პოლიტიკამ ერთგვარი ცვლილება განიცადა. ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა მიუმხრობლობის მოძრაობაში. კერძოდ, მიუმხრობელი ქვეყანა არ იყო გაიგივებული ნეიტრალურ ქვეყანასთან. მიუმხრობლობის მოძრაობა ანტიკოლონიური რევოლუციების აქტიურ მხარდაჭერას გულისხმობდა და კატეგორიულად ილაშქრებდა ცივი ომის იდეოლოგიით ნასაზრდოები მოსაზრების წინააღმდეგ იმის შესახებ, რომ ყველა ქვეყანამ ზესახელმწიფოებს შორის მეტოქეობაში აუცილებლად უნდა დაიჭიროს ერთ-ერთის მხარე.

ნერუს გარდაცვალების შემდეგ ინდოეთმა შეწყვიტა მსოფლიო არენაზე ჩვეულებრივი აქტიურობით მონაწილეობა. იგი რჩებოდა მიუმხრობლობის მოძრაობის აქტიურ წევრად, მაგრამ მისი პოლიტიკური აქცენტები ნერუს სამშვიდობო იდეალებიდან მსოფლიოში არსებულ ყოფით პრობლემებზე იქნა გადატანილი. ამგვარად, მიუმხრობლობის მოძრაობა ერთგვარად შთაინთქა იმ საერთო პრობლემატიკაში, რომელიც მთელ მესამე სამყაროს წინაშე იდგა. აქვე უნდა ითქვას, რომ ინდოეთისთვის ნერუს მემკვიდრეობა მაინც ინარჩუნებს მნიშვნელობას, ვინაიდან ყოველივე ეს მიუმხრობლობის მოძრაობაში ქვეყნის პოზიციის ორიგინალურობას განსაზღვრავს. სამხრეთ აზიის რეგიონი ისევ რჩება ცივი ომის მიღმა მდებარე რეგიონებს შორის და მიუხედავად პაკისტანის აშშ-სთან მჭიდრო კავშირებისა და ავღანეთში საბჭოთა კავშირის სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობისა, ეს მხარე ერთგვარ ოაზისს წარმოადგენს ცივი ომის მსოფლიო გეოპოლიტიკურ წესრიგში. როგორც ეს კოენის გეოპოლიტიკურ

მოდელშია წარმოდგენილი, სამხრეთ აზია ცალკე არსებული გეოსტრატეგიული რეგიონია.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც ნერუს მიუმხრობლობის კოდი, დე გოლის ევროპული კოდიც ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებული კრიტიკის საგანი გახდა. მიუმხრობლობა ვერაფრით ვერ შეუთავსდა დალესის შეჩერების პოლიტიკის კოდს, ხოლო კენედისა და ჯონსონის მოქნილი რეაგირების პოლიტიკა არანაირად არ გულისხმობდა დე გოლისეულ მოსაზრებას ნატო-ს გაუქმების შესახებ.

3. გლობალური პროცესები

თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების ტრაექტორიას, ძირითადად, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის პროცესში აღმოცენებული პრობლემები განსაზღვრავს. ეს პრობლემები გლობალური ხასიათისაა და მათი სიმწვავე, გადაჭრის გზები და საშუალებები მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ პოლიტიკურ ძალთა განაწილებას როგორც პლანეტარული მასშტაბით, ისე ცალკეულ სახელმწიფოთა დონეზე.

მსოფლიო ლიტერატურაში ბევრს კამათობენ გლობალურ პრობლემათა საერთო რიცხვზე და მათ იერარქიაზე. ზოგი რამ უკვე ცხადია, კერძოდ: ა) კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით ესა თუ ის პრობლემა ჩაითვლება გლობალურად: მთელი მსოფლიო საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების შეხება მიუხედავად სოციალურ-პოლიტიკურ სისტემათა შორის არსებული სხვაობისა; საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების პროცესში ცივილიზაციის დაღუპვის ან სერიოზული რეგრესის მუქარა; მოცემული პრობლემის გადაჭრისთვის მსოფლიოს მთელი ხალხების ძალისხმევის გამოყენების აუცილებლობა; ბ) თვით პრობლემათა რაოდენობის ცვალებადობა, რაც გამოიხატება არსებულ პრობლემათა გადაუჭრელობის გამო ახალი პრობლემების გაჩენაში. ასე მაგალითად, შიდსის ეპიდემიამ გლობალური მასშტაბები მიიღო, რასაც სპეციალისტები ეკოლოგიური დისბალანსის მიზეზით ადამიანის ორგანიზმში იმუნიტეტის შესუსტებით ხსნიან.

ბირთვული კატასტროფის მუქარა კაცობრიობის პირველი გლობალური პრობლემა გახდა და დღესაც რჩება „ნომერ პირველ“ პრობლემად. თუმცა იგი არ არის ერთადერთი. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში კაცობრიობა სხვა გლობალური პრობლემების წინაშეც დადგა, კერძოდ: ეკოლოგიური,

დემოგრაფიული, სასურსათო, ენერგეტიკული, ჰუმანიტარული. თითოეულ მათგანს მისთვის დამახასიათებელი ობიექტური ფესვები, სპეციფიკა და დედამიწის სხვადასხვა რეგიონში ლოკალიზაციის თავისებურება გააჩნია.

3.1. განიარაღების პრობლემა.

ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ზოგადსაკაცობრიო პრიორიტეტები და ფასეულობები სამხედრო შეიარაღების დონის რადიკალურ შემცირებას გვკარნახობენ. „აღმოსავლეთსა“ და „დასავლეთს“ შორის მიმდინარე შემობრუნება იდეოლოგიური შეუწყნარებლობიდან და კონფრონტაციიდან ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობისაკენ თვალსაჩინოს ხდის სამხედრო წარმოების შეკვეცის და კონვერსიის აუცილებლობას.

სამხედრო სამზადისი და თვით საომარი მოქმედებები უზარმაზარ ფინანსურ, მატერიალურ და შრომით რესურსებს ნთქავენ. ბოლო ხანებში სამხედრო მიზნებით ყოველწლიურად გაწეულმა არასაწარმოო დანახარჯებმა ისეთ დონეს მიაღწიეს, რომ უკვე შესაძლებელი ხდება მათი შედარება წარსული ომებით მიყენებულ ზარალთან. ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან დღემდე საომარ მოქმედებებზე და მათ სამზადისზე გაწეულმა ხარჯებმა 40 ტრილიონი დოლარი შეადგინეს. აღსანიშნავია, რომ ამ თანხის ორი მესამედი ომის შემდგომ წლებზე მოდის. სხვა სიტყვებით, „ცივი ომი“ კაცობრიობას ორჯერ უფრო ძვირი დაუჯდა, ვიდრე ორივე მსოფლიო ომი ერთად.

ყურადღებას იპყრობს არამარტო შეიარაღებაზე გაწეული ხარჯების აბსოლუტური მოცულობა, არამედ მათი ზრდის დინამიკაც. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა აღნიშნული ხარჯები 80-იანი წლების დასაწყისში. მათი საშუალო წლიური რეალური (ანუ მუდმივ ფასებში) ნამატი ამ წლებში 5 პროცენტს უდრიდა, რაც მშვიდობიანი დროისთვის უპრეცედენტო მოვლენაა.

ჩვეულებრივ, უზარმაზარი სამხედრო სამზადისის მიზანი უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. მაგრამ თანამედროვე პირობებში გამალებული შეიარაღების გაგრძელება არათუ უზრუნველყოფს, არამედ ასუსტებს კიდეც უსაფრთხოების სისტემას. ამას გარდა გამალებული შეიარაღება სულ უფრო მეტად არყევს საერთაშორისო უშიშროებისა და სტაბილურობის ეკონომიკურ, სოციალურ და ჰუმანიტარულ საფუძველს. ყოველივე ამას შეიძლება სერიოზული უარყოფითი შედეგები მოჰყვეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ სამხედრო საშიშროება იზრდება, არამედ იმიტომაც, რომ შესაძლებელია გლობალური პრობლემების შემდგომი გამწვავება. ამ პრობლემათა გადაჭრა კი მსხვილი კაპიტალდაბანდების გარეშე შეუძლებელია.

რეალური განიარაღება – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მსოფლიო პრობლემაა. დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნებისათვის აუცილებელია უსაფრთხოების ახალი მოდელის შექმნა, ზედმეტი შეიარაღებიდან თავდაცვითი საკმარისობის ფარგლებში „ჩატეულ“ სამხედრო პოტენციალზე გადასვლა. ეს, პირველ რიგში, ბირთვული კატასტროფის საფრთხის უგულვებელსაყოფად არის საჭირო. დღევანდელ ურთიერთდამოკიდებულ და ერთიან მსოფლიოში რეალური განიარაღება არამარტო სამხედრო-პოლიტიკური, არამედ სოციალურ-ეკონომიკური იმპერატივიც არის. განიარაღების შედეგად გამოთავისუფლებული უზარმაზარი სახსრები, საერთაშორისო ურთიერთობების თანასწორ და ურთიერთხელსაყრელ საწყისებზე ორგანიზაცია ხელს შეუწყობს მრავალი ქვეყნის განვითარების დაჩქარებას, ისეთი გლობალური პრობლემების გადაჭრას, როგორებიცაა ჩამორჩენილობა, შიმშილი, ეპიდემიები, განათლების დაბალი დონე, გარემოს დაცვა, ენერგეტიკა და სხვა.

3.2. ეკოლოგიური პრობლემა

ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესებას პირველად განვითარებულ ქვეყნებში მიაქციეს ყურადღება. მოგვიანებით პრობლემის სიმწვავემ უფრო მეტად მესამე სამყაროს ქვეყნებში იჩინა თავი. დღეს ეკოლოგიური პრობლემა გლობალურ პრობლემათა კატეგორიას განეკუთვნება. თანამედროვე და მომავალი თაობისათვის ნორმალური ეკოლოგიური პირობების უზრუნველყოფა უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოღვაწეთა, პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ მოღვაწეთა უმთავრეს საზრუნავად იქცა.

გაუარესებული ეკოლოგიური სიტუაცია უარყოფითად მოქმედებს არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, არამედ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებზეც. დაჭუჭყიანებული ჰაერის მასებისა და მდინარის წყლების ერთი ქვეყნიდან მეორეში ტრანსპორტირება, დაბინძურებული წყლის მასების გადაადგილება ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის სანაპიროების გასწვრივ, მიწების გაუდაბნოების პროცესი, რომელმაც არ იცის პოლიტიკური საზღვრები და სხვა, ქვეყნებს შორის კონფლიქტური სიტუაციის ჩამოყალიბების მიზეზი ხდება. ყველაზე გავრცელებულია ატმოსფერულ დამაბინძურებელთა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანის შედეგად წარმოქმნილი კონფლიქტები. ჰაერში „დამაბინძურებელთა" ძთავარ წყაროს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები (რეგიონები) წარმოადგენენ.

ძეავური წვიმები. მეავური წვიმა,უფრო სწორედ მეავური ნალექები, არის წვიმა, თოვლი ან ნისლი, რომელიც შეიცავს გოგირდმეავისა ან აზოტმეავის მნიშვნელოვან რაოდენობას. გამომწვევი მიზეზია ნახშირის ან ნავთობის წვის პროცესი.

მჟავური წვიმები საზიანოა ჯანმრთელობისათვის, იწვევს ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის ზრდასა და ფილტვების ნორმალური მუშაობის დარღვევას. მჟავური წვიმა აგრეთვე იწვევს მდინარეებისა და ტბების მჟავიანობის აწევას, რაც დამღუპველია წყლის ეკოსისტემისათვის. მჟავური წვიმა შლის და ანადგურებს ისტორიულ ძეგლებს.

ოზონის შემცირება. ოზონი არის სამი ჟანგბადის ატომის შენაერთი (განსხვავებით იმ ჟანგბადისაგან, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ და რომელიც ორ ატომს შეიცავს). სტრატოსფეროში ოზონი წარმოქმნის ფენას, რომელიც დედამიწას მზის ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან იცავს. ცოტა ხნის წინ მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს სტრატოსფეროში ოზონის ფენის შემცირებას. ამის გამომწვევი მიზეზებია: გამაგრილებელი აგენტები (მაცივრებსა და კონდიციონერებში), გამწმენდი აგენტები (ელექტრომრეწველობაში და აეროზოლებში). ყოველ გაზაფხულზე აღნიშნულია ოზონის ფენის 40 პროცენტამდე შემცირება ანტარქტიკის ზემოთ. ჩრდილო ამერიკისა და ევროპისათვის ეს მონაცემი 3 პროცენტამდეა. ამერიკის გარემოს დაცვით სააგენტოს მონაცემებით ოზონის ფენის 1 პროცენტით შემცირება აშშ-ში კანის კიბოთი დაავადებების 20 ათასი ერთეულით გაზრდას იწვევს.

პესტიციდები. ყოველ წელს 2 მილიონამდე ადამიანი ავადდება პესტიციდებით მოწამვლით, 40 ათასი ადამიანი კვდება (აშშ-ში ყოველ წელს დაფიქსირებულია პესტიციდებით მოწამვლის 50000 შემთხვევა).

პესტიციდები იწვევს კიბოს, ახალშობილთა დეფექტებს და სხვადასხვა ორგანოების დაავადებებს. ერთ-ერთი გამოკვლევის მიხედვით იმ ოჯახებში, სადაც პესტიციდებს იყენებენ, ბავშვები უფრო ხშირად ავადდებიან სისხლის გათეთრებით.

პესტიციდები, რომლებიც მოიცავს ინსექტიციდებს (მწერების საწინააღმდეგო საშუალებებს), ჰერბიციდებსა (სარეველების საწინააღმდეგო საშუალებებს) და ფუნგიციდებს (სოკოვანი და ბაქტერიალური დაავადებების საწინააღმდეგო საშუალებებს), არის საწამლავთა ჯგუფი, რომელიც გამოიყენება მავნე ორგანიზმების განადგურებისათვის. იმ რეგიონებში, სადაც უხვად იყენებენ პესტიციდებს, გავრცელებულია ფრინველების, ძუძუმწოვრების და თევზების მოწამვლა. პესტიციდებმა შეიძლება ოცი წლის განმავლობაში შეინარჩუნონ მომწამვლელი თვისებები და თანდათანობით გაჟონონ გრუნტის წყლებში.

პლასტმასი. დრეკადობის, გამძლეობის და მსუბუქი წონის წყალობით პლასტმასი გახდა XX საუკუნის თავისებური „საოცარი მასალა", რომელიც გამოიყენება ყველგან, კოსმოსურ ხომალდებში და სამშენებლო მასალებშიც კი. მაგრამ პლასტმასის მასალის სიიაფემ წარმოქმნა უამრავი ერთჯერადი შესაფუთი მასალა და პროდუქტი, ამან კი თავის მხრივ სერიოზული გარემოს დაცვითი პრობლემები გამოიწვია – დაწყებული უზარმაზარი ნაგვის გორებიდან, დამთავრებული მათი ტოქსიკური დაბინძურებით.

პლასტმასი შეადგენს მთლიანი ნარჩენის წონის 8 პროცენტს და მოცულობის 20 პროცენტს, აქედან ნახევარი შესაფუთი მასალაა. პლასტმასი ნავთობის ნაწარმია, რომელიც, თავის მხრივ შეზღუდული და არა განახლებადი რესურსია. ნავარაუდევია, რომ 2040 წლისათვის დედამიწის ნავთობის რეზერვები ამოიწურება.

ყოველ წელს ასი ათასობით ტონა პლასტმასის მასა იყრება ოკეანეში. პლასტმასის წილზე მოდის იმდენივე სიკვდილი ზღვის სიცოცხლისა, რამდენიც გამოწვეულია ნავთობისა და სხვა მომწამვლელი ნივთიერებების ჩაღვრით ოკეანეში.

ტრანსპორტი. ბენზინის წვის დროს ჰაერში გამოიყოფა მომწამვლელი აირები. სხვადასხვა მანქანების სითხეები წამლავენ წყლებსა და ნიადაგებს, უზარმაზარი მიწები იფარება ასფალტის ფენით. ბენზინის წვისას ჰაერში დიდი რაოდენობით გამოიყოფა მძიმე ლითონები და ნახშირორჟანგი, ერთ-ერთი ძირითადი „სათბურის" გაზი. „სათბურის" გაზები იტაცებენ მზის სითბოს დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ფენებში და იწვევენ ტემპერატურის აწევას – პროცესს, რომელიც ცნობილია როგორც გლობალური გათბობა. ამერიკაში მანქანებზე მოდის ნახშირორჟანგის მთლიანი გამონაფრქვევის 20 პროცენტი. მანქანები გამოყოფენ აგრეთვე აზოტის ჟანგის 40 პროცენტს. თბილისში მანქანებზე მოდის ჰაერის დაბინძურების 87 პროცენტი, თითოეული თბილისელის „წილი" წელიწადში 800-900 კგ. მავნე ნივთიერებას შეადგენს.

კლიმატური ცვლილებები (გლობალური დათბობა). ბოლო საუკუნის განმავლობაში ადამიანებმა დედამიწა გადააქციეს ერთ დიდ დაუგეგმავი ექსპერიმენტის ობიექტად. დღესდღეობით ატმოსფეროში გამოიფრქვევა „სათბურის" გაზების უპრეცედენტო რაოდენობა, რაც თითქოს გლობალურ თერმოსტატს რთავს და სათბურის ეფექტს ვღებულობთ. წიაღისეული საწვავის გამოყენებასთან ერთად იზრდება „ სათბურის" გაზების გამოყოფა ატმოსფეროში.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ კლიმატური ტემპერატურის აწევის შემთხვევაში დედამიწაზე სიცოცხლეს არაერთი საფრთხე შეექმნება. ზოგიერთ რეგიონში ნალექები შემცირდება, რაც გამოიწვევს მოსავალის კარგვასა და უდაბნოების წარმოქმნას. სხვაგან გაიზრდება წვიმიანობა, რაც გამოიწვევს წყალდიდობებსა და ეროზიას. ამ მოვლენას მოჰყვება მცენარეთა და ცხოველთა მასიური გადაშენება, აიწევს ზღვის დონე, დაიკარგება სანაპირო რეგიონები.

სოფლის მეურნეობა. მსოფლიოს მოსახლეობის ზრდა სოკვებზე მოთხოვნილების გაზრდას იწვევს და მეტი სასოფლო-სამეურნეო საკარგულების საჭიროებას აპირობებს. სოფლის მეურნეობისათვის ადგილის გამოთავისუფლება კი ტყეების გაქრობასა და მცენარეთა და ცხოველთა სახეობათა კარგვას იწვევს. ნიადაგის ეროზირება უფრო ხშირად მაშინ ხდება, როცა წლების განმავლობეში ერთი და იგივე ტერიტორიაზე ერთი და იგივე მცენარე ითესება. ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო რეგიონში ნიადაგის ზედა ფენის ერთი სანტიმეტრის დაკარგვა შეიძლება ერთ წელიწადში მოხდეს, მაშინ, როდესაც იმავე ერთი სანტიმეტრის აღდგენას რამოდენიმე ასეული წელიწადი სჭირდება .

სოფლის მეურნეობის კიდევ ერთი პრობლემაა პესტიციდების გამოყენება, რომლებიც, გამიზნულია რა მავნებლების მოსასპობად, ხშირად მწერებს, ძუძუმწოვრებს, ფრინველებს და თევზებს ანადგურებენ.

ბოლო 40 წლის განმავლობაში პესტიციდების მოხმარება 10-ჯერ გაიზარდა, თუმცა მოსავლიანობის დანაკარგები თითქმის გაორმაგდა (7-დან 13 პროცენტამდე).

3.3. დემოგრაფიული პრობლემა

გლობალური დემოგრაფიული პრობლემა პირველ რიგში ეგრეთწოდებულ *დემოგრაფიულ აფეთქებასთან* არის დაკავშირებული. აღნიშნული მოვლენა პირველად XX საუკუნის შუა წლებში შენიშნეს და მას შემდეგ იგი თანამედროვე ცივილიზაციის განუყოფელ ატრიბუტად იქცა.

1950 წელს პლანეტის მოსახლეობა 2,5 მილიარდს შეადგენდა. უახლესი შეფასებებით 2000 წლისათვის ეს ციფრი 6,2 მილიარდს გაუტოლდება. შესაბამისად, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში, რაც ისტორიის განვლილ პერიოდთან შედარებით უმნიშვნელო ნაწილია, მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა 3,6

მილიარდით გაიზრდება. ეს თითქმის ერთნახევარჯერ მეტია ისტორიის მრავალათასწლიან წინა პერიოდთან შედარებით. აქედან 80 პროცენტი მოდის აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებზე.

აღნიშნული დემოგრაფიული აფეთქების მთავარ განმაპირობებელ ფაქტორს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესსა და „მესამე სამყაროს" ქვეყნებში არსებულ პირობებს შორის სპეციფიკური ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს. თანამედროვე მედიცინის განვითარების დონემ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება განაპირობა, დამყარდა ინფექციურ დაავადებებზე კონტროლი და, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, მოსახლეობის საკვები პროდუქტით მომარაგების მასშტაბის ზრდამ მოსახლეობის ზრდის ტემპების მკვეთრი მომატება გამოიწვია. ბევრ განვითარებად ქვეყანაში ეს რიცხვი წელიწადში 3 პროცენტს უდრის, რაც მსოფლიო მოსახლეობის 23 წელიწადში გაორმაგებას მოასწავებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებად ქვეყნებს ახასიათებთ ეკონომიკური ჩამორჩენილობა, სოციალურ ურთიერთობებში კონსერვატიზმი, მოძველებული მორალური, რელიგიური და სხვა წარმოდგენების ბატონობა. ამ რეგიონის მოსახლეობის ფართო მასებისთვის შობადობის რეგულირების საშუალებები მიუწვდომელია. ყველაფერმა ამან დიდი ხნით შეაჩერა მოსახლეობის აღწარმოების ერთი ტიპიდან მეორეზე გადასვლა (იგულისხმება ნატურალური მეურნეობის პირობებში მოსახლეობის მაღალი შობადობისა და სიკვდილიანობის დემოგრაფიული რეჟიმიდან თანამედროვე წარმოების პირობებისთვის დამახასიათებელ დემოგრაფიულ რეჟიმზე გადასვლა). ამგვარი *დემოგრაფიული გადასვლა* თავის დროზე მოახდინეს განვითარებულმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა. მაშინაც ჰქონდა ადგილი გარკვეულ დემოგრაფიულ აფეთქებას, თუმცა

ამ მოვლენამ დროის უფრო ხანგრძლივი პერიოდი მოიცვა და მ. შინდელი მოსახლეობის უმნიშვნელო აბსოლუტური რიცხოვნობის გამო გლობალური პრობლემის ხასიათი არ მიიღო.

პოსტულეიბის ზრდა და სოციალური კონფლიქტები. სოციოლოგების მიერ მოსახლეობის ზრდასა და სოციალურ კონფლიქტებს შორის კავშირი დიდი ხნის განმავლობაში იგნორირებული იყო. არადა, ამ ორ მოვლენას შორის მრავალმხრივი, რთულად შესამჩნევი, მაგრამ მჭიდრო კავშირი არსებობს. კონფლიქტები მაშინ იფეთქებენ ხოლმე, როდესაც მზარდი მოსახლეობა რესურსებზე კონტროლის დასამყარებლად იწყებს ბრძოლას. რესურსების (შემოსავლების, მიწის, წყლის) არათანაბარი განაწილება ართულებს საზოგადოებაში ყოველგვარ ურთიერთობას. გაზრდილი მეტოქეობა რესურსებზე კონტროლის დამყარებისთვის სოციალური ჰარმონიის საფუძვლებს არღვევს.

მოცემულ სფეროში მეცნიერულ კვლევათა სიმცირის ერთ-ერთი მიზეზი თვით შესასწავლი საგნის სირთულით უნდა აიხსნას. აღნიშნული მოვლენის შესწავლა საჭიროებს ეკონომიკის, ეკოლოგიის, დემოგრაფიის, პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგში მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზებასა და განზოგადებას. გარდა ამისა, ძალზე რთულია მიზეზებისა და შედეგების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. როგორც წესი, მათ შორის მხოლოდ კავშირურთიერთობის დადგენა ხერხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოცემული მოვლენის ნებისმიერი ანალიზი უნდა გულისხმობდეს დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და პოლიტიკურ ფაქტორთა დინამიურ ურთიერთქმედებას.

პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა თავისი სირთულის გამო მკვლევარებში ერთგვარ შიშსაც კი იწვევს. სამაგიეროდ მიღებული შესაძლო შედეგების მნიშვნელობა იმდენად დიდია საზოგადოებისთვის, რომ აღნიშნული მოტივი საკმარისი ხდება ამ მიმართულებით გარკვეული ინიციატივის გამოჩენისათვის. ასე

მაგალითად, ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში სოციალური კონფლიქტების განხილვისას პოლიტილოგი სერჯიო დიაზ-ბრიკეტსი (Serggio Dias-Brickets) იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ გაზარდა შრომის ბაზარზე დატვირთვები. არადა, აღნიშნული ბაზარი ისედაც გაჯერებული იყო უმუშევრებითა და არასრულად დასაქმებულებით. გამოიწვია რა უმუშევარი ახალგაზრდების რიგების ზრდა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მოსურნე ხალხს შორის კონკურენციის გამძაფრება, აღნიშნულმა დემოგრაფიულმა მოვლენამ სოციალური კონფლიქტების გაღვივების არაპირდაპირი კატალიზატორის როლი ითამაშა.

მოსახლეობის სწრაფი ზრდა ახალგაზრდების წილის ზრდას აპირობებს. ასე მაგალითად, ათეულობით განვითარებად ქვეყანაში თხუთმეტი წლის ასაკზე ახალგაზრდათა წილი 40 პროცენტს შეადგენს.

მოსახლეობის სტრუქტურის მსგავსი ცვლილება თავისთავად არასტაბილურობის წყაროდ შეიძლება იქცეს, ვინაიდან ახალგაზრდათა უმრავლესობა საზოგადოებაში უფრო მაღალი სტატუსის მოპოვებისაკენ მიისწრაფის. გარდა ამისა, იზრდება დატვირთვა არსებულ სოციალურ სამსახურებზე. სახალხო განათლების ყველა რგოლი (დაწყებითი და საშუალო სკოლები, კოლეჯები) სულ უფრო უძლურნი ხდებიან მოზღვავებული მოსწავლეების მოთხოვნილების დაკმაყოფილების თვალსაზრისით. ამით უნდა აიხსნას ის, რომ მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში აუცილებელი და უფასო განათლების შემოღების ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა.

ეკონომიკური დაძაბულობა პოლიტიკურ კონფლიქტებსაც იწვევს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსახლეობის ზრდის ტემპებში განსხვავება, როგორც წესი, ცხოვრების დონეებს შორის განსხვავებას აპირობებს. ასე მაგალითად, ეკონომიკის

ორპროცენტიანი ზრდა გერმანიასა და დანიაში, სადაც მოსახლეობის მატებას საერთოდ არა აქვს ადგილი, ცხოვრების დონის მნიშვნელოვან ამაღლებას იწვევს, მაშინ როცა ასეთივე ზრდა პერუში ან კენიაში, სადაც მოსახლეობა სწრაფად იზრდება, ცხოვრების დონე მკვეთრად ეცემა და სოციალური დაძაბულობაც მატულობს.

ბევრ განვითარებად ქვეყანაში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი შრომის ბაზარზე ახალგაზრდათა სარეკორდო რიცხვის გამოჩენას დაემთხვა. ამ ქვეყანათა ქალაქების ქუჩებში უმუშევარი ახალგაზრდების რიცხვის ზრდამ სოციალური სიმშვიდე დაარღვია.

კონფლიქტები, როგორც ჩანს, სასიცოცხლო მნიშვნელობის ბუნებრივი სისტემების დეგრადაციითაც უნდა იყოს განპირობებული. აღნიშნული მოვლენა ხშირად მოსახლეობის მიგრაციული პროცესების გამომწვევი ხდება. ამგვარი „ეკოლოგიური დევნილები" მომავალში, როგორც ჩანს, მომრავლდებიან და სახელმწიფო საზღვრების უკონტროლო გადაკვეთას ეცდებიან. მსგავს ფაქტებს უკვე აქვს ადგილი აფრიკაში. ყველაზე ნათელი მაგალითია სამხრეთი რაიონების გაუდაბნოების გამო გამოდევნილი მომთაბარე მესაქონლეები. ხშირად აღნიშნული „მიგრანტები" ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობასთან მწვავე კონფლიქტურ სიტუაციებში ხვდებიან.

მწვავე კონკურენცია ისეთ განახლებად რესურსზე, როგორიცაა წყალი, ხშირად შეინიშნება მდინარე ნილოსის ხეობაში. ნილოსი, როგორც ცნობილია, წყლით მომარაგების მთავარი წყაროა ეგვიპტის, სუდანის და ეთიოპიის მოსახლეობისათვის. ნაწილობრივ ამიტომაც არის, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მეზობელი ქვეყნებისა. ნილოსის წყლების გამო ინტერესთა შეჯახებამ შეიძლება მწვავე კონფლიქტი გამოიწვიოს განსაკუთრებით მაშინ,

როდესაც წყლის მოხმარება იმ დონემდე გაიზრდება, როცა მისი (წყლის) განაწილება სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემის ხასიათს მიიღებს. სავსებით შესაძლებელია, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მიზეზით წყლის დამატებითი ხარჯის გამო მდინარის წყლების განაწილება მწვავე მსოფლიო პოლიტიკურ პრობლემად იქცეს.

მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ყველაზე სუსტად შესწავლილ საკითხს სოციალური კონფლიქტების წარმოქმნაზე „კონცენტრაციის ეფექტის" გავლენა წარმოადგენს. აღნიშნული თემატიკის სამეცნიერო ლიტერატურა პრაქტიკულად არ არსებობს. ნაშრომთა უმრავლესობა ცხოველთა ქცევის შესწავლას ეხება. აღნიშნული კვლევების შედეგებიდან ჩანს, რომ შეჯგუფულობის (კონცენტრაციის) გაჩენასა და ძალადობას შორის პირდაპირი კავშირია. რაც შეეხება ადამიანთა საზოგადოებას, ძნელია გაიმიჯნოს კონცენტრაციისა და სიღარიბის, ამ ორი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორის გავლენა. ეჭვს არ იწვევს, რომ მოსახლეობის კონცენტრაციამ და სამსახურისთვის და მიწისთვის მწვავე მეტოქეობამ შეიძლება გააღვივოს რელიგიური, რეგიონალური და ეთნიკური უთანხმოებანი.

3.4. სასურსათო პრობლემა

კაცობრიობის ერთ-ერთ უმთავრეს გლობალურ პრობლემას სასურსათო პრობლემა წარმოადგენს, რადგანაც იგი ასობით მილიონი ადამიანის ფიზიკურ არსებობასთან არის დაკავშირებული. აღნიშნული პრობლემა ხშირად დრამატულ და კატასტროფულ ხასიათს იღებს. სასურსათო პრობლემის არსებობა თავისთავად თანამედროვე ტექნოლოგიური ცივილიზაციის არასრულფასოვნებაზე მეტყველებს. თუკი ცივილიზაციის ერთი (შედარებით მცირე) ნაწილი თავს უფლებას აძლევს არ დაიკლოს ამ ქვეყნად არსებული ნებისმიერი ფუფუნება, მოსახლეობის დიდი

ნაწილი ამავე დროს შეიძლება სიღატაკის ზღვარზე იყოს და შიმშილობდეს.

სასურსათო პრობლემის მასშტაბებზე და სიღრმეზე კარგად მეტყველებს მონაცემები, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სასურსათო და სასოფლო სამეურნეო ორგანიზაციის (FAO) მიერ იქნა მოწოდებული. დედამიწაზე დღეისათვის 500 მილიონი კაცი შიმშილობს. მათ შორის 240 მილიონი ავადმყოფია და სასიკვდილოდ არის განწირული. მაგრამ უშუალოდ შიმშილი აისბერგის მხოლოდ მწვერვალს წარმოადგენს. არასაკმარისი კვების სხვადასხვა ფორმითა და სტადიით დღევანდელ მსოფლიოში 1 მილიარდზე მეტი ადამიანი იტანჯება. განვითარებად ქვეყნებში სასურსათო პრობლემის მთელი ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ არასაკმარისი კვება ხშირად გარეგნულად ძნელად შესამჩნევია და იმათ, ვინც არასაკმარისად იკვებებიან ამის შესახებ შეიძლება არც კი იცოდნენ. ერთ-ერთი გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ დედათა 70 პროცენტმა არც კი იცოდა, რომ მათი ბავშვები არასაკმარისად იკვებებოდნენ. ზოგიერთი გამოთვლების თანახმად ეგრეთწოდებული უხილავი შიმშილი განვითარებად სამყაროს საბავშვო მოსახლეობის ერთ მეოთხედს მოიცავს. ბევრ განვითარებად ქვეყანაში არასაკმარისი კვება მოსახლეობის ფართო მასებისთვის ტიპიური მოვლენაა. ტრადიციული რაციონები შეიძლება აკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებას კალორიათა საჭირო რაოდენობის მიხედვით, მაგრამ არ შეიცავდნენ ცილების, ცხიმების და მიკროელემენტების სათანადო მინიმუმს. აღნიშნული მნიშვნელოვანი კომპონენტების უკმარისობა უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, რაც ეკონომიკის ენაზე რომ ვთქვათ, მუშახელის უხარისხობას აპირობებს.

არაადეკვატური კვება განსაკუთრებით არასასურველი მოვლენაა, ვინაიდან თუკი შიმშილი ადვილად შეიმჩნევა და მასთან

ბრძოლა ღიად და ენერგიულად მიმდინარეობს მთელი მსოფლიოს ძალისხმევით, უხარისხო კვება ჩვეულებრივ ძნელადშესამჩნევია და მის წინააღმდეგ ზომები იშვიათად მიიღება. განვითარებადი ქვეყნების რაციონში სასიცოცხლო მნიშვნელობის კომპონენტების უკმარისობა ხშირად ისეთ დაავადებებს იწვევს, რომელიც პირველ რიგში ბავშვებს და ახალგაზრდებს აზარალებს. ყველაზე ფართოდ გავრცელებული დაავადებაა სასურსათო დისტროფია. გვხვდება უფრო მძიმე დაავადებებიც. მაგალითად ისეთები, რომლებიც ორგანიზმის კანს აზიანებს.

ცილების, ცხიმების და კალორიების უკმარისობას ხშირად აფრიკის ყველაზე დაბალგანვითარებული მოსახლეობა განიცდის. აღნიშნულ რეგიონში უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში სასურსათო პრობლემა განსაკუთრებით გამწვავდა, რომლის კულმინაციას 1983-1984, 1987 და 1989 წლების კატასტროფული გვალვა წარმოადგენდა. როგორც ცნობილია ამ დროს განსაკუთრებით დაზარალდნენ ეთიოპიის და სუდანო-საჰელის ზონის მაცხოვრებლები.

შიმშილი და არასაკმარისი კვება დიდი ხანია არსებობს მსოფლიოში. ეს პრობლემა დასაბამს კაცობრიობის ისტორიის სათავეებთან იღებს. დიდი ხნის განმავლობაში სასურსათო პრობლემის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორს სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების არასაკმარისი განვითარება წარმოადგენდა. მაგრამ დღეს, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, კაცობრიობის საწარმოო ძალებმა განვითარების ისეთ დონეს მიაღწიეს, რომელიც პრინციპში საშუალებას იძლევა რამდენჯერმე უფრო დიდი რაოდენობის მოსახლეობა უზრუნველყოს საკვებით, ვიდრე დღეს ცხოვრობს ჩვენს პლანეტაზე. მიუხედავად ამისა, შიმშილი და არასაკმარისი კვება მაინც რჩება მწვავე პრობლემად. უფრო მეტიც, აღნიშნული პრობლემით სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი იტანჯება:

ყოველწლიურად შიმშილისაგან 40 მილიონი ადამიანი კვდება. მათ შორის 18 მილიონი 5 წლამდე ასაკის ბავშვია.

თანამედროვე მსოფლიოში შიმშილისა და სურსათის ჭარბწარმოების ერთდროული არსებობა ნათლად მეტყველებს, რომ განვითარებად ქვეყნებში სასურსათო პრობლემის არსებობა მათი (განვითარებადი ქვეყნების) მსოფლიო მეურნეობის სისტემაში სპეციფიური მდგომარეობით აიხსნება. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ განვითარებად ქვეყნებში მწვავედ დგას ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, მსოფლიო ბაზარზე კონიუნქტურის გავლენით მათი სასოფლო სამეურნეო განვითარება დეფორმირებულად ხდება, და მათი დარგობრივი სტრუქტურა ორიენტირებულია მხოლოდ ტექნიკური და ტროპიკული კულტურების წარმოებაზე, ადვილი ასახსნელია ყოველივე ზემოთ აღნიშნული.

მსოფლიო მეურნეობის სისტემაში განვითარებადი ქვეყნების სპეციფიური როლი და ადგილი, მათი ტროპიკული და ტექნიკური კულტურის წარმოებაზე სპეციალიზაცია უკვე თავად აპირობებს სასურსათო უზრუნველყოფის, მისი ავტონომიურობის შემცირებას. განვითარებადი ქვეყნები სულ უფრო მეტად ხდებიან დამოკიდებული მსოფლიო ბაზარზე არსებულ კონიუნქტურაზე. განვითარებად ქვეყნებში სურსათის არასაკმარისი რაოდენობით წარმოებას თან ახლავს ტროპიკული კულტურების ჭარბწარმოება. რაც არახელსაყრელ გავლენას ახდენს მათ ფასზე და, საბოლოო ჯამში, სურსათის იმ რაოდენობის შეძენაზე, რასაც აღნიშნული ტროპიკული კულტურების ექსპორტი ემსახურება. ამავე მიმართულებით მოქმედებს განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკაც. ისინი თვითონ განსაზღვრავენ მსოფლიო ბაზარზე ტროპიკული კულტურების გამოტანის ქვოტებს, მაღალ საბაჟო ტარიფებს, მკაცრ სტანდარტებსა და სანიტარულ ნორმებს. ყოველივე ეს განვითარებადი ქვეყნების პროდუქციის კონკურენტუნარიანობას აქვეითებს.

განვითარებად ქვეყნებში როგორც წესი, შედარებით ჩამორჩენილ ექსტენსიურ სოფლის მეურნეობას მისდევენ. სოფლის მეურნეობის აღნიშნული ტიპი არ იძლევა არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენების საშუალებას. ამ მოვლენის ფესვები აღნიშნული რეგიონების ისტორიის სიღრმეებში უნდა ვეძებოთ, განსაკუთრებით კი კოლონიური დაპყრობების ეპოქაში. თანამედროვე აგროტექნიკური თვალსაზრისით განვითარებად ქვეყნებში სასოფლო სამეურნეო წარმოებისა და ბუნებრივი ფაქტორების გამოყენების ინტენსიფიკაციის უზარმაზარი რეზერვები არსებობს. თანამედროვე ტექნოლოგიურ საფუძველზე ახალი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისებას, უკვე დამუშავებული მიწების პროდუქტიულობის ამაღლებას შეუძლიათ ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრან შიმშილისა და არასაკმარისი კვების პრობლემა. მაგრამ ეს ასე არ ხდება (ან ხდება ძალიან ნელა) არა იმიტომ, რომ მსოფლიოში არასაკმარისი რაოდენობითაა რესურსები (როგორც ამას ხშირად ამბობენ), არამედ იმიტომ, რომ განვითარებადი ქვეყნების მიწათმოქმედების განვითარებისთვის არასაკმარისი სახსრები გამოიყოფა. სოფლად მოძველებული საწარმოო ურთიერთობები ხშირად არ აძლევს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას იმ შეზღუდული რესურსების ათვისების საშუალებასაც კი, რასაც ისინი ღებულობენ.

განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების უპირატესობა განვითარებად ქვეყნებზე მიიღწევა სხვა ფაქტორებთან ერთად ფართო მასშტაბიანი სახელმწიფო სუბსიდიების ხარჯზე. ხშირად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მიწათმოქმედებაში ინვესტიციებ.ა აღემატება თვითგამოსყიდვის დონეებს. ბევრ განვითარებად ქვეყანაში მსგავს კაპიტალდაბანდებებს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლიათ.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სასოფლო სამეურნეო წარმოების სუბსიდირება საწარმოო ძალთა და

საწარმოო ურთიერთობათა განვითარების უფრო მაღალ დონესთან ერთად თითქმის შეუძლებელს ხდის განვითარებად ქვეყნებში მიწათმოქმედების ინტენსიურობისა და პროდუქტიულობის პრობლემის გადაწყვეტას. არადა, სწორედ ამ საკითხის მოგვარებას შეუძლია განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილის შიმშილისა და არასაკმარისი კვებისაგან დაცვა.

სასურსათო პრობლემამ გლობალური მასშტაბები მიიღო. მისი რადიკალური გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ მთელს დედამიწაზე საწარმოო რესურსების რაციონალური გადანაწილებით. კაცობრიობამ სასოფლო სამეურნეო საწარმოო ძალთა განვითარების მაღალი დონის უზრუნველყოფა მოახერხა. XX საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო მიწათმოქმედებაში სამი ხარისხობრივი ძვრა მოხდა: 1. მაღალმოსავლიანი ჰიბრიდული კულტურების ბაზაზე მანქანურ სისტემაზე გადასვლა ("მწვანე რევოლუცია"); 2. აგროსამრეწველო ინტეგრაციის ფართო განვითარება და აგროსამრეწველო კომპლექსის შექმნა და 3.ბიოტექნოლოგიური რევოლუცია. აღნიშნული მიღწევების გამოყენებით შესაძლებელი იქნებოდა განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის ნორმალური ცხოვრების დონის უზრუნველყოფა და საბოლოო ჯამში ამ ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ფაქტორის ლიკვიდირება.

3.5. სათბობ-სანედლეულო რესურსების პრობლემა.

განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენა მჭიდროდ არის დაკავშირებული, აგრეთვე, ისეთ გლობალურ პრობლემასთან, როგორიც არის ენერგეტიკული პრობლემა. მინერალური ნედლეულის ამოღება და ექსპორტი მნიშვნელოვან, ზოგჯერ სასიცოცხლო ფაქტორს წარმოადგენს მესაძე სამყაროს ბევრი ქვეყნისთვის. მინერალური ნედლეულის ზოგიერთი სახეობის

მარაგის მიხედვით განვითარებადი ქვეყნები უფრო წინ დგანან განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებზე. 1980-იანი წლების ბოლოსთვის განვითარებად ქვეყნებში ნედლეულის 17 უმნიშვნელოვანესი სახეობიდან 8-ის სამრეწველო მარაგის ორი მესამედი განვითარებად ქვეყნებში იყო კონცენტრირებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ქვეყნების წიაღი ჯერ კიდევ არასაკმარისად არის შესწავლილი. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ ტყვიისა და თუთიის თანამედროვე პროდუქტიულობა ანუ საბადოში ლითონის საერთო რაოდენობა კვადრატულ კილომეტრზე ტონებში გამოხატული, ერთის მხრივ, აფრიკის რეგიონში და, მეორეს მხრივ ევროპაში, რომელიც გეოლოგიური თვალსაზრისით შესწავლილობის ეტალონს წარმოადგენს. აფრიკაში ეს მაჩვენებელი ტყვიისთვის – 0,65 ტონას უდრის, ევროპაში – 9,9 ტონას, თუთიისთვის შესაბამისად - 0,97 და - 13,4. საერთო ჯამში 1970-იანი წლებისთვის ყოფილი კოლონიების ტერიტორიაზე ფართობის ერთეულზე მინერალური ნედლეულის შესწავლილი მარაგი ორჯერ უფრო ნაკლები იყო, ვიდრე მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ცენტრებში.

ზემოთაღნიშნულ ფაქტშიც ვლინდება განვითარებადი სამყაროს ეკონომიკური ჩამორჩენილობა. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენება (განსაკუთრებით კოსმოსური გეოლოგიისა) საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად შევისწავლოთ დედამიწის წიაღი, უკეთესად შევაფასოთ არსებული საბადოები, დავაჩქაროთ ახალი საბადოების აღმოჩენა. ეს განსაკუთრებით აქტუალურია მესამე სამყაროსათვის. კარგ მაგალითად გამოდგება ცოტა ხნის წინ ბრაზილიაში აღმოჩენილი გიგანტური საბადო, რომელიც მინერალური ნედლეულის ჩვიდმეტ სახეობას შეიცავს, მათ შორის 18 მილიარდ ტონა რკინის მადანს, 3,2 მილიარდ ტონა ბოქსიტებს, 1 მილიარდ ტონა ნიკელს.

ყურადღებას იპყრობს განვითარებად ქვეყნებში არსებული სასარგებლო წიაღისეულის უფრო მაღალი ხარისხი. ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში სპილენძის საბადოს დამუშავება ხდება მასში (საბადოში) ლითონის 0,7 პროცენტის შემცველობის პირობებში მაშინ, როცა ჩილეში – 1,1 პროცენტის, ზამბიაში – 3,0, ზაირში – 3,9 პროცენტის პირობებში. ეს არ ეხება მარტო სპილენძის შემცველ საბადოებს. აღნიშნულ ქვეყნებში მადნის უფრო მაღალი ხარისხი, მიუხედავად სამეცნიერო-ტექნიკური ჩამორჩენილობისა და ფინანსური ბაზის სისუსტისა პროდუქციის კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფს.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რაში მდგომარეობს ნედლეულის მწარმოებელი ქვეყნების განვითარების დონის მზარდი ჩამორჩენა სულ უფრო დინამიურად განვითარებად კაპიტალისტურ სამყაროსთან შედარებით? ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებიც ნავთობზე ფასების უპრეცედენტო ზრდას მოხერხებულად იყენებენ, მინერალური რესურსების მწარმოებელი ქვეყნების უმრავლესობამ ეკონომიკის გარდაქმნა შეაფერხა.

ადგილობრივი ეკონომიკის დაბალი დონისა და ცალმხრივი სტრუქტურის გამო, რაც თავის დროზე მეტროპოლიის აგრარულ-სანედლეულო დანამატის როლით იყო განპირობებული, განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის მთავარ ფაქტორს საგარეო ვაჭრობა წარმოადგენს. მხოლოდ საგარეო ვაჭრობის არხებით არის შესაძლებელი ამ ქვეყნებში წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაცია, მეორეს მხრივ, სწრაფად იზრდება და მრავალფეროვნდება ფართო მოხმარების საქონლის და, რაც მთავარია, საწარმოო ძალების იმპორტზე მოთხოვნილება. ამასთან, კაპიტალის უკმარისობის, ეროვნული ბაზრის სივიწროვისა და დაქუცმაცებულობის გამო განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილება იმპორტზე, როგორც

წესი, უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ადგილობრივი მრეწველობის განვითარების დონე.

ვინაიდან სოციალ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა ძალზე რთული საქმეა და ბევრ დროს მოითხოვს, განვითარებადი ქვეყნების ასეთი დამოკიდებულება იმპორტზე, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს დარჩება. ეს განსაკუთრებულ სიმწვავეს ანიჭებს საექსპორტო პოტენციალის დაჩქარებული განვითარების აუცილებლობის საკითხს.

განვითარებადი ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფის საექსპორტო შესაძლებლობები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ნავთობის ექსპორტიორი და მინერალური ნედლეულის მსოფლიო ბაზარზე გამტანი ქვეყნების თავისებურების დადგენის მიზნით შევადაროთ ისინი განთავისუფლებული სახელმწიფოების სხვა ჯგუფებს, პირველ რიგში – ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს.

ახალი ინდუსტრიული ქვეყნების (სამხრეთ კორეა, სინგაპური, ტაივანი, ჰონკონგი, რომელთაც ლიტერატურაში „დრაკონის" სახელითაც მოიხსენიებენ) ექსპორტი ეყრდნობა მასალატევად, მეცნიერებატევად სამრეწველო პროდუქციას, რომელიც იწარმოება განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ცნობილი ფირმებისა და კომპანიების ადგილობრივ ფილიალებში. აღნიშნული პროდუქციის კონიუნქტურა მსოფლიო ბაზარზე შედარებით სტაბილურია. დაბალი ღირებულება და შედარებით მაღალი კვალიფიკაცია, რომელიც ადგილობრივ მუშა ხელს უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველს ხდის, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. გარდა ამისა, საექსპორტო ნაწარმის ფართო ნომენკლატურა ამ ქვეყნებს მსოფლიო ბაზარზე მანევრირების საშუალებას აძლევს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ერთი სახეობის საქონლის კონიუნქტურის გაუარესების შემთხვევაში მეორე სახეობის პროდუქციის ექსპორტის გაზრდით ხდება ბაზრის საერთო წილის შენარჩუნება.

ამავე დროს, ნედლეულის მწარმოებელი და ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები მსოფლიო ბაზარზე სიტუაციის გაუარესების გამო უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. აღნიშნული ვითარება განაპირობა განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც აღნიშნული ნედლეულის მთავარ მომხმარებლებს წარმოადგენენ, სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე მოთხოვნილების მკვეთრმა შემცირებამ. ამის შედეგად, მაგალითად, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების წილი მსოფლიო ექსპორტში 18,8 პროცენტიდან (1980) 11,3 პროცენტამდე (1985) შემცირდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მინერალური ნედლეულის მწარმოებლები, რომელთა ძირითად პროდუქციაზე ფასები 1980-იანი წლების ბოლოს ყველაზე დაბალ დონეზე აღმოჩნდნენ 1930-იანი წლების მსოფლიო კაპიტალისტური კრიზისის შემდეგ.

მინერალური ნედლეულის და სათბობის ექსპორტით მიღებული შემოსავლების ზრდის შენელებამ მნიშვნელოვნად გაართულა ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების გეგმებისა და პროგრამების რეალიზაცია. მათი ყურადღება გადატანილ იქნა მიმდინარე ყოფითი სიძნელეების გადალახვაზე და თვით სამთომოპოვებითი მრეწველობის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად ისინი იძულებულნი არიან აიღონ საგარეო სესხი, რომელთა პროცენტების გადახდა შემდგომში მათ ბიუჯეტს უმძიმეს ტვირთად აწვებათ და ართულებს განვითარების გრძელვადიანი ამოცანების გადაჭრას.

ამგვარად, განვითარებადმა ქვეყნებმა მიუხედავად მათი დიდი პოტენციური შესაძლებლობებისა, ვერაფრით ვერ მოახერხეს ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარება. ეკონომიკური განვითარების ტემპების შემზღუდველ არსებით ფაქტორს ერთი რომელიმე დარგის განვითარებაზე ძალისხმევის ზედმეტი

კონცენტრაცია წარმოადგენს. არადა, განვითარებადი ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა ისეთი ეკონომიკური მოდელის დანერგვა, რომელიც მეურნეობის მსხვილ სექტორებს დაეყრდნობოდა და მთლიანად გამოიყენებდა ეროვნული რესურსების დინამიურ პოტენციალს. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში კი ეკონომიკის მონოსტრუქტურული მოდელია გამოყენებული.

ზემოთალნიშნულის გარდა მინერალური რესურსებისა და სათბობის მწარმოებელი განვითარებადი ქვეყნების შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობით მიღებული სარგებელი ბოლო დროს ძალზე შეიზღუდა. თუმცა შრომის საერთაშორისო დანაწილება საწარმოო ძალების განვითარების მნიშვნელოვან იმპულსს წარმოადგენს, გარკვეულ პირობებში შეიძლება მან შემზღუდველი ფაქტორის როლი ითამაშოს და ქვეყნის ეკონომიკა სტაგნაციამდეც კი მიიყვანოს.

3.6. ადამიანის უფლებები თანამედროვე მსოფლიოში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ადამიანის უფლებათა შესახებ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ადამიანთა უფლებები „ადამიანის პიროვნებისათვის ორგანულად დამახასიათებელი ღირსებიდან გამომდინარეობს". მართალია, ადამიანის ღირსებისთვის ბრძოლა უხსოვარი დროიდან მომდინარეობს, ადამიანის უფლებათა კონცეფცია, როგორც მისი ღირსების დამკვიდრების იარაღი – შედარებით ახალი მოვლენაა. ადამიანის უფლებების დღე 10 დეკემბერს აღინიშნება, ვინაიდან ამ დღეს, 1948 წელს, გაერო-მ ცნობილი ადამიანის უფლბათა საყოველთაო დეკლარაცია მიიღო. ეს არის უფლებათა მინიმალური ნუსხა, რომელიც თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ არის აღიარებული და პოლიტიკურ პრაქტიკაში უაღრესად ავტორიტეტულ დოკუმენტად ითვლება.

ადამიანის უფლებები, ჩვეულებრივ, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები და 2) ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, რომლებიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია წარმოდგენილი, მოიცავს სიცოცხლის, მოქალაქეობის, სამართალსუბიექტად ცნობის, მკაცრი და დამამცირებელი მოქცევისგან დაცვის, აგრეთვე, რასობრივი, ეროვნული, სქესობრივი და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის აცილების უფლებას. აქვე შედის ისეთი იურიდიული უფლებები, როგორიცაა უდანაშაულობის პრეზუმფცია, მიუკერძოებელი და ღია სასამართლო პროცესი, პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევისაგან დაცვა და სხვა.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები გულისხმობენ ცხოვრების ისეთ დონეს, როცა შესაძლებელია ადამიანისა და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შენარჩუნება, აგრეთვე, შრომის, დასვენების, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების და საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უფლებებს.

მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს ადამიანთა მიერ მათი უფლებების სულ უფრო მეტად გაცნობიერება. გამდიდრების გარდა ადამიანებს მეტი თავისუფლების სურვილიც უჩნდებათ. ღარიბ ქვეყნებში მომხდარ რევოლუციებსა თუ მდიდარ სახელმწიფოებში არსებულ სახალხო მღელვარებებში არანაირი წვლილი უცხოელ აგიტატორებს არ მიუძღვით. საყოველთაო პროტესტი ადამიანთა საერთაშორისო თანასაზოგადოების წიაღში იკიდებს ფეხს. ხალხები, რაც არ უნდა ღარიბულად და დაჩაგრულად ცხოვრობდნენ, სულ უფრო ნათლად იცნობიერებენ საკუთარი უბედურების ნამდვილ მიზეზს – სახელმწიფოს.

მმართველთათვის იდეების თავისუფალი გაცვლა ისევე სახიჭათოა, როგორც იარაღით თავისუფალი ვაჭრობა.

თანამედროვე პიროვნება არ არის ფიქცია, იგი რეალობაა და ამგვარ პიროვნებას ადამიანის უფლებები სჭირდება.

ადამიანის უფლებები პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ქვაკუთხედია. რა თქმა უნდა, პიროვნების უფლებები სხვა პირის მიერაც შეიძლება დაირღვას. ადამიანი შეიძლება გაძარცვონ და, ამით, მისი თავისუფლება ხელჰყონ. მომუშავე ქალს შეიძლება მცირეწლოვანი ბავშვის აღზრდისთვის მიცემული შეღავათები მოუხსნან და, ამდენად, მისი უფლება შრომის სამართლიან პირობებზე დაარღვიონ. სახელმწიფოს ფუნქცია სწორედ მსგავსი უსამართლობისგან მოქალაქეთა დაცვაში მდგომარეობს, კერძოდ, იგი მოვალეა გააუმჯობესოს ქუჩის განათება. და გააძლიეროს პოლიციის პატრულირება, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის შესაბამისად დედათა და ბავშვთა განსაკუთრებული უფლებები უზრუნველყოს.

მოქალაქეთა უფლებების დარღვევა, ძირითადად, სახელმწიფოს მიერ კანონიერი ფუნქციების აღსრულების დროს ხდება. ასე მაგალითად, სახელმწიფო, რომელიც პირდაპირი ვალდებულებიდან გამომდინარე საკუთარ ხალხს და ტერიტორიას გარე აგრესიისაგან იცავს, ამასთან ხშირად ადამიანთა მთელ რიგ უფლებებს არღვევს.

ქვეყნის შიგნით წესრიგის უზრუნველყოფის ფუნქციის შესრულებისასაც სახელმწიფო ხშირად უპირისპირდება ადამიანის უფლებებს. წესრიგის დაცვა – ეს ისეთი საზოგადოებრივი სიკეთეა, რომელსაც ყველაზე რეპრესიული მთავრობაც კი უზრუნველყოფს. ამიტომ არის, რომ ხალხი, რომელმაც ნაციზმი გადაიტანა, მაგრამ დევნა არ განუცდია, ხშირად კეთილად იხსენებს იმ დროს, ვინაიდან „ქუჩაში სიარულის მაინც არ ეშინოდათ". ამის

საპირისპიროდ, წესრიგის მოყვარულთათვის აშშ-ში ადამიანის უფლებებისადმი „ერთგულება“ ერთგვარ სამართლებრივ აბსურდამდეა მისული: დამნაშავენი უფრო მეტად არიან დაცულები პოლიციისაგან, ვიდრე საზოგადოება დამნაშავეებისაგან. ამით განპირობებულ დამნაშავეობის მაღალ დონეს სამოქალაქო უფლებათა დამცველები განიხილავენ, როგორც იმ ფასს, რომელსაც საზოგადოება იხდის კანონიერების სკრუპულოზური დაცვისა და პოლიციის მხრიდან მათი უფლებების შესაძლო შელახვისაგან დაზღვევისათვის.

მთავარი მიზეზი, რომლის გამოც ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის დარგში სახელმწიფო, ჩვეულებრივ, არ ასრულებს თავის მოვალეობას, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ნეიტრალური არ არის. პირიქით, ყველა საზოგადოებაში, ყველა იდეოლოგიური რეჟიმის პირობებში სახელმწიფოს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გარკვეული ჯგუფები აკონტროლებენ. ეს ჯგუფები ყოველთვის ცდილობენ სხვა ჯგუფების უფლებების ხარჯზე საკუთარი ინტერესები დაიცვან. მმართველი წრეები საკუთარი ძალაუფლებისა და სიმდიდრის გაზრდის მიზნით, ბუნებრივია, ადამიანთა უფლებების შელახვას არ ერიდებიან. სოციალური სტრატიფიკაციის ნებისმიერი სისტემის პირობებში ძირითად მატერიალურ რესურსებამდე „მიღწევა“ მდიდარს უფრო უადვილდება, ვიდრე ღარიბს. აშშ-შიც კი არის ისეთი სოციალური ფენა, რომელიც არასაკმარისად იკვებება და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით ვერ სარგებლობს. ყველასათვის საკმარისი მატერიალური რესურსების არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ საზოგადოების ყველა წევრი თანაბრად იქნება უზრუნველყოფილი საცხოვრებელ მინიმუმზე უფლებით.

ეკონომიკის გარდა ადამიანის უფლებათა დარღვევა სხვა სფეროებშიც ხდება. განვითარებად ქვეყნებში ხშირია ისეთი უფლებების დარღვევა, რომელიც ხალხების კულტურული

თვითმყოფადობის (რელიგიის, ენის, ტრადიციების) შენარჩუნებასთან არის დაკავშირებული. აღნიშნული რეგიონის ბევრ ქვეყანაში პოლიტიკური ორგანიზაციის თვით პრინციპია იმდაგვარი, რომ მუდამ არასაკმარისი რაოდენობის საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნილების შესამცირებლად უფრო სუსტი ეთნიკური ჯგუფების იგნორირება ხდება. ასეთი იგნორირების უკიდურესი ფორმაა *გენოციდი.*

ადამიანის უფლებების სოციალური ანალიზისას საკვანძო საკითხს წარმოადგენს არა ის, თუ რატომ ირღვევა უფლებები, არამედ ის, თუ რატომ ხდება მათი დაცვა. ხელისუფლება იშვიათად იცავს ადამიანის უფლებებს, თუკი არ არსებობს ის გამაწონასწორებელი ძალები, რომელთაც „ძლიერთა ამა ქვეყნისა" ანგარიში უნდა გაუწიონ. ამიტომ არის, რომ ადამიანის უფლებები ყველაზე საიმედოდ იმ ქვეყნებშია დაცული, სადაც ხელისუფლება განაწილებულია. ხელისუფლების განაწილების ხელშემწყობი ფაქტორებია: ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების გამიჯვნა; პოლიტიკურ ხელისუფლებაზე პრეტენზიის უფლების მქონე პარტიებს შორის კონკურენცია; სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობა; პრესისა და ტელევიზიის თავისუფლება. ხელისუფლების განაწილება მოქალაქეებს სახელმწიფოსაგან თავდაცვის მთელ რიგ საშუალებებს აძლევს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ერთი სახელმწიფო სისტემა, ვერც ერთი პოლიტიკური რეჟიმი, ვერც ერთი პოლიტიკური ფილოსოფია ვერ იქნება ადამიანის უფლებათა აბსოლუტური გარანტი. ადამიანთა უფლებები ყოველთვის არამყარია, მუდმივად ხდება მათზე სახელმწიფოს მხრიდან დაწოლა. უბრალოდ, სხვადასხვა პოლიტიკური სისტემები სხვადასხვანაირად უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებების დაცვას.

3.7. "ჩრდილოეთსა" და "სამხრეთში" მიმდინარე პროცესები

გლობალური პრობლემების სიმწვავე და კაცობრიობის არსებობის ათასწლოვანი ისტორიული გამოცდილება — ეს ის მამოძრავებელი ძალებია, რომლებიც თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების საერთო პროცესს, მის მიმართულებას განსაზღვრავს. აღნიშნული ძალები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული ინტენსივობითა და მიმართულებით მოქმედებდნენ, რამაც გლობალური მასშტაბით სოციალურ, მსოფლმხედველობრივ და ზნეობრივ ფასეულობათა კონტრასტულობა განაპირობა. დღევანდელი მსოფლიო განსხვავებულ ფასეულობათა სისტემების გაერთიანებად *"დასავლეთისა"* და *"აღმოსავლეთის"*, ერთის მხრივ, და *"ჩრდილოეთისა"* და *"სამხრეთის"*, მეორეს მხრივ, დაპირისპირების კონცეფტუალურ სქემაში განიხილება. უკანასკნელ წლებში აღმოსავლეთ ევროპაში და ყოფილ საბჭოთა კავშირში განვითარებული მოვლენების შედეგად „აღმოსავლეთი" თანდათანობით ქრება მსოფლიო არენიდან, რაც იმის მანიშნებელია, რომ სახეზეა „დასავლური" და „აღმოსავლური" ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების უნიფიცირების პროცესი. რაც შეეხება „ჩრდილოეთსა" და „სამხრეთს", მათ შორის წინააღმდეგობა კვლავ რჩება და ახლო მომავალშიც გაგრძელდება.

3.7.1. "ჩრდილოეთი-სამხრეთი"

„ჩრდილოეთი", როგორც წინა პარაგრაფებში აღვნიშნეთ, ძირითადად ქრისტიანული რელიგიის დოგმატიკით განსაზღვრული ფასეულობების საფუძველზე ჩამოყალიბებულ საზოგადოებათა განსახლების არეალს მოიცავს. რადგანაც „აღმოსავლეთის" გაქრობით „დასავლეთში" დამკვიდრებული ეკონომიკური და სოციალური ლიბერალიზმის პრინციპები „კონკურენციის გარეშე" დარჩნენ, ფაქტობრივად „დასავლეთი" და „ჩრდილოეთი" თავიანთი ფასეულობათა სისტემების

(სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი) თავსებადობის გამო ერთ, დიდ და მთლიან საკაროს ქმნიან. ამ სამყაროს პირობითად „ჩრდილო-დასავლეთი" ვუწოდოთ.* დღეს „ჩრდილო-დასავლეთში" უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ძვრები ხდება. მიმდინარეობს ინტეგრაციისა და უნიფიკაციის მძლავრი პროცესი, რომელიც, საბოლოო ჯამში, ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ფასეულობების მაქსიმალურ დაახლოებას გამოიწვევს. ინტეგრაციის პროცესი ყველაზე მძლავრად ევროპის კონტინენტზე მიმდინარეობს, თუმცა ამაში აქტიურ მონაწილეობას აშშ და კანადაც ღებულობენ.

ჰელსინკის პროცესი. „დასავლეთისა" და „აღმოსავლეთის" დაპირისპირების გაქრობასთან ერთად მსოფლიოს ბიპოლარული სტრუქტურაც რადიკალურად გარდაიქმნება. იცვლება ქვეყნებს შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის ხასიათი. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ევროპა ახლებური ცხოვრებით ცხოვრობს. მიმდინარეობს სტაბილურობისა და უშიშროების დამკვიდრების პროცესი, ევროპულ სახელმწიფოთა შორის დიალოგი, რომელიც ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის** სახელით არის ცნობილი.

ევროპულ სახელმწიფოთა თათბირის იდეა, რომლის მიზანი კონტინენტზე კოლექტიური უსაფრთხოების საკითხის განხილვა უნდა ყოფილიყო, პირველად 1955 წელს ბუდაპეშტში ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეთა შეხვედრაზე გამოითქვა. დასავლეთის ქვეყნებმა, მიიჩნიეს რა, რომ ამ იდეის მიზანი ევროპაში აშშ-ის გავლენის შესუსტება უნდა ყოფილიყო, თავდაპირველად ფრთხილი პოზიცია დაიკავეს და ინიციატივა

* არ უნდა აგვერიოს ფიზიკურ-გეოგრაფიულ ცნებაში, რომელიც ჰორიზონტის ერთ-ერთ არაძირითად მხარეს აღნიშნავს.

** შემდგომში „ევროთათბირი"

უპასუხოდ დატოვეს. წინადადება თათბირის შესახებ კვლავ განმეორდა 1966 წელს. მცირე „პაუზის" შემდეგ იდეას ფინეთი გამოეხმაურა და, თავის მხრივ, აშშ-ისა და კანადის მოწვევის საკითხიც დააყენა. ფინეთი საბჭოთა კავშირთან ერთად ევროპის ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელსაც თანაბარი ურთიერთობები ჰქონდა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიასთან და ამდენად, ინიციატორი ქვეყნის როლს ყველაზე მეტად შეეფერებოდა.

1975 წლის 1 აგვისტოს 35 ქვეყნის (მ.შ. აშშ-ისა და კანადის) მეთაურმა ჰელსინკში ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომელიც *ჰელსინკის საბოლოო აქტით* არის ცნობილი. დეკლარაციის ცენტრალური ნაწილი მონაწილე ქვეყნებს შორის ურთიერთობის ათ პრინციპს შეეხება. ამ ნაწილს ე.წ. *პირველი კალათა* ეწოდება. *მეორე კალათა* მოიცავს ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და ეკოლოგიის დარგში თანამშრომლობის რეკომენდაციებს. *მესამე კალათა* ჰუმანიტარული ხასიათისაა და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ადამიანთა უფლებების დაცვა, ინფორმაციის გაცვლა და კულტურის დარგში თანამშრომლობა.

პირველ კალათაში კონსტატირებული სახელმწიფო-თაშორისო ურთიერთობის პრინციპები ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ქვეყანათა თანაარსებობის ცივილიზებულ ნორმებს შეიცავს და გეოპოლიტიკური პროცესების ახლებური ხედვის საშუალებას იძლევა. ეს პრინციპებია:

1. სუვერენული თანასწორობა, სუვერენიტეტისათვის დამახასიათებელი უფლებების პატივისცემა;

2. ძალის ან ძალის მუქარის არგამოყენება;

3. საზღვრების ურღვევობა;

4. სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა;

5. უთანხმოებათა მშვიდობიანი მოწესრიგება;

6. შინაურ საქმეებში ჩაურევლობა;

7. ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა მ.შ. აზრის, სინდისის, რელიგიის და რწმენის პატივისცემა;

8. თანასწორუფლებიანობა და ხალხთა მიერ საკუთარი ბედის დამოუკიდებლად განსაზღვრა;

9. სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა;

10. საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

ჰელსინკის შეხვედრის შემდეგ ევროთათბირის ფარგლებში კიდევ ბევრი ღონისძიება იქნა ჩატარებული, რომლებიც ზემოთაღნიშნული პრინციპებისა და რეკომენდაციების დახვეწისა და განვრცობის მიზანს ისახავდნენ. ევროთათბირი, ფაქტობრივად, უწყვეტი პროცესი გახდა. ბელგრადის, მადრიდის, ვენის, ნიუ-იორკის და სხვა შეხვედრების გვერდით საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა 1990 წლის ნოემბერში პარიზის უმაღლესი დონის შეხვედრას, რომელზეც მიღებულ იქნა ცნობილი „პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის". ქარტიაში მონაწილე ქვეყნებმა საკაროდ განაცხადეს, რომ ცივი ომი დასრულდა და ევროპა აღარ არის ორად გაყოფილი. უფრო მეტიც, ყველა ქვეყნის მიერ აღიარებულ იქნა ისეთი ფასეულობები, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, წარმომადგენლობითი და პლურალისტური დემოკრატია, კანონის უზენაესობა, და მათი მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისა და ცხოვრების დონის ამაღლებაში. მონაწილე ქვეყნებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს ერთგულება ჰელსინკის საბოლოო აქტში ჩამოყალიბებული პრინციპებისადმი და აღნიშნეს, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები სწორედ მათ საფუძველზე უნდა განვითარდეს.

შემდეგი შეხვედრა 1992 წლის იანვარში შედგა პრაღაში და საგარეო საქმეთა მინისტრთა დონეზე ჩატარდა. ძონაწილეთა რიცხვი ყოფილი საბჭოთა კავშირის 14 რესპუბლიკის წევრად მიღების შემდეგ 48-მდე გაიზარდა. მინისტრებმა განიხილეს ევროთათბირის ფარგლებში მშვიდობის დამცველი ძალების შექმნის საკითხი. განსაკუთრებით აქტიურობდა გერმანია. აღნიშნული ძალების შექმნის იდეა აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკური სიტუაციის არასტაბილურობამ და, განსაკუთრებით, იუგოსლავიისა და მთიანი ყარაბაღის მოვლენებმა წარმოშვა. გამოითქვა აზრი, აგრეთვე, „კონსენსუს მინუს ერთი" პრინციპის მიზანშეწონილობის შესახებ, როგორც ერთი რომელიმე ქვეყნის მიერ ადამიანის უფლებების ხელყოფის წინააღმდეგ მიმართული მექანიზმის თაობაზე. და ბოლოს, მინისტრები შეთანხმდნენ ევროთათბირის ფარგლებში ეკონომიკური ფორუმის ჩამოყალიბების შესახებ. ფორუმის მიზანი განისაზღვრა როგორც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობა.

აღმოსავლეთ ევროპაში და, კერძოდ, ყოფილ საბჭოთა კავშირში სწრაფად მიმდინარე დრამატულმა მოვლენებმა რადიკალურად შეცვალეს სიტუაცია ამ რეგიონში. საჭირო გახდა ევროპის უსაფრთხოების ახალი სისტემის შექმნა და ამ მიზნით ევროთათბირში სტრუქტურული ცვლილებების შეტანა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიდერლანდების ინიციატივით ეროვნულ უმცირესობათა საქმეში უმაღლესი კომისრის თანამდებობის შემოღება, რომელიც 1992 წლის ივნისში ჰელსინკის უმაღლესი დონის შეხვედრაზე განხორციელდა. ამავე შეხვედრაზე 52-ე წევრად მიღებულ იქნა საქართველო.

ევროპაში მიმდინარე ღრმა გარდაქმნების ფონზე ევროთათბირი (ამჟამად უკვე ეუთო) უაღრესად კონსტრუქციულ როლს თამაშობს. მისი ძირითადი დანიშნულება მიმდინარე

გეოპოლიტიკური ტრანზიციის პროცესის მართვაა და, ამდენად, ყოველმხრივ მხარდაჭერას საჭიროებს.

3.7.2. „სამხრეთში"

„სამხრეთის" ცნება, ძირითადად, მაჰმადიანურ სამყაროს გულისხმობს და, შესაბამისად, ისლამის დოგმატიკის საფუძველზე ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობაზე და მორალურ-ეთიკურ ნორმებზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ სისტემებს მოიცავს. აღნიშნული სამყაროს შესახებ მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენის შესაქმნელად თვით რელიგიის ზოგიერთი თავისებურებები განვიხილოთ.

ისტორია*. ისლამი წარმოიშვა არაბეთის ნახევარკუნძულზე, სადაც ბედუინების მომთაბარე არაბების ტომები ბატონობდნენ უდაბნოზე და ოაზისებზე. ამ ტომებს, ისევე, როგორც ოაზისების მკვიდრთ, ჰქონდათ პოლითეისტური რელიგია და ერთობის ძალიან სუსტი შეგრძნება. მათი რელიგიის ერთ-ერთი ნიშანი იყო ბეთილების (აქ: ქვების) კულტი. ერთი ამ ქვათაგანი, სახელგანთქმული „შავი ქვა", მექის ქააბას მეჩეთში დღემდე არის მუსლიმანთა სათაყვანებელი ფეტიში. მცირერიცხოვან ქალაქებში, რომლებიც ოაზისებში მდებარეობდნენ, სოციალური და ეკონომიკური ყოფა განსხვავდებოდა უდაბნოს ხალხის ცხოვრებისაგან. აქ ვითარდებოდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი. შიდა ტომობრივი კავშირები ნელა სუსტდებოდა. მუჰამედი, თავისი ერთადერთი ღმერთის ქადაგებაში, მოქალაქეებს უფრო ეყრდნობოდა, ვიდრე მომთაბარეებს.

---

* რ.გაჩეჩილაძე - „ახლო აღმოსავლეთი", თბილისი 1977, გვ. 18-22.

მუჰამედი,* ფაქტიურად ისლამის რელიგიური სისტემის პირველი შემქმნელი, წარმოშობით ეკუთვნოდა ქალაქ მექის არისტოკრატიას, ყურეიშების ტომს, თუმცა სიღარიბესა და ობლობაში გაიზარდა. როდესაც მან მექაში ახალი რწმენის ქადაგება დაიწყო, თავიდან ცოტა მიმდევარი გამოუჩნდა და 622 წელს მოუხდა ფარულად წასვლა ქალაქ მედინაში.** 630 წელს მუჰამედი დაბრუნდა მექაში, როგორც გამარჯვებული, ხოლო 632 წელს, მისი გარდაცვალების დროისათვის, ისლამი უკვე მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული ჰიჯაზში, დასავლეთ არაბეთში და სწრაფად იძენდა ახალ მომხრეებს. მაშინვე დაიწყო დიდი დაპყრობითი ომები: ისლამის ერთ-ერთი დოგმაა „ჯიჰადი" – წმინდა ომი არამუსლიმანების წინააღმდეგ მათი „ჭეშმარიტ" რწმენაზე მოქცევის მიზნით და შესაბამისად მთელი მსოფლიო იყოფა „დარ-ალ-ისლამად" (ისლამის მიწად) და „დარ-ალ-ჰარბად" (საომარ მიწად). 636 წელს ბიზანტიამ სამუდამოდ დაკარგა სირია, 637 წელს ირანმა – შუამდინარეთი, 640-ში დაეცა ეგვიპტე, 641 წელს სასანურმა ირანმა არსებობა შეწყვიტა.

---

* მუჰამედი გავრცელებული გამოთქმაა არაბული სახელისა „მუჰამმად". სხვა ენებში ის განსხვავებულად გამოითქმის: სპარსულად „მოჰამად". თურქულად „მეჰმეთ", რუსულად „მაგომეტ", ქართულად გამოითქმოდა „მაამადი" და აქედანვეა ნაწარმოები რელიგიის სახელი „მაამადიანობა". სხვა გამოთქმებია „მამედი", „მემედი" და ა.შ. რელიგიის სწორი სახელია ისლამი (არაბულად - მინდობა, მორჩილება), საიდანაც წარმოსდგა მუსლიმი (მინდობილი, მორჩილი). ხანდახან რელიგიას „მუსლიმანობასაც" უწოდებენ.

** ეს გადასახლება (არაბულად „ჰიჯრა") მუსლიმანური წელთაღრიცხვის დასაწყისად ითვლება. ამრიგად, ჰიჯრით პირველი წელი ჩვ.წ. 622 წლის 16 ივლისს იწყება. რადგან ისლამი მთვარის კალენდარს იყენებს, სადაც თვეში 29 ან 30 დღეა მათი წელი ჩვენში მიღებულ წელთაღრიცხვას არ ემთხვევა (მთვარის ჰიჯრის წელიწადში 354 დღეა). თვეები წლის სეზონებს არ ემთხვევა, მაგალითად, რამადანი, მუსლიმანთა მარხვის თვე, შეიძლება ზაფხულში იყოს, რამდენიმე წლის მერე კი ზამთარში.

VIII საუკუნის დამდეგს არაბები ბატონობდნენ მთელ ჩრდილოეთ აფრიკაზე, პირენეის ნახევარკუნძულზე, შუა აზიაში, სამხრეთ კავკასიაში, აღმოსავლეთ ანატოლიაში და მიიწევდნენ ინდის ხეობის, ჩინეთისა და დასავლეთ ევროპის მიმართულებით. 732 წელს შარლ მარტელმა (Charles Martel) დასავლეთ საფრანგეთში, პუატიესთან შეაჩერა არაბთა წინსვლა და ევროპა იხსნა ისლამის საფრთხისაგან.

თუმცა ისლამის გავრცელება გარკვეულ ძალდატანებასთან იყო დაკავშირებული, ქრისტიანმა მონებმა და ყმებმა ესპანეთში განთავისუფლება იყიდეს ისლამში მოქცევის ფასად. ეგვიპტელები და სირიელები არაბებს შეხვდნენ, როგორც მხსნელებს ბიზანტიის უღლისაგან. „ზიმიები" – სხვა მონოთეისტური რელიგიის მიმდევრები, გადასახადის ფასად რჯულშემწყნარებლობით სარგებლობდნენ. დაპყრობის პირველ ეტაპზე მაინც გადასახადი უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე ბიზანტიისა და ირანის ბატონობის დროს, თუმცა მერე და მერე არაბული „ხარაჯა" უმძიმეს ტვირთად დააწვა დაპყრობილ ხალხებს.

არაბებმა მალე აუღეს ალღო საქალაქო და ბინადარი ცხოვრების უპირატესობებს, განიცადეს უფრო კულტურული ხალხების გავლენა. ისლამს არ მოუსპია არც მიწათმოქმედება და არც საქალაქო კულტურა. მთელი რიგი მეცნიერული მიღწევები (განსაკუთრებით ქიმიის, მათემატიკის სფეროში) არაბების სახელს უკავშირდება. თუმცა ხშირად მათი შემქმნელები იყვნენ სხვა ერის შვილები, გაზრდილნი სხვა უფრო მაღალ კულტურაზე, რომლებიც ან არაბულ ენაზე ქმნიდნენ, ანდა არაბების მეშვეობით გახდნენ ცნობილნი ევროპისათვის.* მუსლიმანმა ხალხებმა შეუნარჩუნეს მსოფლიოს ანტიკური ხანის მეცნიერებისა და

* არაბული წარმოშობისაა სიტყვები: ალგებრა, ქიმია (ალქიმია), ალკოჰოლი, ცნობილია მუსლიმანი მეცნიერების მიღწევები მედიცინაში, გეოგრაფიაში. არაბების მეშვეობით გავრცელდა „არაბული ციფრები" და მათვე შემოიღეს ნულის ხმარება (რომელიც რომაულ ციფრებს არ გააჩნია).

აზროვნების ბევრი მიღწევა, რომელთაც ოფიციალური ქრისტიანობა არ სცნობდა და ჰგმობდა. მუჰამედის შემდეგ სასულიერო და საერო მეთაური გახდა არჩევითი ხალიფა. პირველი ოთხი ხალიფა იყვნენ აბუბაქრი (632-634), ომარი (634-644), ოსმანი (644-656) და ალი (656-661). მაგრამ ალის შემდეგ ომაიადების (ომაელების) დინასტიამ ხელთ იგდო მემკვიდრეობითი ხალიფობა და დედაქალაქი დამასკოში გადაიტანა. 750 წელს ახალმა დინასტიამ აბასიდებმა – დედაქალაქი ბაღდადში გადაიტანეს. მექას შერჩა მთავარი რელიგიური ცენტრის ფუნქცია (ყოველი მუსლიმანი ლოცვის დროს ირჩევს „ყიბლას" – მექის მიმართულებას, რომლისკენაც იგი სახითაა მიმართული).

უკვე VII საუკუნის შუა წლებში ისლამი გაიყო ორ ძირითად მიმართულებად: სუნიტობა -- ორთოდოქსალური ისლამი, სცნობს ყურანს და რწმენის დამატებით წყაროს – „სუნას", შექმნილს მუჰამედის სიკვდილის შემდეგ. შიიტები (არაბული სიტყვიდან „შია" -- მომხრენი) სუნას უარყოფენ. ფაქტიურად რელიგიური განხეთქილების მიზეზი იყო ბრძოლა ძალაუფლებისათვის ისლამის მესვეურებს შორის. მოგვიანებით შიიტობამ ეროვნული რელიგიის მნიშვნელობა შეიძინა სპარსელებისათვის, რომლებიც კულტურით და ენით მკვეთრად განსხვავდებოდნენ არაბებისაგან და ისლამში მოქცევის დროისათვის უკვე შექმნილი ჰქონდათ ძალიან მაღალი დონის ცივილიზაცია. შიიტები ამჟამად უმრავლესობას წარმოადგენენ ირანში, ერაყში, და აგრეთვე იემენში. თანდათანობით იქმნებოდა ახალი სექტები და მიმართულებებიც ისლამის შიგნით (ხარიჯიზმი, მურაჯიზმი, მაჰდიზმი, ისმაილიტობა, ვაჰაბიზმი და სხვ.).

თანამედროვეობა. ისლამი თავისი სპეციფიურობით უფრო მეტად, ვიდრე სხვა რელიგიური მიმართულებანი, შეიჭრა იდეოლოგიასა და პოლიტიკაში, სახელმწიფო, საზოგადოებრივ და ოჯახურ ურთიერთობებში.

ობიექტური ანალიზი უჩვენებს: ისლამის პოლიტიზაცია ინტენსიურ ხასიათს სწორედ საზოგადოების ევოლუციის კრიზისულ პერიოდში იძენს, როდესაც მუსლიმანური სახელმწიფოების რელიგიური მოსახლეობა ცდილობს გამო... ...ელის პოვნას, რათა თავი დააღწიოს სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო კრიზისებს.

რელიგიური განწყობილების ზრდის თვალსაზრისით, მახლობელ აღმოსავლეთში თავისებური კატალიზატორის როლი შეასრულა ე.წ. „ექვსდღიანმა ომმა" 1967 წელს, რომელმაც არაბული სამყარო დიდ ტერიტორიულ და ეკონომიკურ დანაკარგებამდე მიიყვანა.

გამოსავალი ერთი გახდა – ალაჰის რწმენისაკენ დაბრუნება. ისლამური ქვეყნის ლიდერებს არ შეეძლოთ ამ პროცესის იგნორირება, თუმცა ამაზე რეაგირებენ სხვადასხვანაირად: ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი აბდელ ნასერი და დღევანდელი არაბი სახელმწიფო მოღვაწეების ნაწილი იყენებდნენ და იყენებენ ისლამს, რათა გააქტიურონ და მობილიზაცია გაუწიონ არაბებს ისრაელის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამასთანავე, კრიზისული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად.

საინტერესოა, რომ ფუნდამენტალიზმის აღორძინების კერა იყო არა წინასწარმეტყველი მუჰამედის სამშობლო – არაბეთის ნახევარკუნძული, არამედ ეგვიპტე. საუკუნის დასაწყისში იქ შეიქმნა ორგანიზაცია „ძმები მუსულმანები", რომელსაც სათავეში ჩაუდგა ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი ჰასან ალ-ბანა. მისი მოძღვრების საფუძველია თეზისი რელიგიისა და პოლიტიკის განუყოფლობის შესახებ. ისლამი, ალ-ბანას სიტყვებით, არის „სარწმუნოება და საზოგადოება, მეჩეთი და სახელმწიფო, მიწიერი არსებობა და იმქვეყნიური ცხოვრება". მნიშვნელოვანია ალ-ბანას შემდეგი მოსაზრებაც: „მთავარი პოლიტიკური მიზანია ყველა იმ ტერიტორიის განთავისუფლება უცხოელებისაგან,

სადაც გავრცელებულია ისლამი, ყურანის საფუძველზე ყველა მაჰმადიანი ხალხების გაერთიანება და მსოფლიო ისლამური სახელმწიფოს შექმნა". ფუნდამენტალიზმი გახდა აღმოსავლური საზოგადოების საპასუხო რეაქცია დასავლეთის ცივილიზაციის დაწოლაზე. წარმოუდგენლად გაიზარდა მოთხოვნილება რელიგიურ ლიტერატურაზე.

მოძრაობის ძირითადი მოთხოვნაა შარიათის (არაბ. შარიათ – ქცევის წესი), ისლამის რელიგიურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების ამოქმედება და მისი უმკაცრესი ფორმებით ცხოვრებაში გატარება. ბევრი ამტკიცებს, რომ შარიათი არ შეიძლება იყოს იმ კანონების ფუძე, რომელიც აუცილებელია თანამედროვე საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, რომ შარიათის ნორმების მკაცრ დაცვას მივყავართ ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისაკენ.

1948 წელს ჰასან ალ-ბანა მოკლეს და „ძმები-მუსულმანები" ორ ნაწილად გაიყო: ზომიერი ფრთა, რომელიც მშვიდობიანი გზით იბრძვის ისლამიზაციისათვის, და ექსტრემისტული ფრთა, რომელიც შეიარაღებული ძალადობით ცდილობს სახელმწიფო მმართველობის ისლამური ფორმის დამყარებას. 1966 წელს ექსტრემისტების ერთ-ერთი ლიდერი, სეიდ კუტბა, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისათვის დასაჯეს. „სამართლიან სოციალურ და სახელმწიფო წყობას შეიძლება მიაღწიო ძალადობისაც"– თქვიდა კუტბა. მისმა მიმდევრებმა 80-იანი წლების დასაწყისში მოაწყვეს აჯანყება სირიაში, რომელიც ჩახშობილ იქნა.

ამით ფუნდამენტალისტების მიერ არაბულ სამყაროში თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნის მცდელობა არ დამთავრებულა, მაგალითები უახლოეს პერიოდშიც საკმაოდაა. 1991 წლის მაისში, ტუნისში, გამოაშკარავდა შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა ხელისუფლების დამხობას და

თეოკრატიული რეჟიმის დამყარებას; ფუნდამენტალიზმის სამშობლოში, ეგვიპტეში, მუსლიმანმა ექსტრემისტებმა მოკლეს პრეზიდენტი სადათი. ახალმა პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა მხოლოდ დასაწყისში გამოიყენა ძალა. სიკვდილით დასაჯეს სადათის მკვლელობის ორგანიზატორ-მონაწილენი. დღეს ხელისუფალთა ტაქტიკა შეიცვალა. მკაცრი ძალა გამოიყენება მათ მიმართ, ვინც შეურიგებელ რადიკალურ პოზიციებზე დგას. ხოლო ზომიერი „ისლამისტები" საპარლამენტო არჩევნებშიც კი დაუშვეს, რის წყალობითაც ისინი ოპოზიციის წამყვან ძალად გადაიქცნენ; 1991 წლის დეკემბერში, ალჟირში მოწყობილი არჩევნების პირველ ტურში, ხსნის ისლამური ფრონტის პარტიამ გამარჯვება მოიპოვა. ფუნდამენტალისტები კონსტიტუციური წესით ხელისუფლების სათავეში მოდიოდნენ. ფუნდამენ-ტალისტები უარყოფდნენ თავიანთი საარჩევნო კამპანიის დროს ცხოვრების ევროპულ წესს. „მხოლოდ ისლამი წარმოადგენს ისეთ სისტემას, რომელიც ანთავისუფლებს პიროვნებას" – გაისმოდა მათ მიერ გამართულ მიტინგებზე. თეოკრატიულ პერსპექტივას ალჟირში აღმოაჩნდა უამრავი მოწინააღმდეგე. იმართებოდა არნახული მასშტაბების მანიფესტაციები, რომელთა ძირითადი ლოზუნგი იყო: „არა – ფუნდამენტალისტურ სახელმწიფოს!" ალჟირი სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე დადგა. შექმნილ სიტუაციაში ევროპული ორიენტაციის პრეზიდენტი, შადლი ბენჯედიდი, გადადგა და თავისი ძალაუფლება უმაღლეს სამხედრო საბჭოს გადასცა, რომელმაც, თავის მხრივ, აკრძალა ფუნდამენტალისტთა პარტია. ეს ანტიკონსტიტუციური აქტი დემოკრატიის დაცვის საბაბით განხორციელდა.

ფუნდამენტალიზმის მნიშვნელოვან საყრდენად რჩება ირანი. „10 წლის შემდეგ დედამიწაზე გაქრება კომუნიზმი, ისლამი კი გააგრძელებს თავის მსვლელობას სრული გამარჯვებისაკენ. ჩვენს

სარწმუნოებას ვერავინ და ვერაფერი ვერ შეაჩერებს". ეს სიტყვები 1986 წელს თქვა აიათოლა ჰომეინიმ. ფაქტია, რომ ჰომეინის მიერ 1979 წლის თებერვალში შაჰის დამხობით ახალი ერა დაიწყო ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენდა მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე. ირანის შიიტურმა ხელმძღვანელობამ გამოაცხადა დოქტრინა „ისლამური რევოლუციის ექსპორტის" შესახებ. ერთ-ერთ ასეთ „საექსპორტო" ქვეყნად თეირანი მიიჩნევს ლიბანს. ამ ქვეყანაში შიიტები მოსახლეობის ერთ მესამედს შეადგენენ. ირანში თვლიან, რომ ლიბანში გაბატონებული კონფესიონალური სისტემის გამო შიიტები არ სარგებლობენ შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით, ამიტომ საჭიროა „ისტორიული სამართლიანობის აღდგენა".

ამ რელიგიური ფრაზეოლოგიის უკან იმალება პოლიტიკური მიზანი – ლიბანში სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტების ხარჯზე ირანის გავლენის გაზრდა. ლიბანის ტერიტორიული სიახლოვე ისრაელთან ააქტიურებს ბრძოლას ამ უკანასკნელის წინააღმდეგ და ამ ბრძოლის დროშის ქვეშ (რომელშიც ჩაბმულია მეტ-ნაკლებად ყველა არაბული და მუსლიმანური სახელმწიფო) ხდება „ისლამური რევოლუციის" გავრცელება „მესამე სამყაროს" მნიშვნელოვან ნაწილში. ამიტომაც შეიქმნა ლიბანში პროირანული ექსტრემისტული ორგანიზაცია „ჰეზბოლაჰი" (ალაჰის პარტია). ამ ორგანიზაციის წევრებს თავი ალაჰის მეომრებად მიაჩნიათ და მზად არიან თავგასაწირად. ამ პარტიის მთავარი მიზანია ლიბანში ისლამური სახელმწიფოს შექმნა. ლიბანური ყოველკვირეული „აშ-შირაა" ახასიათებდა „ჰეზბოლაჰს", როგორც ირანის ისლამური რევოლუციის განატოტს, რომელიც ცდილობს მთელ მუსლიმანურ სამყაროში ანალოგიური სტრუქტურების დანერგვას.

განსაკუთრებით გაძლიერდა ისლამის ფუნდამენტალისტური იდეების გავრცელების მცდელობა ყოფილი საბჭოთა კავშირის შუა აზიის რესპუბლიკებში, აზერბაიჯანში. ამ რესპუბლიკებზე გავლენის მოპოვებას ცდილობს ირანიც და თურქეთიც. ირანის პოლიტიკურ წრეებს მიაჩნიათ, რომ შუა აზიის რესპუბლიკების მიმართ უფრო მოქნილი პოლიტიკის გატარებაა საჭირო; როგორც ირანის ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა განაცხადა, თეირანში შეიქმნა მთავრობის სპეციალური სამმართველო, რომელიც კოორდინაციას უწევს ირანის მოქმედებას ამ სფეროში, ხოლო ირანს უკვე დახარჯული აქვს 500 მილიონ დოლარზე მეტი შუა აზიის რესპუბლიკებში თავისი გავლენის განსამტკიცებლად. დღეისათვის ირანის ტერიტორიაზე შექმნილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ექვსი მუსლიმანური ქვეყნის რელიგიურ მოღვაწეთა მოსამზადებელი ოთხი ცენტრი. ამ სახელმწიფოებში უკვე გაიგზავნა 1300 ირანელი მქადაგებელი.

ირანის გააქტიურება იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების შეშფოთებას. თუ ფუნდამენტალისტებმა იმძლავრეს, ეს რეგიონი საერთო დესტაბილიზაციის წყაროდ იქცევა. ვაშინგტონი მთავარ იმედს ნატო-ს წევრ თურქეთზე ამყარებს. ამერიკის ადმინისტრაციის აზრით, თურქეთი შეიძლებოდა გამხდარიყო მოდელი შუა აზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის.

თურქეთი და ირანი იბრძვიან იმისათვის, რომ თავიანთი გავლენა დაამკვიდრონ სამხრეთ კავკასიაში. მათი ძირითადი სამიზნე აზერბაიჯანი ხდება. მართალია, ირანში დაახლოებით 15 მილიონი აზერბაიჯანელი ცხოვრობს, მაგრამ შიიტური აზერბაიჯანი კულტურულად და ენობრივად სუნიტურ ჯგუფს ენათესავება. აზერბაიჯანის ხელისუფალთა აზრით, მათთვის ყველაზე მისაღებია ევროპული ორიენტაციის თურქეთის რესპუბლიკის მოდელი.

სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ჩრდილო კავკასიაც. ბალკანეთის მოვლენების ფონზე, ფუნდამენტალისტების აზრით, ისლამიზაციის პერსპექტივები საგრძნობლად ფართოვდება.

3.8. საერთაშორისო ორგანიზაციები

ცივილიზებულ სამყაროში გლობალური პრობლემების მოგვარება, აგრეთვე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ხდება. დანიშნულების მიხედვით გამოჰყოფენ უნივერსალურ, ეკონომიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ და სხვა ტიპის ორგანიზაციებს.

3.8.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კვლავ დადგა დღის წესრიგში საერთაშორისო ურთიერთობებში დაძაბულობათა აღმომფხვრელი ძლიერი და ქმედითი ორგანოს შექმნის საკითხი. ამგვარი ორგანო დაარსებულ იქნა სან-ფრანცისკოში გამართულ საერთაშორისო ფორუმზე, სადაც 1945წ. 26 ივნისს 50-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიას. ინიციატორი ქვეყნები იყვნენ: აშშ, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი და საბჭოთა კავშირი. ორგანიზაციის კარი ღიაა ყველა მშვიდობის მოყვარე ქვეყნისათვის. დღეისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) 184 წევრს აერთიანებს. საქართველო ამ ორგანიზაციაში 1992 წლის 31 ივლისს შეეიდა და მისი 179-ე წევრი გახდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინამორბედად ერთა ლიგა ითვლება, მაგრამ გაერო უფრო ძლიერი და ავტორიტეტული ორგანიზაციაა. ძირითად მუშა ორგანოს უშიშროების საბჭო წარმოადგენს, რომელიც ხუთი მუდმივი წევრისაგან (აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი)

შედგება. თითოეულ წევრს ვეტოს უფლება აქვს. გარდა ამისა, მთავარი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაერთიანებულია რამოდენიმე სპეციალიზირებული ორგანიზაცია:

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია;

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია;

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია;

მსოფლიო საფოსტო კავშირი;

განვითარების საერთაშორისო ასოციაცია;

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია;

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია;

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია;

განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკი („მსოფლიო ბანკი“);

საერთაშორისო სავალუტო ფონდი;

ელექტროკავშირის საერთაშორისო ორგანიზაცია;

სასოფლო-სამეურნეო განვითარების საერთაშორისო ფონდი;

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების მეცნიერებისა და კულტურის დარგში;

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სამრეწველო განვითარების დარგში;

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია;

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინა ნიუ-იორკში მდებარეობს. გენერალური მდივანია კოფი ანანი (განა).

* * *

გაერო-სთან საქართველოს ურთიერთობები მზარდი ინტენსივობით გამოირჩევა. საქართველოს საგარეო პოლიტიკა ამ უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციასთან მიმართებაში მნიშვნელოვნად შეიცვალა: ჩვენ უკვე აღარ წარმოვადგენთ მხოლოდ დახმარების რეციპიენტ სახელმწიფოს და სულ უფრო მეტ ძალისხმევას ვახმართ გაერო-ს სისტემაში ისეთი ცვლილებების ხელშეწყობას, რომლებიც საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებს პასუხობს. ეს, პირველ რიგში, ეხება გაერო-ს რეფორმის ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებას, როგორიც უშიშროების საბჭოს სტრუქტურული ცვლილებაა. ჩვენ ვუჭერთ მხარს, რომ ამ ორგანიზაციაში, უპირველეს ყოვლისა, უფრო თანაბრად იქნას წარმოდგენილი თანამედროვე მსოფლიოს გეოპოლიტიკური ცენტრები, აგრეთვე უნდა დაზუსტდეს ის კრიტერიუმები, რომლითაც უშიშროების საბჭო ხელმძღვანელობს კონფლიქტებზე რეაგირების მექანიზმების შესარჩევად. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, საქართველომ თავიდანვე მხარი დაუჭირა უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრობის გაზრდას გერმანიითა და იაპონიით, აგრეთვე არამუდმივი წევრების შემადგენლობის ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის წარმომადგენლებით შევსებას.

საქართველო სისხლხორცეულად არის დაინტერესებული გაერო-ს რეფორმის ისეთი ასპექტით, როგორიცაა გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციები. გაერო-ს სამშვიდობო ძალების კონ-ფლიქტის ზონაში სწრაფი განლაგება და, თუ ამას სიტუაცია მოითხოვს, მათ მიერ „მშვიდობის იძულების“ ღონისძიებების

განხორციელება ბევრად გაზრდიდა გაერო-ს ეგიდით კონფლიქ-ტების მოწესრიგების ეფექტურობას. მისასალმებელია, რომ გაერო-მ დაიწყო ე.წ. „მუდმივი მზადყოფნის ძალების" სისტემის ფორმირება, რომლის შესაბამისად სახელმწიფოები უშიშროების საბჭოსთან ინდივიდუალურად დადებული შეთანხმების ძალით გამოყოფენ და, საჭიროების შემთხვევაში, გაერო-ს განკარ-გულებაში გადასცემენ სპეციალურად სამშვიდობო ოპერაცი-ებისთვის მომზადებულ კონტინგენტებს. ალბათ, გაერო-მ უნდა გადადგას შემდგომი ნაბიჯი კონფლიქტების მოწესრიგების ეფექტური სისტემის ფორმირების თვალსაზრისით და ჩამოაყალიბოს საკუთარი „სწრაფი რეაგირების კონტინგენტი", რაც საერთოდ მოხსნიდა გაერო-ს განკარგულებაში ჯარების გადმოსაცემად სახელმწიფოებთან საკმაოდ წინააღმდეგობრივი, ზოგჯერ კი ხანგრძლივი მოლაპარაკებების წარმოების პრობლემას.

3.8.2. ევროპის საბჭო

ევროპის საბჭო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების კონსულტაციური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციაა. საბჭოს წესდება ხელმოწერილი იქნა 1949 წლის 4 მაისს ლონდონში. მის დაფუძნებაში მონაწილეობა მიიღო ათმა ევროპულმა სახელმწიფომ: ბელგიამ, საფრანგეთმა, ლუქ-სემბურგმა, ნიდერლანდებმა, დიდმა ბრიტანეთმა, დანიამ, ირლანდიამ, იტალიამ, ნორვეგიამ და შვეციამ.

ევროპის საბჭოს წესდების თანახმად, ამ ორგანიზაციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო, რომელიც ცნობს კანონის უზენაესობას და სადაც დაცული და გარანტირებულია ადამიანთა უფლებები და თავისუფლებები. ევროპის საბჭოს ფუნქციების ძირითადი სფეროა ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხები,

ჰუმანისტური და ეკონომიკური თანამშრომლობა, კულტურისა და ეკოლოგიის საკითხები.

1997 წლისათვის ევროპის საბჭო ევროპის 41 ქვეყანას აერთიანებდა. სსრკ-ს დაშლის შემდეგ მის წევრებად მიღებულ იქნენ: ესტონეთი და ლიტვა (1993წ.), ლატვია, უკრაინა და მოლდოვა (1995წ.), რუსეთი (1996წ.). ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ 1989 წლიდან შემოღებული „სპეციალური სტუმრის" სტატუსის მიზანია კავშირების გაუმჯობესება და გაღრმავება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან. „სპეციალური სტუმრის" სტატუსის მქონე ქვეყნები პლენარულ სხდომაზე თავიანთ დელეგაციებს აგზავნიან. ეს სტატუსი 1997 წლის პირველი ნახევრისათვის მინიჭებული ჰქონდათ: სომხეთს, აზერბაიჯანს, ბოსნია-ჰერცეგოვინას და საქართველოს. ბელორუსიას "სპეციალური სტუმრის" სტატუსი 1997წ. 13 იანვარს შეუწყდა. ისრაელს ევროპის საპარლამენტო ასამბლეასთან დამკვირებლის სტატუსი აქვს 1957 წლიდან.

ევროპის საბჭოს მთავარი ორგანოებია: მინისტრთა კომიტეტი და საპარლამენტო ასამბლეა.

მინისტრთა კომიტეტში შედიან საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლები (ჩვეულებრივ, საგარეო საქმეთა მინისტრები). კომიტეტი რეკომენდაციებს აძლევს წევრ ქვეყნებს. ეს რეკომენდაციები ძალაში შედიან მხოლოდ რატიფიცირების შემდეგ.

საპარლამენტო ასამბლეა შედგება წევრი სახელმწიფოების პარლამენტების 168 წარმომადგენლისაგან. ყოველწლიურად ასამბლეა სესიაზე უფლებამოსილია განიხილოს საბჭოს კომპეტენციაში შემავალი ყველა საკითხი და გამოიტანოს რეკომენდაციები მინისტრთა კომიტეტისათვის. ასამბლეამ შექმნა მრავალი სპეციალიზებული კომიტეტი, რომლებიც სესიებს შორის

პერიოდში იკრიბება. საპარლამენტო ასამბლეის და მინისტრთა კომიტეტის საქმიანობის კოორდინაციისათვის შექმნილია გაერთიანებული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის ორივე ორგანოს 8-8 წარმომადგენელი. ადმინისტრაციულ-ტექნიკურ ფუნქციებს ასრულებს სამდივნო გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით.

ევროპის საბჭოსთან მოქმედებენ ადამიანთა უფლებების ევროპის კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპის ტრიბუნალი, რომლებიც კონტროლს უწევენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის განხორციელებას. ევროპის საბჭოსთან აქტიური თანამშრომლობა საქართველომ 1996 წლის მაისში დაიწყო, როდესაც გაიმართა ე.წ. პოლიტიკური დიალოგი ევროპის საბჭოსა და საქართველოს შორის და დაგვირგვინდა 28 მაისს საქართველოსთვის ევროპის საბჭოს „სპეციალური სტუმრის" სტატუსის მინიჭებით, რაც რეალური და სერიოზული განაცხადია სრულუფლებიან წევრობაზე.

საქართველოსათვის სპეციალური სტუმრის სტატუსის სახარბიელო შედეგები უკვე სახეზეა. 1996 წლის ივლისიდან მოყოლებული საქართველოს პარლამენტის ხუთწევრიანი წარმომადგენლობითი დელეგაცია აქტიურ მონაწილეობას იღებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიების მუშაობაში და წარმატებით იყენებს ამ უდიდეს ევროპულ ფორუმს, რაც არაერთი მნიშვნელოვანი რეზოლუციის მიღებაში გამოიხატა.

მეორეს მხრივ, საქართველო უკვე შეუერთდა ევროპის კულტურულ კინვენციას, რაც გაწევრიანების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტი, შესაბამისი ორგანიზაციები ყველა ღონეს ხმარობენ სათანადო საკანონმდებლობო ბაზის ფორმირების, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა იმ სტანდარტის მიღწევის თვალსაზრისით, რაც მსოფლიოს

ამ ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის მუდმივი წევრობის საფუძველი უნდა გახდეს. საქართველოს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის ეს საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა ახლო მომავლის საქმეა.

3.8.3. ევროპის თანამეგობრობა (ევროკავშირი)

ევროპის ფანამეგობრობას უდიდესი წვლილი მიუძღვის მსოფლიოში მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების საქმეში. უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე ევროპის თანამეგობრობის 15 სახელმწიფო მსოფლიოში დემოკრატიისა და სამართლიანობის დაცვის ერთ-ერთ საყრდენად იქცა.

ყოველივე ეს კი 1952 წელს დაიწყო „ევროპული ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების" შექმნით. გაერთიანებაში შევიდნენ ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და საფრანგეთი. 1957 წელს ექვსმა დამფუძნებელმა ქვეყანამ ხელი მოაწერა დღეს კარგად ცნობილ „რომის ხელშეკრულებას", რომლის საფუძველზეც 1958 წელს შეიქმნა „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება" და „ევროპის გაერთიანება ატომური ენერგიის დარგში". შემდგომ სამივე ამ გაერთიანებას *ევროპის თანამეგობრობა* დაერქვა.

1973 წელს ევროპის თანამეგობრობას შეუერთდნენ დანია, ირლანდია და დიდი ბრიტანეთი; 1981 წელს – საბერძნეთი, 1986 წელს – ესპანეთი და პორტუგალია.

ევროპის თანამეგობრობის მთავარი მიზანია ევროპის ხალხთა კავშირის შექმნა. შემუშავებული რეგიონალური პოლიტიკის საშუალებით ხდება თანამეგობრობის განვითარებულ და ჩამორჩენილ ან პერიფერიულ რეგიონებს შორის არსებული განსხვავების გაწონასწორება ამ უკანასკნელთათვის ფინანსური დახმარების გაწევის გზით. დასახულ მიზნებს ევროპის თანამეგობრობის მრავალი დაწესებულება ახორციელებს.

აღმასრულებელი ორგანოს ფუნქცია აკისრია ევროპის კომისიას, რომელიც 20 წევრისაგან შედგება. თითოეული მათგანი გარკვეულ მოვალეობებს ასრულებს, მთლიანად კომისიას კი მისი პრეზიდენტი ხელმძღვანელობს.

საკანონმდებლო ორგანოს – მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში 15 მინისტრი შედის. საბჭო გადაწყვეტილებებს ევროპის კომისიის მიერ შეტანილი წინადადებების საფუძველზე იღებს.

ევროპის თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების მოქალაქეები ირჩევენ 518 დეპუტატისაგან შემდგარ ევროპის პარლამენტს. ევროპარლამენტი განიხილავს კანონებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცემს მათ დასამტკიცებლად საკანონმდებლო ორგანოს – მინისტრთა საბჭოს. ევროპარლამენტი უფლებამოსილია დაითხოვოს ევროპის კომისია. რეგულარულ შეხვედრებს 15 ქვეყნის ხელმძღვანელებს შორის – ევროპის საბჭო ეწოდება. მისი ძირითადი ფუნქციაა ევროპის თანამეგობრობის ორგანოებისა და დაწესებულებების საერთო ორიენტაციის შემუშავება.

1992 წლის 6 თებერვალს ქ.მაასტრიხტში (ნიდერლანდები) თანამეგობრობის ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას *ევროპული კავშირის* შექმნის შესახებ. 1999 წლისათვის დაგეგმილია ეკონომიკური და სავალუტო კავშირების შექმნა, ერთიანი ვალუტის – ევროს (euro) შემოღება, შემუშავდება ერთიანი პოლიტიკა თავდაცვისა და უშიშროების სფეროში. შემოიღებენ, აგრეთვე, საერთო ევროპულ მოქალაქეობას.

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან, როგორც მის ორგანოებთან – ევროკომისიასთან, ევროპარლამენტთან, ასევე ცალკეულ პროექტებში: ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (TRACECA), ევროკომისიის ტექნიკური დახმარება (TACIS) და სხვ.

ევროკავშირი დიდ ფინანსურ დახმარებას უწევს საქართველოს ეკონომიკას -- 1992-1994 წწ. ევროკომისიამ საქართველოს გამოუყო რამოდენიმე კრედიტი სულ 120 მლნ. ეკიუ-ს (ECU-European Currency Unit) ოდენობით. 1996წ. 22 აპრილს ლუქსემბურგში ხელი მოეწერა შეთანხმებას ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რაც პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული კავშირების განმტკიცების თაობაზე საკითხთა ფართო წრეს გულისხმობს.

1996წ. 5 ოქტომბერს კი თბილისში ხელი მოეწერა შუალედურ შეთანხმებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

3.8.4. ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის (ორგანიზაცია)

ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) ჰელსინკის პროცესის განვითარების შედეგია. იგი შეიქმნა 1970-იანი წლების დასაწყისში „ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის" (ეუთთ) სახელწოდებით და ჩაფიქრებული იყო როგორც მრავალმხრივი ფორუმი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დიალოგის და მოლაპარაკებების წარმართვისათვის. 1975-დან 1990 წლამდე, როგორც მისი სახელწოდებიდანაც ჩანს, ეუთთ ფუნქციონირებდა როგორც კონფერენციებისა და თათბირების სერია, რომელზედაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ახალი ვალდებულებების მიღებასა და ადრე მიღებული მოვალეობების შესრულებაზე. პარიზის უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ 1990წ. დაიწყო ცივი ომის დამთავრების შემდეგ შექმნილ ახალ რეალიებთან ადაპტაციის პროცესი. ევოლუციის შედეგად 90-იან წლებში ევროპის უშიშროების დარგში მდგომარეობამ რადიკალური

ცვლილებები განიცადა. ამ ცვლილებათა ასახვის მიზნით ბუდაპეშტის 1994 წლის უმაღლესი დონის შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება ეუთო-ის ორგანიზაციად გარდაქმნის თაობაზე. შესაბამისად შეიცვალა მისი სახელწოდება და დღეს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) ეწოდება. ეუთო აერთიანებს 54 სახელმწიფოს, რომლებიც განლაგებულნი არიან ვლადივოსტოკიდან ვანკუვერამდე გაჭიმულ რეგიონში. მათ შორის არიან აშშ, კანადა, ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყანა.

თანამედროვე ეტაპზე ეუთო-ს პრიორიტეტული ამოცანებია:

– საერთო ფასეულობათა კონსოლიდაცია და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა;

– ლოკალური კონფლიქტების აღკვეთა, სტაბილურობის აღდგენა და მშვიდობის მიღწევა იმ რეგიონებში, სადაც მიმდინარეობს საბრძოლო მოქმედებები;

– უსაფრთხოებისთვის რეალური და სავარაუდო ხიფათის უვნებელყოფა და კონფრონტაციის ახალი ტენდენციების აღკვეთა თანამშრომლობაზე დაფუძნებული უსაფრთხოების სისტემის გზით.

ეუთო-ს სტრუქტურა შედგება შემდეგი ძირითადი რგოლებისაგან:

– *უმაღლესი დონის შეხვედრები.* ეუთო-ს წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეხვედრების დროს უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე დგინდება პრიორიტეტები და აღინიშნება ორიენტირები.

– *მინისტრთა საბჭო.* მინისტრთა საბჭო, რომელიც შედგება ეუთო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან, წარმოადგენს ეუთო-ს ცენტრალურ დირექტიულ მმართველ ორგანოს.

მმართველი საბჭო. მმართველი საბჭო პასუხისმგებელია ეუთო-ს საქმიანობის კონტროლზე, ხელმძღვანელობასა და კოორდინაციაზე.

მუდმივი საბჭო. მუდმივი საბჭო, რომელიც განლაგებულია ვენაში, პასუხისმგებელია ეუთო-ს ყოველდღიურ ოპერატიულ საქმიანობაზე. მის მუშაობას ხელმძღვანელობს მოქმედი თავმჯდომარის წარმომადგენელი.

- *უსაფრთხოების დარგში თანამშრომლობის ფორუმის* (უთფ) ფარგლებში ტარდება მოლაპარაკებები და კონსულტაციები ევროპის მთელს ტერიტორიაზე უსაფრთხოების და სტაბილურობის განმტკიცების შესახებ.

1996 წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს დეკემბრის თვეში პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში შემდგარი ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის უმაღლესი დონის შეხვედრა. ამ ფორუმზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ჩვენი ქვეყნისათვის იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრინციპს, რომელიც მის ტერიტორიულ მთლიანობასა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საზღვრების ხელშეუხებლობას ეხება. საგულისხმოა, აგრეთვე, ლისაბონის დეკლარაციის მეოცე პარაგრაფში დაფიქსირებული აფხაზეთში ძირითადად ქართული მოსახლეობის „ეთნიკური წმენდის" ფაქტი და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში გამართული არჩევნების უკანონობა.

1991 წლის შემდეგ უეთო-მ მონაწილე ქვეყნებში გააგზავნა მომხსენებელთა მისიები მათ მიერ მიღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის გაცნობისათვის. ფაქტების დამდგენი მოკლევადიანი მისიები, მომხსენებელთა მისიები და, აგრეთვე, ექსპერტთა მისიები იგზავნებოდნენ ადამიანური განზომილების ან სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კონკრეტული სიტუაციების შესასწავლად.

ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარეს შეუძლია ამგვარი ამოცანები დააკისროს თავის პირად წარმომადგენელს. პირადმა წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ეუთო-ს მიერ კურსის არჩევასა და მოქმედების ორგანიზაციაში საქართველოსა და ჩეჩნეთში კონფლიქტების დროს მოლაპარაკებებში.

მისიათა გაგზავნა შესაბამის რეგიონებში კონფლიქტების და კრიზისების რეგულირებაში ეუთო-ს ერძელვადიანი მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა.

1997 წლისათვის ეუთო-მ 9 ასეთი მისია მოაწყო: მისია კოსოვოში, სანჯაკსა და ვოევოდინაში, სკოპლეს მისია, მისია საქართველოში, მისია მოლდოვაში, მისია ტაჯიკეთში, მისია ესტონეთში, მისია ლატვიაში, მისია უკრაინაში, მისია ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში.

მისია საქართველოში დაარსდა 1992 წლის 6 ნოემბერს. მისიის მიზანია კონფლიქტების ზონაში დაპირისპირებულ მხარეთა შორის დიალოგის, კონფლიქტის მოგვარების პროცესის და მშვიდობიანი მოლაპარაკებების წარმართვის ხელის შეწყობა.

3.8.5. ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო)

1949წ. 4 აპრილს ვაშინგტონში ხელი მოეწერა ჩრდილო ატლანტიკურ ხელშეკრულებას ჩრდილო ამერიკის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის შესახებ, რომლის ძირითადი მიზანი იყო კავშირის წევრი ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული ყველა სახის აგრესიის შეჩერება და, საჭიროების შემთხვევაში, მოგერიება ერთობლივი ძალებით.

ნატო (NATO) ცივი ომის პირმშოა და მისი შექმნა ევროპაში საბჭოთა კავშირის მზარდი იმპერული ექსპანსიის შეჩერების

მიზანმა განაპირობა. აღნიშნულ ხიფათს ჰქმნიდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპაში სსრკ-სა და მის სატელიტ ქვეყნებში ჩამოყალიბებული მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალი.

ნატო აერთიანებს ევროპის 14 ქვეყანას, აშშ-სა და კანადას. ალიანსის შტაბ-ბინა ქ.ბრიუსელშია (ბელგია). მუდმივ შტატში დაახლოებით 3750 კაცია დასაქმებული.

ცივი ომის შემდეგ ნატომ სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა. თუკი უწინ ნატო-ს ძირითად მისიას მხოლოდ კოლექტიური თავდაცვა წარმოადგენდა, ამჟამად ნატო განიხილება როგორც ევროპული უშიშროების დარგში თანამშრომლობის ძირითადი მამოძრავებელი ძალა და პოლიტიკური ცვლილებების კატალიზატორი. 1991 წელს ნატო-მ მიიღო ახალი სტრატეგიული კონცეფცია, რომლის მიხედვით ახალ პირობებში უშიშროებას საფრთხეს უქმნის არა ფართომასშტაბიანი აგრესია, არამედ ლოკალური კრიზისები. ნატო-მ თავისი ახალი სტრატეგიით განაცხადა თანამშრომლობის მზადყოფნა ამგვარი კრიზისების განვითარების და გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

თანამშრომლობის სტრატეგიის განვითარების შემდეგ მოხდა ნატო-სთან ევროპის ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების დაახლოება საერთო ღირებულებათა საფუძველზე. 1991წ. დეკემბერში დაარსდა ჩრდილო ატლანტიური თანამშრომლობის საბჭო (NACC).

„პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამა (Partnership for Peace, PFP) კი, რომელიც 1994 წლის იანვრიდან მოქმედებს, უკვე პრაქტიკულ სამხედრო თანამშრომლობას ითვალისწინებს აღნიშნულ არეალში მშვიდობის შენარჩუნების მიზნით. პროგრამა გულისხმობს ერთობლივ დაგეგმვას, წვრთნას და ვარჯიშს, და ამ გზით პროგრამაში მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალების

ნატო-სთან ოპერატიული ურთიერთქმედების გაუმჯობესებას. პროგრამის მიზანია უფრო „გამჭვირვალე" გახადოს მონაწილე ქვეყნებში ეროვნული თავდაცვის დაგეგმვა და ბიუჯეტი, გააუმჯობესოს შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლი.

საქართველო აქტიურად მონაწილეობს აღნიშნულ პროგრამში. კერძოდ, „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში საქართველო აქტიურად მონაწილეობს სამხედრო წვრთნებში, ნატო დახმარებას უწევს ქართულ არმიას სამხედრო კადრების მომზადებაში და სხვ.

ნატო-ს ახლებური მისიის მაგალითია ბოსნია-ჰერცეგოვინის გამოცდილება, სადაც ალიანსის სამხედრო ძალები წარმატებით მონაწილეობენ გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციებში ე.წ. IFOR-ის და შემდგომ SFOR-ის განხორციელებისას.

თანამედროვე ეტაპზე ნატო-ს განვითარების ყველაზე რთული საკითხი დაკავშირებულია ალიანსში ახალი წევრების მიღებასთან. ნატო-ს გაფართოების მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს რუსეთს, მის ყველა პოლიტიკურ ძალას, როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციას.

მიუხედავად რუსეთის მწვავე რეაქციისა, ნატო-მ, 1997 წლის ივნისში, მიიღო გადაწყვეტილება ახალი წევრების მიღების თაობაზე. 1999 წლისათვის ესენი იქნებიან პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი. მომავალში ნატო-ს კარი არ იქნება დახურული აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვისაც.

კომპრომისის სახით ნატო-ს და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, ე.წ. "ფუძემდებლური აქტი", რომლის ძალითაც რუსეთი არ შეეწინააღმდეგებოდა ნატო-ს გაფართოებას, სამაგიეროდ, ნატო უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებს რუსეთთან.

ამ მიზნით შეიქმნა ახალი ფორუმი „ნატო-რუსეთის ერთობლივი მუდმივი საბჭო" საბჭო განიხილავს კონფლიქტების თავიდან აცილების, მშვიდობის ხელშემწყობი ოპერაციების განხორციელების, მასობრივი მოსპობის იარაღის თავიდან აცილების და უსაფრთხოების და თავდაცვითი პოლიტიკის სფეროში ინფორმაციის გაზიარების საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ ნატო-სთან დადებული ხელშეკრულების თანახმად რუსეთს არ ექნება ვეტოს უფლება ალიანსის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მიმართ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ნატო-სა და უკრაინას შორის თანამშრომლობის ქარტიის ხელმოწერა, რასაც სამომავლოდ ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ნატო-ს ადაპტაცია ახალ რეალობასთან ითვალისწინებს როგორც ალიანსის გაფართოებას, ისე მის შიდა სტრუქტურულ ცვლილებებს. კერძოდ, 1997 წლის 8-9 ივლისს დაარსდა თანამშრომლობის ახალი ქმედითი მექანიზმი – ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო (EAPC), რომელმაც უნდა გააერთიანოს NACC და PFP-ს პროგრამები. საქართველო ამ ახალი ორგანოს ერთ-ერთი დამფუძნებელია.

3.8.6. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა

1991 წლის 8 დეკემბერს რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის სახელმწიფოს მეთაურებმა ხელი მოაწერეს *ხელშეკრულებას* დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ. ამ ისტორიული მოვლენით საბოლოოდ დაფიქსირდა საბჭოთა კავშირის არსებობის შეწყვეტა და დასაბამი მიეცა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების თანაცხოვრების ახალი პროცესების

განვითარებას. იმავე 1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ათაში რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, მოლდოვას, აზერბაიჯანის და სომხეთის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ზემოთაღნიშნულ ხელშეკრულებაზე დამატებით *ოქმს*, სადაც ნათქვამია, რომ 11 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა თანასწორუფლებიანობის საწყისებზე ქმნის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას (დსთ). შეხვედრაზე მიღებული იქნა, აგრეთვე, *დეკლარაცია*. ამრიგად დსთ-ს შექმნის თარიღი ორია: 1991 წლის 8 და 21 დეკემბერი.

1993 წლის 22 იანვარს მინსკში დსთ-ს შვიდმა წევრმა ქვეყანამ - რუსეთმა, ყაზახეთმა, ბელორუსიამ, უზბეკეთმა, ტაჯიკეთმა, ყირგიზეთმა, სომხეთმა - დაამტკიცა დსთ-ს *წესდება*, რომელიც ეროვნული პარლამენტების მიერ რატიფიცირების შემდგომ მიღებულ იქნა და ძალაში შევიდა იმავე წლის 22 დეკემბერს.

წესდებით გათვალისწინებულია დსთ-ს ასოცირებული წევრის და დამკვირვებლის სტატუსები. ჯერ-ჯერობით აღნიშნული სტატუსის ამა თუ იმ ქვეყნისათვის მინიჭების ფორმალიზაცია არ მომხდარა. თუმცა, უკრაინა თვლის, რომ ვინაიდან არ მიუღია მონაწილეობა წესდების შემუშავებასა და მიღებაში, იგი დსთ-ს საქმიანობაში სწორედ ასოცირებული ქვეყნის სტატუსით მონაწილეობს.

ამრიგად, ხელშეკრულება, ოქმი, დეკლარაცია და წესდება წარმოადგენს დსთ-ს საქმიანობის საფუძველს, მის სამართლებრივ ბაზას.

საქართველო დსთ-ში 1993 წლის დეკემბერში გაწევრიანდა. როგორც ცნობილია, ამას წინ უძღოდა აფხაზეთში განვითარებული დრამატული მოვლენები, რის შედეგადაც

საქართველოსგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეიქმნა ფ'ერს-მაჟორული ვითარება და დსთ-ში შესვლა გარდაუვალი გახდა.

დსთ-ს წესდებაში ან სხვა დამფუძნებელ დოკუმენტებში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, რომ თანამეგობრობა საერთაშორისო ორგანიზაციაა, ანდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დსთ-ს თავიდანვე ჰქონდა. საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაციის ნიშნები — თანამეგობრობა შექმნილია სუვერენული სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერით. ამდენად, მისი იურიდიული ბაზა საერთაშორისო სამართალია.

წესდების მიხედვით დსთ-ს ძირითადი მიზნებია:

— თანამშრომლობა საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის, შეიარაღებისა და სამხედრო ხარჯების შემცირების, საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევის მიზნით;

— კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგება;

— წევრ სახელმწიფოთა ყოველმხრივი და დაბალანსებული ეკონომიკური და სოციალური განვითარება;

— ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების უზრუნველყოფა;

— წევრი ქვეყნების მოქალაქეებს შორის თავისუფალი ურთიერთობების, კონტაქტების ხელშეწყობა, აგრეთვე, დსთ-ს სივრცეში მათი შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა.

დსთ-ს წესდების თანახმად თანამეგობრობის უმაღლეს ორგანოს *სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო* წარმოადგენს. საბჭო იხილავს და წყვეტს წევრი ქვეყნების საერთო ინტერესებში შემავალ პრინციპული მნიშვნელობის საკითხებს. იკრიბება წელიწადში ორჯერ. რომელიმე წევრი ქვეყნის მოთხოვნის შემთხვევაში გათვალისწინებულია რიგგარეშე სხდომის მოწვევაც.

მთავრობის მეთაურთა საბჭო ახდენს წევრი სახელმწიფოების აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კოორდინაციას საერთო ინტერესებში შემავალ ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით.

საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭო წევრი ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის კოორდინაციას ეწევა, მ.შ. საერთაშორისო ორგანიზაციებში. საბჭო, აგრეთვე, აწყობს მსოფლიო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საერთო ინტერესებში შემავალ საკითხთა ირგვლივ კონსულტაციებს.

ეკონომიკური კავშირის შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიზნით შექმნილია *სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტი.* დსთ-ს ფარგლებში მოქმედებს, აგრეთვე, თავდაცვის მინისტრთა საბჭო, სასაზღვრო ჯარების სარდალთა საბჭო, ეკონომიკური სასამართლო, ადამიანის უფლებების კომისია და სხვ. აღსანიშნავია, რომ 1997 წლის 28 მარტის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დსთ-ს სივრცეში კონფლიქტების მოწესრიგების და თავიდან აცილების მიზნით *სპეციალური საკოორდინაციო ორგანოს* შექმნის თაობაზე.

დღეს დსთ-ს მისამართით ბევრი სამართლიანი კრიტიკული შენიშვნა გამოითქმის. 5 წლის არსებობის მანძილზე

ამ ორგანიზაციამ ვერ შეძლო ცალკეულ წევრ სახელმწიფოებს შორის და მათ ფარგლებში არსებული კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირება, რაც სერიოზულად აფერხებს ამ გაერთიანების ჭეშმარიტ თანამეგობრობად გადაქცევას და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით თანაბარპარტნიორულ და ურთიერთსასარგებლო ინტეგრაციული პროცესების გაშლას. საქართველო, თავის მხრივ, აქტიურად ცდილობს დსთ-ს პოტენციური შესაძლებლობების გამოყენებას კონფლიქტების მოწესრიგების, მათი მთავარი მამოძრავებელი ძალის აგრესიული სეპარატიზმის – დაგმობის და აღმოფხვრის მიზნით. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია საქართველოს აქტიური მონაწილეობა 1995 წლის ალმა-ათის სამიტზე ცნობილი მემორანდუმის, 1996 წლის იანვრისა და 1997 წლის მარტის უმაღლესი დონის შეხვედრებზე პრინციპული გადაწყვეტილებების მიღებაში. სამწუხაროდ, რუსეთის რეაქციული ძალების მცდელობით აღნიშნული გადაწყვეტილებების რეალიზაცია ფერხდება, რაც, თავის მხრივ, ჯანსაღი ინტეგრაციული პროცესების განვითარების მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია. ამით უნდა აიხსნას ის, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცეში ურთიერთსასარგებლო მრავალმხრივი თანამშრომლობის ნაცვლად სულ უფრო აქტიურად ვითარდება წევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი პარტნიორული ურთიერთობები.

3.8.7. შავიზღვისპირეთის ეკონომიკური თანამშრომლობა

'ძავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) შესახებ დეკლარაციას ხელი მოეწერა 1992 წლის 25 ივნისს, როდესაც ქ.სტამბოლში თურქეთის მაშინდელი პრეზიდენტის, თ.ოზალის,

ინიციატივით თავი მოიყარეს ალბანეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, საქართველოს, მოლდოვის, რუმინეთის, რუსეთის და უკრაინის სახელმწიფოს მეთაურებმა. სტამბოლის ისტორიული დეკლარაციით განისაზღვრა რეგიონალური თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებანი და პრაქტიკულად შეიქმნა რეგიონალური გაერთიანება, რომელმაც კოორდინაცია უნდა გაუწიოს შავიზღვისპირა (და არა მარტო შავიზღვისპირა) ქვეყნებს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობას.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის არსებობის მანძილზე ჩამოყალიბდა შესაბამისი სტრუქტურები (მუდმივი საერთაშორისო სამდივნო, 17 მუშა ჯგუფი, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი), რომელიც აკავშირებს BSEC-ის მონაწილე 11 და დამკვირვებლის სტატუსის მქონე 7 სახელმწიფოს.

უნდა აღინიშნოს, რომ BSEC-ის ფარგლებში სახელმწიფოებმა სერიოზულად დაიწყეს თანამშრომლობის შესაძლებობების გამოძებნა სხვადასხვა მიმართულებით: ენერგეტიკაში, კავშირგაბმულობაში, ტრანსპორტში, ვაჭრობაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ჯანდაცვასა და გარემოს დაცვაში, ორმაგი დაბეგრის თავიდან აცილებასა თუ ინვესტიციების ურთიერთწახალისებაში და სხვა. დღეისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მონაწილე სახელმწიფოებს გააჩნიათ განსხვავებული საკანონმდებლო ბაზები და საერთაშორისო ვალდებულებათა განსხვავებული სისტემა. ამ მხრივ BSEC-ის ეგიდით მიმართული საქმიანობა პირველ რიგში უნდა გაგრძელდეს საკანონმდებლო გარღვევების აღმოსაფხვრელად (მაგ. ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და სხვა).

შავი ზღვის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც მნიშვნელოვანია არა მარტო რეგიონისათვის, არამედ მთლიანად ევროპისათვის, BSEC-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით უკვე დასასრულს მიუახლოვდა შავი ზღვის რეგიონის სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის, პორტებისა და სანაოსნო ხაზების დეტალური რუკების შემუშავება.

კავშირგაბმულობის სფეროში აღსანიშნავია BSEC-ის ფარგლებში არსებული DOKAP-ის პროექტი. იგი ითვალისწინებს სამი რესპუბლიკის (თურქეთი, საქართველო, აზერბაიჯანი) ერთიანი სარელეო ქსელის შექმნას, რომელიც შემდგომში გაგრძელდება ცენტრალური აზიის რესპუბლიკებშიც.

თავისთავად აღნიშვნის ღირსია BSEC-ის სახელმწიფოთა ერთიანი ენერგოსისტემის შექმნის პროექტი, რომელიც შემდგომ დაუკავშირდება სამხრეთ და ცენტრალური ევროპის, დსთ-ს, ახლო აღმოსავლეთის რეგიონების ქვეყნების ელექტროქსელებს და, საბოლოო ჯამში, გაერთიანდება განვითარების სტადიაში მყოფ ევრო-ხმელთაშუაზღვის ენერგოსისტემასთან.

BSEC-ის საერთაშორისო ორგანიზაციად ტრანფორმაციის იდეა არაერთგზის გამოითქვა ამ ალიანსის სხვადასხვა შეხვედრებზე. BSEC-ის მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურებმა ამ პროცესის შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებლად ჩათვალეს BSEC-ის ინსტიტუციონალური და სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც შეიძლებოდა მიღწეულიყო მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმების ან ორგანიზაციის წესდების მიღების გზით. აქვე უნდა განისაზღვროს BSEC-ის გაფართოების საკითხი, რომლის პროცესში მონაწილეობის სურვილს სულ უფრო მეტი სახელმწიფო გამოთქვამს (იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკა, მაკედონია, ირანის ისლამური რესპუბლიკა, უზბეკეთის რესპუბლიკა როგორც

წევრი ქვეყნები; ხორვატია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, სლოვაკია, კვიპროსი, იორდანია, ყაზახეთი როგორც მეთვალყურე სტატუსის მქონე ქვეყნები).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ BSEC-ის პროცესებში ევროკავშირის ქვეყნების მონაწილეობა (საბერძნეთი – როგორც მონაწილე სახელმწიფო, იტალია და ავსტრია - როგორც მეთვალყურე ქვეყნები) რამდენადმე მაღლა სწევს მის ავტორიტეტს საერთაშორისო სარბიელზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბულგარეთი და რუმინეთი წარმოადგენენ ევროკავშირის ასოცირებულ წევრებს. ამის გათვალისწინებით მონაწილე სახელმწიფოთა მიერ მიზანშეწონილია ევროკავშირის გამოცდილების გამოყენებით საკანონმდებლო ბაზის შექმნა, კანონმდებლობათა ჰარმონიზაცია და ევროპულ სტანდარტებზე გადასვლა.

BSEC-ს მჭიდრო ურთიერთობები გააჩნია ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან როგორიცაა: ევროკავშირი, გაერო-ს ევროპისათვის ეკონომიკური კომისია (UN/ECE), გაერო-ს განვითარების ორგანიზაცია (UNDP), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და მრავალი სხვა. ევროკავშირი დიდ დახმარებას უწევს შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკს, რომელმაც შემდგომში უნდა უზრუნველყოს BSEC-ის ფარგლებში არსებული პროექტებისა და პროგრამების დაფინანსება.

მიუხედავად იმისა, რომ BSEC-ის ცალკეულ წევრ სახელმწიფოებს შორის გარკვეული უთანხმოებები არსებობს, რაც ცივი ომის დროინდელი პერიოდიდან მემკვიდრეობით ერგო დღევანდელ ვითარებას, ამ გაერთიანებას, უდავოდ დიდი მომავალი აქვს.

3.8.8. არაბულ ქვეყანათა ლიგა

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ოსმალეთის იმპერიის დაშლამ ზოგიერთ არაბ ლიდერში პანარაბისტული და პანისლამური თვითშეგნების გამოღვიძება განაპირობა. არაბი ხალხის არაერთგვაროვნებამ და განსხვავებულმა რეგიონალურმა ინტერესებმა ხელი შეუშალეს ერთიანი სახელმწიფოს მყარი საფუძვლების შექმნას და, საბოლოო ჯამში, არაბული ქვეყნები ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის კონტროლს ქვეშ აღმოჩნდნენ. გამონაკლისს რამოდენიმე არაბული სახელმწიფო წარმოადგენდა. მათ 1945 წელს შექმნეს ლიგა, რომელშიც თავდაპირველად შვიდი სახელმწიფო გაერთიანდა. მოგვიანებით ლიგაში გაერთიანებულ ქვეყანათა რიცხვმა თხუთმეტს მიაღწია, თუმცა 1979 წელს ისრაელთან სეპარატული გარიგების გამო ეგვიპტე გარიცხულ იქნა მისი რიგებიდან. ლიგის საქმიანობა გააქტიურდა 1973 წელს არაბეთ-ისრაელის ომის შემდეგ. ნავთობით მდიდარმა ქვეყნებმა დაიწყეს ეკონომიკური და სამხედრო დახმარების აღმოჩენა შედარებით ღარიბი ქვეყნების მიმართ. გარდა ამისა, ლიგის ქვეყნების საერთო ძალისხმევით ხდება ამა თუ იმ გაწევრიანებულ სახელმწიფოში სტაბილიზაციის უზრუნველყოფა. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სირიის სამხედრო ნაწილების მონაწილეობა ლიბანის კონფლიქტის რეგულირებაში.

3.8.9. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია

ორგანიზაციაში დღეისათვის გაერთიანებულია ცამეტი ქვეყანა: ალჟირი, ვენესუელა, გაბონი, ინდონეზია, ერაყი, ირანი, კატარი, კუვეიტი, ლიბია, ნიგერია, გაერთიანებული არაბთა ემირატები, საუდის არაბეთი და ეკვადორი. 1990 წელს ამ ქვეყნების წილი მსოფლიოს ნავთობის ინდუსტრიაში უდრიდა: 48% - მოპოვება, 72% - ექსპორტი და 67% - მარაგი.

1945 წლის შემდეგ ნაციონალიზმის გაღვივების შედეგად ბევრ ქვეყანაში ნავთობსარეწების ნაციონალიზაცია მოხდა. პირველი პრეცედენტი მოხდა ირანში 1951 წელს. ამას მოყვა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის შექმნა 1960 წელს. ორგანიზაციის მიზანი იყო (და დღესაც რჩება) წევრი ქვეყნების ინტერესების მაქსიმალურად დაცვა მსოფლიო ბაზარზე. ამ ერთი შეხედვით მცირე ჯგუფის ძალა 1973 წელს გამოვლინდა, როცა მათ ერთბაშად ოთხჯერ გაზარდეს ნედლ ნავთობზე ფასები და, პარალელურად, ემბარგო დაადეს ნავთობის ექსპორტს ისრაელსა და მის მოკავშირე ქვეყნებში.

3.8.10. საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციები

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. წმინდა ეკონომიკური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ბევრი ქვეყნის წინაშე დადგა ეკონომიკის სფეროში არასასურველი ცვალებადობის თავიდან აცილების პრობლემა. 1945 წელს მსოფლიო სავალუტო სისტემის მართვის მიზნით დადებულ იქნა საერთაშორისო ხელშეკრულება. ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე აშშ-ს პრეზიდენტის თ.რუზველტის და ფინანსთა მინისტრის ს.მორგენთაუს მიმართვები „დიდი დეპრესიის გაკვეთილები და სახელმწიფოთა ნება ერთობლივი საქმიანობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე უზრუნველჰყონ მსოფლიო ხალხების კეთილდღეობა და აყვავება“ და „სამყაროს ეკონომიკური ერთიანობის შეგრძნება“ გახდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის შექმნის საფუძველი.

ამჟამად ეკონომიკურ სტაბილიზაციაზე პასუხისმგებელ 4000-ზე მეტ ორგანიზაციას შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი სუპერგიგანტების რიცხვს განეკუთვნებიან; მათი მძლავრი ფინანსური ბაზა აღემატება

გაერო-ს ყველა დანარჩენი სპეციალიზებული ორგანიზაციისა და რეგიონალური ბანკების ფინანსურ რესურსებს ერთად აღებულს. სავალუტო ფონდის საწესდებო კაპიტალია $140 მლრდ პლუს $30 მლრდ დროებით მოზიდული სახსრები, მსოფლიო ბანკისა კი – $174 მლრდ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან საქართველოს თანამშრომლობა 1994 წლიდან დაიწყო, რასაც დასაბამი საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ე.შევარდნაძის აშშ-ში ვიზიტის დროს ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრამ დაუდო. მას შემდეგ სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი აქტიურ დახმარებას უწევს ჩვენს ქვეყანას ყოვლისმომცველი ეკონომიკური რეფორმების გატარებასა და ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში მნიშვნელოვანი საკითხების განხორციელებაში.

ეკონომიკური რეფორმების შედეგად მიღწეული საყოველთაოდ აღიარებული წარმატებები, რაც ეროვნული ვალუტის სიმყარესთან, ინფლაციის ნორმის ფარგლებში მოქცევასთან, ერთიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაღალ ტემპთან, საბანკო სისტემის სრულყოფასთან, ზოგადად ეკონომიკის სტაბილიზაციასთან და გამოცოცხლებასთან არის დაკავშირებული, პირველ რიგში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან გაწეული ექსპერტული და ფინანსური დახმარების შედეგია.

ბოლო წლებში მსოფლიო ბანკმა საქართველოს რამოდენიმე მეტად მნიშვნელოვანი კრედიტი გამოუყო, რომელთა საერთო ღირებულება 261,5 მლნ დოლარს შეადგენს, ესენია: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის კრედიტი,

საინსტიტუციო მშენებლობის კრედიტი, სარეაბილიტაციო კრედიტი, ტრანსპორტის რეაბილიტაციის კრედიტი, სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტი, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმის კრედიტი, ენერგეტიკის რეაბილიტაციის კრედიტი, სოფლის მეურნეობის განვითარების კრედიტი.

გარდა ამისა, მსოფლიო ბანკი კონკრეტულ პროექტებსაც ახორციელებს, ესაა: სოციალური საინვესტიციო ფონდი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა (აღსანიშნავია, რომ ამგვარი პროექტის დაფინანსება მსოფლიო ბანკისთვის პირველია და თუ პროექტი გაამართლებს თავის დანიშნულებას, მოსალოდნელია მსოფლიო ბანკის მხრიდან უფრო ხანგრძლივი თანამშრომლობა ამ სფეროში), საქართველოს მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროგრამა, შავი ზღვის აუზის გარემოს დაცვის ინტეგრირებული პროექტი.

დღესდღეობით მსოფლიო ბანკი საქართველოში ე.წ. საბაზისო (მაღალი დონის) სცენარით მოქმედებს, რაც გამოწვეულია მოსალოდნელზე უკეთესი შედეგებით. ამ კურსის გაგრძელების შემთხვევაში საქართველოსათვის გაწეული დახმარება 1998-2000 წლებში 289 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. მსოფლიო ბანკის სახელმწიფო დახმარების პროგრამა ითვალისწინებს დაბალი დონის შესაბამის სცენარსაც, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური რეფორმები საგრძნობლად შენელდა.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი. ევროპული ბანკი, რომლის შტაბ-ბინა ლონდონში მდებარეობს, 1992წ. აპრილში გაიხსნა. ევროპული ბანკი პირველი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც ცივი ომის დამთავრების შემდეგ

შეიქმნა. მისი მიზანია დაეხმაროს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლაში, კერძო და სამეწარმეო ინიციატივის დამკვიდრებაში. ევროპული ბანკი, მიისწრაფვის რა აღნიშნული რეგიონის ქვეყნების ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების ხელშეწყობისაკენ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, ადამიანის უფლებების პატივისცემას და ეკოლოგიურად ჯანსაღ პოლიტიკას.

თავდაპირველად ბანკი 41 წევრს (39 ქვეყანასა და 2 ორგანიზაციას) აერთიანებდა, რომელთა შორის იყვნენ ევროპის ქვეყნები, აშშ, იაპონია და სხვა. დღეისათვის მისი წევრების რიცხვმა 59-ს მიაღწია.

ბანკის საწყისი სააქციონერო კაპიტალი 10 მლრდ ეკიუ-ს უდრის. გარდა ამისა, ბანკი ახდენს მსოფლიო ბაზარზე კაპიტალის სესხად აღებას.

დასახული მიზნიდან გამომდინარე ბანკი ქმედით დახმარებას უწევს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს სტრუქტურული და დარგობრივი ეკონომიკური რეფორმის გატარებაში, მ.შ. დემონოპოლიზაციის, დეცენტრალიზაციისა და პრივატიზაციის დარგში.

ფინანსირების მეთოდები გულისხმობენ კრედიტების და გარანტიების გაცემას და ინვესტიციებს. საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ასპექტს საკონსულტაციო მომსახურება და ტექნიკური დახმარება წარმოადგენს.

საქართველოში ვითარების სტაბილიზაციის შემდგომ, 1994 წლიდან, ევრობანკმა გააფართოვა ადრე დაწყებული თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან და უკვე ათამდე დასრულებული თუ მიმდინარე პროექტი აქვს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. ელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი;
2. თბილისის აეროპორტის რეკონსტრუქციის პროექტი (განხორციელდა 1995-96წწ.);
3. ორი პროექტი, რომლებიც ითვალისწინებენ ინფრასტრუქტურის განვითარებას: ფოთის პორტის რეაბილიტაცია და საბითუმო ბაზრის განვითარება.

1996 წლის 11 სექტემბერს საქართველოში დაფუძნდა შავი ზღვის კომერციული ბანკი, 5 მილიონი დოლარის საწყისი კაპიტალით, რომელშიც ევრობანკს 20 პროცენტიანი წილი აქვს.

ევრობანკის მიერ მომავლისათვის საქართველოსთვის შემოთავაზებულია შემდეგი პროექტები: გაზის და ნავთობის საბადოების ათვისება; ბორჯომის მინის ტარის ქარხნის ხელახალი აღჭურვა; ჩაის მწარმოებლებთან თანამშრომლობა; სასტუმრო „თბილისის" რეაბილიტაცია; აზერბაიჯანიდან ნავთობის ტრანსპორტირებისათვის მილსადენის დაფინანსებაში მონაწილეობა.

მიმდინარეობს მოლაპარაკება შავ ზღვაზე ფოთი-ილიჩოვსკი-ვარნის სარკინიგზო-საბორნე მეურნეობის მშენებლობის პროექტში ევრობანკის მონაწილეობის შესახებ.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. 1947 წელს ჟენევაში დადებული მრავალმხრივი ხელშეკრულება საფუძვლად დაედო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (თავდაპირველი სახელწოდება სატარიფო და სავაჭრო გენერალური ხელშეკრულება (GATT)) ჩამოყალიბებას, რომლის მიზანია საბაჟო გადასახადების შემცირებით გააადვილოს ვაჭრობა პარტნიორ ქვეყნებს შორის. ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს მაქსიმალური ხელშეწყობის რეჟიმის პრინციპი. აღნიშნული რეჟიმი ამა თუ იმ ქვეყანას ხელშეკრულების წევრთა საერთო გადაწყვეტილებით ენიჭება.

ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ეწყობა ე.წ. რაუნდები, რომლის განმავლობაშიც წევრი ქვეყნები ბჭობენ სავაჭრო ბარიერების შემდგომი შემცირების შესაძლებლობებზე.

1996 წლის 26 ივნისს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის(მსო) გენერალური საბჭოს სხდომაზე საქართველოს აღნიშნულ ორგანიზაციაში დამკვირებლის სტატუსი მიენიჭა.

მსო-ს წესების მიხედვით, ამ ორგანიზაციაში სრულუფლებიანი სტატუსის მიღების მიზნით საქართველომ უნდა წარადგინოს მემორანდუმი საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის შესახებ, რომელიც შეიცავს დეტალურ ინფორმაციას საქართველოს შიდა და საგარეო ეკონომიკურ ვითარებაზე. აღნიშნული მემორანდუმის პროექტი წინასწარ იქნა განხილული მსო-ს ექსპერტების მიერ.

მემორანდუმი საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის შესახებ მომზადების საბოლოო სტადიაშია. მემორანდუმის წარდგენის შემდეგ დაიწყება ორმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკებები როგორც მსო-ში საქართველოს გაწევრიანების მუშა ჯგუფთან, ასევე მსო-ს წევრ ქვეყნებთან.

მსო-ში საქართველოს გაწევრიანებას მრავალი თვალსაზრისით სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, კერძოდ აღსანიშნავია:

1. საქართველოს პრაქტიკული ჩართვა მსოფლიო ვაჭრობის სისტემაში,

2. მსო-ს იმ შეთანხმებებთან მიერთება, რომლებიც ითვალისწინებენ საქართველოში საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას საგარეო ვაჭრობის, მომსახურეობისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროებში;

3. შელავათიანი პირობების მიღება საქართველოს პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე შესაღწევად;

4. საქართველოს მიმართ დისკრიმინაციული ზემოქმედების თავიდან აცილება;

5. წამოჭრილი სადავო საკითხების სამართლიანი და ობიექტური გადაჭრის საშუალების მიღება;

6. საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის ხარისხობრივად ახალ დონეზე აყვანა;

7. საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების პრაქტიკული ამოქმედების მექანიზმების განხორციელება.

3.9 საერთაშორისო კონფლიქტები და გარემო

საერთაშორისო კონფლიქტები – სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის სახესხვაობას წარმოადგენს. საერთაშორისო ხასიათის კონფრონტაციის როლი თანამედროვე ცხოვრებაში უაღრესად დიდია. სპეციალისტები მას სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ – მეცნიერულად შესწავლა სადისციპ-ლინათაშორისო საფუძველზე ხდება და ამ მიჯნაზე სპეციალური დისციპლინაც კი შეიქმნა, რომელსაც კონფლიქტოლოგიას უწოდებენ.

საერთაშორისო კონფლიქტებს შორის განსაკუთრებული ადგილი გარემოს ირგვლივ დავას უჭირავს. ეს ბუნებრივ რესურსებზე მოთხოვნილების ზრდასთან, ტერიტორიული რესურსების ხელახალი გადანაწილების ცდასთან და ეკოლოგიური სიტუაციის მკვეთრ გაუარესებასთან არის დაკავშირებული. ყოველივე ეს არ არის შემთხვევითი: ცნობილია, რომ XX ს. მეორე ნახევარში ენერგეტიკული, სანედლეულო, სასურსათო და ეკოლოგიური კრიზისის საფრთხე რეალობად იქცა.

გარემოსთან დაკავშირებულ კონფლიქტებს სამ ჯგუფში აერთიანებენ, ესენია: ტერიტორიული, რესურსული და ეკოლოგიური ჯგუფები. აღნიშნულ კონფლიქტებს ის საერთო გარემოება აერთიანებთ, რომ მათი წარმოქმნის ერთ-ერთ მიზეზს გეოგრაფიულ მოვლენათა ნიადაგზე სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობათა გამწვავება წარმოადგენს. ამგვარ დავათა ძირითადი მზეზი კი ქვეყნებს შორის პოლიტიკური და ეკოლოგიური წინააღმდეგობებია. ნათელია, რომ გარემოსთან დაკავშირებული საერთაშორისო კონფლიქტები, როგორც მეცნიერული შესწავლის საგანი, მრავალი სამეცნიერო დისციპლინის პოზიციიდან უნდა იქნეს განხილული, კერძოდ ფილოსოფიის, ისტორიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, საერთაშორისო სამართლისა და სხვ. ისინი შესაძლებელია და უნდა იქნეს კიდეც შესწავლილი გეოგრაფიული თვალთახედვითაც. უფრო მეტიც, ისინი გეოგრაფიის ცალკეული დისციპლინების განხილვის საგანიც შეიძლება გახდნენ: ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალისტებს, ეკონომ-გეოგრაფებსა და გეოგრაფ-ეკოლოგებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ ამ საქმეში. ნებისმიერი ბუნებრივ-რესურსული კონფლიქტის წარმოქმნისა და განვითარების გასაგებად მრავალფეროვანი ინფორმაციაა საჭირო, მათ შორის მარაგის რაოდენობის. ექსპლუატაციის პირობებისა და სავარაუდო ეკოლოგიური შედეგების შესახებ; არანაკლებ არსებითია გეოგრაფიული ასპექტის გათვალისწინება ტერიტორიული კონფლიქტების განხილვისას. მაგრამ, ეკოლოგიური ხასიათის კონფლიქტურ სიტუაციებში ძისი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საიდან მოდის დაბინძურებული ჰაერის ნაკადი? როგორი წარმოშობისაა - ბუნებრივი თუ ანთროპოგენული? სად მდებარეობს დაბინძურების კერა? - აი, ის კითხვები, რომელზეც გეოგრაფ-ეკოლოგმა უნდა გასცეს პასუხი.

ტერიტორიული კონფლიქტები, როგორც წესი, მეზობელ სახელმწიფოებს შორის ხდება. მათი უმრავლესობა სათავეს

საუკუნეების სიღრმეში იღებს. თუმცა, ცნობილია ჩსეთი კონფლიქტებიც, რომელთაც ორ ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ სახელმწიფოთა შორისაც აქვს (ან ჰქონდა) ადგილი. ასეთ სახელმწიფოთა შორის ტერიტორიული პრეტენზიები და მიწების ირგვლივ დავა, როგორც წესი, კოლონიურ ეპოქაში ხდებოდა, განსაკუთრებით კი მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის ბრძოლის დროს. ტერიტორიული ექსპანსია ყოველთვის იყო დიდი ქვეყნების საერთაშორისო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი. იგი ყოველთვის კონფლიქტებით, სამხედრო შეტაკებებითა და ომებით მთავრდებოდა.

ტერიტორიისათვის, მიწისათვის დავას სხვადასხვა მიზეზი აქვს. ერთ-ერთი მათგანი დაკავშირებულია ამა თუ იმ ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობის ხელსაყრელობასთან სამხედრო-სტრატეგიული ან ეკონომიკური თვალსაზრისით. იგულისხმება, მაგალითად, ზღვისპირა რაიონები, დიდი მდინარეები, მთიანი მხარეები. ისტორიულ წარსულში ქვეყნებს შორის ურთიერთობაში ამგვარი ტერიტორიების ფლობისათვის დავა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. არც თუ იშვიათია იგი დღესაც. მაგალითისთვის გამოდგება არგენტინასა და ინგლისს შორის გაჭიანურებული დავა ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების გამო. ეს კუნძულები, რომლებიც ატლანტის ოკეანის სამხრეთ ნაწილში მდებარეობენ, ჯერ კიდევ 1833 წლიდან იპყრობდნენ ინგლისის ყურადღებას თავისი უაღრესად ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობით. 1833 წ. ინგლისმა ისინი თავის კოლონიად გამოაცხადა. იქიდან მოყოლებული კუნძულები ორმაგ დაქვემდებარებაში იყვნენ, რაც არც მათ ყოფილ და არც ფაქტიურ მფლობელებს არ აწყობდათ. გაჭიანურებული დავა, რომელიც დღესაც გრძელდება, 1982 წ. სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა. სამხედრო შეტაკების შემდეგ ინგლისმა დაიკავა კუნძულები და, ამით, პოზიციები გაიმაგრა. სულ მალე ინგლისმა ფოლკლენდის კუნძულების გარშემო 150-მილიანი ეკონომიკური ზონა

გამოაცხადა. 1986 წ. გამოცხადებული ზონის დამატებით ინგლისმა ორ ს მილიანი თევზის სარეწი ზონაც გამოაცხადა. მისი საზღვარი კუნძულ ესტადოსზე გადის, რომელიც არგენტინის კუთვნილ ცეცხლოვან მიწასთან მდებარეობს.

აღნიშნული კონფლიქტის მაგალითზე ჩანს, რომ სხვადასხვა სახის კონფლიქტები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. სახელმწიფოებს შორის დავა ტერიტორიების გამო დაიწყო (მათი სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობის საფუძველზე), ხოლო შემდგომ რესურსებისთვის (თევზის სარეწის ზონა) დავით გაგრძელდა.

განსხვავებული ტიპის ტერიტორიულ კონფლიქტებს ადგილი აქვს ისრაელსა და ლიბანს, ეგვიპტესა და ისრაელს შორის. მრავალრიცხოვანი საკამათო საკითხებია სპარსეთის ყურის ქვეყნებს შორისაც. დავობენ კუვეიტი და ერაყი, ბაჰრეინი და კატარი, ირანი და კუვეიტი. ეჭვგარეშეა, რომ ამ შემთხვევაში ტერიტორიული პრეტენზიები მხოლოდ „მიწის ნაგლეჯის" გამო არ ჩნდება. ნათელია, რომ საფუძვლად ამ კონფლიქტებს რესურსები (თევზი, ნავთობი) უდევს. ამის გამოა, რომ აღნიშნული სახელმწიფოები არა მარტო ხმელეთისა და კუნძულების გამო დავობენ, არამედ აკვატორიების გამოც. უბის ფსკერზე ხომ ნავთობის აღმოჩენაა შესაძლებელი. ერაყ-კუვეიტის გასმარუებული კონფლიქტი სწორედ აღნიშნული მიზეზებით იყო განპირობებული.

ტერიტორიული პრეტენზიები არსებობს, აგრეთვე, რუსეთ-ჩინეთისა და რუსეთ-იაპონიის ურიერთობებში. პირველ შემთხვევაში დავა ისე გამწვავდა, რომ 70-იანი წლების დასაწყისში სამხედრო კონფლიქტშიც კი გადაიზარდა. რაც შეეხება რუსეთ-იაპონიას შორის დავას, საქმე ეხება სამხრეთ კურილიის კუნძულებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოერთვა იაპონიას.

ბუნებრივ-რესურსული კონფლიქტები. საერთაშორისო კონფლიქტებს ხშირად იმ შემთხვევაშიც აქვს ადგილი, როცა ერთი ქვეყანა მეორის ბუნებრივ რესურსებზე აცხადებს პრეტენზიას. აგრეთვე მაშინაც, როცა მსოფლიო ოკეანის ნეიტრალურ წყლებში (ან ფსკერზე) არსებული რესურსების განაწილების, ექსპლუატაციის და ექსპორტის შესახებ ქვეყნებს შორის შეთანხმება ვერ ხერხდება.

სახელმწიფოთა შორის კონფრონტაციის ყველაზე გავრცელებულ მიზეზს სანაპირო წყლებში თევზჭერა წარმოადგენს. არის ქვეყნები, რომლებიც თევზჭერის მიზნით ხშირად არღვევენ მეზობელი სახელმწიფოების საზღვაო საზღვრებს. 1982 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით დადებულ იქნა საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სანაპირო წყლებში ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის ირგვლივ სადავო საკითხების მოგვარების მიზნით 200-მილიანი ეკონომიკური ზონები იქნა გამოყოფილი. ამან ბევრ სახელმწიფოს, რომლებიც წყალმარჩხ ზღვებზე გადიან (ასეთი ზღვები, როგორც წესი, მდიდარია თევზით), საშუალება მისცა მეთევზეობის მასშტაბები გაეფართოებინათ. მაგრამ ზოგიერთი სახელმწიფო ამასაც არ დასჯერდა. ჩრდილოეთ ატლანტიკაში, სადაც 200-მილიანი ზონის შემოღება 15 ქვეყანას შეეხო, მხოლოდ სამი მათგანი – ისლანდია, შვეცია, ირლანდია – აწარმოებს საკუთარ წყლებში თევზის რეწვას. დანარჩენი ქვენები, მათ შორის ინგლისი, მეზობლების ხარჯზე ეწევა თევზჭერას. როგორც წესი, ეს ყოველგვარი შეთანხმების გარეშე ხდება.

კარგად არის ცნობილი, მაგალითად, ე.წ. „ვირთევზისთვის ომები", რასაც ინგლისსა და ისლანდიას შორის ჰქონდა ადგილი. ისლანდიის გარშემო შელფის წყალმარჩხი ზონები უაღრესად მდიდარია თევზით. თევზის მრეწველობა კი ისლანდიის ეკონომიკის წამყვანი დარგია. მათ შორის დავა იქამდეც კი მივიდა,

რომ 1976 წლის დასაწყისში ორმა ქვეყანამ დროებით დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტეს ერთმანეთთან.

1986 წელს თევზჭერის ირგვლივ სადავო საკითხთა გამო კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა ესპანეთსა და პორტუგალიას შორის. ევროპის ეკონომიკურმა საბჭომ ნება დართო ორივე ქვეყანას ერთმანეთის ტერიტორიულ წყლებში ეწარმოებინათ თევზჭერა. მალე გაირკვა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება პორტუგალიის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. საქმე იმაშია, რომ თევზი (კერძოდ, თინუსი) პორტუგალიის წყლებში უფრო მეტი იყო, ხოლო ესპანეთს უფრო აღჭურვილი და მეტი წარმადობის თევზსაჭერი ფლოტი აღმოაჩნდა. ყოველივე ამან პორტუგალია არათანაბარ პირობებში ჩააყენა.

საერთაშორისო კონფლიქტები წარსულშიც და, განსაკუთრებით, ეხლაც, ხშირ შემთხვევაში, ბუნებრივი მინერალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამო ხდება. თუ ადრე ასეთი რესურსი ოქრო იყო, ეხლა მთავარი ყურადღება ნავთობს, ურანს, იშვიათ ლითონებს ეთმობათ. ასე მაგალითად, როგორც კი ჩრდილოეთის ზღვაში ნავთობი აღმოჩნდა, მაშინვე მოხდა მისი აკვატორიის დანაწილება სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ. ეხლაც ამ რეგიონში ნავთობის მოპოვება მრავალი ევროპული და ამერიკული კონცერნის მიერ ხდება. ეს რაიონი მუდმივი კამათის და დავის რაიონია. საერთაშორისო სასამართლოში ერთმანეთს უჩივიან (ან სხვადასხვა დროს უჩიოდნენ) გფრ, დანია, ჰოლანდია, ინგლისი, საფრანგეთი. ნავთობის აქციების დასავლეთევროპელ მფლობელთა შორის განსაკუთრებულ შეშფოთებას ამერიკული კაპიტალის ზრდა იწვევს: შიშობენ „ნავთობის მდინარის" აშშ-ისკენ სავარაუდო შემობრუნების გამო. ამავე კონტექსტში უნდა იქნას განხილული დღემდე მიმდინარე დავა კასპიის ზღვის სტატუსის გამო. როგორც ცნობილია, კასპიის ზღვაზე გამავალ სახელმწიფოებს შორის კონსენსუსის მიღწევა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა.

საერთაშორისო დავის საგანი მიწისქვეშა წყლებიც კი შეიძლება გახდეს. ასე მაგალითად, ისრაელში აშშ-ის დახმარებით შემუშავებულ იქნა პროექტი, რომლის მიხედვითაც მეზობელი არაბული სახელმწიფოების წიაღისეულიდან გრუნტის წყლების ამოღება უნდა წარმოებულიყო. მართლაც, 1987 წელს სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ დაწყებულ იქნა დახრილი ჭაბურღილების გათხრა. დასაწყისში ყოველივე ეს, გასაგები მიზეზების გამო, გასაიდუმლოებული იყო. მას შემდეგ, რაც ფართო საზოგადოებრიობამ შეიტყო ამ პროექტის შესახებ, მისი განხორციელება შეჩერებულ იქნა.

ეკოლოგიური კონფლიქტები. XX ს. მეორე ნახევარში, როცა ადამიანის ბუნებაზე „დაწოლის" მასშტაბები გაიზარდა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მკვეთრად გაუარესდა ეკოლოგიური სიტუაცია, გარემოს ხარისხი. 60-იანი და 70-იანი წლების მიჯნაზე მეცნიერებმა და პოლიტიკოსებმა, ბიზნესმენებმა და ჟურნალისტებმა პირველად აღნიშნეს ახალი გლობალური პრობლემის – ეკოლოგიური კრიზისის წარმოქმნის შესახებ. დღეს ეს პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია კაცობრიობისათვის. ცნობილია ისეთი უარყოფითი ეკოლოგიური „მოვლენები", როგორიცაა დაჭუჭყიანებული ჰაერის მასებისა და მდინარის წყლების ერთი ქვეყნიდან მეორეში (... მესამეში, მეოთხეში და ა.შ.) ტრანსპორტირება, დაბინძურებული წყლის მასების გადაადგილება ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის სანაპიროების გასწვრივ, მიწების გაუდაბნოების პროცესი, რომელმაც არ იცის პოლიტიკური საზღვრები და ა.შ. ყოველივე ეს, ხშირად, ქვეყნებს შორის კონფლიქტური სიტუაციის ჩამოყალიბების მიზეზი ხდება.

ყველაზე გავრცელებულია ატმოსფერულ დამაბინძურებელთა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანის შედეგად წარმოქმნილი კონფლიქტები. ჰაერში დამაბინძურებელთა „მოხვედრის" მთავარ

წყაროს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები (ან რეგიონები) წარმოადგენენ. ამიტომაც, ამგვარი ტიპის კონფლიქტები ყველაზე მეტად ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში გვხვდება. ევროპაში მთავარი „დამაბინძურებელი" ქვეყნებია გფრ და ინგლისი.

ევროპის ზომიერ განედებში ჰაერის მასების გადაადგილება დასავლეთიდან აღმოსავლეთით ხდება. ამავე მიმართულებით ხდება ატმოსფერული დამაბინძურებლების ტრანსპორტირებაც. ნორვეგიაში, შვეციაში, დანიაში და ფინეთში სისტემატურად ხდება რურის, ბირმინჰემის თუ ლუქსემბურგის ქარხნების მიერ ამოტყორცნილი დამაბინძურებლების შეტანა.

დავის საგანია მჟავური წვიმები (acid rains). ამ წვიმებთან ერთად წყალში, ნიადაგში და მცენარეულ საფარში მომწამვლელი ნივთიერებები ხვდება. განსაკუთრებით შესამჩნევია ტბების წყლის დაბინძურება. შვეციაში ძლიერი დაბინძურების ნიშნები 25 ათას ტბაში იქნა აღმოჩენილი. როგორც წესი, ასეთ ტბებში თევზები ვერ ცოცხლობენ. სპეციალისტების შეფასებით ნორვეგიის ტერიტორიაზე მოსულ ატმოსფერულ დამაბინძურებელთა მხოლოდ 10 პროცენტია ადგილობრივი წარმოშობის, დანარჩენი სხვა ქვეყნებიდან მოდის. შვეციაში „იმპორტირებულ" დამაბინძურებლებზე 70 პროცენტი მოდის.

ინგლისში, რომელიც სხვა ქვეყნების უდიდესი დამაბინძურებელია, ყოველწლიურად 3,5 მლნ ტ. გოგირდის ჟანგი ხვდება ატმოსფეროში. იმისათვის, რომ საკუთარი ლანდშაფტები არ დაზარალდეს, ზოგიერთ ქარხანას 300-400 მეტრი სიმაღლის მილები აქვს, საიდანაც გამოტყორცნილი აირები პირდაპირ ხვდებიან ჰაერის ნაკადებში და კონტინენტზე გადაიტანებიან. ცნობილია, რომ ინგლისიდან ყოველწლიურად 1 მლნ ტ. გოგირდის ჟანგის „ექსპორტი" ხდება.

ჩრდილოეთის ქვეყნების დაბინძურებაში რუსეთიც მონაწილეობს. კოლის ნახევარკუნძულზე (კარელიაში) არსებული ქარხნების მიერ ამოტყორცნილი დამაბინძურებლები ადვილად ხვდებიან ფინეთში და ნორვეგიაში. მთავარი დამაბინძურებლები რუსეთის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს კომბინატები „სევერონიკელი" და „პეჩენგანიკელი" არიან.

უდიდესი კატასტროფა, რომელსაც ძალზე უარყოფითი ეკოლოგიური შედეგები მოჰყვა, იყო ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარია. ჰაერის მასების ნაკადების მეშვეობით რადიოაქტიური ღრუბელი უმოკლეს ხანში ათასობით კილომეტრზე იქნა გადატანილი. რადიოაქტიური ნალექები აღმოჩენილ იქნა ნორვეგიასა და შვეციაში, ინგლისში და საფრანგეთში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ჩერნობილის ავარიამ ძლიერ შეაშფოთა საერთაშორისო საზოგადოებრიობა, კონფლიქტურ სიტუაციას ადგილი არ ჰქონია.

ზოგჯერ ეკოლოგიური საზღვაო კონფლიქტები სამხედრო მოქმედებების შედეგად წარმოიქმნება. ასე, 1983 წელს სპარსეთის ყურეში მიმდინარე სამხედრო ოპერაციების დროს დაზიანებულ იქნა ორი წყალქვეშა ნავთობმომპოვებელი ჭაბურღილი. ნავთობის ამოტყორცნა რამდენიმე თვეს გაგრძელდა, რომლის შედეგადაც რამოდენიმე ათასი კვ. მილის ფართობის ნავთრობის ლაქა გაჩნდა. მან განსაკუთრებით ბაჰრეინი, კატარი, კუვეიტი, საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბთა ემირატები, ომანი დააზარალა. დაიღუპა უამრავი ზღვის ცხოველი, მწყობრიდან გამოვიდა წყლის გამამტკნარებელი დანადგარები. აღნიშნული ქვეყნების მთავრობებმა არაერთხელ მიმართეს ირანს და ერაყს პროტესტით. თითქმის იგივე შედეგი ჰქონდა ერაყის მიერ კუვეიტის ნავთობმომპოვებელი ობიექტების დაზიანებას 1991 წლის სამხედრო კონფლიქტის დროს.

საერთაშორისო კონფლიქტის მიზეზი შეიძლება გახდეს მსხვილი სამრეწველო კომპანიების მიერ თავიანთი ფილიალების სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე განლაგება. როგორც წესი, ასეთი საწარმოები არ არიან გამწმენდი დანადგარებით აღჭურვილნი და არც ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვას ექცევა აქ ყურადღება. ამგვარი საწარმოები ხშირად ძლიერ აბინძურებენ გარემოს. არსებითად საქმე გვაქვს ეკოლოგიურად „ბინძურ" საწარმოთა ექსპორტთან. ამის მაგალითი მრავლადაა. ამერიკული მონოპოლიების „ბინძური" საწარმოები წამლავენ პუერტო-რიკოს ლანდშაფტსა და ატმოსფეროს. სამხრეთ პერუში „მუშაობს" ამერიკული კონცერნის „საზერნ პერუ ქოფერ კორპორეიშნ"-ის ქარხანა. ჭუჭყიანი, შხამიანი პაერი, მოწამლული მინდვრები, გაწყვეტილი თევზი ყოველივე ეს საზოგადოებრიობის სამართლიან პროტესტს იწვევს.

ერთ-ერთი უდიდესი ეკოლოგიური კატასტროფა მოხდა 1984 წლის დეკემბერში ინდოეთის ქალაქ ბჰოპალში. აქ ამერიკული მონოპოლიის „უნიონ კარბაიდის" ქიმიურ საწარმოში ათობით ტონა შხამქიმიკატის გაჟონვა მოხდა. 2.5 ათას კაცზე მეტი დაიღუპა მძინარე ქალაქის თავზე მოგროვილი შხამიანი ღრუბლის გამო. დაახლოებით 30 ათასი კაცი მძიმედ მოიწამლა. ინდოეთის მთავრობამ მოიგო სპეციალურად გამართული სასამართლო პროცესი და ამერიკულ მხარეს მატერიალური და მორალური ზარალი აანაზღაურებინა.

ზემოთგანხილულ კონფლიქტურ სიტუაციათა სახეებს შორის ყველაზე ხშირად ბუნებრივ-რესურსული ტიპის კონფლიქტები გვხდება. ამასთან, გახშირდა ეკოლოგიური ხასიათის კონფლიქ-ტებიც, რომლებიც ჩვეულებრივი მოვლენა გახდა საომარ მოქმედებათა რაიონებში.

თავისი განვითარების პროცესში საერთაშორისო კონფლიქტები რამდენიმე სტადიას გადიან წინასაკონფლიქტო სიტუაციიდან სამხედრო ძალის დემონსტრაციამდე და, ხშირად, თვით სამხედრო მოქმედებამდეც კი. ყოველივე ეს მთელი რიგი ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ერთდროული მოქმედებისა და გადახლართვის შედეგია. კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა არ დამთავრებულა ხალხთა ცივილიზებული თანაცხოვრების ნორმების დამკვიდრების პროცესი და ადამიანსა და ბუნებას შორის ურთიერთობაც ხშირად ეკოლოგიური „ხარვეზებით" ხდება, ზემოთგანხილული და კიდევ სხვა ტიპის კონფლიქტური სიტუაციები საერთაშორისო ურთიერთობების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს.

4. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა*

სად მდებარეობს საქართველო – ევროპაში თუ აზიაში? ეს კითხვა ხშირად მწვავე დისკუსიის საგანიც კი გამხდარა. მნიშვნელოვანია, რომ მთელი რიგი ისტორიული და კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით პოლიტიკურად საქართველო ევროპის ნაწილად განიხილება.

მეცნიერ-გეოგრაფები განიხილავენ ევროპასა და აზიას შორის საზღვრის ხუთ ვარიანტს(იხ. ნახ.6):

1. *ევროპასა და აზიას შორის საზღვარი მიუყვება კუმა-მანჩის დეპრესიას,* რომელიც წარსულში შავი და კასპიის ზღვების შემაერთებელ ხაზს წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით, ორი ქვეყნის ნაწილის საზღვარი მთლიანად ემთხვევა ფიზიკურ-გეოგრაფიულ ერთეულთა საზღვარს, რის მიხედვითაც მთელი კავკასია იმყოფება აზიაში.

2. *საზღვარი ევროპასა და აზიას შორის მიუყვება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს.* ამგვარი დიფერენციაციის მომხრეთა შეხედულება განსხვავებულ კლიმატურ თავისებურებებს ეფუძნება. მართლაც, კავკასიონი არსებითი კლიმატური საზღვარია. თვით მის ჩრდილო და სამხრეთ ფერდობებს შორის, კლიმატური თვალსაზრისით, პრინციპული ს ხვაობაა.ამავე დროს გეოლოგიური და ოროგრაფიული თვალსაზრისით კავკასიონი ერთიანი წარმონაქმნია, ამიტომ მისი დიფერენციაცია ცალკეულ უხერხულობებს ქმნის.

---

* ნ.ბერუჩაშვილი, ნ.ელიზბარაშვილი – "სად არის... საქართველო", "დრონი", 1-ნ მარტი 1992წ.

3. *ორი ქვეყნის ნაწილს შორის საზღვარი მიუყვება მდინარეებს: რიონს და მტკვარს.* ამგვარ თვალსაზრისს იზიარებდა თვით ჰეროდოტეც, ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი, რომელიც ჩვენს ერამდე V საუკუნეში ცხოვრობდა.

თუმცა არსებობენ ამ შეხედულების ოპონენტებიც. ისინი მიზეზად იშველიებენ აღნიშნულ მდინარეთა ორივე ნაწილის ლანდშაფტთა იდენტურობას, კავკასიონის და მცირე კავკასიონის ხშირ ერთგვაროვნებას, ამიერკავკასიის მთათაშორისი დადაბლების გეოლოგიურ და ოროგრაფიულ განუყოფლობას, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მხარეთა ერთობლიობას.

4. *საზღვარი ევროპასა და აზიას შორის მიუყვება ჯავახეთ-სომხეთის ვულკანური მთიანეთის ჩრდილო ნაწილს.*

ამგვარი შეხედულება განპირობებულია იმით, რომ კავკასიის (განსაკუთრებით კი საქართველოს) უმეტეს ტერიტორიაზე ჭარბობს ევროპული ტიპის ლანდშაფტები, რომლებიც ზემოთაღნიშნულ მთიანეთზე საერთოდ არ გვხდება.

თუმცა, ამგვარ მოსაზრებასაც მოეძებნება უმნიშვნელო ხარვეზები. აღნიშნული პრინციპის მიხედვით, უდაბნოები, რომლებიც ფართოდაა წარმოდგენილი მტკვარ-არაქსისა და კასპიისპირა დაბლობის (აზერბაიჯანი) ერცელ ტერიტორიებზე და რომლებსაც არაფერი არ გააჩნიათ საერთო ევროპის ბუნებასთან, უნდა მივაკუთნოდ სწორედ მას.

5. *საზღვარი ევროპასა და აზიას შორის მიუყვება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სამხრეთ საზღვრებს.* ამ წმინდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრის მიხედვით მთელი კავკასია მიეკუთვნება ევროპას.



ნახ.6 ევროპასა და აზიას შორის საზღვრის ხუთი ვარიანტი

აზრთა სხვადასხვაობა, რომლებიც არსებობს ევროპასა და აზიას შორის საზღვრის დადგენასთან დაკავშირებით, განპირობებულია ევრაზიის კონტინენტის ერთიანობით, მისი გეოლოგიური, კლიმატური, ფლორისტურ-ფაუნისტური, გეოგრაფიული და სხვა თავისებურებათა მრავალფეროვნებით. ამის გამო საზღვარი ამ ორ ქვეყნის ნაწილს შორის შესაძლებელია მხოლოდ პირობით ხასიათს ატარებდეს.

ერთი რამ უეჭველია — ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით მთელი კავკასია იმყოფება ევროპასა და აზიას შორის მოსაზღვრე ზოლში.

5. საქართველოს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი

თანამედროვე მონაცემების მიხედვით საქართველო ბუნებრივი რესურსებით არც თუ ისე ღარიბი ქვეყნების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ. ფართობის ერთეულზე ბუნებრივი რესურსების კონცენტრაციის დონით იგი უსწრებს ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, როგორებიცაა: შვეიცარია, იაპონია, სამხრეთ კორეა და სხვა.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და ტერიტორიული სტრუქტურის ფორმირების არსებითი ფაქტორია მნიშვნელოვანი სათბობი რესურსების არსებობა, რომლის დადგენილი მარაგი ასეულ მილიონობით ტონა პირობითი სათბობით აღირიცხება. დიდია აგრეთვე ჰიდროენერგორესურსების მარაგი.

ნახშირის სამრეწველო მარაგით (420 მლნ. ტონა) საქართველოს მე-6 ადგილი უკავია ყოფილ სსრ კავშირში რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის, უზბეკეთისა და ყირგიზეთის შემდეგ. თავის დროზე ქვეყანა აწარმოებდა 1,7 მლნ ტ ქვანახშირს, რაც არამარტო აკმაყოფილებდა საშინაო მოთხოვნილებას, არამედ 300 000 ტ ქვანახშირის ექსპორტის საშუალებასაც იძლეოდა. ენერგეტიკული მნიშვნელობის გარდა ქვანახშირი ფართოდ გამოიყენება ტექნოლოგიური მიზნებისათვის შავ მეტალურგიაში. მისი ძირითადი საბადოები – *ტყიბულ-შაორის* და *ტყვარჩელის* – განლაგებულია კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე.

ნახშირის მესამე საბადო მდებარეობს სამხრეთ საქართველოში ,ქალაქ *ახალციხის* მახლობლად. მისი მარაგი 77 მლნ ტონაა. ;ნახშირის დაბალმა ხარისხმა, რთულმა სამთო-გეოლოგიურმა ;პირობებმა და პროდუქციის მაღალმა თვითღირებულებამ ;განაპირობა აქ მოპოვების მოცულობის თანდათანობითი ;შემცირება.

შესამჩნევად გაიზარდა საქართველოს რესურსული, კერძოდ ენერგეტიკული პოტენციალი მას შემდეგ, რაც 1974 წელს აღმოჩენილ იქნა ნავთობის სამრეწველო მარაგი *სამგორ-პატარძეულში* (თბილისიდან აღმოსავლეთით 30-40 კმ-ზე) და *სუფსაში* (კოლხეთის დაბლობში). 1980 წელს ნავთობის წარმოებამ მიაღწია 3,2 მლნ. ტ (დაახლოებით 62000 ბარელს). წარმოების ასეთი დონე იმ წლის საქართველოს ნავთობის მთლიანი მოხმარების დაახლოებით 65 პროცენტს აკმაყოფილებდა.

1985 წლიდან ნავთობის მოპოვება მკვეთრად შემცირდა, რაც ექსპლუატაციის არსებულ საბადოებზე მარაგის ამოწურვამ და, აგრეთვე, მოწოდების ტექნიკური ნორმების დარღვევამ განაპირობა. უარყოფითი გავლენა მოახდინა, ასევე, 1991-1994წწ. რესპუბლიკაში შექმნილმა ურთულესმა ვითარებამაც.

დღეისათვის საქართველოში გახსნილია ნავთობის 15 საბადო. ნავთობის საწყისი ჯამური რესურსები შეადგენს 580 მლნ ტონას. აქედან 380 მლნ ტონა ხმელეთზეა, დანარჩენი შავი ზღვის სანაპირო შელფზე. დღემდე საქართველოში მოპოვებული ნავთობის რაოდენობა 26 მლნ ტონას შეადგენს, ხოლო წლიური მოცულობის დონე 128 ათას ტონას უდრის.

ბუნებრივი გაზის ჯამური რესურსები შეფასებულია მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში და 98 მლრდ კუბური მეტრით განისაზღვრება.

დღეს საქართველოში ნავთობისა და გაზის დაძიებისა და მოპოვების მიზნით ბევრი უცხოური კომპანია მოღვაწეობს, მათ შორის აღსანიშნავია ბრიტანული, შვეიცარული, ავსტრალიური კომპანიები. სულ უფრო მზარდ ინტერესს იჩენენ ფრანგული, იტალიური და ამერიკული მსხვილი კომპანიებიც.

დასავლეთ საქართველოში განლაგებული ტორფის საბადოები კარგა ხანია ექსპლოატაციაშია, მაგრამ ჩვენი

რესპუბლიკის პიროპებში ტორფი გამოიყენება არა სათბობად, არამედ სასუქის სახით სოფლის მეურნეობაში.

საქართველოს ენერგეტიკული რესურსების რიცხვს, რომელთა ათვისება შესაძლებელია მომავალში, მიეკუთვნება ჰელიო-რესურსები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისინი მაღალმთიან ზონაში და აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეებზე.

გარკვეული პერსპექტივები ისახება საქართველოში ქარის ენერგიის (ეოლორესურსების) გამოყენების მხრივაც. ქარის ენერგეტიკული რესურსებით გამოირჩევა ლიხის ქედის რაიონი, თბილისის მიდამოები, საქართველოს შავიზღვისპირეთის ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო ზოლი, კავკასიონის ცენტრალური ნაწილი.

ქვეყნის საწარმოო-ტერიტორიული კომპლექსის ფორმირებაში სამაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მინერალურ-სანედლეულო რესურსები.

მადნეული სასარგებლო წიაღისეული პირველ რიგში წარმოდგენილია *ჭიათურის* მანგანუმის საბადოთი, რომლის მარაგი 100 მლნ ტ აღემატება (ანუ მსოფლიოში ცნობილი ეკონომიკურ ექსპლოატაციაში არსებული მარაგის დაახლოებით 10 პროცენტს). მადნის მოპოვება 1879 წელს დაიწყო, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში ამ ნედლეულის ექსპორტი მსოფლიო ექსპორტის 30-50 პროცენტს შეადგენდა. 1921 წლის შემდგომ საქართველომ რუსეთს მიაწოდა 200 მლნ ტონა საუკეთესო ხარისხის (50 პროცენტზე მეტი ლითონის შემცველობის) მანგანუმი, რაც მიღებული მსოფლიო ბაზრის ფასებით ღირებოდა დაახლოებით 12,5 მლრდ დოლარი, მაშინ, როცა იგი იყიდებოდა მანეთებზე. მსოფლიო ბაზრის ფასებზე გაცილებით იაფად. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი ხარისხისა და ადვილად ამოსაპოვებელი საბადოები მეტწილად გამოილია, დარჩენილი მარაგი მაინც მნიშვნელოვანია.

ფერადი ლითონები წარმოდგენილია სპილენძის, თუთიის, ტყვიის, დარიშხანის, სტიბიუმის, ვერცხლისწყლის, კადმიუმის, ოქროს საბადოების სახით. ზოგიერთ მათგანს სამრეწველო მარაგი აქვს. ამიტომ ფერადი ლითონების მოპოვება და გადამუშავება ეროვნული ინდუსტრიის ერთ-ერთი პერსპექტიული დარგია.

სპილენძის საბადოთა უმეტესობა განლაგებულია აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც შესწავლილია *მადნეულის* და რამდენიმე სხვა უფრო მცირე საბადო. დასავლეთ საქართველოს სპილენძის საბადოთა შორის აღსანიშნავია *მერისის* საბადო აჭარაში, რომელიც ტყვიასაც შეიცავს. სამაჩაბლოში ექსპლოატაციაშია *კეისის* **პოლიმეტალური** საბადო.

დასავლეთ საქართველოში, კავკასიონის სამხერთ ფერდობზე მდებარეობს **დარიშხანის** ორი საბადო – *ცანისა* და *ლუხუმის*. პირველს დიდი მარაგი გააჩნია. მისი საექსპლოატაციო პერიოდი მრავალი ათწლეულით განისაზღვრება. ლუხუმის საბადოს მარაგი ორჯერ ნაკლებია, მაგრამ ისიც უზრუნველყოფილია ათეულობით წლების საექსპლოატაციო მარაგით. **ვერცხლისწყლის** ძირითადი საბადოები – *აჰეისა* და *ავადჰარის* – განლაგებულია მთიან აფხაზეთში, კავკასიონის ე.წ. „ვერცხლისწყლის სარტყლის" ფარგლებში. გამოვლენილია აგრეთვე **სტიბიუმის** საბადოები რაჭაში – *ზოფხითოსი* და *ქვეშურის*.

საქართველო გამოირჩევა არამადნეული წიაღისეულის დიდი მარაგითა და მრავალფეროვნებით. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში წარმოდგენილია ბარიტის, მადსორბირებელი თიხების, დოლომიტის, ტალკის, დიატომიტის, მარმარილოს, ანდეზიტისა და ბევრი სხვა წიაღისეულის საბადოები.

ბარიტის საერთო მარაგი რესპუბლიკაში აღწევს 18 მლნ ტ, რაც მოპოვების თანამედროვე დონის გათვალისწინებით საფუძველს გვაძლევს გამოვლენილ საბადოთა ხანგრძლივი

საექსპლოატაციო პერიოდი დაეგეგმოთ. მათ შორის გამოირჩევა *ჩორდისა* და *მადნეულის* საბადოები. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე *ხაიშისა* და *აფშრის* მსხვილი საბადოები.

საქართველოში მადსორბირებელი თიხების ორი მსხვილი საბადოა სუბბენტონიტური თიხებისა *გუმბრში* და ბენტონიტური თიხებისა *ასკანაში*. გუმბრის საბადოს მარაგი 8 მლნ ტონაა. გამოვლენილია აგრეთვე ცარცის, ძნელადსადნობი თიხების, თაბაშირის, პეგმატიტის, აქატის, ქალცედონის, ცეცხლგამძლე და კაოლინის თიხების, ფლუსური კირქვების, კვარციტული ქვიშებისა და სხვა არამადნეული წიაღისეულის საბადოები.

საკმაოდ მნიშვნელოვანია ცემენტის მრეწველობის სანედლეულო ბაზა. დიდი მარაგით გამოირჩევა კარბონატული ქანების *კასპის* საბადო, დედოფლისწყაროს კირქვების, გარდაბნის თიხების, ბზიფის კირქვებისა და თიხოვანი მერგელების საბადოები. დიატომიტის მოპოვება ხდება ახალციხის რაიონში. მისი მთავარი მომხმარებელია რუსთავის ცემენტის ქარხანა.

მოსაპირკეთებელი კირქვების საერთო მარაგი საქართველოში არის 260 მლნ კბმ, მათ შორის, მარმარილოსი – 70 მლნ კბმ, მოსაპირკეთებელი კირქვებისა – 6 მლნ კბმ, ტეშენიტისა 21 მლნ კბმ, ტუფისა – 27 მლნ კბმ და ა. შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია საექსპორტო მნიშვნელობის მარმარილოს საბადოები: *ლოპოტის, სადახლოს, სალიეთის, შროშის, მარელისის, მოლითის, დიზის* და სხვა. სპეციალისტების აზრით, ლოპოტის საბადოს მარმარილო თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდება მსოფლიოში აღიარებულ იტალიურ და ბერძნულ მარმარილოს.

საქართველოში სამრეწველო მარაგის მქონე აგურ-კრამიტის თიხების ასამდე საბადოა, რომელთაგან ექსპლოატაციაშია ორ ათეულამდე. სხვა სახის სამშენებლო სასარგებლო

წიაღისეულიდან ყურადღებას იმსახურებს ბაზალტის ქვა, კირქვა, ტაშენიტი, სამშენებლო ტუფი და ა.შ.

საქართველოს ბუნებრივი რესურსული პოტენციალის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია **წყლის რესურსები.** რესპუბლიკის წყლის რესურსებს პირველ რიგში დიდი ენერგეტიკული პოტენციალი გააჩნია. სულ მდინარეების ჰიდრავლიკური ენერგიის მარაგი 18.3 მლნ კვტ-ია, ხოლო თეორიულად შესაძლებელი ელექტროენერგიის გამომუშავება დაახლოებით 160 მლრდ კვტ-საათს შეადგენს. ჰიდროენერგორესურსების კონცენტრაციით გამოირჩევა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი რაიონები, სადაც ტერიტორიის 1 კვ.კმ-ზე მოდის 3-5 მლნ კვტ-საათი, მაქსიმუმით ენგურის (6,7 მლნ კვტ.სთ), ბზიფის (5,4 მლნ კვ.ტსთ) და კოდორის (6,7 მლნ კვტ.სთ) აუზებში.

ჰიდროენერგორესურსების 76 პროცენტი თავმოყრილია დასავლეთ საქართველოში. ძირითადად რიონის (3,5 მლნ კვტ), ენგურის (3,4 მლნ კვტ) და კოდორის (1,6 მლნ კვტ) აუზებში. აღმოსავლეთ საქართველოს ჰიდროენერგორესურსების დიდი ნაწილი მოდის მტკვრის (2,6 მლნ კვტ), ალაზან-ივრის (1,0 მლნ კვტ), ხრამის(0,4 მლნ კვტ) აუზებზე.

ყოფილ სსრკ რესპუბლიკებს შორის საქართველო ჰიდროენერგიის მარაგით მეხუთე ადგილზეა და ბევრად უსწრებს აზერბაიჯანსა და სომხეთს (4,9 მლნ და 1,7 მლნ კვტ შესაბამისად). იგი უფრო მდიდარია „თეთრი ნახშირით", ვიდრე შვეიცარია, ავსტრია და ევროპის სხვა ქვეყნები, რომელთა ელექტროენერგეტიკაში წამყვანი ადგილი ჰიდროელექტროსადგურებს უკავიათ. რაც შეეხება შეფარდებით სიმძლავრეს ე.ი. პოტენციური ენერგიის ოდენობას ტერიტორიის ერთ კვადრატულ კილომეტრზე -- ამ მაჩვენებლით საქართველო ყველა ევროპულ ქვეყანაზე წინ დგას.

თერმული წყლების გამოვლენილი დღეღამური ჯამური დებიტი საქართველოში ათეულობით ათასი კუბური მეტრით განისაზღვრება. ჯერჯერობით ეს წყლები უმთავრესად ბალნეოლოგიური მიზნით გამოიყენება, ხოლო თბილისში საცხოვრებელი სახლების გასათბობადაც. სპეციალისტების აზრით, ძირითადი არტეზიული აუზების ფარგლებში ღრმა (2500 მ-მდე) ჭაბურღილების მეშვეობით მრავალი ათასი ტონა ნახშირის ექვივალენტური სითბო შეიძლება მივიღოთ. ჰიდროგეოლოგიური შესწავლის თანამედროვე მონაცემების მიხედვით, საქართველოს მიწისქვეშა წყლების დიდი საექსპლოატაციო მარაგი გააჩნია, რომელიც საგრძნობლად აღემატება მათ ამჟამად გამოყენებულ ოდენობას.

მრეწველობისა და ქალაქების განლაგება მჭიდროდაა დაკავშირებული მდინარეთა ქსელის კონფიგურაციასთან, ვინაიდან ისინი ერთი მხრივ, წარმოადგენენ ტექნოლოგიური და საყოფაცხოვრებო მიზნით წყალმომარაგების წყაროს, ხოლო, მეორე მხრივ, ნახმარი წყლის სატევს. საინტერესო ფაქტია, რომ მტკვარზე მდებარეობს საქართველოს ცხრა ქალაქი, რიონზე – ოთხი, ყვირილაზე – სამი. ამ ქალაქებში მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 2 მლნ-მდეა, რაც რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობის თითქმის ორ მესამედს შეადგენს.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი **მცენარეული რესურსების** გარკვეული მარაგია. მათგან ტყის რესურსები უმთავრესად მრეწველობაში გამოიყენება, ბალახეული რესურსები კი – სოფლის მეურნეობაში. ტყეები საქართველოს ბუნებრივი რესურსების ერთ-ერთი მთავარი სახეა. მათ უკავიათ 3 მლნ ჰექტარი. ტყეების 60 პროცენტი დასავლეთ საქართველოშია თავმოყრილი. მიუხედავად ტყის რესურსების სიუხვისა, მათი საწარმოო მიზნით გამოყენების შესაძლებლობა შეზღუდულია, ვინაიდან საქართველოს ტყეებს უმთავრესად ნიადაგდაცვითი, წყალშენახვითი და საკურორტო მნიშვნელობა გააჩნია.

სამრეწველო მნიშვნელობის მქონე ტყის შემქმნელ ჯიშებს შორის პირველ ყოვლისა აღსანიშნავია წიფელი, აგრეთვე ნაძვი, სოჭი, მუხა, რცხილა, წაბლი, ფიჭვი, მურყანი, არყის ხე და ა. შ. მერქნის საერთო მარაგის (0,4 მლრდ კბმ) დაახლოებით ნახევარი მოდის წიფელზე. ერთი მესამედი -- წიწვოვან ჯიშებზე. ყოფილი სსრკ სამხრეთ რაიონებს შორის საქართველო გამოირჩევა მერქნის საერთო მარაგით. მაგალითად, კარპატებში მერქნის მარაგი 0,3 მლრდ კბმ-ს არ აღემატება, მთელ ჩრდილო კავკასიაში 0,4 მლრდ კბმ-ს, ხოლო ყირიმის მთებში სულ რამდენიმე ათეული მლნ კბმ-ია.

საქართველოს ტყეებში გავრცელებული გარეული ხეხილი იძლევა აგრეთვე ნედლეულს კონსერვების, წვენების, ხილის ღვინის წარმოებისათვის.

საქართველოს სასოფლო – სამეურნეო რესურსები რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი საფუძველია. მათ რიცხვს მიეკუთვნება მიწისა და აგროკლიმატური რესურსები. საქართველოს მიწის ფონდი 7 მლნ ჰექტარს შეადგენს; აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხვედრითი წონა 40 პროცენტს არ აღემატება; წარმოების შესაძლებლობებიც საკმაოდ მრავალფეროვანია: საკვები მარცვლეული (ხორბალი და სიმინდი), ფურაჟი, ბოსტნეული და ხილი (ციტრუსი და ყურძენი), სამრეწველო კულტურები (თამბაქო, შაქრის ლერწამი, ბამბა და ჩაი). სწორად გამოყენების შემთხვევაში ეს რესურსები საშუალებას მისცემს საქართველოს არამარტო გამოკვებოს საკუთარი თავი, არამედ მყარ საფუძველსაც შეჰქმნის აგრომრეწველობის ექსპორტის გასავითარებლად.

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო, რომლის სიგრძე 300 კმ-ია, და კავკასიის მთიანეთი წარმოადგენს ბუნებრივ ტურისტულ ატრაქციულობას, რაც მრავალი საზაფხულო და საზამთრო კურორტის განვითარებისათვის (ბაკურიანი, გუდაური,

მესტია) ხელსაყრელ პირობებს ქმნის. გარდა ამისა, ქვეყანას აქვს ორი ათასზე მეტი თერმული წყარო, რაც სამკურნალო კურორტების განვითარებისთვისაა შესაფერისი. ამასთანავე, დავით გარეჯისა და ვარძიის შუა საუკუნეების ძეგლების, აგრეთვე სხვა უამრავი ღირსშესანიშნაობის გარშემო შესაძლებელია სპეციალიზირებული ტურიზმის განვითარება. აღმოსავლეთთან და დასავლეთთან საქართველოს კულტურული და კომერციული ურთიერთობის ხანგრძლივი ტრადიცია, მისი ხალხის განთქმული სტუმართმოყვარეობა და მედიტერანული ხასიათი იძლევა ყველა საჭირო პირობას ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისათვის. თუმცა, იმისათვის, რომ საქართვთელოში შეიქმნას მსოფლიო კლასის ტურისტული ინდუსტრია, ტურისტულ მეურნეობასა და ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებებია საჭირო.

6. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა

გეოპოლიტიკური მდებარეობის ქვეშ, ჩვეულებრივ, ქვეყნის სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფების, ეკონომიკური ტრასებისა და განსხვავებული ეთნო-კულტურული ტრადიციების მქონე სახელმწიფოების მიმართ მდებარეობა იგულისხმება. ვინაიდან მსოფლიო პოლიტიკა და ეკონომიკა უაღრესად დინამიური პროცესების ერთობლიობაა, გეოპოლიტიკური მდებარეობაც ძალზე ცვალებადია სივრცესა და დროში.

6.1 გეოგრაფიული ასპექტი

პოლიტიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ამა თუ იმ ქვეყნის მდებარეობის შეფასება სამ სივრცით მასშტაბში ხდება: მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე. მაკრომდებარეობა მსოფლიო მნიშვნელობის სამხედრო-პოლიტიკური ცენტრების მიმართ მდებარეობას ნიშნავს. ამ ცენტრებთან სიახლოვე (ან სიშორე) მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ამა თუ იმ ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ კურსს, მის მონაწილეობას (ან არ მონაწილეობას) სამხედრო ბლოკებში და ა.შ. მაკრომდებარეობის შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, ქვეყნის მდებარეობას მსოფლიო ეკონომიკური ცენტრებისა და სატრანსპორტო მაგისტრალების, ხალხის, საქონლის, კაპიტალისა და ინფორმაციის გადაადგილების არხების მიმართ.

სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველო ერთდროულად რამდენიმე არსებული (ნატო), აღარარსებული (ვარშავის ხელშეკრულება, სენტო) ან მომავალში შესაძლო ბლოკის გავლენის არეალში ხვდება.

ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველოს მდებარეობის შეფასება სატრანსპორტო კომუნიკაციების სახეობების მიხედვით უნდა მოხდეს. მართალია საქართველო საზღვაო ქვეყანაა, მაგრამ შავი ზღვის ევრაზიის კონტინენტის სიღრმეში მდებარეობა (შავი ზღვა მსოფლიოში ყველაზე ჩიხურ ზღვად ითვლება) და, აქედან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ მსოფლიო მნიშვნელობის საზღვაო კომუნიკაციებზე გასასვლელად სხვადასხვა ქვეყნების კონტროლს ქვეშ მყოფი რამოდენიმე სრუტისა და ზღვის გავლაა საჭირო, მაკრომდებარეობა ვერ ჩაითვლება ისევე ხელსაყრელად, როგორც დავუშვათ, სინგაპურისა. თუმცა ზღვაზე გასასვლელს მოკლებულ ისეთ ქვეყნებთან შედარებით, როგორებიცაა თუნდაც შვეიცარია და ავსტრია, საქართველოს მდებარეობას აშკარა უპირატესობა აქვს. რაც შეეხება სახმელეთო კომუნიკაციებს, მათი როლი საქართველოს მდებარეობის ხელსაყრელობის განსაზღვრისას უფრო მნიშვნელოვანია. ცნობილია, რომ კავკასიაზე და, კერძოდ, საქართველოზე ოდითგანვე გადიოდა ევროპიდან ინდოეთისაკენ მიმავალი სავაჭრო ტრასა. საბჭოთა პერიოდში საქართველოს მდებარეობამ გასაგები მიზეზების გამო დაკარგა გლობალური მნიშვნელობა. მომავალში ხელსაყრელი პოლიტიკური კლიმატისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების სრულყოფის შემთხვევაში საქართველოს მაკრომდებარეობას კარგი პერსპექტივები გააჩნია. ჩვენს ქვეყანას შეუძლია ინდუსტრიულ დასავლეთსა და სანედლეულო აღმოსავლეთს შორის, აგრეთვე ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის საქონლის გაცვლაში აქტიური სატრანზიტო ფუნქცია შეასრულოს. მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია, აგრეთვე, საჰაერო კომუნიკაციებსაც. საქართველოს ძალზე მნიშვნელოვანი მდებარეობა აქვს, ერთის მხრივ, ევროპასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას შორის (დიდ ბრიტანეთსა და ინდოეთს შორის თითქმის შუა გზაზეა) და, მეორეს მხრივ, ჩრდილო ამერიკის ინდუსტრიულ ჩრდილო-აღმოსავლეთსა და იაპონია-კორეა-ჩინეთის რეგიონს შორის. აღსანიშნავია, რომ

საქართველო იმყოფება ამერიკა-იაპონიის ტრასის არამხრტო შუა გზაზე, არამედ დაახლოებით ერთ განედზეა ნიუ-იორკსა და ტოკიოსთან ერთად, რაც აღნიშნული ტრასის სხვებთან შედარებით კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს.

მეზომდებარეობა რეგიონში მდებარეობას ნიშნავს. მაგალითად, საქართველოს კავკასიაში ან შავი ზღვის რეგიონში მდებარეობა. მეზომდებარეობის ელემენტია, აგრეთვე, მსოფლიოს „ცხელი წერტილების" მიმართ მდებარეობა. მაგალითად, ის, რომ მსოფლიოში დღეს არსებული „ცხელი წერტილების" უმრავლესობა საქართველოს უშუალო სიახლოვეს (ერთ რეგიონში) იმყოფება, უაღრესად არასახარბიელოს ხდის მის მეზომდებარეობას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო პერიოდის ცხრა მნიშვნელოვანი კონფლიქტიდან (ბოსნია-ჰერცეგოვინა, მოლდოვა, აფხაზეთი, სამაჩაბლო, ჩეჩნეთი, პალესტინა, ყარაბაღი, ტაჯიკეთი, ავღანეთი) ორი საქართველოს ტერიტორიაზეა. ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები დამოკიდებულია იმაზე, თუ მეზობელ ქვეყანაში (ან ქვეყნებში) როგორია სოციალური სისტემა (მსგავსი ან განსხვავებული), ეკონომიკის განვითარების დონე, არის თუ არა ეს ქვეყანა მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, აქვს თუ არა ამ ქვეყანას მსგავსი (ან განსხვავებული) სამხედრო-პოლიტიკური ორიენტაცია და ა.შ. ამ მხრივ ის რეგიონი, რომელშიც საქართველო იმყოფება, მეტად „ჭრელი" და არაერთგვაროვანია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსათვის მეზომდებარეობა, ჩვენის აზრით, დაახლოებით 2000-კილომეტრიან რადიუსში მოქცეულ რეგიონს გულისხმობს. რესურსებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით ეს რეგიონი უაღრესად მდიდარია: უკრაინა – რკინა, ქვანახშირი, ხორბალი; შუა აზია – გაზი, ნავთობი, ბამბა; სპარსეთის ყურე – ნავთობი, გაზი; რუსეთი – თითქმის ყველა სახის რესურსი. ეკონომიკის

განვითარების მხრივ რეგიონი განვითარებადი ქვეყნების დონეზე იმყოფება. ყველაზე განვითარებული ეკონომიკა აქვს თურქეთს და ისრაელს. დიდი ეკონომიკური პოტენციალი აქვს რუსეთს, უკრაინას, უზბეკეთს, ყაზახეთს, ირანს, ერაყს. სუსტი ეკონომიკური პოტენციალი აქვს სომხეთს, თუმცა უშუალოდ გვესაზღვრება.

სამხედრო-პოლიტიკური ორიენტაციის მხრივ რეგიონის ქვეყნებს შორის დიდი განსხვავებაა. ერთდროულად თანაარსებობენ ნატო-ს წევრი თურქეთი და ყოველივე ამერიკულის (და ზოგადად დასავლეთის) მოძულე ირანი და ერაყი.

სახელმწიფო წყობის ტიპებიც ძალზე განსხვავებულია: თურქეთი პროდასავლური დემოკრატიული რესპუბლიკაა, ერაყი – ტიპიური დიქტატურა, ირანი – ისლამური რესპუბლიკა, სპარსეთის ყურის ქვეყნების უმრავლესობა – აბსოლუტური მონარქიებია და ა.შ.

რელიგიის თვალსაზრისით აღნიშნული რეგიონი, ძირითადად, ქრისტიანულ-მუსლიმანურია. ისრაელი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სახელმწიფო რელიგია იუდაიზმია.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, განხილული რეგიონი მეტად არასტაბილურია და შემთხვევითი არ არის, რომ ნახსენებ კონფლიქტთა უმრავლესობას (მოლდოვა, აფხაზეთი, სამაჩაბლო, ყარაბაღი, ჩეჩნეთი, პალესტინა) მის ფარგლებში აქვს ადგილი, ხოლო ნაწილსაც (ტაჯიკეთი, ავღანეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა) – უშუალო სიახლოვეს.



(ციფრებით ნაჩვენებია ცალკეული ერების რაოდენობა, მლნ კაცი)

1. ქართველური - ქართველები, მათ შორის საქართველოში – 3.8.
2. აფხაზურ-ადიღეური – აფხაზები (0.1), ადიღეები (0.1), ყაბარდოელები (0.4), ჩერქეზები (0.06), აბაზები (0.4) და სხვ.
3. დაღესტნურ-ნახსური – ჩეჩნები (0.9), ინგუშები (0.02), ავარელები (0.6), ლაკები (0.1), დარგუელები (0.4) და სხვ.
4. სომხური - სომხები, მათ შორის სომსეთში – 3.
5. ბერძნული – საბერძნეთისა (10) და კვიპროსის (0.6) ბერძნები.
6. სლავური – რუსები (144), უკრაინელები (44), ბულგარელები (9) და სხვ.
7. რომანული – რუმინელები (21), მოლდაველები (3) და სხვ.
8. ირანული – სპარსელები (21), თალიშები (0.2), ქურთები (14), ტაჯიკები (4), ოსები (0.6).
9. თურქული - თურქები (45), აზერბაიჯანელები (14, მათ შორის ირანში 8), უზბეკები (17), თურქმენები (4), ყაზახები (8), ნოღაელები (0.1), ყუმუხები (0.3), ყარაჩაელები (0.2), ბალყარელები (0.1).
10. სემიტური – ებრაელები, მათ შორის ისრაელში - 4.
11. სემიტური -- სირიის (10), ერაყის (14) და სხვა არაბები..

ნახ.7 ენობრივი ჯგუფები



(ციფრებით ნაჩვენებია ცალკეული რელიგიის მიმდევართა რაოდენობა, მლნ კაცი)

1. ქრისტიანები (მართლმადიდებლები და მონოფიზიტები, ამას გარდა კათოლიკეები – 809, პროტესტანტები – 426).
2. იუდაისტები (მათ შორის ისრაელში – 4).
3. მუსლიმანები (რუკაზე ნაჩვენებ ტერიტორიაზე – 180).
4. ბუდისტები (რუკაზე ნაჩვენებ ტერიტორიაზე – 0.1).

ნახ.8 ძირითადი რელიგიების გავრცელება

მიკრომდებარეობა გულისხმობს ქვეყნის საზღვრების სხვადასხვა მონაკვეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით შეფასებას. ასე, მაგალითად, ჩრდილო კავკასიონის ძნელადმისადგომი მთები, რომელთაც საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი მიუყვება 750 კმ მანძილზე, არახელსაყრელია ეკონომიკური კავშირებისათვის.

ტრანსკავკასიური საავტომობილო გზები, რომელთა ფუნქციონირება ბუნების ჭირვეულობის გამო შეზღუდულია, მხოლოდ სამ უღელტეხილზე (მამისონის, როკის, ჯვრის) გადის. სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანა რთული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამო მრავალ პრობლემასთან (მატერიალურ, ეკოლოგიურ) არის დაკავშირებული და, ამიტომ, მოხსნილია დღის წესრიგიდან. ეკონომიკური თვალსაზრისით ასევე არახელსაყრელია საქართველოს საზღვრის სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი, რომელიც თურქეთთან გვაკავშირებს. მართალია შავშეთისა და ერუშეთის ქედები არ არიან ჩრდილო კავკასიონის მთებივით ძნელადმისადგომი და მაღალი, მაგრამ მაინც აძნელებენ სატრანსპორტო კომუნიკაციების გაყვანას. მიუხედავად ამისა, დღეისათვის „სარფის ჭიშკარი", ახალციხე ბოსოფის სასაზღვრო გადასავალი ფუნქციონირებს, რაც თურქეთსა და საქართველოს შორის სატრანსპორტო კავშირების გაფართოებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. ახლო მომავალში იგეგმება ორი ქვეყნის სარკინიგზო სისტემების შეერთებაც; ყველაზე ხელსაყრელია დასავლეთის მხრიდან საზღვაო საზღვარი, სადაც ორი დიდი ნავსადგური მდებარეობს, და აღმოსავლეთით საზღვარი აზერბაიჯანთან, რომელიც მტკვრის ხეობასა და ივრის ზეგანზე გადის.

სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მთების წყალგამყოფზე გამავალი საზღვარი, როგორც წესი, ყოველთვის უფრო სტაბილურია, ვიდრე ბარში არსებული საზღვრები, რადგანაც წყალგამყოფები ხშირად ეთნიკურ, რელიგიურ და მეურნეობრივ საზღვრებს ემთხვევა. ასეთი საზღვარია კავკასიონის მთები, როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე შეიარაღების პირობებში მაღალი მთები ვეღარ ასრულებენ ჩვეულებრივი ბარიერის ფუნქციას.

6.2. ისტორიული ასპექტი*

საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ მეზობლებთან ინტენსიური ურთიერთობების ფონზე ყალიბდებოდა. საქართველოს სამხრეთით გავლენის სფეროებისათვის იბ..ძოდა ორი დიდი იმპერიული სახელმწიფო: ირანი და ოსმალეთი, ჩრდილოეთით კი რუსეთის იმპერია. რუსეთის იმპერიამ ჩამოყალიბებისთანავე იწყო ტერიტორიული ექსპანსია და ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად კავკასია აირჩია. ჩრდილო კავკასიის ხალხებს, რომლებიც მანამდე მეტ-ნაკლებად მშვიდად და თავისუფლად ცხოვრობდნენ, რუსეთისაგან თავდაცვის პრობლემა დაუდგათ. მართლმადიდებლური რუსეთისაგან იდეოლოგიურად გასამიჯნავად რეგიონში ფეხი მოიკიდა ისლამმა. მოგვიანებით, ჩვენი სამხრეთელი მეზობლების წაქეზებით ჩრდილო კავკასიელებმა საქართველოზე თავდასხმები დაიწყეს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ქართველი მეფეების სწრაფვა რუსეთისაკენ. მათი ჩანაფიქრით, რუსეთთან კავშირით ქრისტიანული და მაჰმადიანური ძალების გაწონასწორება უნდა მომხდარიყო. ამრიგად, კავკასია ჩამოყალიბდა ბუფერულ ზონად ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, სადაც წარმოდგენილი იყო როგორც მაჰმადიანური სამხრეთის, ისე ქრისტიანული ჩრდილოეთის ინტერესები, კერძოდ თურქეთის, ირანის და რუსეთის. თითოეული ამ გეოპოლიტიკური ძალის გაძლიერება კავკასიაში იწვევდა საწინააღმდეგო, გამაწონასწორებელი ძალების გაძლიერებასაც. აღნიშნულ სამ დიდ გეოპოლიტიკურ ძალთა შორის ურთიერთობა არა მხოლოდ აისახებოდა კავკასიაზე, არამედ კავკასია, თავის მხრივ, დიდ როლს თამაშობდა ამ ურთიერთობათა რეგულირებაში.

---

* ისტორიული და თანამედროვე სიტუაციის პოლიტიკური ანალიზი მოამზადებულია ი.შჭედლიშვილის საგაზეთო სტატიის ადაპტირებული ფრაგმენტების საფუძველზე (იხ. „7 დღე" - 18-24 ივლისი, 1992).

6.3. პოლიტიკური ასპექტი

დღეისათვის, დიდი გეოპოლიტიკური ძვრების შედეგად, კავკასიაში გვაქვს სამი ახალი სახელმწიფო: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი. ამას გარდა, არიან რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, ავტონომიური რესპუბლიკები, რომელთა შორის თანდათან ძლიერდება დამოუკიდებლობის ტენდენციები. ყოველ მათგანს აქვს უამრავი პრობლემა, რომელიც გამოწვეულია პოლიტიკური სიტუაციის მკვეთრი ცვლილებით. ასეთ ვითარებაში კავკასიის ხალხები ცდილობენ მონახონ საიმედო პარტნიორები ძლიერი ქვეყნების სახით, რომლებიც მიეხმარებიან მათ ამ პრობლემების გადაჭრაში, გახდებიან მათი უსაფრთხოების გარანტები, დაიჩქარებენ მათ ჩართვას მსოფლიო პროცესებში. ასე, მაგალითად, აზერბაიჯანში ყალიბდება თურქული ორიენტაცია, რაც თითქოს ბუნებრივიცაა, სომხეთში ძლიერია რუსეთზე ორიენტაცია, ამავე დროს იზრდება ირანთან ურთიერთობის ინტენსივობა. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს, ისინი რუსეთისაგან გამიჯვნის მიზნით, ცდილობენ გამონახონ კავშირები თურქეთთან (ჩეჩნეთი) და იმუქრებიან მაჰმადიანური ფუნდამენტალიზმით (დაღესტანი), ანუ ორიენტირებული არიან მაჰმადიანურ სამყაროზე. რაც შეეხება საქართველოს, მას კავკასიის სხვა ხალხებთან შედარებით პოლიტიკური მანევრირების მეტი საშუალება აქვს, რადგან მას მეზოგეოგრაფიული მდებარეობის გამო კავშირების ყველაზე დიდი არჩევანი აქვს.

7. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება

დღეს მსოფლიოში ძველი სამყაროს რღვევის და ახლის შენების პროცესი მიმდინარეობს. „ცივი ომის" დასრულებამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ არსებითად შეცვალა ძალთა ბალანსი როგორც მთელს მსოფლიოში, ასევე ცალკეულ რეგიონებში. პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამართლებრივი, სოციალური გარემოს ამ უპრეცედენტო ცვლილებათა შედეგად საერთაშორისო ურთიერთობათა ძველი, ბიპოლარული სისტემა ფაქტიურად უკვე აღარ არსებობს, ხოლო ძალთა ახალი თანაფარდობა ჯერ საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული - მიმდინარეობს ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესი.

საქართველომ, რომელმაც ცალსახად აირჩია განვითარების დამოუკიდებელი, დემოკრატიული გზა, უნდა მოძებნოს საკუთარი ადგილი მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა თანამეგობრობაში, ინტეგრირებულ ქნეს საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე სისტემაში და ამავე დროს შეინარჩუნოს საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქართველომ უნდა შეიმუშაოს საკუთარი სტრატეგიული პოლიტიკური კურსი, რომელიც ჭეშმარიტ ეროვნულ ინტერესებს დაეფუძნება. იმაზე, თუ როგორ წარმართავს საქართველო თავის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას, მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მისი მომავალი ბედ-იღბალი.

აუცილებელია საქართველოს მიერ გამომუშავებული პოლიტიკური კურსი აქტიურ ხასიათს ატარებდეს. აქტიურ

პოლიტიკურ კურსში იგულისხმება ისეთი კურსი, რომელიც საშუალებას მოგვცემს არა მხოლოდ უბრალოდ მივყვეთ მსოფლიოში მიმდინარე პროცესთა დინებას და მორჩილად ველოდოთ ჩვენს ხვედრს, არამედ აქტიური ზემოქმედება მოვახდინოთ საკუთარი მომავლის ფორმირებაზე. ეს უალტერნატივო გადაწყვეტილებაა.

ამგვარი სტრატეგიული პოლიტიკური კურსი, უპირველეს ყოვლისა, ფუნდამენტალური ზოგადეროვნული ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ასეთებად კი შეიძლება ჩაითვალოს ერის ფიზიკური არსებობის და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების უზრუნველყოფა და მისი შემდგომი განვითარების პირობების შექმნა.

აღნიშნული *ზოგადეროვნული ინტერესები* მუდმივ ხასიათს ატარებენ. ეს ინტერესები შესაძლებელია დაიშალოს სხვადასხვა დონის უფრო კონკრეტულ ინტერესებად, რომელთაგან ზოგი ასევე მუდმივია, ზოგი შედარებით ინერციული, ხოლო სხვა ელემენტები კი უფრო დინამიური და დროში ცვლადია. საზოგადოებას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი კონკრეტული ინტერესების ერთობლიობა, რომელთა კორექტირება და პრიორიტეტულობის დადგენა მუდმივად უნდა ხდებოდეს გარეშე და შინაგანი ფაქტორების ცვლილებათა გათვალისწინებით.

ეროვნული ინტერესების რეალიზაციის უზრუნველყოფას ემსახურება ქვეყნის *ეროვნული უსაფრთხოების სისტემა.*

ტრადიციულ ქვეყნებში ეროვნული უსაფრთხოების სისტემები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ევოლუციური წესით ყალიბდებოდა. ამ ქვეყნებში საკუთარ ეროვნულ ინტერესთა დაცვა და ეროვნული უსაფრთხოების პრობ-

ლემების გადაწყვეტა ხდებოდა არა მხოლოდ თეორიული ნააზრევით, ამ გზით მიღებული შედეგებისა და შემუშავებული რეკომენდაციების ცხოვრებაში გატარებით, არამედ ხშირ შემთხვევაში ემპირიული წესითაც, მოვლენათა მსვლელობით, გონიერ მოსაზრებათა შემოწმებით, დაშვებულ შეცდომათა ანალიზით, გამარჯვებებით, დამარცხებებით და ა.შ.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოს ამგვარი ევოლუციური გზის გავლის შესაძლებლობა დროის დეფიციტის გამო არ გააჩნია. დღეს ჩვენ შეცდომების დაშვების უფლება არა გვაქვს და ამიტომ საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების სისტემა უნდა რაციონალურად გავიაზროთ და შევქმნათ რაც შეიძლება სწრაფად მსოფლიოში არსებული მდიდარი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების გამოყენებითა და საკუთარი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით.

ეროვნული უსაფრთხოების სისტემის დანიშნულებას წარმოადგენს სისტემატური წესით თვალყური ადევნოს და გაიაზროს ყველაფერი, რაც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებსა და ეროვნულ უსაფრთხოებას ეხება, შეკრიბოს და დაამუშაოს აუცილებელი ინფორმაცია; გააანალიზოს მომხდარი და მიმდინარე მოვლენების მნიშვნელობა უსაფრთხოების კუთხით; განჭვრიტოს და იწინასწარმეტყველოს მოვლენათა განვითარების შესაძლო მიმართულებები და გამოიმუშაოს იმგვარი გადაწყვეტილებები, რომლებიც თავიდან ააცილებს ან შეამსუბუქებს მოსალოდნელ საფრთხეებს; უზრუნველყოს მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ქმედითი მექანიზმის შექმნა.

უსაფრთხოება ეს არის ქვეყნის ისეთი მდგომარეობა, როდესაც უზრუნველყოფილია ერის (მოსახლეობის)

ფიზიკური არსებობა, თვითმყოფადობა და განვითარება. მოცემული მდგომარეობის მიღწევა და შენარჩუნება სახელმწიფოს უზენაეს ინტერესს წარმოადგენს.

ფიზიკური არსებობა, თვითმყოფადობა და განვითარება ერის სრულფასოვანი არსებობის აუცილებელი კომპონენტებია, რომელთაგანაც თითოეულის (მით უმეტეს სამივეს) დათმობა მისთვის მომაკვდინებელია. სხვა სიტყვებით, აღნიშნული კომპონენტების შენარჩუნებას ერისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ერის ფიზიკური არსებობა გულისხმობს მოსახლეობის მოცემული რაოდენობის შენარჩუნებას ან მის ზრდას ისეთი დემოგრაფიული სტრუქტურით, რომელიც უზრუნველყოფს თვითმყოფადობის შენარჩუნებას და განვითარებას.

ერის თვითმყოფადობა კომპლექსური ცნებაა და გულისხმობს საუკუნეების განმავლობაში ისტორიული, გეოგრაფიული და გენეტიკური ფაქტორებით განპირობებულ თავისებურებათა ერთობლიობას. ეს თავისებურებები ვლინდება ერის მსოფლმხედველობაში, ხასიათში, კულტურაში, ანთროპოლოგიურ ტიპში, რელიგიურ აღმსარებლობაში და მეურნეობრიობის ფორმებში.

ერის განვითარება ნიშნავს გეოპოლიტიკური მდებარეობით, კულტურული თავისებურებებით და მსოფლმხედველობრივი ფაქტორებით განპირობებული ეროვნული ინტერესების შესაბამისი მდგომარეობისკენ სვლას. ამ პროცესის წარმართვა გლობალური ტენდენციების, საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობებისა და ნორმების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს.

7.1. ეროვნული უსაფრთხოების ასპექტები

უსაფრთხოების ცნებამ თანამედროვე მსოფლიოში დაკარგა მისთვის დამახასიათებელი მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა და მოიცავს, აგრეთვე, ადამიანის საქმიანობის მნიშვნელოვან სფეროებს, როგორიცაა ეკონომიკა, ეკოლოგია, დემოგრაფია, კულტურა, სოციალური და ეროვნებათაშორისი ურთიერთობანი და ა.შ. დღეს უსაფრთხოება განიხილება როგორც კომპლექსური კატეგორია, რომელიც სხვადასხვა ასპექტებს მოიცავს. ამ ასპექტებს დროის ფაქტორის გათვალისწინებით ცვლადი მნიშვნელობა და პრიორიტეტულობა გააჩნიათ.

პოლიტიკური უსაფრთხოება. ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში მთავარ სტრუქტურულ ელემენტს პოლიტიკური უსაფრთხოება წარმოადგენს. პოლიტიკური უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა ქვეყნის პოლიტიკური სუვერენიტეტის უზრუნველყოფას გულისხმობს. პოლიტიკური უსაფრთხოების არ არსებობის პირობებში ლაპარაკიც კი ზედმეტია ეროვნული უსაფრთხოების მეტ-ნაკლებად მწყობრი სისტემის შექმნაზე. შეიძლება გამოვყოთ პოლიტიკური უსაფრთხოების საგარეო და საშინაო ასპექტები.

საგარეო პოლიტიკური ასპექტები. ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოების საგარეო ასპექტი ნიშნავს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების სისტემის ან მასში შემავალი რომელიმე ქვეყნის მხრიდან ინიცირებული ნებისმიერი საფრთხისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარს მისი თავიდან აცილების ან შემსუბუქების მიზნით.

ჩვენი საგარეო პოლიტიკური კურსის ცენტრალური ხაზი უნდა იყოს გახსნილობა საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც კარგად ეხმიანება თანამედროვე გლობ-

ალურ ტენდენციებს. საქართველომ უნდა დაამყაროს და განავითაროს ორმხრივად სასარგებლო და მეგობრული ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან როგორც რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამავე დროს საქართველოს ინტერესებშია საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში იმ ძალთა დაბალანსება, რომელთა ინტერესებიც ფოკუსირდება კავკასიაში, და უპირველეს ყოვლისა კი საქართველოში.

ამ მიზნის მისაღწევად პირველ რიგში აუცილებელია შესწავლილ იქნეს ის ქვეყნები, რომლებსაც გარკვეული ინტერესები გააჩნიათ ჩვენს რეგიონში, კერძოდ საქართველოში; როგორია ამ ქვეყნების შემდგომი განვითარების ძირითადი ტენდენციები, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საქართველოსთან ურთიერთობების ხასიათზე.

საჭიროა განისაზღვროს პოლიტიკური კურსი დიდი სახელმწიფოების მიმართ. ეს ეხება როგორც ჩვენს უშუალო მეზობლებს (რუსეთი, თურქეთი) და ჩვენი ტერიტორიის სიახლოვეს მდებარე სახელმწიფოებს (უკრაინა, ირანი), ასევე ჩვენგან გეოგრაფიულად დაშორებულ ქვეყნებსაც (აშშ, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები), ვინაიდან თანამედროვე ინტეგრაციული პროცესების მიმდინარეობა, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემების უპრეცედენტო განვითარება განაპირობებენ ამ ქვეყნების გარკვეულ დაინტერესებას რეგიონში მიმდინარე მოვლენებით.

დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთდამოკიდებულების მოწესრიგებასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ურთიერთობას მეზობელ პატარა სახელმწიფოებთან (სომხეთი, აზერბაიჯანი), აგრეთვე სტრატეგიულ პარტნიორთა მოძიებას რეგიონში (მაგ. ისრაელი) და მის

ფარგლებს გარეთ, როგორც საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

უსაფრთხოების საგარეო პოლიტიკური ასპექტები მუდმივად პრიორიტეტულია ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში. ვინაიდან საქართველოს მოწყვეტა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან დღეს შეუძლებელია, უფრო მეტიც, ეს პროცესები უდიდეს გაელენას ახდენს საქართველოს განვითარების პირობებზე, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ამ პროცესების მუდმივი თვალყურის დევნება და ადექვატური რეაგირება.

საშინაო პოლიტიკური ასპექტები. პოლიტიკური უსაფრთხოების საგარეო ასპექტთან მჭიდროდაა დაკავშირებული საშინაო პოლიტიკური ასპექტები. რაც უფრო მდგრადი და სტაბილურია საზოგადოება, მით უფრო მაღალია მისი უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს ნებისმიერ დესტრუქციულ ზემოქმედებას. მაშასადამე აუცილებელია ისეთი პოლიტიკური ორგანიზაცია, სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ სტაბილურობას და მდგრადობას. ასეთი ტიპის პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე მისაღები ფორმაა წარმომადგენლობითი დემოკრატია.

სამხედრო უსაფრთხოება. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს ძალის ფაქტორის როლისა და მნიშვნელობის გადაფასება ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში. მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესთა ლოგიკის თანახმად სულ უფრო იზრდება და თვალსაჩინო ხდება მსოფლიოს ერთიანობა და ურთიერთდამოკიდებულება. თანდათანობით მკვიდრდება იმის გაგება, რომ საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტა ძალისმიერი მეთოდებით შეუძლებელია. თანამედროვე გაგებით ქვეყნის უსაფრთხოება

შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ სამხედრო ძალის მეშვეობით და ამის გამო უსაფრთხოების ცნება კარგავს მისთვის ტრადიციულად დამახასიათებელ მხოლოდ სამხედრო აზრს.

მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე მსოფლიო იმდაგვარადაა მოწყობილი, რომ ცივილიზებული საერთაშორისო ურთიერთობები, რომელთა დროსაც გამორიცხულია ძალადობა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, ჯერჯერობით ჩვენი პლანეტის მხოლოდ შეზღუდულ არეალზე ვრცელდება. უფრო მეტიც, მართალია გლობალურ განზომილებაში ბიპოლარული დაპირისპირების გაქრობის შედეგად მსოფლიო უფრო თავისუფალი გახდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამით მისი სტაბილურობის ხარისხი არ გაზრდილა. პირიქით, ჯერ კიდევ არ ჩამქრალა ძველი კონფლიქტები, ჩნდება კონფლიქტთა ახალი კერები, რომლებიც ტოტალიტარული სისტემის მსხვრევითაა გამოწვეული.

საქართველო სწორედ ამგვარი კონფლიქტებით აღსავსე რეგიონში მდებარეობს. სამწუხაროდ, აქ ჯერ კიდევ სუსტად მოქმედებენ ზემოთაღნიშნული საერთაშორისო ურთიერთობათა ცივილიზებული ფორმები და არც უშუალო აგრესიის საფრთხეა საბოლოოდ გამორიცხული.

აქედან გამომდინარე, თვალსაწიერ მომავალში საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტა სამხედრო უსაფრთხოების საკითხის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნება და ამის გამო საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში უსაფრთხოების სამხედრო ასპექტები ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებენ.

სამხედრო უსაფრთხოების ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა, ანუ ქვეყნის უნარი შეიარაღებული ძალების მეშვეობით თავიდან აიცილოს ან მოიგერიოს გარეშე სამხედრო ძალის ზემოქმედება. სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობის საკვანძო ელემენტი მისი სამხედრო ძლიერებაა. აქ კი ცენტრალურია ძლიერი რეგულარული არმიის შექმნის პრობლემა.

საქართველოში ჩვენი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა და გეოპოლიტიკური მდებარეობის თავისებურებების გათვალისწინებით აუცილებელია მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში შეიქმნას შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ ამავე დროს მობილური და ბრძოლისუნარიანი არმია, რომელიც უზრუნველყოფს საკმარის დონეზე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების სხვა საშუალება სამხედრო ძლიერებასთან ერთად არის სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეების ძიება (შესაძლებელია სამხედრო-პოლიტიკური კავშირებში შესვლაც კი), რაც საშუალებას მოგვცემს პარტნიორების ხარჯზე გავზარდოთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხი. ამ თვალსაზრისით უსაფრთხოების უზრუნველყოფის ალტერნატიულ გზას წარმოადგენს საერთაშორისო გარანტიებით უზრუნველყოფილი ნეიტრალიტეტის სტატუსისაკენ მისწრაფება.

აქ არჩევანია გასაკეთებელი და ამ არჩევანზე დიდადაა დამოკიდებული თუ როგორი იქნება საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო დოქტრინა, რომლის შემუშავებაც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე დღეს გადაუდებელ და პრიორიტეტულ საქმედ ითვლება.

ეკონომიკური უსაფრთხოება. პოლიტიკურ და სამხედრო ასპექტებთან ერთად ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ეკონომიური უსაფრთხოება.

დღეს შეიმჩნევა მსოფლიო პოლიტიკის სიმძიმის ცენტრის ეკონომიკის სფეროში გადატანა და ეს ტენდენცია მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების არსი შეიძლება 3 ძირითადი ამოცანით წარმოვიდგინოთ:

1. ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტის განმტკიცება და მისი მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში როგორც დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი სუბიექტის მონაწილეობის უზრუნველყოფა;
2. მატერიალური წანამძღვარების შექმნა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებისა და შიგა ბაზრის სტაბილურობის მიღწევისათვის.
3. ქვეყნის მეურნეობრიობის ტრადიციული დარგების, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების მნიშვნელოვანი ელემენტის დაცვა და განვითარება.

დღეს ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით საქართველოს მდგომარეობა რთულია. საბჭოთა პერიოდში ეკონომიკის ცალმხრივმა განვითარებამ, მეურნეობის არარაციონალურმა დარგობრივმა და ტერიტორიულმა სტრუქტურამ, ბუნებრივი რესურსების უთავბოლო ხარჯვამ, რასაც თან დაერთო უკანასკნელი წლების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმები, გამოიწვია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის არნახული დაქვეითება.

ასეთი მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ ეკონომიკის განვითარების უფრო მაღალი დონის მიღწევითაა შესაძლებელი. ამ მიზნით საქართველოში დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს ძირეული ეკონომიკური რეფორმები, რომლის პირველი შედეგები უკვე აისახა ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესზე. რეფორმების წარმატება საშუალებას მოგვცემს თავი დავაღწიოთ ეკონომიკის ცალმხრივ ორიენტაციას ერთ რომელიმე სახელმწიფოზე, მოიძებნოს ალტერნატული ეკონომიკური კავშირები, მივაღწიოთ მსოფლიო ბაზარზე გასელას და მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციას.

მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში ჩართვის გასაადვილებლად აუცილებელია რაც შეიძლება სწრაფად გამოიკვეთოს საქართველოს ეკონომიკური ფუნქცია შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ეს ფუნქცია სასურველია ისეთი იყოს, რომ მასთან რაც შეიძლება მეტი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები აღმოჩნდეს დაკავშირებული (მაგ. საერთაშორისო სატრანსპორტო-სატრანზიტო კვანძი, საერთაშორისო საფინანსო-საბანკო ცენტრი და ა.შ.). ეს გაზრდის ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების ხარისხს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ჩვენს წინააღმდეგ მომართული ნებისმიერი პოლიტიკური თუ სხვა სახის ძალადობა უკვე სხვა ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესებსაც შეეხება და მათი რეაქციაც ადექვატური იქნება.

ამ მიზნების მისაღწევად ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალყური გლობალურ ეკონომიკურ ტენდენციებს. კარგად უნდა ვფლობდეთ ინფორმაციას მსოფლიო კაპიტალის ბაზრისა და საერთაშორისო საინვესტიციო ტენდენციებსა და კლიმატის შესახებ, განსაკუთრებით უცხოური კაპიტალდაბანდებათა ნაკადის შესახებ ჩვენს რეგიონში,

კერძოდ მეზობელი ქვეყნების სტრატეგიული მნიშვნელობის მრეწველობის დარგებში და მათთან დაკავშირებულ სატრანსპორტო და საინფორმაციო ინფრასტრუქტურაში. ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის თავისებურებებიდან გამომდინარე ამ პროექტებმა შეიძლება ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინონ და რიგ შემთხვევებში გარკვეული საფრთხეც შეექმნას ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს.

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების განხორციელების კვალობაზე განსაკუთრებით აქტუალური გახდება საშუალო და მსხვილი პრივატიზაციისა და სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტების განხორციელებაში უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და გამოყენების გზების განსაზღვრა. აუცილებელია უცხოური ინვესტიციების რეგულირების სახელმწიფო სისტემის შექმნა, რომლის უმთავრესი მიზანიც აღნიშნული ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირებასთან ერთად უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით რეგულირების სამი ძირითადი საშუალება არსებობს: სავალუტო კონტროლი, ექსპორტ-იმპორტის კონტროლი და სტრატეგიული მნიშვნელობის საქონლის გატანის მოწესრიგება.

ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ფულის რეფორმას, რაც საყოველთაო აღიარებით წარმატებით განხორციელდა.

სოციალური უსაფრთხოება. სოციალური უსაფრთხოების ქვეშ ქვეყნის ისეთი უარყოფითი მოვლენებისაგან დაზღვევა იგულისხმება, როგორიცაა ნარკომანია, ტერორიზმი, შიდსის ეპიდემია, დამნაშავეობა, მოსახლეობის ცხოვრების დონის

მკვეთრი დაცემა და სხვ. ამგვარი მოვლენების წარმოქმნა და შემდგომი განვითარება საფრთხეს უქმნის ქვეყნის შინაგან სტაბილურობას და კრიზისის ფაზაში სოციალური აფეთქების მიზეზი შეიძლება გახდნენ.

ზემოაღნიშნული საფრთხეების დროული პროფილაქტიკისა და ნეიტრალიზაციისთვის ღონისძიებათა სისტემის გატარებაა საჭირო, რომელთა შორის ძირითადია:

- ქვეყნის სოციალური უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება;
- სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის კოორდინაცია სოციალური შინაარსის კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად;
- სოციალური ხასიათის საფრთხეთა სპეციფიკურობიდან გამომდინარე უსაფრთხოების საერთაშორისო სისტემაში ჩართვა.

კულტურული უსაფრთხოება. კულტურული უსაფრთხოების საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პატარა ერისათვის, მით უმეტეს, თუ დარღვეულია მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტი. ხალხი, რომელიც კულტურულ ტრადიციებს კარგავს, უბრალო მოსახლეობად იქცევა, რომელიც შეიძლება არსებობდეს ნებისმიერი სახელმწიფოს ფარგლებში. სწრაფი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში სულ უფრო მწვავე ხდება ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების, ეროვნულ ფასეულობათა დაცვის საკითხი.

კულტურის განვითარების უსაფრთხოება გულისხმობს საზოგადოების ისეთ მდგომარეობას, როდესაც მას სულიერი პროგრესის უნარი შესწევს, შეუძლია ეროვნული თვითმყოფადობის საფუძველზე აღიქვას მსოფლიო კულტურის მიღწევები და შეინარჩუნოს, განამტკიცოს ხალხის სულიერი ერთიანობა.

ეკოლოგიური უსაფრთხოება. ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია მთა-გორიანი რელიეფის მქონე სახელმწიფოებისათვის. ქვეყნის სუსტი ეკონომიკური სისტემის პირობებში დიდია ალბათობა წამიერი მოგების მიზნით ეკოლოგიურად გაუმართლებელი გადაწყვეტილებების მიღებისა, რასაც შესაძლოა შედეგად მეწყერი, ზვავი, ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურება მოჰყვეს.

ხშირად ქვეყნის ეკოლოგიური ბალანსის დარღვევას გარეშე ფაქტორებიც იწვევენ. მაგალითად, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროების სანიტარულ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას დნეპრის, დონისა და დუნაის მიერ ზღვაში ჩატანილი სამრეწველო ნარჩენები და ფეკალური წყლებიც ახდენენ. თვით ჩერნობილის ავარიის შედეგებმაც კი იჩინეს თავი საქართველოს ტერიტორიაზე.

ცნობილია ისეთი უარყოფითი ეკოლოგიური „მოვლენები", როგორიცაა დაჭუჭყიანებული ჰაერის მასებისა და მდინარის წყლების ერთი ქვეყნიდან მეორეში ტრანსპორტირება, დაბინძურებული წყლის მასების გადაადგილება ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის სანაპიროს გასწვრივ, მიწების დაბინძურების პროცესი, რომელმაც არ იცის პოლიტიკური საზღვრები. ყოველივე ეს, ხშირად, ქვეყნებს შორის კონფლიქტური სიტუაციის ჩამოყალიბების მიზეზი ხდება. კონფლიქტის მიზეზი შეიძლება გახდეს, აგრეთვე, მსხვილი სამრეწველო კომპანიების მიერ თავიანთი ფილიალების სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგება. როგორც წესი, ასეთი საწარმოები არ არიან გამწმენდი დანადგარებით აღჭურვილნი და არც ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვას ექცევა ყურადღება. არსებითად საქმე გვაქვს ეკოლოგიურად „ბინძურ" საწარმოთა ექსპორტთან.

ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება და მის ფარგლებში ეკოლოგიური ექსპერტიზის როლის განსაზღვრა.

დემოგრაფიული უსაფრთხოება. დემოგრაფიული უსაფრთხოების პრობლემა ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის ოპტიმიზაციას უკავშირდება. ნებისმიერი სახელმწიფოს ინტერესებშია, რომ მოსახლეობასა და რესურსებს შორის უზრუნველყოფილი იქნას გარკვეული ბალანსი. საქართველოს მოსახლეობა, როგორც ცნობილია, წელიწადში 0,5 პროცენტით იზრდება მაშინ, როცა მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპი 2 პროცენტს უდრის. ასეთი დაბალი ზრდის ტემპი მარტივ კვლავწარმოებასაც (ანუ თაობის შეცვლას) ვერ უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, დემოგრაფიული უსაფრთხოების მიზნით აუცილებელია შემუშავდეს სპეციალური პროგრამა (დემოგრაფიული პოლიტიკა), რომელიც მიზნად მოსახლეობის ზრდის ტემპის გადიდებას დაისახავს. ეს არც ისე ადვილი საკითხია, რადგანაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის პრობლემას უკავშირდება.

ასევე მნიშვნელოვანია შრომითი რესურსების რაოდენობისა და, რაც მთავარია, კვალიფიკაციის საკითხი. დაბალი ზრდის ტემპი ადრე თუ გვიან შრომითი რესურსების ნაკლებობას გამოიწვევს, ხოლო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით ამ ნაკლებობის აღმოფხვრა კადრების კვალიფიკაციის პრობლემასთან მიგვიყვანს. ქვეყნის მძიმე ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) მდგომარეობა ახალგაზრდა და კვალიფიციური კადრების ემიგრაციას აპირობებს. დგება ე.წ. „ტვინების გადინების" პრობლემა, რაც დემოგრაფიული უსაფრთხოების თვალსაზრისით ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა შეიძლება გახდეს.

სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოება ერის სრულფასოვანი არსებობის ერთ-ერთი კომპონენტის განვითარების – მნიშვნელოვან ფაქტორს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი წარმოადგენს. მეცნიერებისა და ტექნიკის უსაფრთხო, სრულფასოვანი განვითარება უმნიშვნელოვანეს ეროვნულ

ინტერესებში შედის. ამავე დროს, მძიმე ეკონომიკური კრიზისის პირობებში არათუ ფერხდება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, არამედ ეცემა წამყვან დარგებში მიღწეული დონე, იშლება მეცნიერული სკოლები, დაუსაქმებელი რჩება კვალიფიციური კადრები, იწყება ზემოთხსენებული „ტვინთა გადინების“ პროცესი. ყოველივე აღნიშნული სერიოზულ საფრთხეს უქმნის ერის განვითარებას, მის მომავალს. საჭიროა შემუშავდეს პროგრამა, რომლის მიზანი იქნება მეცნიერების და ტექნიკის გადარჩენის და განვითარების უზრუნველყოფა. პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ტრადიციული ფუნდამენტური მეცნიერების განვითარების სტიმულირებას და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის დასაქმების უზრუნველყოფას.

უსაფრთხოების ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ასპექტი. ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევისა და შენარჩუნების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს ეროვნებათაშორის ურთიერთობათა ჰარმონიულობა წარმოადგენს. სახელმწიფოებრიობის ფორმირების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც არ არის შემუშავებული ეროვნული იდეოლოგია, კონსენსუსის პრინციპზე დაფუძნებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მოდელი, მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ეროვნულ უმცირესობათა უფლებამოვალეობანი და მათი დაცვის გარანტიები, იქმნება ეთნოკონფლიქტების ჩასახვისა და განვითარების ნოყიერი ნიადაგი. ხშირად კონფლიქტური სიტუაციების ინსპირირება გარეშე ძალითაც ხდება, რაც მათი აღმოფხვრისა და პროფილაქტიკის შესაძლებლობებს ამცირებს. ასეთ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერთაშორის ურთიერთობებში ისეთი მოდუსის მოძებნას, სადაც

გათვალისწინებული იქნებოდა ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკური ინტერესებისა და ზოგადეროვნული ინტერესების შეხამება. ყოველივე ეს, პირველ რიგში, გულისხმობს ახალი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებას და ქვეყნის იმგვარ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას, სადაც ასახვას ჰპოვებდა ზემოაღნიშნული მომენტები.

8. საქართველოს საგარეო პოლიტიკა

მიზნები და ამოცანები. საქართველოს, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს, საგარეო პოლიტიკის უმთავრეს *მიზანს* ქვეყნის უსაფრთხოების და კეთილდღეობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე აღნიშნული მიზნის მიღწევის თვალსაზრისით საქართველოს საგარეო პოლიტიკის წინაშე მდგარი *ამოცანების* სპექტრი გარკვეული დინამიკით ხასიათდება. ასე მაგალითად, 1992 წელს საქართველოს საერთაშორისო აღიარება და უცხოეთის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება მთავარ საგარეო-პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა და, შეიძლება ითქვას, წარმატებით შესრულდა. დღეს საქართველო 37 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობები 100-ზე მეტ ქვეყანასთან აქვს დამყარებული. იმავე 1992 წლიდან დღემდე სამაჩაბლოსა და აფხაზეთში კონფლიქტების მსვლელობასთან, ხოლო შემდგომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით სათანადო საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და საერთაშორისო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების და მათი რეალიზაციის უზრუნველყოფა ერთ-ერთი პრიორიტეტული საგარეო-პოლიტიკური ამოცანაა. ასევე უმთავრეს ამოცანათა შორის არის 1994 წლიდან დაწყებული დემოკრატიზაციისა და საბაზრო ურთიერთობების მშენებლობის პროცესების შემდგომი გაღრმავების მხარდაჭერა, ევროპულ სტრუქტურებში (ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ნატო და სხვ.) ინტეგრაციის დაჩქარება, საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის (ევრაზიის

სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის ამოქმედებასთან დაკავშირებული რეგიონული და ტრანსრეგიონული პროექტების რეალიზაციის პოლიტიკური უზრუნველყოფა) სრულად გამოყენების ხელშეწყობა, ქვეყნის ბუნებრივი, ინფრასტრუქტურული და ინტელექტუალური რესურსების ათვისების მიზნით უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

პრინციპები. მთავარი *პრინციპი,* რითაც ხელმძღვანელობს საქართველოს საგარეო პოლიტიკა, უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრული, ურთიერთსასარგებლო და პარტნიორული ურთიერთობების განვითარებაა. პირველ რიგში ეს კავკასიის რეგიონში ჩვენს მეზობელ ქვეყნებს ეხება. ამ თვალსაზრისით საქართველოს საგარეო პოლიტიკის სერიოზულ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ზოგიერთი „სტაჟიანი" წევრისგან განსხვავებით ჩვენს ქვეყანას ყველა სახელმწიფოსთან კორექტული, ხშირ შემთხვევაში, მეგობრული ურთიერთობები აკავშირებს და არ მოიძებნება ჩვენდამი „მტრულად განწყობილი" ქვეყნები. აღნიშნული პრინციპი, რომელიც ხორციელდება დევიზით „ვეძებოთ და ვიპოვოთ მეგობრები", ისევე როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად წარმართული საქმიანობა და ზნეობრიობა, საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია.

ორიენტაცია. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური *ორიენტაცია* მრავალი ფაქტორით არის განპირობებული და, ამიტომ, შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს მისი ვექტორი. ზემოაღნიშნული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, საგარეო პოლიტიკას რამოდენიმე ორიენტირი გააჩნია. ასე მაგალითად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით

რუსეთთან ურთიერთობას ჯერ-ჯერობით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. გარდა ამისა, რუსეთი როგორც ჩვენი დიდი მეზობელი და ისტორიულად კავკასიაში ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესების მქონე სახელმწიფო ასევე მუდმივი ყურადღების საგანია. არანაკლებ მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ისიც, რომ საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის სრულფასოვან წევრად გახდომის გზაზე რუსეთის ბაზრის ათვისებას საქართველოს ეროვნული მეურნეობის აღორძინება-განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის და საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზნით მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა, პირველ რიგში, მსოფლიოში არსებული გამოცდილების და მისი დანერგვისთვის საჭირო ტექნიკური თუ სხვა რესურსების მოძიებას გულისხმობს და, ამ თვალსაზრისით, საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი ორიენტირი ევროპა, ზოგადად კი, დასავლეთია. ამით არის განპირობებული, სხვასთან ერთად, ევროსტრუქტურებში ინტეგრირების პრიორიტეტულობაც.

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გამოყენება, რაც, ძირითადად, ევრაზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის ამოქმედებასთან არის დაკავშირებული, ამიერკავკასიაში ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან, აგრეთვე, უკრაინასთან, თურქეთთან, ირანთან, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან, ბალკანეთის ქვეყნებთან და, პერსპექტივაში, ჩინეთთან თანამშრომლობის გააქტიურებას გულისხმობს. შესაბამისად, საგარეო-პოლიტიკის აქცენტირება ამ ფაქტორითაც არის განპირობებული. რაც შეეხება მსხვილი ინვესტიციების მოზიდვას, ეს ისევ და ისევ დასავლეთის

წამყვან სახელმწიფოებთან (მ.შ. იაპონიასთანაც), მათ კომპანიებთან და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევრობანკი და სხვ.) მჭიდრო თანამშრომლობას მოითხოვს. ესეც საგარეო-პოლიტიკური და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ორიენტაციის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია.

შედეგები. მთავარი *შედეგი,* რასაც საგარეო პოლიტიკამ ბოლო პერიოდში მიაღწია, არის ის, რომ იგი თვითონ უფრო მწყობრი და მიზანმიმართული გახდა. ამან, თავის მხრივ, განაპირობა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომი ზრდა, რაც გამოიხატა შემდეგში:

— გააქტიურდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ურთიერთობები თვისობრივად ახალ სახეს იძენენ.

ევროკავშირთან 1996 წლის 22 აპრილს ხელმოწერილი შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია, სადაც დაფიქსირებულია ორ მხარეს შორის სრულფასოვანი ურთიერთობების განვითარების აუცილებლობა, მ.შ. პოლიტიკური დიალოგისა და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხების გარშემო კონსულტაციების წარმოების გზით. შეთანხმება კარგი საფუძველია ევროკავშირსა და საქართველოს შორის შემდგომი დაახლოების მიზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისათვის, კერძოდ, ყველა პირობას ქმნის საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირებული ქვეყნის სტატუსის მიღებისათვის.

ჩვენ დიდად ვაფასებთ ევროკავშირის მშვიდობიან პოლიტიკას, რომელიც მიმართულია სამხრეთ კავკასიაში სტა-

ბილური და უსაფრთხო სივრცის დამკვიდრებისკენ. როგორც ცნობილია, ევროკავშირის ეგიდით ხორციელდება ცნობილი ტრასეკა-ს პროექტი. აღსანიშნავია, აგრეთვე, პროექტები სოფლის მეურნეობაში, ენერგეტიკაში, სხვა სფეროებში.

ევროპარლამენტთან ურთიერთობები, უმთავრესად, ე.წ. "ამიერკავკასიის დელეგაციის" მეშვეობით ხორციელდება, თუმცა არანაკლები მნიშვნელობა აქვს მაღალი დონის დელეგაციათა ურთიერთვიზიტებს, რაც სულ უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებს. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ბოლო პერიოდში ევროპარლამენტის მხრიდან სამხრეთ კავკასიის, კერძოდ საქართველოსადმი გაზრდილ ინტერესს გამოკვეთილი ხასიათი მიეცა. მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი რეზოლუციები, რომლებიც წევრ ქვეყნებს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან ურთიერთობის გააქტიურებისაკენ მოუწოდებენ.

ევროპის საბჭოსა და საქართველოს შორის დაწყებული პოლიტიკური დიალოგი 1996 წლის 28 მაისს ჩვენი ქვეყნისათვის სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭებით დაგვირგვინდა. ეს სერიოზული წინაპირობაა მსოფლიოს ამ ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ ორგანიზაციაში სრულუფლებიანი წევრობისათვის, რისი მიღწევაც ახლო მომავლის საქმეა.

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ლისაბონში გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიღებული დოკუმენტები, კერძოდ, მთავარი პოლიტიკური დეკლარაცია, სადაც საქართველოში არსებულ კონფლიქტებს პრინციპული შეფასება მიეცა, უდიდესი მნიშვნელობისაა. ცნობილი მე-20 პარაგრაფი, სადაც დაფიქსირებულია ქართული მოსახლეობის მიმართ განხორციელებული „ეთნიკური წმენდის" ფაქტი და აფხაზეთისა

და ცხინვალის რეგიონში გამართული არჩევნების უკანონობა, ფაქტობრივად, სათანადო საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის საბოლოოდ ფორმირებას ნიშნავს და ეს, უდავოდ, დიდი წარმატებაა. აღნიშნულის ფონზე მეტი შესაძლებლობები ჩნდება კონფლიქტების საბოლოო მოგვარების დასაჩქარებლად.

ნატო-სთან თანამშრომლობა სულ უფრო მეტ შინაარსს იძენს. გასულ წელს „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში საქართველომ რამდენიმე მნიშვნელოვან ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. 1997 წელს საქართველოში დაგეგმილია ნატო-ს ეგიდით ხუთი ღონისძიების ჩატარება, მ.შ. ქართულ-ამერიკული ერთობლივი სამხედრო-საინჟინრო ვარჯიშის მოწყობა. საქართველოსა და ნატო-ს შორის თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მიზნით ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა გენერალური მდივნის ბ-ნ ხ.სოლანას სტუმრობას თბილისში.

გაერო-სთან საქართველოს ურთიერთობა, ძირითადად, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებული საკითხებით განისაზღვრება. როგორც ცნობილია, უკვე მიღებულია 15-ზე მეტი რეზოლუცია, სადაც ბოლო დროს მოხერხდა კონფლიქტის ზონაში მომხდარის და არსებული ვითარების უფრო სწორი შეფასება. აქტიურად მოღვაწეობენ გაერო-ს დამკვირვებლებიც. გარკვეულ იმედებს გვისახავს ახალი გენერალური მდივნის არჩევა და, ვფიქრობთ, უნდა ველოდოთ ამ ორგანიზაციის უფრო ქმედით მონაწილეობას აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს მონაწილეობას ორი ძირითადი მიზანი აქვს: კონფლიქტების მოგვარების საქმეში წევრი ქვეყნების

აქტიური მხარდაჭერის და დახმარების უზრუნველყოფა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში ჯანსაღი ინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობა. უნდა აღინიშნოს, რომ დსთ-ს წევრი ქვეყნების უმრავლესობის მხრიდან აქტიური მხარდაჭერით, რაც სულ უფრო მეტად იკვეთება უმაღლესი დონის შეხვედრებზე, მოხერხდა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებული ბევრი მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღება. თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არ შეიძლება იმის თქმა, რომ დსთ-მ შესძლო ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების უსაფრთხოებასთან, ტერიტორიულ მთლიანობასთან, ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებული სერიოზული საკითხების გადაჭრა. ყოველივე ეს, სხვასთან ერთად, ურთიერთსასარგებლო ინტეგრაციული კავშირების განვითარებას აფერხებს. ჩვენი დამოკიდებულება დსთ-ს ფარგლებში ინტეგრაციისადმი განისაზღვრება თანასწორობის, ურთიერთსარგებლიანობის პრინციპების განუხრელი დაცვის მოთხოვნით. ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ ეს პროცესები არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში საქართველოს ევროპულ თუ სხვა სტრუქტურებში ინტეგრაციასთან.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) რეგიონალურ გაერთიანებაში, როგორც ცნობილია, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს. 1996 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა BSEC-ის ფარგლებში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, ენერგოსისტემების, კავშირგაბმულობის და სხვ. დარგებში კონკრეტული პროექტების განხორციელების მიზნით და ამ პროცესებში საქართველო ინტენსიურად არის ჩაბმული. საქართველო ერთ-ერთი ინიციატორია და აქტიურად უჭერს მხარს BSEC-ის რეგიონალურ ორგანიზაციად გარდაქმნის იდეას

და, ამ მიზნით, სათანადო ინსტიტუციონალური და სამართლებლივი ბაზის შექმნას.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანება საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. 1996 წელს საქართველოს მიენიჭა აღნიშნულ ორგანიზაციაში მეთვალყურის სტატუსი. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესი, უნდა ვივარაუდოთ, 1998 წელს დასრულდება.

– საქართველო სულ უფრო მეტად აღიქმება, როგორც საჭირო და სანდო პარტნიორი. ქვეყანაში მიმდინარე სასიკეთო ძვრებთან ერთად ეს, პირველ რიგში, საქართველოს ხელსაყრელმა სატრანსპორტო-გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა. ევრაზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის პროპაგანდამ, რაც იმთავითვე გახდა ჩვენი საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანა, შედეგი გამოიღო და დღეს ჩვენი რეგიონი საერთაშორისო თანამეგობრობის წამყვანი ქვეყნების, მეზობელი სახელმწიფოების და მსხვილი კომპანიების ყურადღების ცენტრშია.

– საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციის ამაღლების ნიშანი იყო 1996 წელს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის უმაღლესი დონის ფორუმის ჩატარება თბილისში, სადაც 14 საპარლამენტო დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა. ასევე მნიშვნელოვანი იყო 1997 წლის მარტში თბილისში ჩატარებული BSEC-ის და ტრასეკა-ს მონაწილე სახელმწიფოთა ტრანსპორტის მინისტრების კონფერენცია, რაც ასევე მაღალი დონის ფორუმია.

– საქართველო სულ უფრო მეტად ხდება გლობალური თუ რეგიონული მასშტაბის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინიციატივების ავტორი, რაც ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური რესურსის ზრდაზე მიგვანიშნებს. ეუთო-ს ლისაბონის სამიტზე ამ ორგანიზაციის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, აგრეთვე, 21-ე საუკუნის ევროპის ახალი წესრიგის განმსაზღვრელი ძირითადი კანონის, კონსტიტუციის შემუშავების შესახებ წინადადებები მნიშვნელოვანი განაცხადია ახალ ევროპულ არქიტექტურაში საქართველოს მიერ ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის.

„მშვიდობიანი კავკასიის“ შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივამ ბიძგი მისცა ჩვენს რეგიონში სტაბილურობისა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის სერიოზული მოძრაობის დაწყებას. აღნიშნულმა ინიციატივამ, შეიძლება ითქვას, საყოველთაო მხარდაჭერა ჰპოვა და მისასალმებელია, რომ საფუძვლად დაედო კისლოვოდსკის ცნობილ შეხვედრას. საერთოდ, „კავკასიური ფაქტორის“ სრულად ამოქმედების აუცილებლობის გაცნობიერების მზარდი ტენდენცია იმის საწინდარია, რომ ჩვენს რეგიონში არსებობს მშვიდობისა და აყვავების წინაპირობები და სასიხარულოა, რომ საქართველო ამ რესურსების გამოყენების მომხრეთა ავანგარდშია.

საქართველო აგრესიული სეპარატიზმის, როგორც თანამედროვე მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა და, შეიძლება ითქვას, ამ მოვლენის აღმოფხვრის საქმეში მოწინავეთა შორისაა.

როგორც ცნობილია, აგრესიული სეპარატიზმის მსუბუქრებაზე საქართველომ პირველმა განაცხადა 1992 წელს გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე, ხოლო მას შემდეგ მისი ინიციატივით და მონაწილეობით არა ერთი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტი იქნა მიღებული, სადაც დაგმობილ იქნა ეს მოვლენა. მათ შორის აღსანიშნავია ცნობილი ალმა-ათის მეძორანდუმი, აგრეთვე 1996 წელს მიღებული დსთ-ს სამიტის დოკუმენტები და ლისაბონის ფორუმის დეკლარაცია. ამ და სხვა დოკუმენტებში აგრესიული სეპარატიზმის დამგმობი დებულებების დაფიქსირება სულ უფრო მეტად მიანიშნებს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღნიშნული საფრთხის გაცნობიერებაზე და ამაში დიდია საქართველოს წვლილი.

რესურსები. ზემოთჩამოთვლილი მიზნებისა და ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესაძლებლობების განხილვისას პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ქვეყნის სიძლიერის და პოტენციალის განმსაზღვრელი ფაქტორები უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. საბედნიეროდ, საქართველო დაჯილდოებულია ისეთი ნიშან-თვისებებით, რაც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ქვეყნის საერთო წინსვლისათვის, მათ შორის საგარეო პოლიტიკის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტისათვის, რეალური პირობები არსებობს. ამის საფუძველს გვაძლევს შემდეგი:

1. მართალია საქართველო არ მიეკუთვნება ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყანათა რიცხვს, მაგრამ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს თუ შევადარებთ, კლიმატური, ნიადაგური, სასმელი წყლისა და ჰიდრორესურსების თვალსაზრისით გარკვეული უპირატესობა გააჩნია.

პერსპექტივაში აღნიშნული რესურსები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ჰიდროენერგიის, სასმელი წყლის ექსპორტის, აგრეთვე ტურიზმის განვითარების საფუძველი შეიძლება გახდეს.

2. ინტელექტუალური პოტენციალის თვალსაზრისით საქართველო ერთ-ერთი მოწინავეა რეგიონში. მოსახლეობის განათლების მაღალი დონე, საკმაოდ მრავალრიცხოვანი და კარგად მომზადებული ინტელექტუალური ელიტა, ტექნიკური განათლების მქონე პერსონალი და პროფესიული ჩვევების მქონე მუშა-ხელი ქვეყნის მნიშვნელოვანი აქტივია.

3. ხალხის „ევროპული" ცხოვრების წესისადმი ადაპტაციის უნარი, რაც სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება, განპირობებულია ქართული მსოფლმხედველობისა და კულტურის დასავლური (ქრისტიანული) ცივილიზაციისადმი მიკუთვნებით.

4. მიუხედავად უაღრესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა, მოსახლეობის მომავლის რწმენა და რეფორმების განხორციელების აუცილებლობის განცდა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა. სხვათა შორის, გელაპის ინსტიტუტის გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის რეფორმების საბოლოო წარმატებულობის რწმენასთან დაკავშირებული ოპტიმიზმის ხარისხით საქართველო 50 ქვეყანას შორის პირველ ათეულშია.

5. მიუხედავად 70-წლიანი საბჭოთა პერიოდისა, როდესაც ცენტრალიზებული ეკონომიკისა და ტოტალიტარიზმის პირობებში ითრგუნებოდა ადამიანის კერძო ინიციატივა და მაქსიმალურად ინერგებოდა კოლექტიური ცნობიერება,

საბედნიეროდ, ქართველმა კაცმა არ დაკარგა მესაკუთრეობის ცნობიერება და საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული გერგილიანობა.

6. საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებული რელიგიური და ეთნიკური ტოლერანტობის ტრადიციები სერიოზული საფუძველია მრავალეროვნული ქართული სახელმწიფოს სტაბილურობისა მომავალში.

7. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში მომხდარი მოვლენების გამო საწარმოო აქტივობა კატასტროფულად დაეცა და ეკონომიკა გაპარტახდა, საქართველოში შემორჩა საკმაოდ განვითარებული ტექნიკური ინფრასტრუქტურა (გზები, ელექტროგადამცემი ხაზები, წყალმომარაგება, საქარხნო ნაგებობები და სხვა), რაც მოდერნიზაციის შემთხვევაში არსებული საწითაც შეძლებს ფუნქციონირებას.

8. იდეალური სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს საქართველოს შავი ზღვის პორტებიდან ტვირთის შიდა კონტინენტურ გადაზიდვებს. ახალი ევროაზიური დერეფანი გადაჭიმულია შავი ზღვიდან სამხრეთ კავკასიის, კასპიის ზღვის, ყაზახეთისა და ცენტრალური აზიის გავლით ჩინეთისაკენ. აფხაზეთისა და ყარაბახის კონფლიქტების მოგვარების შემდეგ უდიდესი პერსპექტივები გაჩნდება ტვირთნაკადების ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძზე გადაადგილებისათვისაც.

9. პრეზიდენტისა და პარლამენტის კონსტრუქციული თანამშრომლობა უნიკალურ ნიადაგს ქმნის იმისათვის, რომ რამოდენიმე წელიწადში საქართველომ განვითარების ის გზა განვლოს, რასაც ჩვეულებრივ ათწლეულები სჭირდება.

10. მნიშვნელოვანი ფაქტორია თვით პრეზიდენტის პიროვნება. როგორც ისტორია გვასწავლის, განსაკუთრებით ბოლო პერიოდის გამოცდილება, პოლიტიკური ლიდერის როლს საზოადოებრივი სისტემების ცვლილების და მასთან დაკავშირებული კრიზისების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. დღეს, როდესაც ურთულეს გეოპოლიტიკურ პირობებში გვიხდება ახალი სახელმწიფოს მშენებლობა, შევარდნაძის საერთაშორისო რეპუტაცია აუცილებელი პირობაა ვითარების სტაბილურობისათვის და მდგრადი განვითარების პროცესების შეუქცევადობის უზრუნველსაყოფად როგორც საქართველოში, ისე მთელს რეგიონში.

ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანთვისებები, რასაც შეიძლება *კონკურენტუნარიანი უპირატესობები* ვუწოდოთ, გონიერ გამოყენებას საჭიროებს. შესაბამისად, საჭიროა ბრძნული სახელმწიფო კურსი, მათ შორის ქმედითუნარიანი საგარეო პოლიტიკა, რათა ეს უპირატესობები გამოყენებულ იქნეს.

რა თქმა უნდა, სომხეთს, აზერბაიჯანს, რეგიონის მეზობლებს, ყველას თავისი კონკურენტუნარიანი უპირატესობები გააჩნია, რომელთა რეალიზაციაზეც დამოკიდებულია მათი მომავალი. ამ უპირატესობათა გამოყენება სულაც არ ნიშნავს ერთმანეთში შეჯიბრს და ერთმანეთის ხარჯზე წარმატების მიღწევას. ეს არ არის ნულოვანჯამიანი თამაში. პირიქით, თანამშრომლობითა და ურთიერთდახმარებით უნდა შევძლოთ ამ უპირატესობათა რეალიზაცია ჩვენი საერთო კეთილდღეობისათვის. ეს განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიისათვის არის აქტუალური. რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, აგრეთვე არასტაბილური გეოპოლიტიკური გარემო განაპირობებს იმას, რომ ცალ-ცალკე პატარა და სუსტი

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის განვითარება გარე ფაქტორებზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული. აქ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი სახელმწიფოების მხრიდან დახმარებასთან ერთად ..ბალანსებილური გარემოცვიდან მომდინარე საფრთხესაც უნდა გაეწიოს ანგარიში. აქედან გამომდინარე, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის გარანტიას გრძელვადიან პერსპექტივაში ძალისხმევის გაერთიანება წარმოადგენს.

9. კავკასია: არასტაბილურობიდან თანხმობისაკენ

9.1. „მშვიდობიანი კავკასიის“ ინიციატივა და მისი რეალიზაციის პერსპექტივები

.სამწუხაროა, რომ კავკასიაში, კერძოდ კი სამხრეთ კავკასიაში დღეს არ არის გარანტირებული სტაბილურობა.

ეროვნული თვითმყოფადობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის, „ისტორიული უსამართლობის“ სხვის ხარჯზე გამოსწორების მიზნით ძალისმიერი მეთოდების გამოყენებამ სამწუხარო შედეგები – სისხლისღვრა, ნგრევა, ეთნიკური წმენდა განაპირობა. არასტაბილურობის მუხტი უზარმაზარი დამანგრეველი ძალისაა და კონფრონტაციის შემდგომი ესკალაცია არა მარტო დამღუპველი იქნება რეგიონის ქვეყნებისათვის, არამედ უფრო ფართო მასშტაბის კატასტროფაც შეიძლება გამოიწვიოს.

მეორეს მხრივ კავკასია ბუნებრივი და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი მხარეა. უაღრესად ხელსაყრელ სატრანსპორტო-გეოგრაფიულ მდებარეობასთან ერთად მთელი რესურსული პოტენციალის გამოყენებით მიღებული სიკეთე შეუდარებლად აღემატება იმ ეკონომიკურ, ტექნიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას, რასაც რეგიონის ქვეყნები საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან და დონორი სახელმწიფოებისაგან იღებენ და მომავალში მიიღებენ. აღნიშნული რესურსების კავკასიის ხალხების, ყველა ერის და ეროვნების, თითოეული ადამიანის სამსახურში ჩაყენების

მიზნით აუცილებელია პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაცია და გრძელვადიანი მშვიდობის მყარი გარანტიების შექმნა.

ამისათვის, პირველ რიგში, უნდა მოგვარდეს ყველა არსებული კონფლიქტი;

მეორე, რეგიონალური განვითარების საერთო ინტერესების გაცნობიერების საფუძველზე უნდა აღდგეს ნდობა და შემუშავდეს მისი შენარჩუნებისა და განმტკიცების მექანიზმები;

მესამე, ურთიერთხელსაყრელი და თანაბარპარტნიორული მრავალმხრივი თანამშრომლობა აღიარებულ უნდა იქნას ისტორიულ აუცილებლობად და რეგიონში არსებული წინააღმდეგობების დაძლევის პროცესის პარალელურად გადაიდგას ნაბიჯები აღნიშნული მიმართულებით.

მეოთხე, გაცნობიერებულ უნდა იქნას რეგიონის მთელი პოტენციალის მობილიზების აუცილებლობა და არათუ გამოირიცხოს ბუნებრივი, ტექნოგენური თუ პოლიტიკური რესურსების ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართვა, არამედ აღიარებულ იქნას „რესურსების გაზიარების“ პოლიტიკის პრიმატი.

აღნიშნული პირობების უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე, მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ამოცანის გადაწყვეტისათვის დროა რეგიონის სახელმწიფოებმა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და წამყვან სახელმწიფოებთან ერთად იფიქრონ კავკასიის ჰარმონიულ მომავალზე.

სწორედ ამ ამოცანას ემსახურება საქართველოს პრეზიდენტის ე.შევარდნაძის ინიციატივა „მშვიდობიანი კავკა-

სია", რომლის მიზანია ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს რეგიონში ნებისმიერი სახის დაპირისპირებას და დამკვიდრდეს მშვიდობა და კეთილდღეობა. აღნიშნულ ინიციატივაში შემოთავაზებულია ქცევის ერთგვარი კოდექსი, რომელიც შემდეგ პრინციპებს ეფუძნება:

1. *სახელმწიფო საზღვრების აღდგენა საერთაშორისოდ ცნობილ ფარგლებში.* ამის შემდეგ უარი უნდა ითქვას ნებისმიერ ტერიტორიულ პრეტენზიაზე, ხოლო კონფლიქტის წამოწყება დაუყონებლივ კოლექტიურად დაიგმოს და აილაგმოს შეერთებული ძალებით.

2. *ადამიანის უფლებების დაცვა ყველგან და ყოველთვის.* მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენა და შენარჩუნება შეუძლებელი იქნება ამ ფუძემდებელი პრინციპის განხორციელების გარეშე. საერთო ძალისხმევით უზრუნველყოფილ უნდა იქნას თითოეული ინდივიდის, უმცირესობათა უფლებების განუხრელი დაცვა. მაგრამ სათანადო მტკიცე გარანტიების და მექანიზმების შექმნის ნებისმიერი მცდელობა უშედეგო იქნება, თუ თავიდანვე არ იქნა დაგმობილი აღნიშნული ნორმის დარღვევის ყველა ფაქტი, არ იქნა აღიარებული შეცდომები და არ შევთანხმდით მომავალში ამგვარ დარღვევათა დაუშვებლობის შესახებ.

3. *სატრანსპორტო და სხვა კომუნიკაციების დაცვა და მათი ბლოკირების სრული მიუღებლობა.* ხელსაყრელი მდებარეობა კავკასიის ერთ-ერთი უმთავრესი პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსია და მისი გამოყენებით რეგიონს გლობალური მნიშვნელობის სატრანსპორტო ფუნქციის შეძენა შეუძლია. ამიტომაც, კომუნიკაციების ხელყოფა უნდა განიხილდებოდეს, როგორც დანაშაულებრივი აქტი, მიმართული მთელი რეგიონის კეთილდღეობის წინააღმდეგ.

4. *თანამშრომლობა ბუნების დაცვისა და სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციაში.* კავკასიის ბიოსისტემა უნიკალურია. კავკასიაში წარმოდგენილია მსოფლიოს თითქმის ყველა ბუნებრივი ზონის ნიშანი. განუმეორებელი მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვა უნდა გახდეს რეგიონის ქვეყნების ერთობლივი ზრუნვის საგანი. ეს კავკასიაში საერთაშორისო ტურიზმის და, მაშასადამე, კაპიტალის მოზიდვის, სამუშაო ადგილების შექმნის შესანიშნავ პერსპექტივას სახავს. ასევე, მჭიდრო თანამშრომლობაა აუცილებელი შავი და კასპიის ზღვების ეკოლოგიის საკითხებში. ამავე დროს, კავკასია არის დამანგრეველი მიწისძვრების, ზვავების, მეწყერების ზონა. ბუნებრივია, რომ სწორედ უახლოესმა მეზობლებმა უნდა ითანამშრომლონ დიდი თუ მცირე სტიქიური უბედურებების შემთხვევაში.

5. *ეთნიკური და კონფესიური შემწყნარებლობა, ექსტრემისტული ნაციონალიზმის და ქსენოფობიის ერთობლივი დაგმობა.* ეთნიკური და ენობრივი თვალსაზრისით კავკასია მსოფლიოს ყველაზე მრავალფეროვანი რეგიონია, იგი მსოფლიო მასშტაბის ეთნიკური ნაკრძალია. მაგრამ ზოგჯერ ეს ვითარება კონფლიქტების მიზეზიც ხდება. საბედნიეროდ, აქ არსებობს ტოლერანტობის ძლიერი ტრადიცია, რომელიც უნდა დავუპირისპიროთ სიძულვილის შესაძლო რეციდივებს.

6. *კავკასიისათვის საერთაშორისო პროექტების, უცხოური ინვესტიციების ყოველმხრივი მხარდაჭერა, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.* კავკასიაში საყოველთაო მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება არა მარტო რეგიონის ხალხების კეთილდღეობის ამოცანას ემსახურება, არამედ უფრო ფართო მასშტაბის გლობალურ მიზნებსაც

პასუხობს. აქედან გამომდინარე, გარკვეული ვალდებულებები ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და წამყვანმა სახელმწიფოებმაც უნდა იკისრონ, რომლებმაც ერთიანი ძალისხმევით ხელი უნდა შეუწყონ კავკასიაში დადებითი პროცესების განვითარებას. ცნობილია ევროკავშირის სტრატეგია ამიერკავკასიის მიმართ, აშშ-ის საინვესტიციო ფონდი კავკასიისათვის, არის სხვა მაგალითებიც.

კავკასიის პრობლემების გადაჭრისათვის ერთობ მნიშვნელოვანი იყო 1996 წლის ივნისის დასაწყისში ქ.კისლოვოდსკში შემდგარი შეხვედრა აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს და რუსეთის სახელმწიფოთა მეთაურების, კავკასიის რესპუბლიკათა, მხარეების და ოლქების ხელმძღვანელთა მონაწილეობით. შეხვედრაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია სახელწოდებით „კავკასიაში ერთაშორისი თანხმობის, მშვიდობის, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობისათვის".

დოკუმენტში კავკასია აღიარებულია როგორც „ერთიანი მთლიანი ორგანიზმი და გეოპოლიტიკური რეალობა" მოცემულია კავკასიის პრობლემებისადმი მონაწილე სახელმწიფოების ერთობრივი მოდგომის, თანხმობის მიღწევის და თანამშრომლობის პრინციპები.

უნდა ვაღიაროთ, რომ ნდობის, შემწყნარებლობის, მშვიდობის დამკვიდრების პროცესი კავკასიაში მძიმედ მიმდინარეობს, თუმცა არც იმის დაუნახაობა იქნება, რომ მაინც აღინიშნებოდა გარკვეული წინსვლა ამ მიმართულებით.

1996წ.კისლოვოდსკში მიღებულმა დოკუმენტმა რომლითაც დეკლარირებული იქნა „მშვიდობიანი კავკასიის" კონცეფციის დებულებები, მთელი რიგი ქვეყნების ლიდერთა, თვალსაჩინო პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა მოწონება დაიმსახურა. ასევე საყურადღებო იყო კისლოვოდსკში 1997 წელს შემდგარი შეხვედრა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა რეგიონში

მშვიდობის და სტაბილურობის დამკვიდრების აუცილებლობის გაცნობიერება კავკასიის ხალხების მიერ. შესაფერი განსაკუთრებით საყურადღებო იყო იმ თვალსაზრისით, რომ უფრო მეტად გამოიკვეთა საქართველოს როლი და მნიშვნელობა რეგიონის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრაში.

9.2. რუსეთის საგარეო პოლიტიკა და კავკასია

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლით რუსეთის იმპერიამ ფორმალურად ბევრი ტერიტორია დაკარგა, იგი ყოველნაირად ცდილობს გავლენის სფეროების ძველ ფარგლებში შენარჩუნებას. ეს მისწრაფება ტიპიურია ნებისმიერი იმპერიული სახელმწიფოსათვის და ახასიათებს კლასიკური დემოკრატიის ისეთ აღიარებულ ლიდერებს, როგორებიც არიან აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული ქვეყნების იმპერიებსა და რუსეთის იმპერიას შორის ორი ძირითადი განსხვავებაა, რაც მისი (რუსეთის) რეგიონალური საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ჩამოყალიბებაში არსებით როლს თამაშობს. პირველი განსხვავება გეოგრაფიული ხასიათისაა და იმაში მდგომარეობს, რომ, თუ ევროპული სახელმწიფოების იმპერიები თალასოკრატიული ტიპისა იყო (ზღვის გაღმა ტერიტორიებისაგან შედგებოდა), რუსეთის იმპერია მეზობელი ტერიტორიების შემოერთების ხარჯზე ჩამოყალიბდა. მეორე განსხვავება შინაარსობრივი (მიზნობრივი) ხასიათისაა და შემდეგში მდგომარეობს: ევროპული მეტროპოლიები ყოველთვის ესწრაფვოდნენ კოლონიებიდან და სხვა დამოკიდებული ტერიტორიებიდან მაქსიმალურად გამოეტანათ მატერიალური თუ შრომითი რესურსები და საკუთარი კეთილდღეობისათვის გამოეყენებინათ, რუსეთის იმპერიის (როგორც ცარისტული, ისე საბჭოთა) მიზანს კი ანექსირებულ ტერიტორიებზე მოსახლე ხალხების ასიმილაცია წარმოადგენდა. აქვე დავძენთ, რომ ნებისმიერ იმპერიას, განურჩევლად იმისა, თალასოკრატიულია იგი თუ

ტერიტორიული, ერთი იმპერიული თვისება ახასიათებს: იგი მუდამ ქსწრაფვის გავლენის სფეროების შენარჩუნებას, რისთვისაც, როგორც წესი, ფორმის შეცვლა სჭირდება – აშკარად პოლიტიკური (de jure + de facto) სუბიექტი შენიღბულ ეკონომიკურ (de facto) სახეს ღებულობს. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ტრანზიცია – ფორმალურიდან არაფორმალურ იმპერიალიზმზე გადასვლა – განსაკუთრებით მტკივნეულია ტერიტორიული ტიპის იმპერიაში და, როგორც რუსეთის იმპერიის მაგალითზე ვხედავთ, მწვავე სოციალური კატაკლიზმები ახლავს თან.

გავლენის სფეროების შენარჩუნებისაკენ სწრაფვა განაპირობებს რუსეთის განსაკუთრებულ ინტერესს იმ ფორმალურად დაკარგული ტერიტორიების მიმართ, რომლებიც საბჭოთა კავშირს დაშლის შედეგად ჩამოსცილდა. ის ფაქტი, რომ პოლიტიკურ ლიტერატურაში გაჩნდა "ახლო საზღვარგარეთის" ცნება (БЛИЖНЕЕ ЗАРУБЕЖЬЕ), ახალ პოლიტიკურ ცნობიერებაში იმპერიული ელემენტის შემორჩენის მანიშნებელია.

კავკასია რუსეთის პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული რეგიონია. კავკასიაში 60 ერი ცხოვრობს, რომელთა ერთი ნაწილი ქრისტიანია, მეორე – მუსლიმანი. კავკასია, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტად დაზარალდა საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის შედეგად: შექმნილ იქნა მახინჯი ავტონომიური წარმონაქმნები – ჩეჩნეთ-ინგუშეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაევო-ჩერქეზეთი, სამხრეთ ოსეთი და ა.შ. დეპორტირებულ იქნენ ქურთები, ბალყარები, ყარაჩაელები, ჩეჩნები, ე.წ. თურქი-მესხები. მათ ადგილას დღეს სხვები ცხოვრობენ, რომლებიც ავტოქტონური მოსახლეობის უნებლიე „კონკურენტებად" იქცნენ. გაჩნდა პოლიტიკური სიტუაციის მადესტაბილიზებელი ფაქტორი – ტერიტორიული პრეტენზიები ერთმანეთის მიმართ.

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას, რომელიც ფორმალურად აღარ შედის რუსეთის იმპერიაში და სამი დამოუკიდებელი

სახელმწიფოთია წარმოდგენილი, აქ ყოფილ მეტროპოლიას სპეციფიკური ინტერესები უყალიბდება. ზოგადად რომ ეთქვათ, რუსეთს სურს კაპიტალის მინიმალური დაბრკოლებით მოძრაობა ირან-ინდოეთის მიმართულებით. გარდა ამისა, სამხრეთ კავკასიაზე კონტროლი მის მიერ განიხილება, როგორც წინა აზიაში მიმდინარე მოვლენებზე აქტიური ზემოქმედებისათვის პლაცდარმის უზრუნველყოფა.

კავკასია, და კერძოდ სამხრეთ კავკასია, როგორც აღნიშნეთ, ყოველთვის იყო დიდი რეგიონალური სახელმწიფოების – რუსეთის, ირანისა და თურქეთის – ინტერესების სფერო. უფრო ადრე ამ რეგიონში ხალიფატი, ბიზანტია, რომი და სპარსეთი ბატონობდნენ. ახლაც, რუსეთის მიერ პოზიციების დათმობასთან ერთად შექმნილი გეოპოლიტიკური ვაკუუმის შევსებისათვის ბრძოლა განაახლეს ირანმა და თურქეთმა. ამ მეტოქეობაში დასავლეთის სიმპათიები თურქეთის მხარეს არის, ვინაიდან მისი განვითარების მოდელი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პრიორიტეტს ეფუძნება. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ დასავლეთი, და პირველ რიგში აშშ, სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების თურქეთზე ორიენტირებას ცდილობს.

რუსეთის გრძელვადიანი (სტრატეგიული) ინტერესები მოითხოვს სამხრეთ კავკასიაში თურქეთის ექსპანსიის შეჩერებას. ამგვარ ექსპანსიას რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან ძალთა ბალანსის დარღვევა შეიძლება მოჰყვეს, რაც მისი ინტერესებისათვის პოტენციურ საფრთხეს შეიცავს.

აქვე უნდა აღინიშნოს ე.წ. თურქული ფაქტორის შესახებ თვით რუსეთის შიგნით. როგორც ცნობილია, ადგილი აქვს ერთგვარ დაძაბულობის რკალს ჩეჩნეთიდან თათარსტანამდე, რაზეც ისევ და ისევ სამხრეთ კავკასიაზე გავლით ირანი, თურქეთი და საუდის არაბეთი ახდენს გავლენას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამხრეთ კავკასია რუსეთისათვის ერთგვარი სარქველის როლს ასრულებს, რომლის გადაკეტვითაც იგი ეცდება თურქული ელემენტის შუა აზიაში შეღწევის შეჩერებას და, აგრეთვე, მუსლიმანური გავლენის აღკვეთას საკუთარ ტერიტორიაზე.

საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით რუსეთის კავკასიაში პოზიციები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია რეგიონის ორ ქრისტიანულ სახელმწიფოსთან ურთიერთობით. ისლამის პოზიციების მომაგრება და „იმპერიული" რუსეთის წინააღმდეგ ჯიჰადის (მუსლიმანთა „საღვთო ომი") იდეის აქტივიზაცია უაღრესად აქტუალურს ხდის საქართველოსთან და სომხეთთან ურთიერთობას. ვინაიდან სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გამო სომხეთთან ურთიერთობები ძალზე სპეციფიურია და დელიკატურ მიდგომას მოითხოვს, რუსეთის ერთადერთ პოტენციურ სტრატეგიულ პარტნიორად კავკასიაში საქართველო რჩება.

სამწუხაროდ, რუსეთი ამგვარი სტრატეგიული პარტნიორობის საფუძველს ვერ ხედავს თანასწორუფლებიანობის პრინციპში და საქართველოსთან ურთიერთობებს „უმცროსი ძმისადმი" დამოკიდებულებით აგებს. ეს მრავალ უარყოფით შედეგებთან ერთად თვით რუსეთის ინტერესებისათვის არის საზარალო.

9.3. რეგიონის სატრანზიტო ფუნქცია

საქართველოს პრაგმატული და მეგობრობაზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა რეგიონში მშვიდობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ყველა მეზობელთან ნორმალური, ხშირ შემთხვევაში ხაზგასმით მეგობრული ურთიერთობები საქართველოს უნიკალურ სამშვიდობო პოტენციალს

განსაზღვრავს. თუ ამას დავუმატებთ იმას, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თბილისი კავკასიის კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრი იყო, სადაც ჩრდილო კავკასიის ავტონომიების ეროვნული კადრების მომზადება ხდებოდა და ეს იქ ზოგან ჯერაც არ არის დავიწყებული, საქართველომ ამ ეტაპზე რეგიონში გადამწყვეტი მშვიდობისმყოფელი როლი შეიძლება შეასრულოს. რა თქმა უნდა, აუცილებელი პირობა ისევ და ისევ სამხრეთ კავკასიის ყველა სახელმწიფოს და ხალხის ნებაა, რომელთაც გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ თავისი წილი პასუხისმგებლობა რეგიონის, მისი მომავლის მიმართ. არადა, დღეს უნიკალური შანსი არსებობს ძლიერი და აყვავებული სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების მყარი გარანტიების შესაქმნელად.

ერთ-ერთი უმთავრესი გარანტია, რაც რეგიონის გადარჩენის და შემდგომ მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა, საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის სრულფასოვანი და აუცილებელი კომპონენტის ფუნქციის შეძენაა. ამგვარი ფუნქცია რეგიონისთვის საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან პოლიტიკური, იურიდიული და უსაფრთხოების თვალსაზრისით დაცვის მძლავრი ინსტრუმენტების შექმნას განაპირობებს. დღეს სამხრეთ კავკასიის მიერ ამგვარი ფუნქციის შეძენის რეალური პერსპექტივები გამოიკვეთა, რაც შემდეგი ძირითადი ფაქტორების გამო ხდება:

1. საერთაშორისო ბაზარზე კონიუნქტურის დინამიკის ანალიზის საფუძველზე, ექსპერტების ვარაუდით, მომავალი საუკუნის პირველი დეკადისათვის მოსალოდნელია სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე, კერძოდ ნავთობზე მოთხოვნილების მნიშვნელოვანი ზრდა. შესაბამისად დგება

ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე უწყვეტი (სანდო) მიწოდების დამატებითი (ალტერნატიული) წყაროების მოძებნის საკითხი. პრობლემის აქტუალურობა განპირობებულია იმითაც, რომ თუ ამგვარი დამატებითი წყარო არ მოიძებნა, საერთაშორისო ბაზარზე კონიუნქტურის დინამიკის დამოკიდებულება სპარსეთის ყურის რეგიონზე 80 პროცენტამდე გაიზარდება. ეს პოლიტიკური თვალსაზრისით მიუღებელია დასავლეთისათვის. ასეთ ვითარებაში კასპიის ზღვის აუზი და ცენტრალური აზიის რეგიონი, სადაც ნავთობის მარაგი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში, უზარმაზარ მნიშვნელობას იძენს. გარდა ამისა, ცენტრალური აზია სხვა მნიშვნელოვანი სასარგებლო წიაღისეულითაც არის მდიდარი და მსოფლიო მნიშვნელობის ექსპორტიორს წარმოადგენს. მეორეს მხრივ, აღნიშნული რეგიონი დასავლური პროდუქციის გასაღების უაღრესად მდგრადი პოტენციური ბაზარიც არის და, შესაბამისად, უცხოური კომპანიებისთვის საინვესტიციო საქმიანობის მნიშვნელოვანი ასპარეზიც. ყოველივე ეს კასპიის ზღვის აუზსა და ცენტრალურ აზიასთან დამაკავშირებელი მჭიდრო და უსაფრთხო საკომუნიკაციო სისტემის შექმნის ამოცანას სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ალტერნატიულ ვარიანტებს შორის სამხრეთ კავკასიაზე გამავალი ამგვარი სისტემის კონკურენტუნარიანობა ეჭვს არ იწვევს. სხვა ასპექტებს რომ თავი დავანებოთ, წმინდა ეკონომიკური რენტაბელურობის თვალსაზრისით ევრაზიის დერეფანი უფრო მომგებიანია. ასე მაგალითად, სარკინიგზო მანძილი სტამბოლიდან ტაშკენტამდე სამხრეთ კავკასიაზე გავლით (თურქეთისა და საქართველოს სარკინიგზო ხაზების დაგეგმილი შეერთების გათვალის-

წინებით) 540 კილომეტრით მოკლეა, ვიდრე ტრადიციული გზა ირანისა და თურქმენეთის გავლით; ბამბის ექსპორტი თურქმენეთიდან შავი ზღვის პორტების გამოყენებით 50-70 პროცენტით უფრო იაფი ჯდება; ირანის პორტ ბენ-დერ-აბასიდან ფოთის პორტამდე ტვირთის გადაზიდვას 10-12 დღით ნაკლები დრო სჭირდება და ა.შ. ცალკე საუბრის თემაა ნავთობსადენები და, ზოგადად, ნავთობის ექსპორტი. მრავალი წინასაპროექტო გამოკვლევებისა და პილოტაჟური ექსპერიმენტების საფუძველზე დადასტურ-და, რომ სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთ ძირითად ტრასად ამ მიზნით გამოყენება მიზანშეწონილია.

2. პოსტ-საბჭოთა სივრცეში დემოკრატიისა და საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრების ტენდენციის გაღრმავება მნიშვნელოვანწილად რუსეთში მოვლენების განვითარებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ამ ბოლო დროს სულ უფრო მეტად იკვეთება სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ძირეული გარდაქმნების ბაზაზე ძლიერი და სტაბილური საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის შექმნის მზარდი მნიშვნელობა. ეს განსაკუთრებით აქტუალურია სამხრეთ კავკასიის მაგალითზე, რაც რუსეთის ტრადიციულად მგრძნობიარე ინტერესების ზონას წარმოადგენს.

სტაბილური დემოკრატიული სისტემების შექმნა სამხრეთ კავკასიაში ისევე როგორც ცენტრალურ აზიაში თუ დსთ-ს ევროპულ ნაწილში, თვით რუსეთში გარდაქმნების წარმატების მნიშვნელოვანი საწინდარია. ეს კი გლობალური უსაფრთხოების გადამწყვეტი ფაქტორია. მეორეს მხრივ, არასტაბილურობა სამხრეთ კავკასიაში თვით რუსეთის მიმდებარე რეგიონებზე ახდენს გავლენას და ეს ჩეჩნეთის მაგალითმაც დაგვანახა. ამდენად, სამხრეთ კავკასიაში ვითარების სტაბილიზაცია და მდგრადი განვითარების

უზრუნველყოფა საერთაშორისო თანამეგობრობისათვის პირველხარისხოვანი ამოცანაა.

ამრიგად, სტაბილური და დემოკრატიული სამხრეთ კავკასია, რომელიც ამავე დროს დასავლეთისა და აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ხიდი იქნება, არის საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ჩვენი რეგიონის მიმართ გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური დაკვეთა. მისი შესრულებით სამხრეთ კავკასია შეიძენს ფუნქციას, რომლის ძალითაც იგი ცივი ომის პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული სტრატეგიული დაპირისპირების არეალიდან იქცევა ღია გეოეკონომიკურ სისტემად, სადაც ინტერესთა დაპირისპირების ნაცვლად მათ ურთიერთმორგებასა და თანხვედრას ექნება ადგილი.

სასიხარულოა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა სულ უფრო მეტად აცნობიერებს, ერთის მხრივ, რა სიკეთის მომტანი შეიძლება იყოს მშვიდობიანი და ეკონომიკურად აღორძინებული სამხრეთ კავკასია და, მეორეს მხრივ, რა მოხდება წინააღმდეგ შემთხვევაში. ამის შედეგია ის ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარება, რეფორმების ხელშეწყობა, კონფლიქტების მოწესრიგებაში აქტიური მონაწილება, ევროსტრუქტურებში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრირების წახალისება, რასაც ადგილი აქვს რეგიონის მიმართ.

დანართი

ცხრილი 1

მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოები

ფართობის მიხედვით		ეროსახლეობის მიხედვით	
ქვეყანა	ათას კვ.კმ.	ქვეყანა	მლნ.კაცი
რუსეთი	17075,4	ჩინეთი	1 226,9
კანადა	9976,1	ინდოეთი	943,0
ჩინეთი	9561,0	აშშ	263,6
აშშ	9363,2	ინდონეზია	198,6
ბრაზილია	8512,0	ბრაზილია	161,4
ავსტრალია	7686,0	რუსეთი	148,4
ინდოეთი	3288,0	პაკისტანი	143,6
არგენტინა	2767,0	იაპონია	125,2
ყაზახეთი	2713,0	ბანგლადეში	118,3
სუდანი	2505,8	მექსიკა	93,3

ცხრილი 2

ევროპის ქვეყნები

ქვეყანა	დედაქალაქი	შარშინდელი მოსახლეობა (ათასი კაც.)	(მლნ. კაცი)	სახელმწიფო წყობილება
	1	2	3	4
ავსტრია	ვენა	83,8	8,16	ფედერაციული რესპუბლიკა
აზერბაიჯანი	ბაქო	86,6	7,65	რესპუბლიკა
ალბანეთი	ტირანა	28,7	3,42	რესპუბლიკა
ანდორა	ანდორა	0,46	0,046	პრინტექტორატი
ბელარუსი	მინსკი	207,6	10,3	რესპუბლიკა
ბელგია	ბრიუსელი	30,5	10,2	კონსტიტუციური მონარქია
ბულგარეთი	სოფია	110,9	8,4	რესპუბლიკა
გერმანია	ბონი	356,0	82,2	ფედერაციული რესპუბლიკა
გიბრალტარი	გიბრალტარი	0,007	0,03	კოლონია
დანია	კოპენჰაგენი	43,0	5,2	კონსტიტუციური მონარქია
დ.ბრიტანეთი	ლონდონი	244,8	58,2	კონსტიტუციური მონარქია
ესპანეთი	მადრიდი	504,7	39,7	მონარქია
ესტონეთი	ტალინი	45,1	1,45	რესპუბლიკა
ვატიკანი	ვატიკანი	0,0004	0,001	თეოკრატიული მონარქია
ირლანდია	დუბლინი	70,3	3,5	რესპუბლიკა
ისლანდია	რეიკიავიკი	103,0	0,27	რესპუბლიკა
იტალია	რომი	301,2	57,2	რესპუბლიკა
იუგოსლავია	ბელგრადი	102,2	10,3	ფედერაციული რესპუბლიკა
ლატვია	რიგა	64,5	2,5	რესპუბლიკა
ლიტვა	ვილნიუსი	65,2	3,7	რესპუბლიკა
ლიხტენშტეინი	ვადუცი	0,16	0,028	კონსტიტუციური მონარქია
ლუქსემბურგი	ლუქსემბურგი	2,6	0,417	კონსტიტუციური მონარქია

ცხრილი 2 (გაგრძელება)

ევროპის ქვეყნები

	1	2	3	4
მაკედონია	სკოპიე	25,7	2,2	რესპუბლიკა
მალტა	ვალეტა	0,3	0,37	რესპუბლიკა
მოლდოვა	კიშინიოვი	33,7	4,6	რესპუბლიკა
მონაკო	მონაკო	0,002	0,027	კონსტიტუციური მონარქია
ნიდერლანდი	ამსტერდამი	36,6	15,66	კონსტიტუციური მონარქია
ნორვეგია	ოსლო	324,2	4,4	კონსტიტუციური მონარქია
პოლონეთი	ვარშავა	312,5	38,6	რესპუბლიკა
პორტუგალია	ლისაბონი	91,9	9,8	რესპუბლიკა
რუმინეთი	ბუქარესტი	237,5	22,6	რესპუბლიკა
რუსეთი	მოსკოვი	17075,4	148,4	ფედერაციული რესპუბლიკა
საბერძნეთი	ათენი	131,9	10.5	რესპუბლიკა
სან-მარინო	სან-მარინო	0,06	0,024	რესპუბლიკა
საფრანგეთი	პარიზი	551,6	58,5	რესპუბლიკა
საქართველო	თბილისი	69,9	5,4	რესპუბლიკა
სლოვენია	ლიუბლიანა	20,3	1,9	რესპუბლიკა
სომხეთი.	ერევანი	29,8	3,6	რესპუბლიკა
უკრაინა	კიევი	603,7	51,4	რესპუბლიკა
უნგრეთი	ბუდაპეშტი	93,0	9,99	რესპუბლიკა
ფინეთი	ჰელსინკი	337,0	5,1	რესპუბლიკა
შვეიცარია	ბერნი	41,3	7,3	ფედერაციული რესპუბლიკა
შვეცია	სტოკჰოლმი	449,8	8,8	კონსტიტუციური მონარქია
ჩეხეთი	პრაღა	78,9	10,5	რესპუბლიკა
ხორვატია	ზაგრები	56,5	4,47	რესპუბლიკა

ცხრილი 3

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო)

ქვეყანა	გაწევრიანების დრო
აშშ	1949
დიდი ბრიტანეთი	1949
საფრანგეთი*	1949
ბელგია	1949
ნიდერლანდები	1949
ლუქსემბურგი	1949
კანადა	1949
იტალია	1949
პორტუგალია	1949
ნორვეგია	1949
დანია	1949
ისლანდია	1949
საბერძნეთი**	1952
თურქეთი	1952
გერმანია	1955
ესპანეთი ***	1982

* 1966 წელს გამოვიდა სამხედრო საბჭოდან
** 1957 წელს გამოვიდა, ხოლო 1980 წელს ისევ დაბრუნდა
*** არ შედის სამხედრო საბჭოში

ცხრილი 4

ცხოვრების დონის ზოგიერთი მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით

ქვეყნები	მთლიანი ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	უმუშევარია რაოდენობა მთელს მოსახლეობაში (%)	სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (წელი)		განათლების არმქონეთა რაოდენობა მთელს მოსახლეობაში (%)	
			მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები
	1	2	3	4	5	6
ავსტრალია	17 510	8,5	75,4	81,2		
ავღანეთი	220		45,0	46,0	77,3	97,6
აზერბაიჯანი	730		66,5	74,5	1,5	5,7
ანგოლა	630		44,9	48,1		
არგენტინა	7 290	18,5	69,6	76,8	4,4	4,9
აშშ	24 750	5,6	73,4	80,1	3,4	3,1
ახ. ზელანდია	12 900	6,3	74,7	79,7		
ბოლივია	770	3,6	59,8	63,2	15,8	36,6
ბოტსვანა	2 590		48,9	51,7	58,8	89,8
ბრაზილია	3 020	6,2	63,4	71,2	22,2	24,7
გერმანია	23 560	12,9	73,4	79,9		
დანია	26 510	7,0	73,0	78,3		
დიდი ბრიტანეთი	17 970	8,5	74,5	79,8		-
ეგვიპტე	660	11,0	64,7	67,3	50,2	78,1
ესპანეთი	13 650	22,9	74,5	81,5	3,1	7,2
ესტონეთი	3 040	8,9	63,9	75,0	0,1	0,5
თურქეთი	2 120	6,6	66,5	71,7	13,1	40,3
თურქმენეთი	1 400		61,2	68,0	1,7	4,8
იაპონია	31 450	3,2	76,9	82,9		
ინდოეთი	290		62,1	62,7	50,2	80,6
ინდონეზია	730		63,3	67,0	15,8	33,5
ირანი	4 750		68,5	70,0	35,3	57,0
ისრაელი	13 760	6,9	75,7	79,5	3,7	9,3
იტალია	19 620	11,1	75,1	81,4	3,4	5,5
კვიპროსი	10 380	2,6	74,4	79,8		
კონგო (ყოფ. ზაირი)	500		51,3	54,5		
კორეა (ჩრდ.)	1 100		68,9	75,1		
კორეა (სამხ.)	7 670		68,8	76,0		

ცხრილი 4 (გაგრძელება)

	1	2	3	4	5	6
კოტ დ'ივუარი	660		50,0	52,2	63,4	85,3
კუბა	1 250		74,2	78,0	5,8	7,2
ლუქსემბურგი	35 850	2,7	73,1	79,7		
მადაგასკარი	240		57,0	60,0		
მალაიზია	3 160	2,8	69,9	75,3	30,2	62,2
მექსიკა	3 750	4,7	69,5	75,5	12,7	20,4
მოლდოვა	1 180	1,0	63,5	71,5	1,7	6,8
მიანმა (ბირმა)	950		58,5	61,8	15,6	33,3
ნიდერლანდები	20 710	7,1	75,0	80,6		
ნიგერია	330		50,8	54,0		
ნორვეგია	26 340	4,9	74,0	80,6		
პაკისტანი	430	4,8	62,9	65,1	68,3	89,2
პოლონეთი	2 270	13,1	66,7	75,7	0,9	2,2
რუსეთი	2 350	8,3	58,0	71,5	0,6	3,8
სამხ. აფრიკ. რესპ.	2 900	4,5	62,3	68,3	26,4	30,1
საუდის არაბეთი	8 000		69,9	73,4		
საფრანგეთი	22 330	11,6	74,6	82,9		
საქართველო	560		68,5	76,7	0,6	1,8
სინგაპური	19 310	2,7	75,1	79,5	6,0	21,4
სლოვენია	6 310	7,4	69,2	77,8	4,0	6,0
სომალი	500		74,4	50,6		
სომხეთი	660		67,2	74,0	0,8	2,4
ტაილანდი	2 040	1,5	66,3	72,3	11,8	25,2
ტაჯიკეთი	470		64,2	70,2	1,7	4,9
უზბეკეთი	960	0,4	64,3	70,7	2,2	5,8
უკრაინა	1 910		63,6	74,0	0,5	3,0
უნგრეთი	3 330	10,3	64,5	73,8	0,7	1,7
ფინეთი	18 970	17,4	73,0	80,1		
ქუვეითი	23 350		74,1	78,2	25,5	38,9
ყაზახეთი	1 540	1,0	62,8	72,5	1,2	4,9
შვეიცარია	36 410	3,3	75,3	81,8		-
ჩილე	3 070	4,7	72,3	78,3	6,7	7,6
ჩინეთი	490	2,8	68,2	71,7	17,2	42,0

ცხრილი 5

ევროკავშირის განვითარების ქრონოლოგია

1947წ.	შეიქმნა ომის შედეგად გაჩანაგებული ევროპის ეკონომიკური აღორძინების „მარშალის გეგმა"
1948წ. 17 მარტი	ძალაში შედის ბენილუქსის (ბელგია-ნიდერლანდები-ლუქსემბურგი) სელშეკრულება
1948წ.	„მარშალის გეგმის" მართვის მიზნით იქმნება ევროპის თანამშრომლობის ორგანიზაცია (OEEC)
1949წ.	სტრასბურგში შეიქმნა ევროპის საბჭო
1950წ. 9 მარტი	მიღებულ იქნა „შუმანის დეკლარაცია"
1951წ. 18 აპრილი	პარიზის ხელშეკრულების ხელმოწერით დაარსდა ევროპის ნახშირის და ფოლადის გაერთიანება (ECSC)
1952-1954წწ.	ევროპის თავდაცვითი კავშირის (EDC) გეგმის მომზადება და ჩაშლა
1955წ. 2 ივნისი	„ევროპის სახლის" ხელმეორედ შექმნის ცდა მესინის კონფერენციაზე
1957წ. 25 მარტი	რომის ხელშეკრულების ხელმოწერა, რითაც საფუძველი დაედო ევროპის ეკონომიკური გაერთიანების (EEC) და ევროპის ატომური კავშირის (EUROATOM) შექმნას
1967წ.	სამი კავშირის (ECSC, EEC და EUROATOM) ინსტიტუციონალური გაერთიანება, – ევროპის თანამეგობრობის შექმნა
1968წ. 1 ივნისი	საბაჟო კავშირის შექმნის დასრულება
1972წ. 22 იანვარი	დანიის, ირლანდიის, ნორვეგიის და დიდი ბრიტანეთის ევროპის თანამეგობრობაში მიღების ხელშეკრულების ხელმოწერა
1973წ. 1 იანვარი	ირლანდია, ნორვეგია და დიდი ბრიტანეთი შეუერთდნენ ევროპის თანამეგობრობას

ცხრილი 5 (გაგრძელება)

1978წ. 28 მაისი	საბერძნეთის ევროპის თანამეგობრობაში მიღების ხელშეკრულების ხელმოწერა
1979წ. ივნისი	ევროპის პარლამენტის პირველი არჩევნები პირდაპირი და საყოველთაო საარჩევნო კანონის საფუძველზე
1981წ. 1 იანვარი	საბერძნეთი შეუერთდა ევროპის თანამეგობრობას
1985წ. 12 ივნისი	პორტუგალიის და ესპანეთის ევროპის თანამეგობრობაში მიღების ხელშეკრულების ხელმოწერა
1986წ. 1 იანვარი	პორტუგალია და ესპანეთი შეუერთდნენ ევროპის თანამეგობრობას
1986წ. თებერვალი- 1987წ. 1 ივლისი	„ერთიანი აქტის“ შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა და ძალაში შესვლა
1990წ. 3 ოქტომბერი	გერმანიის გაერთიანება
1992წ. 7 თებერვალი	ევროპის კავშირის შექმნის შესახებ ე.წ. „მაასტრიხტის ხელშეკრულების“ ხელმოწერა
1993წ. 1 იანვარი	ერთიანი ევროპული ბაზრის და ევროპის ეკონომიკური სივრცის შემოღება
1993წ. 1 ნოემბერი	ევროპის კავშირის შემქმნელი „მაასტრიხტის ხელშეკრულების“ ძალაში შესვლა
1994წ. 24 ივნისი	ავსტრიის, ფინეთის და შვეიცარიის ევროპის თანამეგობრობაში შესვლის ხელშეკრულების ხელმოწერა
1995წ. 1 იანვარი	ავსტრია, ფინეთი და შვეიცარია შეუერთდნენ ევროპის თანამეგობრობას

აგრესია (aggression) – საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის წინააღმდეგ ძალის უკანონო გამოყენება ტერიტორიის დაპყრობის, დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის, პოლიტიკური წყობილების შეცვლის და ა.შ. მიზნით.

ავტარქია (autarchy) – ქვეყნის მეურნეობრივი იზოლირების, ჩაკეტილი და თვითუზრუნველყოფადი ეკონომიკური სისტემის შექმნის პოლიტიკა.

ავტონომია (autonomy) – თვითმმართველობა, ამა თუ იმ სახელმწიფოს ნაწილის საშინაო საკითხების დამოუკიდებლად მოგვარების უფლება.

ავტორიტარიზმი (authoritarism) – პოლიტიკური სისტემის ფორმა, როდესაც უმაღლესი ხელისუფლება ყოველგვარი იურიდიული პასუხისმგებლობის გარეშე კონცენტრირებულია ერთი „ლიდერის" ხელში.

ანარქიზმი (anarchism) – პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს სახელმწიფო წყობილებას და ორგანიზებულ პოლიტიკურ ბრძოლას.

ანექსია (annexation) – ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის კუთვნილი ტერიტორიის დაპყრობა, ძალის გამოყენებით მიერთება, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად ითვლება.

ანკლავი (enclave) – სახელმწიფოს ნაწილი, რომელიც მეორე სახელმწიფოს (ან რამდენიმე სხვა სახელმწიფოს) სახმელეთო ტერიტორიით არის გარშემორტყმული.

ანტანტა (entente) – „სამთა შეთანხმება", სამხედრო კავშირი ინგლისს, საფრანგეთსა და მეფის რუსეთს შორის; შეიქმნა 1904-07 წლებში გერმანიის, იტალიისა და ავსტრო-უნგრეთის ბლოკის წინააღმდეგ.

ანტისემიტიზმი (anti-semitism) – ეროვნული და რელიგიური შეღლის ნაირსახეობა, მიმართული ებრაელთა იურიდიული და სოციალური დისკრიმინაციისაკენ.

აპარტეიდი (apartheid) – რასისტული პოლიტიკა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, რომლის მიზანი იყო თეთრკანიანი, ფერადკანიანი და შავკანიანი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გეოგრაფიული განცალკევება.

არაძალადობა (nonviolence) – პოლიტიკა, რომლის დროსაც ოპოზიცია უარს ამბობს ძალისმიერ მეთოდებზე და სამოქმედო პრინციპად ბრძოლის მხოლოდ მშვიდობიანი ფორმების გამოყენებას აღიარებს.

ასიმილაცია (assimilation) – ერთი ხალხის მეორესთან შერევა ენის, ჩვეულების და სხვ. შეთვისებით და საკუთარი ენის, კულტურის და ეროვნული

თვითშეგნების დაკარგვით. არჩევენ ბუნებრივ და ძალდატანებით ასიმილაციას.

ბენილუქსის ქვეყნები (BENELUX) – 1944 ლონდონში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ეკონომიკური კავშირი ბელგიას, ნიდერლანდებსა და ლუქსემბურგს შორის.

ბრიტანეთის თანამეგობრობა (british commonwealth) – ქვეყნების გაერთიანება ბრიტანეთის მეთაურობით. არც სახელმწიფოა, არც სახელმწიფოთა ფედერაცია. მის შემადგენლობაშია: 11 დამოუკიდებელი ტერიტორია – დიდი ბრიტანეთი და ჩრდილოეთ ირლანდია და დომინიონები, აგრეთვე, 41 დამოკიდებული ტერიტორია.

ბუდიზმი (buddism) – ერთ-ერთი მსოფლიო რელიგია, რომელიც ჩ.წ.წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში წარმოიშვა ინდოეთში.

ბუფერული სახელმწიფო (buffer state) – სტრატეგიული მდებარეობის მქონე მცირე სახელმწიფო, რომელიც ორ დიდ ერთმანეთთან მოქიშპე სახელმწიფოს შორის მდებარეობს.

გენოციდი (genocide) – მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების გაქელტა რასობრივი და ეროვნული (რელიგიური) მოტივებით; ითვლება ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად კაცობრიობის წინაშე.

დე იურე (de jure) – იურიდიულად, ფორმალურად, სამართლებრივად.

დემონოპოლიზაცია (demonopolization) – სახელმწიფო ან სხვა მონოპოლიის საშუალების მოსპობა პროდუქციის ერთი მწარმოებლისათვის, რომელიც მომხმარებელს თავის პირობებს უკარნახებს.

დემპინგი (dumping) – საქონლის გაყიდვა საგარეო ბაზარზე საშინაო ბაზრის ფასზე იაფად წარმოების სტაბილიზების მიზნით.

დეპორტაცია (deportation) – სახელმწიფოდან განდევნა, გაძევება.

დესპოტიზმი (despotism) – თვითმპყრობელური ხელისუფლების ფორმა, შეუზღუდავი მონარქია.

დეტანტი (detente) – დაძაბულობის შენელება საერთაშორისო ურთიერთობაში

დე ფაქტო (de facto) – ფაქტიურად, სინამდვილეში.

დიასპორა (diaspora)– ხალხის (ეთნიკური ერთობის) მნიშვნელოვანი ნაწილის ყოფნა თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

"დიდი შვიდეული" (great seven, G-7) ეკონომიკურად შვიდი ყველაზე განვითარებული სახელმწიფოს (აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, კანადა) მეთაურთა რეგულარული შეხვედრები, რომლის დროსაც ხდება საერთო ინტერესებში შემავალი სტრატეგიული და ეკონომიკური გადაწყვეტილე-

ბების მიღება. 1997 წლიდან აღნიშნულ შეხვედრებში რუსეთიც მონაწილეობს, რის გამოც ამ ფორუმს "დიდ რვეულს" უწოდებენ.

დიქტატურა (dictatorship) – ცალკეული პირის, ჯგუფის, კლასის შეუზღუდავი ხელისუფლება.

დოგმა (dogma) – დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება, რომელსაც მიიჩნევენ ურყევ ჭეშმარიტებად ყველა დროისა და ისტორიული პირობებისადმი.

დომინიონი (dominion) – თვითმმართველი კოლონია ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში (მაგ., კანადა, ავსტრალიის კავშირი).

დოქტრინა (doctrine) – მოძღვრება, მეცნიერული ან ფილოსოფიური თეორია, პოლიტიკური სიტემა, წარმმართველი თეორიული ან პოლიტიკური პრინციპი.

ეკონომიკური ზონა (economic zone) – ტერიტორიული წყლების მიმდებარე აკვატორია, რომელიც ნაპირიდან 200 საზღვაო მილზე ვრცელდება და რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო გარკვეულ სუვერენულ უფლებებს ახორციელებს.

ემბარგო (embargo) – 1) სახელმწიფოს მიერ ოქროს, საქონლის, ფასიანი ქაღალდების ექსპორტის და იმპორტის აკრძალვა, როგორც კონკრეტული ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული აქტი;

2) სახელმწიფოს მიერ საკუთარ პორტებში სხვა ქვეყნის (ან ქვეყნების) გემების მიღების შეჩერება.

ვეტო (veto) – სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთაგან შემდგარი კოლეგიური ორგანოს ერთ-ერთი წევრის განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი წინააღმდეგია უმრავლესობის გადაწყვეტილებისა; ხორციელდება ხმის მიცემით.

ზავი (armistice) – მეომარ მხარეებს შორის საომარ მოქმედებათა შეწყვეტის თაობაზე მიღებული შეთანხმება.

თეოკრატია (theocracy) - მმართველობის ფორმა, როდესაც სახელმწიფო მეთაური (როგორც წესი მონარქი) ერთდროულად უმაღლესი რელიგიური პირიც არის.

ინტერვენცია (intervention) – ერთი ან რამოდენიმე სახელმწიფოს ძალადობრივი ჩარევა (ღია ან ფარული) მეორე სახელმწიფოს შინაურ საქმეებში, რაც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ან პოლიტიკური წყობის შეცვლას, ტერიტორიის დაპყრობას, ეკონომიკურ დაკაბალებას, პრივილეგიების მიღებას და სხვა.

იურისდიქცია (jurisdiction) – ტერიტორიული ან სხვა ფარგლები, რომლის შიგნითაც ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება.

კაზუს ბელი (casus belli) – სახელმწიფოთა შორის საომარი მოქმედებების დაწყების უშუალო ფორმალური საბაბი.

კოლონია (colony) – ქვეყანა ან ტერიტორია, რომელსაც დაკარგული აქვს დამოუკიდებლობა და იმყოფება უცხო სახელმწიფოს (მეტროპოლიის) დაქვემდებარებაში.

კონდომინიუმი (condominium) – მოცემულ ტერიტორიაზე ორი ან რამდენიმე ქვეყნის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ერთობლივი განხორციელება. მაგ., 1953 წლამდე სუდანი წარმოადგენდა ეგვიპტისა და დიდი ბრიტანეთის კონდომინიუმს.

კონსენსუსი (consensus) – საერთაშორისო კონფერენციებზე, თათბირებზე და საერთაშორისო ორგანიზაციებში ფორმალური კენჭისყრის გარეშე მონაწილეთა საერთო თანხმობით მიღებული გადაწყვეტილება ან ხელშეკრულების ტექსტი, თუკი მოცემული ფორუმის არცერთი მონაწილე არ არის ამის წინააღმდეგი.

კონფედერაცია (confederation) – სუვერენულ სახელმწიფოთა ლიგა ან ასოციაცია, რომელსაც, როგორც წესი, ცენტრალური პოლიტიკური და ადმინისტრაციული ორგანო ჰყავს. ამ ორგანოში კონფედერაციის სუბიექტები საკუთარი ნებით ახდენენ ხელისუფლების დელეგირებას და, ამით, ერთობლივად წყვეტენ საერთო საკითხებს.

ლობი (lobby) – პირდაპირი მნიშვნელობით: კაპიტოლიუმის (აშშ-ის კონგრესის) შენობის მთავარი

კორიდორი, სადაც კანონმდებლობით დაინტერესებული პირები იკრიბებიან. გადატანითი მნიშვნელობით: აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოებთან არსებულ მსხვილ მონოპოლიათა კანტორებისა და სააგენტოების სისტემა, რომელიც ამ მონოპოლიათა ინტერესებიდან გამომდინარე დაწოლას ახდენენ კანონმდებლობაზე და სახელმწიფო მოხელეებზე.

მარშალის გეგმა (Marshall plan) – დასავლეთ ევროპისათვის გამიზნული მეორე მსოფლიო ომის შედეგების ლიკვიდაციის დახმარების გეგმა, რომლის ინიციატორი იყო აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯორჯ მარშალი. გეგმის მიხედვით დასავლეთ ევროპის ქვეყნებს თავად უნდა შეეფასებინათ (ერთმანეთთან თანამშრომლობითა და საჯაროდ) გასაწევი დახმარების მოცულობა და შემდეგ წარედგინათ აშშ-სთვის. მარშალის გეგმით, რომელმაც 1948-1952 წლების პერიოდი მოიცვა და 21 მლრდ დოლარი შეადგინა, ევროპის 17 ქვეყანამ ისარგებლა.

მეოთხე ხელისუფლება (forth estate) – მასობრივი ინფორმაციის საშუალება (პრესა, რადიო, ტელევიზია).

მეტროპოლია (metropoly) – სახელმწიფო, რომელიც ფლობს დაპყრობილ ქვეყნებს.

მეხუთე კოლონა (fifth column) – ფრაზა ეკუთვნის ესპანეთის სამოქალაქო ომში (1939) მებრძოლ გენერალს, რომელიც ოთხი სამხედრო კოლონით

მადრიდის დალაშქვრას აპირებდა და, გარდა ამისა, იმედი ჰქონდა ქალაქში მაცხოვრებელი „მეხუთე კოლონად" მონათლული მხარდამჭერებისა. მას შემდეგ „მეხუთე კოლონას" ომის დროს მოღალატესა და მტრის მხარდამჭერს უწოდებენ.

მილიტარიზმი (militarism) – შეიარაღებისა და ომისათვის მზადების პოლიტიკა.

მოდუს ვივენდი (modus vivendi) – ამა თუ იმ საერთაშორისო საკითხებზე მიღწეული დროებითი შეთანხმება, რომელსაც მხარეები დებენ მომავალში საბოლოო მოწესრიგების იმედით.

მონოპოლია (monopoly) – წარმოების, ვაჭრობის, რეწვის განსაკუთრებული უფლება, რომელიც ერთ პირს, გარკვეულ ჯგუფს, ან სახელმწიფოს ეკუთვნის.

მორატორიუმი (moratorium) – სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების გადავადება. „მორატორიუმის" ცნება ხშირად სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ ქმედებაზე უარის თქმის დროსაც იხმარება (მაგ., მორატორიუმი ბირთვული იარაღის გამოცდაზე).

ნაციონალიზმი (nationalism) – რწმენა ან თეორია იმის შესახებ, რომ ყოველ ხალხს, რომელიც ცალკე ერს წარმოადგენს, აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება.

ნაციონალ-სოციალიზმი (national socialism) – გერმანული ფაშიზმის ავტორიტარული, ტოტალიტარული და იმპერიალისტური დოქტრინა, რომლის ავტორია ადოლფ ჰიტლერი და მისი მიმდევრები.

ნეიტრალიტეტი (neutrality) – სახელმწიფოს ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი, როდესაც იგი არ ერევა სხვა ქვეყნებს შორის ომში და ინარჩუნებს მათთან მშვიდობიან ურთიერთობებს, ან იღებს ვალდებულებას არ მიემხროს რომელიმე მათგანს.

პარტიზანული ომი (guerilla warfare) – ცალკეულ პირთა ან ჯგუფის მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციები, რაზეც, როგორც წესი, ოფიციალური სამხედრო ხელისუფლება პასუხს არ აგებს.

პაქტი (pact) – ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მიზანია ისეთი საკითხების რეგულირება, როგორებიცაა ორმხრივი ან კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ურთიერთდახმარება, თავდაუსხმელობა და სხვა.

საერთოშორისო სამართალი (international law) – კანონთა სისტემა, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს.

სამოქალაქო ომი (civil war) – შეიარაღებული კონფლიქტი სახელმწიფოს შიგნით, რომლის დროსაც მხარეები ესწრაფვიან მთავრობაზე კონტრო-

ლის მოპოვებას, ან ერთ-ერთი მხარე იბრძვის რომელიმე ეროვნული თემის დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.

სახელმწიფოს სუვერენიტეტი (sovereignty of state) — საკუთარ ტერიტორიაზე სახელმწიფოს სრული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, რომელიც გამორიცხავს სხვა სახელმწიფოს ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებას, გარდა საკუთარი ნებით სუვერენიტეტის შეზღუდვის განსაკუთრებული შემთხვევებისა.

სიონიზმი (zionism) — ებრაელი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მიზანია პალესტინაში, „აღთქმულ მიწაზე" ებრაული სახელმწიფოს დაარსება.

სტატუსი (status) — საერთაშორისო სამართალში ფიზიკური ან იურიდიული პირის სამართლებრივი მდგომარეობა.

სტატუს–კვო (status quo) - გარკვეულ მომენტში არსებული ფაქტიური ან სამართლებრივი მდგომარეობა.

ტერიტორიული წყლები (territorial waters) — 12 საზღვაო მილის სიგანის წყლის სივრცე, რომელიც გასდევს სახელმწიფოს სანაპირო ზოლს.

ტოტალიტარული სახელმწიფო (totalitarian state) — დიქტატორული ან ავტორიტარული მმართველობის სხვა ფორმის მქონე სახელმწიფო, სადაც უკიდურესად არის შეზღუდული პიროვნული თავისუფლება.

ტროას ცხენი (trojan horse) – ბერძნული მითოლოგიის მიხედვით უზარმაზარი ხის ცხენი, რომლის მეშვეობითაც მტრის ჯარისკაცები გამაგრებულ ქალაქ ტროაში მოხვდნენ. გადატანითი მნიშვნელობით „ტროას ცხენი" ნიშნავს საჩუქარს, რომელსაც დაღუპვის მიზნით ჩუქნიან მტერს.

ფაშიზმი (fascism) – ავტორიტარული პოლიტიკური სისტემა და ტოტალიტარული სოციალური რეჟიმი, რომელსაც 1922 წელს ჩაეყარა საფუძველი იტალიაში ბენიტო მუსოლინისა და ფაშისტური პარტიის სხვა წევრთა მიერ. ფაშიზმად ითვლება გერმანელ ნაცისტთა და ესპანელ ფალანგისტთა მიერ შექმნილი პოლიტიკური სისტემები.

ფედერაცია (federation) – სახელმწიფო წყობილების ფორმა, რომლის დროსაც ორი ან რამდენიმე სახელმწიფოსაგან იქმნება ერთი სახელმწიფო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებითა და ერთიანი კონსტიტუციით.

ფორს-მაჟორი (force-majeure) – გადაულახავი ძალა, საგანგებო ვითარება, რომელიც სტიქიური უბედურებების და საომარი მოქმედებების დროს იქმნება. საერთაშორისო სამართალში ფორს-მაჟორი აღნიშნავს ისეთ ვითარებას, რომელიც სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს.

შოვინიზმი (chauvinism) – ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმა, პოლიტიკა, რომელიც ეროვნული განსაკუთრებულობის იდეით საზრდოობს და მიმართულია ეროვნული შეღლის გაღვივებისაკენ.

ცივი ომი (cold war) – საბჭოთა კავშირსა და მის მოკავშირეებს, ერთის მხრივ, და აშშ-სა და მის მოკავშირეებს შორის, მეორეს მხრივ, დაძაბულობა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა.

ძალთა ბალანსი (balance of power) – დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების მიერ გატარებული პოლიტიკა, რომლის მიზანია კონტინენტზე ჰეგემონის აღმოცენების შესაძლებლობის აღმოფხვრა.

ჯენტლმენური შეთანხმება (gentlmen's agreement) – არაფორმალური დიპლომატიური მორიგება სახელმწიფოთა შორის ნოტების გაცვლის ან სახელმწიფო მეთაურთა (ან მათ ემისართა) შორის ზეპირი ურთიერთობების დროს.

ჰეგემონია (hegemony) – ერთი სახელმწიფოს მეორეს მიმართ გაბატონებული მდგომარეობა, რომელიც მიიღწევა დიპლომატიის ან სამხედრო გამარჯვებისგზით.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

1. პოლიტიკური ლანდშაფტი 5

1.1 იმპერიალიზმი და იმპერიები 5

1.2 არაფორმალური იმპერიალიზმი 12

1.3 თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური რუკა 18

1.4 ქვეყნების დაჯგუფება 21

2. თეორიული გეოპოლიტიკა .29

2.1 გეოპოლიტიკის ცნების განმარტება 29

2.2 ისტორიული და თეორიული წანამძღვრები 33

2.3 გეოპოლიტიკის კლასიკური თეორიები 39

2.4 მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი . . .61

2.4.1 საერთაშორისო პოლიტიკის განვითარების ციკლური ხასიათი 62

2.4.2 ცივი ომი, როგორც მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი 69

2.4.3 ახალი გეოპოლიტიკური ტრანზიცია .75

2.5 გეოპოლიტიკური კოდები . . .82

2.5.1 შეჩერების პოლიტიკა: აშშ-ის ჰეგემონიის გეოპოლიტიკური კოდები 84

2.5.2 ალტერნატიული გეოპოლიტიკური კოდები 94

3. გლობალური პროცესები . .103

3.1 განიარაღების პრობლემა 104

3.2 ეკოლოგიური პრობლემა 106

3.3 დემოგრაფიული პრობლემა 110

3.4 სასურსათო პრობლემა 115

3.5 სათბობ-სანედლეულო რესურსების პრობლემა 120

3.6 ადამიანის უფლებები თანამედროვე მსოფლიოში . .125

3.7 „ჩრდილოეთსა“ და „სამხრეთში“ მიმდინარე პროცესები .130

3.7.1 „ჩრდილო-დასავლეთი“ 130

3.7.2 „სამხრეთი“ . . .135

3.8 საერთაშორისო ორგანიზაციები .144

3.8.1 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 144

3.8.2 ევროპის საბჭო 147

3.8.3 ევროპის თანამეგობრობა (ევროკავშირი) 150

3.8.4 ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია 152

3.8.5 ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) 155

3.8.6 დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა . .158

3.8.7 შავიზღვისპირეთის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია 162

3.8.8 არაბულ ქვეყანათა ლიგა 166

3.8.9 ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია 166

3.8.10 საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციები .167

3.9 საერთაშორისო კონფლიქტები და გარემო 173

4. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ფდებარეობა 184

5. საქართველოს გუნებრივ-რესურსული პოტენციალი 187

6. საქართველოს გეოპოლიტიკური ფდებარეობა 196

6.1 გეოგრაფიული ასპექტი 196

6.2 ისტორიული ასპექტი 203

6.3 პოლიტიკური ასპექტი . .204

7. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება 205

7.1.ეროვნული უსაფრთხოების ასპექტები 209

8. საქართველოს საგარეო პოლიტიკა 222

9. კავკასია: არასტაბილურობიდან თანხვედრისაკენ 236

9.1 „მშვიდობიანი კავკასიის“ ინიციატივა და მისი რეალიზაციის პერსპექტივები 236

9.2 რუსეთის საგარეო პოლიტიკა და კავკასია 241

9.3 რეგიონის სატრანზიტო ფუნქცია 244

დანართი .249

ლექსიკონი 258